სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
310.140.000.11.115.005.808

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის

ბრძანება №26

2003 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

„რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის წესების დამტკიცების შესახებ"

„სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 12 ნოემბრის №485 ბრძანებულების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესები".
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი ბ. დარჯანია

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

2. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანერბა №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

„რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესები" (შემდგომ – წესები) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2

ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „გადაზიდვის პირდაპირი მარშრუტი" – ტვირთის გადაზიდვა, რომელიც სრულდება ერთი დანიშნულების (ტვირთგადაცლის) სადგურამდე, ერთი ან რამდენიმე ტვირთმიმღების მისამართით. აღნიშნული გადაზიდვისას სატვირთო ვაგონები თითოეული მიმღების მისამართით უნდა იმყოფებოდნენ ცალკე ჯგუფის შემადგენლობაში;

ბ) „გადაზიდვის სანაწევრებელი მარშრუტი" – ტვირთის გადაიზიდვა, რომელიც სრულდება სატვირთო მატარებლების შედგენის გეგმით განსაზღვრულ დანაწევრების სადგურამდე ან რკინიგზის მიერ დადგენილ დანაწევრების პუნქტამდე, სადაც ხდება ტვირთის მისამართის დაზუსტება (დამისამართება) კონკრეტული ტვირთმიმღების მისამართით, ან იმ შემავალ და

დანაწევრების სადგურებამდე დანიშვნით, რომლებიც იღებენ სათბობის ტვირთს გადმოტვირთვის სადგურში ვაგონების შემდგომი დამისამართებით;

გ) „დიდტონაჟიანი კონტეინერი“ – 10 და მეტი ტონა ბრუტო მასის მქონე უნივერსალური კონტეინერი;

დ) „ნაკრები სავაგონო გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი სხვადასხვა დასახელების ტვირთი, რომელიც განკუთვნილია ერთი ტვირთმიმღებისათვის. თუ ზედნადებში ვერ დაეტია ტვირთის დასახელების ჩამონათვალი, ტვირთგამგზავნი ადგენს ტვირთის ნუსხას და გრაფაში „ტვირთის დასახელება” მიუთითებს „ნაკრები სავაგონო გზავნილი, ტვირთის ნუსხა თან ერთვის”;

ე) „საბაჟო ფირფიტა“ – განსაზღვრული ზომისა და გადაზიდვასთან დაკავშირებული მონაცემების შემცველი სწორკუთხა ლითონის ნაჭერი, რომელიც მაგრდება კონტეინერზე და ადასტურებს მის ვარგისობას საბაჟო კონტროლით ტვირთის გადასაზიდად;

ვ) „სავაგონო გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც აუცილებელია ცალკე ვაგონის გამოყოფა;

ზ) „სამარშრუტო გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც აუცილებელია იმ რაოდენობის ვაგონების გამოყოფა, რაც შეესაბამება მარშრუტებისათვის წონისა და ზომის მიხედვით დადგენილ ნორმებს;

თ) „საკონტეინერო გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც საჭიროა ერთი კონტეინერის გამოყოფა;

ი) „სატარიფო კილომეტრი“ – ტვირთის გადაზიდვის უმოკლესი მანძილი, რომლის საფუძველზედაც, „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის“ შესაბამისად, განისაზღვრება ტვირთის გადაზიდვის საფასურის ოდენობა;

კ) „საშუალოტონაჟიანი კონტეინერი“ – არანაკლებ 2,5 ტონა და არა უმეტეს 10 ტონა ბრუტო მასის მქონე უნივერსალური კონტეინერი;

ლ) „სპეციალიზებული კონტეინერი“ – გარკვეული ნომენკლატურის თხევადი, ნაყარი, საფრთხეშემცველი, მალფუჭებადი და სხვა ტვირთის მრავალგზის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო მოწყობილობის უნიფიცირებული ერთეული, რომელიც წარმოადგენს სტანდარტული ზომისა და მაქსიმალური ბრუტო წონის სტანდარტულ კონსტრუქციას და აქვს დადგენილი სახის აღნიშვნები და წარწერები;

მ) „უნივერსალური კონტეინერი“ – უნიფიცირებული სატვირთო ერთეული, რომელიც განკუთვნილია ტარაში მოთავსებული და ცალკეული ტვირთის გადასაზიდად და წარმოადგენს ბრუტო წონის, გაბარიტული ზომების, შემცველობის, განლაგების ადგილის, წარწერებისა და ფირფიტების მიხედვით სტანდარტიზებულ კონსტრუციას, მასზე განლაგებულ სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებებზე დამაგრებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციის სამარჯვებითურთ;

ნ) „უსაფრთხო კონტეინერების საერთაშორისო კონვენციის ფირფიტა“ – უსაფრთხო კონტეინერების საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებული ფირფიტა (შემდგომ – ფირფიტა), რომელიც სავალდებულოდ მაგრდება კონტეინერის კარზე კონტეინერის დამზადების ან კაპიტალური რემონტის დროს და ადასტურებს მის უსაფრთხოებას ექსპლუატაციისათვის;

ო) „წვრილმანი გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც არ არის საჭირო ცალკე ვაგონის ან კონტეინერის გამოყოფა;

რ) „ჯგუფური გზავნილი“ – გადასაზიდად ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთი, რომლისთვისაც საჭიროა ერთზე მეტი, მაგრამ სამარშრუტო გაგზავნილზე ნაკლები ვაგონების გამოყოფა.

მუხლი 3

1. ამ წესების მოქმედება ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნის ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირზე, რომელიც რკინიგზით ტვირთს გადასაზიდავს საქართველოს ტერიტორიაზე.

2. რკინიგზა ვალდებულია, დადოს გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 4

1. რკინიგზით სამხედრო დანიშნულებისა და საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვა რეგულირდება შესაბამისი წესებით.

2. ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით რკინიგზის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის სახეები და ოდენობა განისაზღვრება „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის“ შესაბამისად.

მუხლი 5

რკინიგზით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა წესრიგდება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმებითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით.

თავი II
ტვირთის გადაზიდვაზე განაცხადის მიღების წესი

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 7. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 8. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 9. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 10

1. ტვირთის სასწრაფო გადაზიდვაზე ტვირთგამგზავნის მიერ განაცხადის წარდგენის ვადას ადგენს რკინიგზა.

2. განაცხადის განხილვის ვადა აითვლება მისი მიღების დღიდან და ტვირთის პირდაპირი გადაზიდვისას შეადგენს 3 დღეს.

3. (ამოღებულია).

4. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 11. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 12. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 13

1. ტვირთგამგზავნთა თხოვნით რკინიგზას უფლება აქვს:

ა) ნებადართულად გამოაცხადოს ტვირთის გადაზიდვა ერთი სადგურის ფარგლებში (შიდასასადგურო), რომელიც შეიტანება განაცხადში და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ტვირთის გადაზიდვის შესრულებულ მოცულობაში;

ბ) შეცვალოს განაცხადით განსაზღვრული დახურული მოძრავი შემადგენლობა ღიათი ან ერთი სახეობის ღია მოძრავი შემადგენლობა მეორეთი;

გ) შეცვალოს განაცხადით გათვალისწინებული დანიშნულების სადგური.

2. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ ან სახელმწიფო რეზერვის ბაზებიდან ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვა სრულდება წინასწარი განაცხადის გარეშე, აღნიშნული ტვირთის გადასაზიდად წარდგენის კვალობაზე.

3. პირადი (ყოფითი) საჭიროებისათვის განკუთვნილი ტვირთის გადაზიდვის განაცხადი მიიღება დადგენილი წესით.

მუხლი 14

1. თუ ტვირთგამგზავნმა სრულად გამოიყენა განაცხადით გათვალისწინებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა დატვირთვის ტექნიკური ნორმების მიხედვით, მაგრამ განაცხადი ვერ შეასრულა ტონობით, რკინიგზამ მას დამატებით უნდა გამოუყოს საჭირო რაოდენობის ვაგონები და კონტეინერები.

2. არსებული სატრანსპორტო საშუალებებით განაცხადის შესასრულებლად რკინიგზა შეიმუშავებს ტვირთის გადაზიდვის კრებსით გეგმასა და რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის ტექნიკურ ნორმებს.

თავი III
(ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 15. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 17. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 19. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 20. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 21. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 22. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 23. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 24. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 25. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

თავი IV
ტვირთის გადასაზიდად მიღების წესი

მუხლი 26

1. ტვირთი გადასაზიდად მიიღება სატვითრო სამუშაოების შესასრულებლად სათანადოდ აღჭურვილი სადგურების საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში. ასეთი სადგურების ნუსხა ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს სავაგონო, საკონტეინერო, წვრილმანი, ჯგუფური, სამარშრუტო და ნაკრები სავაგონო გზავნილებით.

მუხლი 27. (ამოღებულია)
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 28

1. დასატვირთად ვაგონების მიწოდების დროის შეტყობინების წესს, მათ შორის, ტვირთგამგზავნის საშუალებით საერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთვისას, ტვირთგამგზავნის წინადადებით ადგენს სადგური, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ. შეტყობინებისათვის გამოიყენება კავშირგაბმულობის არსებული საშუალებები. შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად ტვირთგამგზავნი განსაზღვრავს შეტყობინების მიღებაზე პასუხისმგებელ პირს და წერილობით აცნობებს სადგურს მის სახელს, გვარს და ტელეფონის (ფაქსის, ტელექსის) ნომერს.
2. (ამოღებულია)
3. (ამოღებულია)
4. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 29

1. ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურის გადახდამდე შემდგომი დატვირთვისათვის ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება შეიძლება შეჩერდეს ან, გამონაკლის შემთხვევებში, განხორციელდეს მხოლოდ რკინიგზის უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითების საფუძველზე.

2. რკინიგზა ვალდებულია, ტვირთგამგზავნს დასატვირთად მიაწოდოს გასუფთავებული, შიგნიდან და გარედან გაწმენდილი, საჭიროებისას კი, გარეცხილი და დეზიფინცირებული, ტვირის გადასაზიდად ვარგისი ვაგონები (კონტეინერები), მოხსნილი სამაგრი სამარჯვებით, თუ მათი მოხსნა ტექნიკურად დასაშვებია.

3. რკინიგზის ცისტერნების, ბუნკერული ტიპის ნახევარვაგონების მომზადებას უზრუნველყოფს რკინიგზა ან ტვირთმიმღები, რკინიგზის ხარჯით, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სპეციალური ცისტერნების მომზადებას, რომლებიც რკინიგზას არ ეკუთვნის – ტვირთგამგზავნი.

4. ვაგონების (კონტეინერების) კომერციულ ვარგისობას კონკრეტული ტვირთის გადასაზიდად განსაზღვრავენ:

ა) ვაგონების მიმართ – ტვირთგამგზავნი, თუ დატვირთვა განხორციელდა მის მიერ, ან რკინიგზა, თუ დატვირთვას ის აწარმოებს;

ბ) კონტეინერების მიმართ – ტვირთგამგზავნი.

6. ტვირთგამგზავნი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მისი ტვირთის გადასაზიდად მიწოდებული უვარგისი ვაგონების (კონტეინერების) გამოყენებაზე, ხოლო რკინიგზა ვალდებულია, შეცვალოს ისინი ვარგისით. ტვირთის გადასაზიდად ვაგონების უვარგისობის ფაქტი, მათ შორის, ტვირთის ვაგონიდან გადმოტვირთვის შემდეგ, ფორმდება საერთო ფორმის აქტით, რომელსაც ხელს აწერენ რკინიგზისა და ტვირთგამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

მუხლი 30

1. ვაგონებს ტვირთავს:

ა) რკინიგზა, ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების თანხმობით – საერთო სარგებლობის ადგილებში, რომელიც აღჭურვილია ამისათვის საჭირო მექანიზმებითა და მოწყობილობებით, გარდა: საფრთხეშემცველი და მალფუჭებადი ტვირთისა; სახელმწიფო ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის საქვეკონტროლო ტვირთისა; ტვირთისა, რომლის საერთო წონა შეადგენს 0,5 ტონას და გადაიზიდება დახურულ ვაგონში; არაგაბარიტული ტვირთისა; ტვირთისა, რომელიც გადაიზიდება დაყრით ან ჩასხმით, სპეციალიზებული მოძრავი შემადგენლობით, ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების წარმომადგენლების თანხლებით;

ბ) ტვირთგამგზავნი – არასაერთო და საერთო სარგებლობის ადგილებში, თუ დატვირთვა არ არის სავალდებულო რკინიგზისათვის.

2. კონტეინერებს საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთავს ტვირთგამგზავნი.

მუხლი 31

1. ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ტვირთი გადასაზიდად იმდაგვარად მოამზადოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება და ტვირთის, ვაგონების (კონტეინერების) მთლიანობა.

2. საზღვაო ნავსადგურების მეშვეობით ან რკინიგზის სასაზღვრო გადამცემი სადგურების გავლით გადასაზიდი, მათ შორის, საექსპორტი ტვირთის გაფუჭების, დაზიანების, დაკარგვის ან კლების თავიდან აცილების მიზნით, ასევე მოძრავი შემადგენლობის, რკინიგზის ვაკისის და გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ტვირთი გადასაზიდად წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნიკურ პირობებსა და სტანდარტებს შესატყვის სატრანსპორტო ტარაში შეფუთული.

3. ტვირთგამგზავნი, სადგურის მოთხოვნით, ვალდებულია წარმოადგინოს გადასაზიდ ტვირთზე, ხოლო თუ იგი შეფუთულია, ასევე ტარასა და შეფუთვაზე არსებული სტანდარტები და ტექნიკური პირობები.

4. ტვირთი, რომლის ტარასა და შეფუთვაზე სტანდარტები და ტექნიკური პირობები არ არის დადგენილი, გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს წესივრულ მდგომარეობაში, რაც გადაზიდვისას უზრუნველყოფს მის მთლიანობას.

5. იმპორტულტარიან და ცალკეულ ტვირთს რკინიგზა გადასაზიდად იღებს იმ ტარით (შეფუთვით), რომლითაც ის შემოზიდულია საზღვარგარეთიდან, თუ ტარა (შეფუთვა) უზრუნველყოფს ტვირთის მთლიანობას. საჭიროების შემთხვევაში, ტვირთმიმღები (ტვირთგამგზავნი) რკინიზასთან ათანხმებს ტვირთის გადაზიდვის განსაკუთრებულ პირობებს.

მუხლი 32

1. გადასაზიდად წარმოდგენილ ტარიან-ცალეულ ტვირთს უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო ნიშანდება იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა ეს ნიშანდება სხვა სახეობათა ტრანსპორტზე მოქმედ მოთხოვნებს. სატრანსპორტო ნიშანდების შინაარსი, მისი აღნიშვნის ხერხი და ადგილი, განთავსების წესი, ნიშანდების იარლიყებისა და წარწერების ზომები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი სტანდარტის მოთხოვნებს. სატრანსპორტო-სარკინიგზო ნიშანდება შედგება ძირითადი, დამატებითი და საინფორმაციო წარწერებისა და სამანიპულაციო ნიშნებისაგან.

2. ძირითადი წარწერები სატვირთო ადგილებზე უნდა შეიცავდეს:

ა) ტვირთმიმღების სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, რეგისტრირებულს დადგენილი წესით;

ბ) დანიშნულების სადგურის სრულ სახელწოდებას;

გ) გზავნილში სატვირთო ადგილების რაოდენობასა და გზავნილის შიგნით ადგილების რიგით ნომერს (მიეთითება წილადით: მრიცხველში – გზავნილში ადგილის რიგითი ნომერი, მნიშვნელში – ადგილების რაოდენობა). სატვირთო ადგილების რაოდენობა და ადგილის რიგითი ნომერი აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ერთგვაროვანი ტარით გადაიზიდება ნაირგვარი ან სხვადასხვა ტიპის ტვირთი, ან ერთგვაროვანი ტვირთი განსხვავებული ტარით, ან დაუშვებელია ტვირთის სორტულობის აღრევა ერთგვაროვანი ტვირთის გზავნილებში, ან გადაიზიდება მოწყობილობათა კომპლექტი, ან გადაზიდვა ხორციელდება სვლის გზაზე ტვირთის გადატვირთივით ან წვრილმანი გზავნილებით ერთი ვაგონით,.

3. დამატებითი აღნიშვნები სატვირთო ადგილებზე უნდა შეიცავდეს:

ა) ტვირთგამგზავნის სრულ ან დადგენილი წესით რიგისტრირებულ პირობით სახელწოდებას;

ბ) გაგზავნის პუნქტის დასახელებას, გაგზავნის სადგურის მითითებით;

გ) სარკინიგზო ნიშანდებას, რომელიც წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვისას წილადის სახით დაიტანება თითოეულ სატვირთო ადგილზე და აღინიშნება: მრიცხველში – ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთრით განსაზღვრული რიგითი ნომერი და ტირეთი – გზავნილებში ადგილების რაოდენობა, ხოლო მნიშვნელში – გაგზავნის სადგურის კოდი.

4. სარკინიგზო ნიშანდება კეთდება:

ა) გაგზავნის სადგურის მიერ – თუ ტვირთი გასაგზავნად მიიღება საერთო სარგებლობის ადგილებში. ამის თაობაზე მიეთითება ზედნადების გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნა";

ბ) ტვირთგამგზავნის მიერ, ტვირთის გადასაზიდად წარდგენამდე – თუ ტვირთის დატვირთვა ხორციელდება წვრილმანი გზავნილებით არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

5. საინფორმაციო წარწერები უნდა შეიცავდეს:

ა) სატვირთო ადგილის ბრუტო და ნეტო წონას კილოგრამობით. დასაშვებია, ნეტო წონის ნაცვლად მიეთითოს ნაკეთობათა რაოდენობა ცალობით. ეს მონაცემები შეიძლება არ აღინიშნოს, თუ ისინი მითითებულია ტვირთის შეფუთვის ამსახველ ნიშანდებაში;

ბ) სატვირთო ადგილების გაბარიტულ ზომებს სანტიმეტრობით (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე ან დიამეტრი და სიმაღლე). ამ ზომებს არ მიუთითებენ, თუ გაბარიტული ზომებიდან არც ერთი არ

აღემატება 1 მეტრს – ტვირთის გადაზიდვისას ღია მოძრავ შემადგენლობაზე და 1,2 მეტრს – ტვირთის გადაზიდვისას დახურულ ვაგონში.

6. ტვირთთან მოპყრობის მიმანიშნებელი გამოსახულების (შემდგომ – სამანიპულაციო ნიშნების) აღნიშვნის საჭიროება განისაზღვრება ტვირთის სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით. თუ ტვირთთან მოპყრობის ხერხის გამოხატვა შეუძლებელია სამანიპულაციო ნიშნებით, დაიშვება გამაფრთხილებელი წარწერების გამოყენება.

7. თუ ერთგვაროვანი ტვირთი სავაგონო გზავნილებით პირდაპირი მიმოსვლით გადაიზიდება, სატრანსპორტო ნიშანდება უნდა გაკეთდეს თითოეულ ან არანაკლებ ოთხ სატვირთო ადგილზე. ამ შემთხვევაში, ნიშანდებულ სატვირთო ადგილებს განათავსებენ:

ა) დახურულ ვაგონებში – ორ-ორ ადგილს თითოეულ კართან, ნიშანდებით გარეთ;

ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე – ორ-ორ ადგილს ჩატვირთვის ზედა იარუსზე ვაგონის ყოველ გრძივ ბორტთან, ნიშანდებით მაღლა;

8. უნივერსალური კონტეინერებით გადასაზიდ ტვირთზე ძირითადი, დამატებითი და საინფორმაციო წარწერების მითითება, გარდა ბრუტო და ნეტო მასისა, სავალდებულო არ არის.

9. ნაყარი ან ჩამოსასხმელი ტვირთის უტაროდ გადაზიდვისას ტვირთს ნიშანდება არ უკეთდება.

10. ტვირთისაგან შედგენილ სატრანსპორტო პაკეტებზე წარწერების გაკეთების თავისებურებანი დადგენილია სატრანსპორტო პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის წესით.

მუხლი 33

1. ვაგონებში (კონტეინერებში) ტვირთის ჩატვირთვა, განთავსება და დამაგრება უნდა უზრუნველყოფდეს მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოებას, დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოების მექანიზაციის შესაძლებლობასა და ტვირთის, ვაგონების, კონტეინერების მთლიანობას.

2. იმ ტვირთის ნუსხა, რომლის დასატვირთად ვაგონები (კონტეინერები) სპეციალურად მზადდება, მოცემულია ამ წესების დანართში.

3. ტვირთი, რომლის შეფუთვაზეც არის სამანიპულაციო ნიშნები და გამაფრთხილებელი წარწერები, ვაგონებში იტვირთება ამ აღნიშვნებისა და წარწერების დაცვით.

4. ტვირთი ვაგონებსა და კონტეინერებში მაგრდება დადგენილი ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების შესაბამისად. ტვირთის დასამაგრებლად, დასატვირთად და გადასაზიდად აუცილებელი სამარჯვების, მასალების, დაპაკეტების საშუალებების და სხვა მოწყობილობის მოწოდებას უზრუნველყოფს ტვირთგამგზანი, ხოლო მათ დამაგრებას – დამტვირთავი მხარე.

5. აკრძალულია ერთ ვაგონში ისეთი ტვირთის ჩატვირთვა, რომელმაც თავისი თვისებების გამო შეიძლება დააზიანოს ან გააფუჭოს სხვა ტვირთი.

7. ვაგონის კართშორის სივრცეში ტარიან-ცალეული ტვირთი უნდა განთავსდეს კარსა და ტვირთს შორის სულ ცოტა 25 სმ დაშორებით.

8. ტვირთი ვაგონებში (კონტეინერებში) უნდა ჩაიტვირთოს მისი დატვირთვის ტექნიკური ნორმების დაცვით, ხოლო, თუ ტექნიკური ნორმები დადგენილი არ არის – ვაგონის (კონეტინერის) სრულ ჩატვირთვამდე, მაგრამ არა უმეტეს ვაგონის ან კონტეინერის ტრაფარეტზე მითითებული ტვირთამწეობისა.

9. აკრძალულია ორ მეტრზე მეტი სიმაღლის ტვირთის ჩატვირთვა დახურულ ვაგონში საერთო სარგებლობის ადგილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ტვირთის გადმოტვირთვას საერთო სარგებლობის ადგილებში უზრუნველყოფს ტვირთმიმღები.

მუხლი 34

1. ხე-ტყე, შეშა და დახერხილი მასალა გადაიზიდება პაკეტებით, შტაბელებით და მოლარტყულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადმოტვირთვის სამუშაოების მაქსიმალური მექანიზება.

2. ხე-ტყე, შეშა და დახერხილი მასალა პაკეტებით, შტაბელებით და მოლარტყულად გადასაზიდად მიიღება ზედნადებში პაკეტების, შტაბელებისა და ლარტყულების რაოდენობის მითითებით.

3. თუ ხე-ტყე ბაქნებში ან ნახევარვაგონებში ჩაიტვირთება არა უმეტეს ორ შტაბელად, მაშინ უნდა მიეთითოს მორების რაოდენობა, როცა ეს რაოდენობა ერთ შტაბელში არ აღემატება 100 ერთეულს, ხოლო ორ შტაბელში 300 ერთეულს.

4. თუ ხე-ტყის ან დახერხილი მასალის ნახევარვაგონებში განთავსებისას გამოყენებულია ჩატვირთვის გაბარიტის ზედა ვიწრო ნაწილი (შემდგომ – გაბარიტის ვიწრო ნაწილი), ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ზედნადებში, ტვირთის დასახელების ქვეშ, მიუთითოს გაბარიტის ვიწრო ნაწილში არსებული შტაბელების რაოდენობა მათი განთავსების ადგილის მიხედვით.

მუხლი 35

1. გადასაზიდად ტვირთის წარდგენისას ტვირთგამგზავნი ზედნადებში მიუთითებს მის წონას, ხოლო ტარიან-ცალეული ტვირთის გადაზიდვისას – აგრეთვე სატვირთო ადგილების რაოდენობას.

2. აკრძალულია ტვირთის წონის განსაზღვრა გაანგარიშებით ან ტვირთის აზომვით, თუ მისი ჩატვირთვა ვაგონების (კონტეინერების) სრულ შევსებამდე გამოიწვევს მათი ტვირთამწეობის დაშვებული ნორმების გადამეტებას.

3. არ დაიშვება ნაყარი და მარცვლეული ტვირთის წონის განსაზღვრა აზომვით ან პირობითად, თუ იგი გადაიზიდება საზღვაო ნავსადგურებისა და სარკინიგზო სასაზღვრო გადამცემი სადგურის გავლით, არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით.

4. ტვირთის მასას განსაზღვრავს:

ა) რკინიგზა – თუ დატვირთვა ხორციელდება საერთო სარგებლობის ადგილებში;

ბ) ტვირთგამგზავნი – თუ დატვირთვა ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

5. ერთი ზედნადებით წარდგენილი ტვირთის საერთო წონა, რომელიც უნდა გადაიზიდოს ვაგონით (კონტეინერით), განისაზღვრება თითოეულ სატვირთო ადგილზე მითითებული ტრაფარეტის მიხედვით, სტანდარტული წონით, აგრეთვე გაანგარიშების გზით და აზომვით.

6. ტრაფარეტის საფუძველზე, სტანდარტის მიხედვით, გაანგარიშებით ან აზომვით ტვირთის წონას განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი. თუ ტვირთგამგზავნს არ აქვს ვაგონის სასწორი, ტვირთის წონა შეიძლება განისაზღვროს რკინიგზის სასწორით, ტვირთგამგზავნის ხარჯით.

მუხლი 36

1. ცისტერნებში ჩასხმით გადასაზიდი ტვირთის წონას ტვირთგამგზავნი განსაზღვრავს აწონვით ან ჩამოსხმის სიმაღლისა და ჩასხმული ტვირთის მოცულობის დადგენით, ცისტერნების საკალიბრებელი ცხრილების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ზედნადებში, ტვირთის დასახელებასთან ერთად, მიუთითოს ჩასხმის სიმაღლე, ცისტერნაში ტვირთის ტემპერატურა და ტვირთის სიმკვრივე.

2. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 37

1. გადასაზიდი ტვირთის ასაწონად რკინიგზას – საერთო სარგებლობის ადგილებში და ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) – არასაერთო სარგებლობის ადგილებში, უნდა ჰქონდეთ საჭირო რაოდენობის საწონი ხელსაწყოები.

2. საწონი ხელსაწყოები ექვემდებარება აუცილებელ შემოწმებასა და დადამღვას სტანდარტის მიხედვით.

3. რკინიგზას შეუძლია, ხელშეკრულების საფუძველზე გაუწიოს ტექნიკური მომსახურება (საუწყებო კონტროლი, რემონტი, საკონტროლო შემოწმება) ტვირთმიმღების, ტვირთგამგზავნისა და სხვა უფლებამოსილ პირთა საწონ ხელსაწყოებს.

4. ტვირთი ვაგონის სასწორზე იწონება გაჩერებულ მოხსნილ ან მოუხსნელ ვაგონში. ტვირთის აწონვა ვაგონის მოძრაობისას დაიშვება საგანგებოდ ასეთი აწონვისათვის განკუთვნილი ვაგონის სასწორით. თხევადი ტვირთით დატვირთული ცისტერნების მოძრაობისას დაუშვებელია აწონვა ურიკების ან ღერძების მიხედვით.

მუხლი 38

1. გაჩერებულ მოხსნილ ვაგონში აიწონება დაყრით გადასაზიდი მარცვლეული და პურეული ტვირთი, პარკოსანი კულტურის თესლი, კომბინირებული საკვები, ქატო, დაყრით გადასაზიდი კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, დაუპაკეტებელი ფერადი ლითონი და ფერადი ლითონის ჯართი, სასურსათო და ჩამოსასხმელი ტვირთი, გარდა სპირტის, ღვინის და ღვინომასალისა. სხვა სახის ტვირთი აიწონება გაჩერებულ მოუხსნელ ან მოძრავ ვაგონში იმ სასწორზე, რომელიც განკუთვნილია ასეთი ტიპის აწონისათვის.

2. ვაგონის (კონტეინერის) ტარის წონა განისაზღვრება ვაგონზე (კონტეინერზე) მითითებული ტარფარეტის შესაბამისად. თუ ტვირთგამგზავნს აქვს ვაგონის სასწორი, ნებადართულია ვაგონის ტარის აწონვა ზედნადების გრაფაში „გადას. ტარა" ვაგონის ტარის ფაქტობრივი წონის აღნიშვნით.

3. ვაგონ-რეფრიჟერატორებით გადასაზიდი ხორცის, მარცვლეულისა და სხვა მალფუჭებადი ტვირთის წონა განისაზღვრება სასაქონლო სასწორზე.

4. თუ ტვირთი გადაიზიდება მოსახსნელი მოწყობილობითა და სამაგრი რეკვიზიტებით, მათ შორის, ბოსტნეულის, პურეულის ფარებითა და სათბუნებლებით აღჭურვილი, ამ სამარჯვებისა და მასალების წონა არ შედის ტვირთის საერთო წონაში და მიეთითება ცალკე, ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები". ამ შემთხვევაში, მოუხსნელი პურეულის ფარების წონა შედის ვაგონის ტარის მასაში.

მუხლი 39

1. ტვირთის წონის განსაზღვრის ხერხი და ამწონი მხარე მიეთითება ზედნადების შესაბამის გრაფაში.

2. თუ ტვირთის წონა განსაზღვრულია სტანდარტის მიხედვით, მაშინ დამატებით მიეთითება ერთი ადგილის წონა.

მუხლი 40

1. დატვირთულ ვაგონებს (კონტეინერებს) დადგენილი წესით პლომბავს ის მხარე (რკინიგზა ან ტვირთგამგზავნი), რომელმაც განახორციელა დატვირთვა.

2. იმ ტვირთის ნუსხა, რომლის გადაზიდვა დაიშვება დაუპლომბავად, მაგრამ რკინიგზის მიერ განსაზღვრული ტიპის კარებისა და ლუკების საკეტი ნაგრეხის სავალდებულო გამოყენებით, დგინდება ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესით.

მუხლი 41

დატვირთვის დასრულების შემდეგ ტვირთგამგზავნმა უნდა გაასუფთაოს სპეციალიზებული და დახურული ვაგონების სახურავი და ჩასატვირთი ლუკები ჩატვირთული ტვირთის ნარჩენებისაგან, გაწმინდოს ვაგონებზე არსებული ტრაფარეტული წარწერები, ვაგონის ჩარჩო და სავალი ნაწილები.

მუხლი 42

1. ტვირთის გადასაზიდად წარდგენისას ტვირთგამგზავნმა თითოეულ სატვირთო გზავნილზე უნდა წარმოადგინოს სათანადო წესით შედგენილი ზედნადები და სხვა საჭირო დოკუმენტები. აღნიშნული ზედნადები და მის საფუძველზე ტვირთგამგზავნისათვის გაცემული ტვირთის მიღების ქვითარი ადასტურებენ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას.

2. ტვირთის გადასაზიდად მიღების დასადასტურებლად ტვირთგამგზავნს გადაეცემა ტვირთის მიღების ქვითარი, რაზეც ის ხელს აწერს საგზაო უწყისის ყუაში.

3. ტვირთის გადასაზიდად მიღების დრო დასტურდება გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელით ზედნადების შესაბამის გრაფაში, სადაც აღინიშნება მიმდინარე დღე-ღამის თარიღი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული დღე-ღამის 18 საათამდე თუ შემდგომ გაფორმდა ტვირთის მიღება გადასაზიდად.

მუხლი 43

1. განსხვავებული სიგანის ლიანდიან რკინიგზაზე ტვირთი გადასაზიდად მიიღება ამ წესებისა და ვაგონებზე (კონტეინერებზე) ტვირთის დამაგრებისა და განთავსების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

2. იმ ტვირთმიმღების მისამართით გასაგზავნად, რომელსაც აქვს ვიწრო ლიანდის სარკინიგზო ხაზის მოქმედების ზონაში განლაგებული მისასვლელი ლიანდი, ტვირთი გადასაზიდად მიიღება დანიშვნით საქართველოს რკინიგზის საერთო ქსელში ჩართულ სადგურებში.

3. ფართო ლიანდის მქონე სადგურიდან ვიწრო ლიანდის მქონე სადგურის მიმართულებით გადასაზიდად მიიღება მხოლოდ ტარიან-ცალეული ტვირთი, გარდა დახურულ ვაგონებში ჩატვირთული მძიმეწონიანი ან საფრთხეშემცველი ტვირთისა. ქაღალდის ტარაში (შეფუთვაში) მოთავსებული ტვირთის გადასაზიდად სხვადასხვა სიგანის ლიანდის სარკინიგზო ხაზზე, ტვირთგამგზავნი ვალდებულია ტვირთთან ერთად ვაგონში ჩატვირთოს ცარიელი ტომრები (კოლოფები), რომლის რაოდენობა უნდა იყოს ვაგონში ჩატვირთული ადგილების არანაკლებ 6 პროცენტისა.

4. ვიწროლიანდიანი სადგურისათვის განკუთვნილი ტვირთი გადასაზიდად მიიღება მხოლოდ იმ სადგურის თანხმობით, რომელსაც ესაზღვრება ვიწროლიანდიანი ხაზი.

5. თუ ტვირთი გადაიზიდება სვლის მთელ გზაზე შედგენილი დოკუმენტებით, მისი გადატვირთვა ერთი სიგანის ლიანდის ვაგონებიდან სხვა სიგანის ლიანდის ვაგონებში ხორციელდება ტვირთმიმღების (ტვირთგამგზავნის) მიერ. რკინიგზას ტვირთგამგზავნთან ან ტვირთმიმღებთან შეთანხმებით შეუძლია გადატვირთოს ასეთი ტვირთი, მათი ხარჯით.

6. ტარიან-ცალეული ტვირთი, რომელიც გადატვირთვის სადგურში მიტანილია წესივრული შეფუთვით, ერთი სიგანის ლიანდის ვაგონებიდან სხვა სიგანის ლიანდის ვაგონებში გადაიტვირთება ტვირთის ადგილების რაოდენობის შემოწმებით. ამ შემთხვევაში ტვირთის წონა ან ნაკეთობათა რაოდენობა მოწმდება მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში.

7. ტვირთი ვიწრო ლიანდის ვაგონებში თავსდება და მაგრდება დადგენილი ტექნიკური ნორმების მიხედვით.

მუხლი 44

თუ გაგზავნის სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთგამგზავნი ტვირთს შეიტანს მის ჩასატვირთად განსაზღვრულ ვადაზე ადრე, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს შესანახად. ამ შემთხვევაში ზედნადების გრაფაში „ჩატვირთვა დანიშნულია —— (რიცხვი) ———— (თვე)" და ტვირთის გადასაზიდად მიღების კალენდარულ შტემპელში მიეთითება ამ ტვირთის ფაქტობრივი ჩატვირთვის თარიღი საერთო სარგებლობის ადგილებში.

მუხლი 45

1. ტვირთის გადასაზიდად გაფორმება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ზედნადებით, თუ ტვირთგამგზავნი რეგისტრირებულია რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – ერთიანი ელექტრონული სისტემა).

2. თუ შეუძლებელია ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის წარმოება, გადაზიდვა ფორმდება მატერიალური დოკუმენტის სახით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

თავი V

ტვირთის გადაზიდვის საბუთების შევსების წესი

მუხლი 46

1. ეს წესი განსაზღვრავს ტვირთის გადაზიდვის საბუთების შევსების პირობებს გაგზავნის სახეობის მიხედვით.

2. ტვირთის გადაზიდვა სავაგონო და წვრილმანი გზავნილებით ფორმდება გუ-27 ფორმის ზედნადებით ან გუ-29-0 ფორმის გადაზიდვის საბუთების კომპლექტით, რომელიც შედგება ზედნადების, საგზაო უწყისის ყუისა და ტვირთის მიღების ქვითრისგან.

3. ტვირთის გადაზიდვა სავაგონო გზავნილებით შეიძლება გაფორმდეს ელექტრონული ზედნადებით.

4. ტვირთის მარშრუტებით, ვაგონთა ჯგუფებით და კონტეინერებით გადაზიდვისას ზედნადების შევსების წესი და მისი ფორმა განისაზღვრება შესაბამისად ვაგონთა ჯგუფებით ერთი ზედნადებითა და უნივერსალური კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის წესებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 46[1]

1. ტვირთის გადაზიდვის და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების ტვირთგამგზავნისთვის/ტვირთმიმღებისთვის მიწოდებისას, რკინიგზა უფლებამოსილია ამ წესებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარმოება განახორციელოს ელექტრონული ფორმით.

2. რკინიგზა უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ელექტრონული ფორმით წარმოებისას განსაზღვროს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების შედგენის წესი, მათი ფორმა და რეკვიზიტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულია დოკუმენტის ყველა არსებითი მონაცემი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 47

1. გადაზიდვის საბუთების ბლანკები შეივსება საბეჭდი მანქანის, მათ შორის, კომპიუტერული საშუალებების გამოყენებით, ან ხელით, მელნიანი (ბურთულიანი) კალმით, ხოლო ცალკეული მონაცემები აღინიშნება შტემპელით.

2. გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების წაშლა ან გადახაზვა აკრძალულია.

3. ტვირთგამგზავნის მიერ გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების შეცვლის აუცილებლობისას იგი ვალდებულია შეავსოს ამ საბუთების ახალი ბლანკი.

4. რკინიგზის მიერ გადაზიდვის საბუთებში შეტანილი მონაცემების ცვლილებებსა და დამატებებს გადაზიდვის საბუთებს შემდგენელი რკინიგზის მუშაკი ამოწმებს ხელმოწერითა და სადგურის შტემპელით.

მუხლი 48

1. ამ წესების შესაბამისად ტვირთგამგზავნის მიერ გაფორმებული ზედნადები და მის საფუძველზე გაცემული ტვირთის მიღების ქვითარი ადასტურებენ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას.

2. ზედნადები, საგზაო უწყისთან ერთად, თან ახლავს ტვირთს დანიშნულების სადგურამდე, სადაც იგი გადაეცემა ტვირთმიმღებს. ამ შემთხვევაში ტვირთმიმღები ხელს აწერს საგზაო უწყისში, ხოლო ტვირთის მიღების ქვითრის გაცემისას – აგრეთვე საგზაო უწყისის ყუაზე. საგზაო უწყისის ყუა რჩება გაგზავნის სადგურს.

მუხლი 49

1. აკრძალულია გადაზიდვის გაფორმება ერთი გადაზიდვის საბუთით, თუ:

ა) სხვა ტვირთთან ერთად გამყოლის გარეშე გადაიზიდება მალფუჭებადი ტვირთი;

ბ) გადაიზიდება ტვირთი, რომლის თვისებების გამო აკრძალულია მისი გადაზიდვა ერთ ვაგონში სხვა ტვირთთან ერთად.

გ) ტვირთი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების დაცვას გადაიზიდება იმ ტვირთთან ერთად, რომელიც ამგვარი ზომების დაცვას არ მოითხოვს;

დ) ტვირთი, რომელიც მოითხოვს სანიტარიული, ვეტერინარული და სხვა განსაკუთრებული ზომების დაცვას გადაიზიდება იმ ტვირთთან ერთად, რომელიც ამ ზომების დაცვას არ მოითხოვს;

ე) გადაიზიდება შენახვის სხვადასხვა ვადის მქონე ტვირთი, თუ იგი არ გადმოსატვირთად იგზავნება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

2. ტვირთგამგზავნის თხოვნით რკინიგზას შეუძლია ზედნადები შეავსოს ხელშეკრულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ზედნადებს ხელს აწერს ტვირთგამგზავნი.

მუხლი 50

1. ტვირთგამგზავნი ქონებრივად აგებს პასუხს ზედნადებში შეტანილი მონაცემების უტყუარობასა და არასწორი, უზუსტო და არასრული მონაცემების შეტანით გამოწვეულ შედეგზე.

2. რკინიგზა უფლებამოსილია შერჩევით შეამოწმოს ტვირთგამგზავნის მიერ ზედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორე.

3. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით გადასაზიდი ტვირთის შესახებ არასწორი, უზუსტო, არასრული მონაცემების ჩვენების, გადასასზიდად აკრძალული ტვირთის გაგზავნის ან ტვირთის თვისებების არასწორი მითითების გამო ტვირთგამგზავნს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 51

1. გადაზიდვის საბუთები, ტექსტობრივ ინფორმაციასთან ერთად, უნდა შეიცავდეს მის კოდირებულ ინფორმაციას, რომლის აღნიშვნების ადგილი გადაზიდვის საბუთების ბლანკებში ჩარჩოებით არის გამოყოფილი.

2. გადაზიდვის საბუთებში მოცემული ინფორმაციის კოდირების წესს შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 52

1. ელექტრონული ზედნადები იწარმოება ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ელექტრონული ზედნადების მონაცემების შენახვას, მათი კონფიდენციალობის დაცვას და გამორიცხავდეს ამ მონაცემებზე უნებართვო წვდომას.

2. ელექტრონული ზედნადები შეივსება მხოლოდ ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

3. გადაზიდვის ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების ფაქტი დასტურდება ელექტრონული ზედნადების შედგენით და მასზე მხარეთა ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 53

1. ელექტრონულ ზედნადებს ავსებს ტვირთგამგზავნი, მის მიერ უფლებამოსილი პირი, ან ტვირთგამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად – რკინიგზა.

2. ტვირთგამგზავნი ზედნადებს ავსებს შემდეგი წესით:

ა) გრაფაში ,,სიჩქარე'' – აღინიშნება გადაზიდვის სიჩქარე (სატვირთო ან დიდი). თუ გადაზიდვა დადგენილია მხოლოდ დიდი სიჩქარით, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ამ გრაფაში მიუთითოს სწორედ ეს სიჩქარე;

ბ) გრაფები „ვაგონის სახეობა", „ვაგონის ნომერი", ვაგონის ტვირთამწეობა", „ღერძების რაოდენობა", „საკისრების მონაცემები", „მიბმის კოდი", „ვაგონის ტიპი", „ვაგონის ძარის მოცულობა", „დატვირთვის ტექნიკური ნორმა" – შეივსება თითოეულ ვაგონზე, თუ დატვირთვა განხორციელდა ტვირთგამგზავნის საშუალებებით. სარეფრიჟერატორო სექციებით გადაზიდვისას გრაფაში „ვაგონის სახეობა" ჩაიწერება ასოები „სს", ხოლო გრაფაში „ვაგონის ნომერი" წილადით აღინიშნება: მრიცხველში – სარეფრიჟერატორო სექციის ნომერი, მნიშვნელში – ვაგონის ნომერი და ვაგონის მესაკუთრე რკინიგზის ციფრული კოდი;

გ) გრაფა „არაგაბარატულობის სახეობა" – შეივსება მხოლოდ ტვირთის არაგაბარიტულობისას და აღინიშნება არაგაბარიტულობის ხუთნიშნა ინდექსით;

დ) გრაფაში „დატვირთვის ნორმა" – აღინიშნება ვაგონის დატვირთვის საქსელო ან ტექნიკური ნორმა, ხოლო, თუ ტვირთზე ტექნიკური ნორმა არ არის დადგენილი, ამ გრაფაში შემოკლებით მიეთითება: „არ/დადგ.";

ე) გრაფაში „გაგზავნის სადგური" – აღინიშნება გაგზავნის სადგურის ზუსტი სახელწოდება. ეს გრაფა შეიძლება შეავსოს სადგურის შტემპელის გამოყენებით. თუ იმპორტული ტვირთი გადაიზიდება არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით, საზღვაო ნავსადგურებისა და სასაზღვრო სადგურების გავლით, გრაფაში „გაგზავნის სადგური" მიეთითება ნავსადგურებთან განლაგებული პორტისპირა ან სასაზღვრო გადამცემი სადგური. ამ შემთხვევაში გადაზიდვის საბუთს უკეთდება აღნიშვნა – „იმპორტი".

ვ) გრაფაში „დანიშნულების სადგური" – აღინიშნება ტვირთის დანიშნულების სადგურის ზუსტი სახელწოდება. თუ ტვირთი გადაიზიდება იმ სადგურისაკენ, სადაც გადმოტვირთვა ხორციელდება მხოლოდ მისასვლელ ლიანდაგზე, ამ გრაფაში, სადგურის სახელწოდებასთან ერთად, კეთდება აღნიშვნა: „მისასვლელ ლიანდაგზე ჩამოყენებით..." და მიეთითება იმ მიღების დასახელება, რომლის მომსახურებისათვის არის განკუთვნილი მისასვლელი ლიანდაგი. თუ საექსპორტო ტვირთი გადაიზიდება არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით, საზღვაო ნავსადგურებისა და სასაზღვრო სადგურების გავლით, აღნიშნულ გრაფაში მიეთითება სასაზღვრო გადამცემი ან საზღვარი ნავსადგურისპირა სადგური. ამ შემთხვევაში, გადაზიდვის საბუთში კეთდება აღნიშვნა – „ექსპორტი".

ზ) გრაფაში „გამგზავნი" – აღინიშნება მხოლოდ ერთი ტვირთგამგზავნი იურიდიული პირის ზუსტი საფირმო სახელწოდება და კოდი, ხოლო თუ ტვირთგამგზავნი ფიზიკური პირია – მისი სახელი, გვარი და საპასპორტო მონაცემები. თუ იმპორტული ტვირთი გადაიზიდება არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით, საზღვაო ნავსადგურებისა და სასაზღვრო გადამცემი სადგურების გავლით, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, მიუთითოს ის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც თავისი ან ტვირთის მესაკუთრის სახელით ტვირთს გადასაზიდად წარუდგენს რკინიგზას;

თ) გრაფაში „გამგზავნის საფოსტო მისამართი" – აღინიშნება ტვირთგამგზავნის სრული საფოსტო მისამართი, ინდექსის, რაიონის, ქალაქის, ქუჩის და სახლის ნომრის მითითებით;

ი) გრაფები „მიმღები" და „მიმღების საფოსტო მისამართი" შეივსება ამ მუხლის „ზ" და „თ" ქვეპუნქტების ანალოგიურად;

კ) „გამგზავნი" და „მიმღები" გრაფების შევსებისას მიეთითება მხოლოდ ერთი იურიდიული პირის სახელწოდება ან ფიზიკური პირის გვარ-სახელი;

ლ) გრაფაში „გადამხდელი" – აღინიშნება იმ პირის დასახელება და კოდი, რომელიც ახორციელებს გადაზიდვასთან დაკავშირებულ ანგარიშწორებას ტვირთის გაგზავნა-გადაცემისას;

მ) გრაფაში „გამგზავნის ნიშნები" – აღინიშნება სატვირთო ადგილებზე ტვირთგამგზავნის მიერ დატანებული განმასხვავებელი ნიშნები.

ნ) გრაფაში „ადგილების რაოდენობა" – აღინიშნება ტვირთის ადგილების რაოდენობა ტვირთის თითოეული დასახელებისა (კრებსითი გზავნილი) და შეფუთვის სახეობის მიხედვით, აგრეთვე ადგილების საერთო რაოდენობა. თუ ტვირთი გადაიზიდება პაკეტებით ქვეშზე, ამ გრაფაში

წილადით მიეთითება: მრიცხველში – ქვეშზე დაწყობილი პაკეტების რაოდენობა, მნიშვნელში – პაკეტებში ადგილების საერთო რაოდენობა;

ო) გრაფაში „შეფუთვა" – შემოკლებით აღინიშნება ტვირთის ტარის სახეობა. თუ ტვირთი შეუფუთავად გადაიზიდება, ამ გრაფაში შემოკლებით აღინიშნება „შეუფ.";

პ) გრაფაში „ტვირთის დასახელება" – აღინიშნება ტვირთის ზუსტი სრული დასახელება. თუ ზედნადებში არ არის საკმარისი ადგილი ერთი გზავნილით გადასაზიდი მთელი ტვირთის ჩამოსათვლელად, ტვირთგამგზავნი იურიდიული პირი, თავის საფირმო ბლანკზე, ადგენს მთელი გადასაზიდი ტვირთის ნუსხას ნიშნების, ადგილების რაოდენობის, შეფუთვის, დასახელებისა და წონის მითითებით. ნუსხა დგება საფინანსო ოპერაციებში მოსახმარი ბეჭდით დამოწმებული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ ოთხ ეგზემპლარად. ზედნადების შესაბამისად გრაფებში მიეთითება ტვირთის საერთო რაოდენობა და წონა, ხოლო გრაფაში „ტვირთის დასახელება" აღინიშნება: „კრებსითი გაგზავნა, ტვირთის ნუსხა თან ერთვის". ნუსხის თითოეულ ეგზემპლარზე მიეთითება ზედნადების ნომერი და აღიბეჭდება გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელი. ნუსხის ეგზემპლარი თან უნდა დაერთოს ზედნადებს, ხოლო ერთი პირი, ტვირთის მიღების ქვითართან ერთად, გადაეცემა ტვირთგამგზავნს. გრაფაში „ტვირთის დასახელება" აგრეთვე მიეთითება:

პ.ა) ხე-ტყის შტაბელებად გადაზიდვისას – დატვირთვის გაბარიტის ზედა შევიწროებულ ნაწილში მოთავსებული ძირითადი შტაბელების რაოდენობა და სიმაღლე;

პ.ბ.) მორების და დახერხილი ხე-ტყის გადაზიდვისას – მორების და დახერხილი მასალის სიმაღლე ნახევარვაგონის ბორტის დონესთან შედარებით;

პ.გ) ჩამოსასხმელი ტვირთის გადაზიდვისას – ჩამოსხმის სიმაღლე, სიმკვრივე და ტვირთის ტემპერატურა;

პ.დ) ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) გამყოლით გადაზიდვისას – გამყოლის სახელი, გვარი, პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის სერია, ნომერი და სამედიცინო მოწმობის ნომერი. თუ გადასაზიდად წარდგენილია ვაგონები, რომლებიც რკინიგზას არ ეკუთვნის ან მის მიერ სხვა პირთა დროებით სასყიდლიან სარგებლობაშია გადაცემული, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ზედნადების გრაფაში „ტვირთის დასახელება" შეიტანოს შესაბამისი აღნიშვნა. თუ ტვირთი გადაიზიდება განსაკუთრებული პირობებით, ამ გრაფაში კეთდება ჩანაწერი „გადაზიდვა განსაკუთრებული პირობებით".

რ) გრაფა „გამგზავნის მიერ კგ-ობით განსაზღვრული ტვირთის წონა" – შეივსება ტვირთგამგზავნის მიერ, როდესაც ტვირთის წონა განსაზღვრულია მისი მონაწილეობით. თუ ტვირთის წონა დადგენილია სავაგონო სასწორზე, შესაბამის გრაფებში მიეთითება მისი ბრუტო, ნეტო და ვაგონის ტარის წონა. თუ ერთი გადაზიდვის საბუთით გადასაზიდად წარდგენლია სხვადასხვა დასახელებისა და შეფუთვის ცალკეული ტვირთი, ცალცალკე უნდა აღინიშნოს თითოეული დასახელების ტვირთის და აღნიშნული საბუთით წარდგენილი ტვირთის საერთო წონა;

ს) გრაფაში „ადგილების საერთო რაოდენობა" – სიტყვიერად აღინიშნება გადასაზიდად წარდგენილი ყველა დასახელების ტვირთის ადგილების საერთო რაოდენობა;

ტ) გრაფაში „საერთო წონა" – სიტყვიერად აღინიშნება გადასაზიდად წარდგენილი ტვირთის საერთო წონა, დადგენილი ტვირთგამგზავნის მიერ ან მისი მონაწილეობით;

უ) გრაფაში „წონის განსაზღვრის ხერხი" – აღინიშნება, რა ხერხით განისაზღვრება ტვირთის წონა ტვირთგამგზავნის მიერ ან მისი მონაწილეობით; თუ ტვირთის წონა დადგენილია სტანდარტის მიხედვით, ამ გრაფაში მიეთითება ერთი სატვირთო ადგილის სტანდარტული წონის ბრუტო და ნეტო;

ფ) გრაფებში „სსმ''-ს (საკეტ-საპლომბი მოწყობილობის) მონაცემები", „სსმ ტიპი და საკონტ.ნიშნები" – აღინიშნება, თუ ვის მიერ არის დაყენებული საკეტ-საპლომბი მოწყობილობა, მისი ტიპი, მასზე მითითებული გაგზავნის რკინიგზის შემოკლებული სახელწოდება და საკონტროლო ნიშნები;

ქ) გრაფაში „გამოცხადებული ფასეულობა" – სიტყვიერად აღინიშნება ტვირთგამგზავნის მიერ ტვირთის გამოცხადებული ღირებულება ეროვნული ვალუტით;

ღ) გრაფაში „პასუხს ვაგებ ზედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორეზე" – აღინიშნება ტვირთგამგზავნის სახელი, გვარი და ხელი მოეწერება მის მიერ, ხოლო, თუ გადაზიდვის საბუთებს ავსებს ტვირთგამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენელი – დამატებით მიეთითება მისი თანამდებობა;

ყ) ზედნადების უკანა მხარეს, გრაფა „ ტვირთის განლაგება და დამაგრება" – შეივსება ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების (შემდგომ – ტექნიკური პირობები) შესაბამისად და დადასტურდება შემვსები პირის ხელმოწერით, მისი სახელის, გვარისა და თანამდებობის მითითებით.

შ) გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები" (ზედნადების უკანა მხარე) – ამ წესებითა და ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ტვირთგამგზავნი აღნიშნავს:

შ.ა) ტვირთის ქვეშზე გადასაზიდად წარდგენისას – ქვეშების რაოდენობას, ტვირთგამგზავნის მიერ ვაგონში დაყენებული იმ სამარჯვების დასახელებასა და რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში;

შ.ბ) მოსახსნელ-მოწყობილიანი და სათბუნებლიანი ტვირთის გადაზიდვისას – მოწყობილობისა და სათბუნებლის წონას;

შ.გ) ტვირთგამგზავნის მიერ ტვირთის შეყინვისაგან დასაცავად მიღებულ პროფილაქტიკურ ზომებს;

შ.დ) გადასაზიდად წარდგენილი შეუფუთავი ტვირთის ხილულ დაზიანებებს;

შ.ე) ტვირთგამგზავნის თანდართულ საბუთებს (სპეციფიკაცია, ტექნიკური პასპორტი და სხვა), რომელიც დამაგრებულია გადაზიდვის დოკუმენტებზე. თუ საექსპორტო და იმპორტული ტვირთი გადაიზიდება არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით, საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ან სასაზღვრო გადამცემი სადგურების გავლით, ზედნადების მე-4 გრაფაში ტვირთგამგზავნს შეაქვს, ხოლო პორტისპირა ან სასაზღვრო გადამცემი სადგურის უფლებამოსილ მუშაკს საგზაო უწყისსა და საგზაო უწყისის ყუაზე, „მიმღების" გრაფაში გადააქვს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილ აღნიშვნათაგან:

შ.ე.ა) საექსპორტო ტვირთის გადაზიდვისას საზღვაო ნავსადგურების გავლით – „იგზავნება წყლის ტრანსპორტით... (აღინიშნება დანიშნულების ქვეყანა და ნავსადგური)";

შ.ე.ბ) საექსპორტო ტვირთის გადაზიდვისას სასაზღვრო გადამცემი ნავსადგურებიდან – „იგზავნება ... (აღინიშნება დანიშნულების ქვეყანა)";

შ.ე.გ) იმპორტული ტვირთის გადაზიდვისას საზღვაო ნავსადგურებიდან – „შემოტანილია წყლის ტრანსპორტით ... (აღინიშნება გამომგზავნი ქვეყანა, ნავსადგურები)";

შ.ე.დ) იმპორტული ტვირთის გადაზიდვისას სასაზღვრო გადამცემი სადგურებიდან – „შემოტანილია ... (აღინიშნება გამგზავნი ქვეყანა)". ტვირთგამგზავნს უფლება აქვს, მე-4 გრაფაში დამატებით შეიტანოს სხვა აღნიშვნებიც, რომლებიც არ არის დადგენილი ამ წესებით.

3. საფრთხეშემცვლელი ტვირთის გადაზიდვისას გადაზიდვის საბუთები შეივსება რკინიგზით საფრთხეშემცვლელი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 54

ზედნადები გაგზავნის სადგურის მიერ შეივსება შემდეგი წესით:

ა) გრაფაში „განსაკუთრებული აღნიშვნების და შტემპელების ადგილი" აღინიშნება:

ა.ა) საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისას – მატარებლის შემადგენლობაში ვაგონის დაცვა-დაფარვის აუცილებლობის შესახებ, თუ ეს გათვალისწინებულია რკინიგზით საფრთხეშემცველი ტვირთების გადაზიდვის წესით;

ა.ბ) მოცემული მიმართულებით გადაზიდვის შეზღუდვის თაობაზე, მოძრავი შემადგენლობის მასის, სახეობის ან დატვირთვის გაბარიტის მიხედვით;

ა.გ) საფრთხეშემცველი, არაგაბარიტული ან მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვისას 1520 მმ-ლიანდიან რკინიგზაზე – გორაკიდან დაშვების აკრძალვის შესახებ;

ა.დ) ტვირთის გადაზიდვისას გამგზავნის მარშრუტით – გამგზავნის მარშრუტის ნორმის და სახეობის შესახებ;

ბ) გრაფაში „ზედნადების №" – მიეთითება საგზაო უწყისის სასტამბო ნომერი (გზავნილის ნომერი), რომლითაც ეს ტვირთი გადაიზიდება დანიშნულების სადგურამდე;

გ) გრაფაში „განაცხადის №" – აღინიშნება რკინიგზის მიერ მიღებული განაცხადის ნომერი, ხოლო, თუ ტვირთი მიღებულია უგანაცხადოდ, აღინიშნება დატვირთვაზე გაცემული განკარგულების ნომერი;

დ) გრაფაში „ტვირთის შემოზიდვის ნებადართული თარიღი" – მიეთითება ტვირთის შემოზიდვის რიცხვი და თვე. ეს გრაფა შეივსება ტვირთის საერთო სარგებლობის ადგილებში გადასაზიდად წარდგენის ყველა შემთხვევაში;

ე) გრაფაში „დატვირთვის დანიშვნის თარიღი" – აღინიშნება საერთო და არასაერთო ადგილებში დატვირთვის რიცხვი და თვე. თუ გაგზავნის სადგურში ტვირთი ვადაზე ადრე იქნა შემოზიდული, აღნიშნული გრაფა შეივსება ამ მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ზედნადების ვიზირების წესს ადგენს სადგური;

ვ) გრაფები „რკინიგზის მიერ განსაზღვრული ტვირთის წონა, კგ" და „წონის განსაზღვრის ხერხი" – შეივსება, თუ ტვირთის წონა განსაზღვრულია რკინიგზის მიერ, სასწორის ტიპის ჩვენებით;

ზ) გრაფაში „რკინიგზის მიმღებ-ჩამბარებელი" – ხელს აწერს რკინიგზის მიმღებ-ჩამბარებელი;

თ) გრაფაში „რკინიგზის მარკა" (შეივსება ტვირთის მცირე პარტიებით გაგზავნისას) – აღინიშნება რიგითი ნომერი, ადგილების რაოდენობა და გაგზავნის სადგურის კოდი გასაგზავნად ტვირთის მიღების დავთრის მიხედვით;

ი) გრაფაში „ტვირთის ნაწილ-ნაწილ შემოზიდვა" (ზედნადების უკანა მხარე) – სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი აღნიშნავს ტვირთის ნაწილის ცალ-ცალკე შემოზიდვის თარიღს საერთო სარგებლობის ადგილებში, ადგილების რაოდენობასა და ტვირთის წონას. ეს მონაცემები დასტურდება მიმღებ-ჩამბარებლის ხელმოწერით;

კ) გრაფები „სატარიფო აღნიშვნები", „საფასურის გაანგარიშება კილომეტრაჟის მიხედვით" და „გასვლისას" – შეივსება მოქმედი ტარიფების მიხედვით. გრაფაში „გასვლისას" ტვირთის გადაზიდვის საფასურის დამრიცხველი ან გადამხდევინებელი სადგური ვალდებულია, აღნიშნოს გადაზიდვის, გამყოლის მგზავრობის, რკინიგზის მიერ ტვირთის თანხლებისა და დაცვის საფასურის ოდენობა, აგრეთვე ტვირთის ფასეულობის გამოცხადების საფასური.

ლ) გრაფაში „საფასური გადახდილია გაგზავნის სადგურზე" – აღინიშნება სხვადასხვა გადასახდელების ქვითრის, ბანკის საანგარიშსწორებო ჩეკის, საბანკო ბარათის ან საგადამხდელო მოთხოვნა-დავალების ნომერი და ანგარიშსწორების ადგილი. საფასურის გადახდა დასტურდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით. თუ ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები ფიზიკური პირები არიან, გრაფებში „გამგზავნი" და „მიმღები" დამატებით მიეთითება ციფრული კოდი „100".

მუხლი 55

1. ზედნადებისა და საგზაო უწყისის უკანა მხარეს, აგრეთვე საგზაო უწყისის ყუის წინაპირზე და ტვირთის გადასაზიდად მიღების ქვითარზე დაისმის სადგურის კალენდარული შტემპელი, ტვირთის გადასაზიდად მიღების დროის ჩვენებით.

2 თუ ტვირთი გადაიზიდება ელექტრონული ზედნადებით, მისი გადასაზიდად მიღების დრო აღინიშნება ელექტრონულ ზედნადებში. თუ ტვირთგამგზავნმა გაგზავნის სადგურში ტვირთი შეზიდა დატვირთვის ვადამდე ადრე, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს შესანახად რკინიგზის სადგურების საერთო სარგებლობის ადგილებში. ამ შემთხვევაში, ზედნადების გრაფაში

„დატვირთვა დანიშნულია... “ და ტვირთის გადასაზიდად მიღების დღის კალენდარულ შტემპელში აღინიშნება ამ ტვირთის საერთო სარგებლობის ადგილებში ვაგონში (კონტეინერში) ფაქტობრივი ჩატვირთვის თარიღი.

მუხლი 56

1. გაგზავნისა და დანიშნულების სადგურის სახელწოდების შემდეგ აღინიშნება ამ სადგურების კოდი.

2. თუ წარდგენილია ტვირთგამგზავნის მიერ გაფორმებული ზედნადები, მასში შეტანილი მონაცემები გაგზავნის სადგურს გადააქვს საგზაო უწყისში, საგზაო უწყისის ყუაზე და ტვირთის მიღების ქვითარში.

მუხლი 57

1. სადგური სვლის გზაზე ზედნადებს ავსებს შემდეგი წესით:

ა) სადგურების ყველა აღნიშვნა სრულდება ზედნადების უკანა მხარეზე არსებულ მე-5 გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები”;

ბ) გაგზავნასთან დაკავშირებით აქტების შედგენისას აღინიშნება აქტის ნომერი, მისი შევსების თარიღი და აქტის შინაარსი.

2. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298) .

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 58

1. თუ ტვირთის მისამართის შეცვლისას გაფორმდა გადაზიდვის ახალი საბუთები, ზედნადების უკანა მხარეს, მე-5 გრაფაში აღინიშნება:

ა) გადაზიდვის პირვანდელ საბუთებში – ტვირთის მისამართის შეცვლის თაობაზე განკარგულების გამცემი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, განკარგულების თარიღი, ნომერი და ახალი დანიშნულების სადგურის სახელწოდება;

ბ) გადაზიდვის ახალ საბუთებში – ტვირთის მისამართის შეცვლის თაობაზე განკარგულების გამცემი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, განკარგულების თარიღი, ნომერი, პირვანდელი ზედნადების ნომერი, გაგზავნის და დანიშნულების სადგურის სახელწოდება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აღნიშვნები მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერითა და მისამართის შეცვლის გამფორმებელი სადგურის შტემპელით.

3. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298) .

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 59

თუ ტვირთის მისამართის შეცვლისას გადაზიდვის ახალი საბუთები არ გაფორმებულა, სადგურისა და ტვირთმიმღების სახელწოდება და მათი კოდები გადაზიდვის საბუთებში გადაიხაზება ისე, რომ გადახაზული იკითხებოდეს და ჩაიწერება ახალი მონაცემები. ამ შემთხვევაში, ზედნადების მე-5 გრაფასა და საგზაო უწყისში აღინიშნება ტვირთის მისამართის შეცვლის თაობაზე განკარგულების გამცემი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა. აღნიშვნა მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და სადგურის შტემპელით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 60

1. თუ ტვირთმიმღები შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დანიშნულების სადგური დარჩა, ტვირთმიმღების სახელწოდება და მისი კოდი გადაიშლება ისე, რომ გადაშლილი იკითხებოდეს და ტვირთგამგზავნის განცხადების საფუძველზე აღინიშნება ახალი ტვირთმიმღების სახელწოდება და კოდი. ამ შესწორების დამოწმება ხდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და სადგურის შტემპელით.

2. სვლის გზაზე ტვირთის ერთი ვაგონიდან მეორეში გადატვირთვისას გადაზიდვის დოკუმენტებში გადაიშლება ვაგონის ნომერი და მის შესახებ არსებული სხვა მონაცემები ისე, რომ გადაშლილი იკითხებოდეს და მასში ჩაიწერება იმ ვაგონის მონაცემები, რომელშიც გადაიტვირთა ტვირთი. ეს ცვლილება მოწმდება სადგურის მუშაკის ხელმოწერით, რომელიც ხელმძღვანელობდა გადატვირთვას და იმ სადგურის შტემპელით, სადაც განხორციელდა სხვა ვაგონში გადატვირთვა.

3. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298) .

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 61

ზედნადები დანიშნულების სადგურში შეივსება შემდეგი წესით:

ა) გრაფაში „შემოსვლისას“ – აღინიშნება გადაზიდვის საბოლოო ღირებულება, დანიშნულების სადგურში გადახდილი დამატებითი საფასური და საერთო თანხა გადაზიდვის საბუთების შესაბამისად;

ბ) გრაფაში „დანიშნულების სადგურზე აკრეფილი გადასახდელები“ – აღინიშნება სხვადასხვა სახის საფასურის გადახდის ქვითრის, ბანკის საანგარიშსწორებო ჩეკის, საბანკო ბარათის ან საგადასახადო მოთხოვნა-დავალების ნომერი და ანგარიშსწორების ადგილი. გადასახდელების გადახდა მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით, ხოლო ზედნადების უკანა მხარესა და საგზაო უწყისში დაისმის სადგურის კალენდარული შტემპელი, ტვირთის გაცემის გაფორმების დროის შესახებ;

გ) გრაფაში „გადმოტვირთვა რკინიგზის მიერ ან ჩამოყენება მიმღების საშუალებით გადმოსატვირთად“ – ზედნადების უკანა მხარეზე და საგზაო უწყისში დაისმის დანიშნულების სადგურის კალენდარული შტემპელი და აღინიშნება რკინიგზის მიერ გადმოსატვირთად ტვირთის მიწოდების დრო;

დ) გრაფა „ტვირთის გატანა“ (ზედნადების უკანა მხარეს) – შეივსება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის მიერ საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთის გადმოტვირთვისა და დანიშნულების სადგურიდან გატანისას. თუ ტვირთის გატანა ხდება ნაწილ-ნაწილ, თითოეული ნაწილის გატანის შესახებ ამ გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. იმ სადგურზე, საიდანაც ტვირთის გატანა ხორციელდება საშვით, ზედნადებში აგრეთვე მიეთითება საშვის ნომერი;

ე) გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“ (ზედნადების უკანა მხარეს) – აღინიშნება მონაცემები ამ წესების 57-ე და 58-ე მუხლების მიხედვით, თუ შეიცვალა მიტანილი ტვირთის მისამართი;

ვ) გრაფაში „აღნიშვნები ტვირთის გაცემის შესახებ“ (ზედნადების უკანა მხარეს) – ტვირთის გაცემის წესის შესაბამისად მიეთითება ტვირთმიმღებისათვის ტვირთის გაცემის თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 62

1. ტვირთის მიღებისა და გადაზიდვისთვის ანგარიშსწორების დასადასტურებლად ტვირთმიმღები და სადგური ავსებენ საგზაო უწყისის შემდეგ გრაფებს:

ა) „გადამხდელი“ – შეივსება დანიშნულების სადგურის მიერ ტვირთის გადაზიდვისათვის ანგარიშსწორების განმხორციელებელი პირის დასახელებისა და კოდის მითითებით;

ბ) „ტვირთი მივიღე ……რიცხვი …თვე …წ.“ – შეივსება ტვირთმიმღების მიერ;

გ) „მინდობილობა № …წ.” – შეივსება დანიშნულების სადგურის მიერ და მასში აღინიშნება ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მინდობილობის ნომერი და მისი გაცემის თარიღი;

დ) „პასპორტის ან პირადობის მოწმობის სერია“ – დანიშნულების სადგურის მიერ აღინიშნება ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის სერია, ნომერი და მისი მისამართი.

2. საგზაო უწყისში შეტანილი მონაცემები მოწმდება ტვირთმიმღებისა და სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით.

3. იგივე მონაცემები აისახება ელექტრონულ ზედნადებში, თუ ტვირთი გადაიზიდა მისი გამოყენებით.

მუხლი 63

1. თუ ტვირთი გადაიზიდება სავაგონო და წვრილმანი გზავნილებით, გადაზიდვის საბუთების გაფორმების დაჩქარების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გუ-29-ი ფორმის გადაზიდვის საბუთების კომპლექტი, რომელიც მოიცავს ზედნადებს, საგზაო უწყისს, საგზაო უწყისის ყუასა და ტვირთის მიღების ქვითარს.

2. გადაზიდვის საბუთების კომპლექტში შემავალი ბლანკების ფორმა საშუალებას იძლევა, რომ ასლის გადასაღები ქაღალდის გამოყენებით ერთდროულად იქნეს შევსებული იდენტურად განლაგებული გრაფები.

3. გადაზიდვის საბუთების შევსებულ კომპლექტს მიენიჭება შესაბამისი ნომერი.

მუხლი 64

1. ელექტრონული ზედნადების შედგენის წესს განსაზღვრავს რკინიგზა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ელექტრონულ ზედნადები, ამ წესების 53-ე მუხლის შესაბამისად, ივსება ტვირთის ვაგონში ჩატვირთვამდე და ჩატვირთვის შემდეგ.

3. ელექტრონული ზედნადების შევსების თითოეულ ეტაპზე მასში შეიტანება მონაცემები ამ წესების 53-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ხოლო გაგზავნის სადგურის მიერ – 54-ე-56-ე მუხლების მიხედვით.

4. ერთიანი ელექტრონული სისტემიდან ამობეჭდილ დოკუმენტს აქვს ელექტრონული ზედნადების იდენტური იურიდიული ძალა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 65

1. ცემენტის, კირიანი და დაყრით გადასაზიდი სხვა მასალის გადმოტვირთის შემდეგ გამოთავისუფლებული ცარიელი ცისტერნების, ჰოპერ-ცემენტმზიდების, მინერალმზიდების, მარცვლეულმზიდების, აპატიტმზიდების, გუნდამზიდების, ცივგლინული ფოლადის გადასაზიდად განკუთვნილი ბაქნების, მსუბუქი ავტომობილების გადასაზიდად განკუთვნილი დახურული ვაგონების, მსუბუქი ავტომობილების გადასაზიდი ორიარუსიანი ბაქნების, მთლიანლითონის სატვირთო ვაგონების, ტრანსპორტერების, ნახევარვაგონების, ბაქნების და დახურული ვაგონების გადაზიდვა ფორმდება გუ-27-სპ ფორმის გადაგზავნის ზედნადებით.

2. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩასასხმელ პუნქტებში მიმავალი რკინიგზის ცარიელი ცისტერნების, ბუნკერული ნახევარვაგონების გადაზიდვა მისი დავალებით ფორმდება:

ა) გუ-27-დს ფორმის გადაგზავნის ზედნადებით – ღია ნავთობპროდუქტებისგან დაცლილი ცარიელი ცისტერნების გადაზიდვისას;

ბ) გუ-27-დტ ფორმის გადაგზავნის ზედნადებით – ცარიელი ბუნკერული ნახევარვაგონებისა და მუქი ნავთობპროდუქტებისგან დაცლილი ცისტერნების გადაზიდვისას.

3. ტვირთმიმღების მიერ გადაგზავნის ზედნადები შეივსება თითოეული დაცლილი ვაგონის მიხედვით და წარედგინება სადგურს გადმოტვირთვის (ჩამოსხმის) შესახებ შეტყობინებასთან ერთად. გადაგზავნის ზედნადების წარუდგენლად სადგურის მიერ ვაგონები არ მიიღება.

4. ტვირთმიმღები აგრეთვე ვალდებულია, მის მიერ გადმოტვირთულ თითოეულ ვაგონზე შეავსოს გადაგზავნის ზედნადების ყუა, რომელიც რჩება ცარიელი ვაგონის გაგზავნის სადგურში.

5. ტვირთმიმღებისაგან გადაგზავნის ზედნადების მიღების შემდეგ სადგური ვალდებულია, შეამოწმოს მისი შევსების სისწორე, აგრეთვე ტვირთმიმღების ხელმოწერისა და შტემპელის არსებობა ვაგონის გადმოტვირთვისა (გადმოსხმის) და დაწმენდა-დასუფთავების გრაფაში.

6. საჯარისო ნაწილების მიერ ტვირთისგან დაცლილი ცარიელი ვაგონების გადაგზავნის ზედნადებში ტვირთმიმღები არ მიუთითებს გადმომტვირთველი (ჩამომსხმელი) პირის მონაცემებს და ტვირთის მიმღების წარმომადგენლის თანამდებობას, აგრეთვე არტყამს ბეჭედსა და შტემპელს.

7. თუ ვაგონი არასრულად არის გადმოტვირთული, არ არის დაწმენდილი-დასუფთავებული და გამოუსადეგარია შემდგომი დატვირთვისათვის, ვაგონის ხელახალი დატვირთვის სადგურზე შეივსება გადაგზავნის ზედნადების უკანა მხარე, რომელიც შეიცავს მოსული ვაგონების დათვალიერების მონაცემებს.

8. გადაგზავნის ზედნადების ყველა ფორმას აქვს სასტამბო ნუმერაცია და შედგება ზედნადებისა და ზედნადების ყუისგან. გადაგზავნის ზედნადები გადაზიდვისას თან ახლავს ცარიელ ვაგონს, ხოლო ამ ზედნადების ყუა რჩება გადმოტვირთვის (ჩამოსხმის) და ცარიელი ვაგონის გაგზავნის სადგურს.

თავი VI
ტვირთის მიტანის ვადის გამოთვლის წესი

მუხლი 66

1. ტვირთის, აგრეთვე ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ცარიელი ვაგონების დანიშნულებისამებრ მიტანის ვადა გამოითვლება გაგზავნის სადგურში იმ მანძილის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც დგინდება გადაზიდვის საფასური ტვირთის გადაზიდვის სარკინიგზო მიმართულებების კვალობაზე.

2. ტვირთის მიტანის ვადის გამოთვლისას არასრული დღე-ღამე ითვლება სრულ დღე-ღამედ.

მუხლი 67

1. საქართველოს ფარგლებში ტვირთის, აგრეთვე ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ცარიელი ვაგონების დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადა სვლის მთელ გზაზე განისაზღვრება 1 დღე-ღამის განმავლობაში ვაგონის გარბენის ნორმების მიხედვით და შეადგენს:

ა) დიდი სიჩქარით წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვისას – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 200 სატარიფო კილომეტრზე;

ბ) დიდი სიჩქარით სავაგონო გზავნილით ან დიდტონაჟიანი კონტეინერით გადაზიდვისას – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 320 სატარიფო კილომეტრზე;

გ) მცირე სიჩქარით წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვისას – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 150 სატარიფო კილომეტრზე;

დ) მცირე სიჩქარით სავაგონო გზავნილით ან დიდტონაჟიანი კონტეინერით გადაზიდვისას – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 200 სატარიფო კილომეტრზე;

ე) მარშრუტებით (გაგზავნის მარშრუტებით) და საკონტეინერო მატარებლით გადაზიდვისას, გადაზიდვის მანძილის მიუხედავად – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 450 სატარიფო კილომეტრზე;

ვ) მარშრუტებით ცხოველების გადაზიდვისას – 1 დღე-ღამეს ყოველ საწყის 150 სატარიფო კილომეტრზე.

2. იმ სარკინიგზო მიმართულებების ნუსხა, რომელზედაც ტვირთი გადაიზიდება დიდი სიჩქარით, ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ტვირთის გადაზიდვის სიჩქარეს ირჩევს და ზედნადებში აღნიშნავს ტვირთგამგზავნი. თუ ტვირთის გადაზიდვა ნებადართულია მხოლოდ დიდი სიჩქარით ტვირთგამგზავნი ვალდებულია აღნიშნოს ეს სიჩქარე

მუხლი 68

1. ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანის ვადა აითვლება ტვითრის გადასაზიდად მიღების დღის 24 საათიდან, რომელიც აღნიშნულია ზედნადებში, სადგურის კალენდარულ შტემპელსა და ტვირთის მიღების ქვითარში.

2. გაგზავნის სადგური ტვითრის მიტანის ვადის გასვლის თარიღს აღნიშნავს ტვირთგამგზავნისათვის გადასაცემ მიღების ქვითარში.

3. თუ საერთო სარგებლობის ადგილებიდან გასაგზავნი ტვირთი გაგზავნის სადგურში შეზიდულია მის მისაღებად დანიშნულ დროზე ადრე, ტვირთის მიტანის ვადა აითვლება იმ დღის 24 საათიდან, როდესაც ეს ტვითრი გადასაზიდად იქნა მიღებული. ამ შემთხვევაში, სადგური ზედნადებში მიუთითებს დატვირთვის თარიღს.

მუხლი 69

1. ტვირთის მიტანის ვადა ცალკე ვაგონებითა და ვაგონთა ჯგუფებით აითვლება სადღეღამისო გარბენის იმ ნორმების მიხედვით, რაც დადგენილია სავაგონო გზავნილებისათვის.

2. თუ ერთი ვაგონით რამდენიმე სადგურის მიმართულებით გადაიზიდა ერთზე მეტი გზავნილი, ტვირთის მიტანის ვადა აითვლება წვრილმანი გზავნილებისთვის დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების მიხედვით.

3. თუ ტვირთი გადაიზიდება გამგზავნის მარშრუტებით, მიტანის ვადა აითვლება სამარშრუტო გზავნილებისათვის დაწესებული სადღეღამისო გარბენის ნორმების შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) პირდაპირი მარშრუტებისთვის, რომლებიც ტვირთგამგზავნმა დატვირთა ერთ გაგზავნის სადგურში ერთ დანიშნულების სადგურისკენ გასაგზავნად – სამარშრუტო გზავნილებისთვის გადაზიდვის მთელ მანძილზე დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების მიხედვით;

ბ) დაშლის (განფორმირების) სადგურში მიმავალი გამგზავნის მარშრუტებისთვის: ცალკე გაგზავნის სადგურიდან დაშლის (განფორმირების) სადგურამდე მანძილზე – სამარშრუტო გზავნილებისთვის დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების მიხედვით და ცალკე დაშლის (განფორმირების) სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე მანძილზე – სავაგონო გზავნილებისთვის დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების მიხედვით;

გ) თუ გამგზავნის მარშრუტში არის ძირითადი ნაწილი, რომელიც სვლის გზაზე მატარებლის წონის შეცვლისას დაუშლელად გადაიზიდება დანიშნულების სადგურამდე (ბირთვი) – სამარშრუტო გზავნილებისათვის გათვალისწინებული სადღეღამისო გარბენის ნორმების შესაბამისად, მხოლოდ ამ ბირთვში შეყვანილი ვაგონებისათვის.

მუხლი 70

ამ წესით დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების საფუძველზე გამოთვლილი ტვირთის მიტანის ვადა ხანგრძლივდება:

ა) 2 დღე-ღამით – ტვირთის გაგზავნასა და მიტანასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად;

ბ) 2 დღე-ღამით – სარეფრიჟერატორო სექციის დამტვირთავ-გადმომტვირთავი ყოველი შუალედური სადგურისთვის, თუ ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვა რამდენიმე სადგურზე ხორციელდება;

გ) 1 დღე-ღამით – ტვირთის გადაცემა-მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოს ჩასატარებლად, თუ ტვირთი გადაიზიდება საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებით;

დ) 1 დღე-ღამით – პირდაპირი შერეული გადაზიდვისას ტვირთის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეზე გადაცემა-მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოს ჩასატარებლად;

ე) 2 დღე-ღამით – ტვირთის გადასატვირთად სხვა ზომის ლიანდის წყვილთვლიან ვაგონში;

ვ) 1 დღე-ღამით – ვაგონის გადასაყენებლად სხვა ზომის ლიანდის წყვილთვალზე;

ზ) 1 დღე-ღამით – ტვირთის მისამართის შესაცვლელად;

თ) 1 დღე-ღამით – წვრილმანი გზავნილებით ან კონტეინერებით 1000 კმ-მდე, ხოლო 2 დღე-ღამით – 1000 კმ-ზე მეტ მანძილზე გადაზიდვისას, სატვირთო-სახარისხებელ ბაქნებზე ტვირთის დაგროვება-დასახარისხებლად;

ი) 1 დღე-ღამით – სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, ვეტერინარიული, ფიტოსანიტარიული და სხვა სახის კონტროლის უზრუნველსაყოფად საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში;

კ) 1 დღე-ღამით – ტვირთის წონის განსასაზღვრად გაგზავნის სადგურის მომიჯნავე სადგურში.

მუხლი 71

1. ტვირთის მიტანის ვადა ხანგრძლივდება გადაზიდვის შეჩერების მთელი დროის შესაბამისად, თუ დატვირთული ვაგონი სვლის გზაზე შეჩერებულია:

ა) საბაჟო და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების მიერ ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით;

ბ) ტვირთგამგზავნის მიზეზით წარმოქმნილი გადამეტტვირთვის აღმოსაფხვრელად;

გ) მისი ტექნიკური ან კომერციული უწესივრობის აღმოსაფხვრელად, თუ უწესივრობის წარმოშობის მიზეზები რკინიგზასა და ტვირთმიმღებზე არ იყო დამოკიდებული;

დ) სტიქიური უბედურებების, საომარი მოქმედების, ბლოკადის, ეპიდემიის და სხვა დაუძლეველი ძალის გარემოებების გამო, რომლებმაც დააბრკოლეს ტვირთის გადაზიდვა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაზიდვის შეჩერების მიზეზებისა და ხანგრძლივობის თაობაზე რკინიგზა ორ ეგზემპლარად ადგენს საერთო ფორმის აქტს. აქტის ერთი პირი თან დაერთვის გადაზიდვის საბუთებს, ხოლო მეორე დანიშნულების სადგურში დაერთვება საგზაო უწყისს.

3. აქტში შეტანილი ჩანაწერი მოწმდება სადგურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და სადგურის კალენდარული შტემპელით.

მუხლი 72

1. არაგაბარიტული ტვირთის მიტანის ვადა, არაგაბარიტულობის მე-6 ხარისხისა და ზეგაბარიტული ტვირთის გარდა, განისაზღვრება ფაქტობრივად გავლილი მანძილის მიხედვით შემდეგი ნორმებით:

ა) 1 დღე-ღამე ყოველ 100 კმ. მანძილზე – არაგაბარიტულობის 1-4 ხარისხის ტვირთისთვის;

ბ) 1 დღე-ღამე ყოველ 80 კმ. მანძილზე – არაგაბარიტულობის მე-5 ხარისხის ტვირთისთვის.

2. ტვირთის მატანის ვადა არაგაბარიტულობის მე-6 ხარისხისა და ზეგაბარიტიანი ტვირთვისათვის, რომელიც სვლის მთელ გზაზე სიჩქარის სპეციალურ შეზღუდვას მოითხოვს, არ წესდება.

3. არაგაბარიტულობის 1-5 ხარისხის ტვირთის მიტანის ვადა ხანგრძლივდება:

ა) 1 დღე-ღამით – გაგზავნის მოსამზადებლად, სადგურის მიერ ტვირთის გატარებაზე ნებართვის მიღების მომენტიდან;

ბ) 1 დღე-ღამით – ტვირთის ყოველი გადაცემისთვის ერთი სადგურიდან მეორე სადგურზე;

გ) ამ წესების 70-ე და 71-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. საფრთხეშემცველი ტვირთის მიტანის ვადა განისაზღვრება ფაქტობრივად გავლილი მანძილის მიხედვით სარკინიგზო კვანძების შემოვლის გათვალისწინებით, ამ წესების 67-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი სადღეღამისო გარბენის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 73

1. მშენებარე სარკინიგზო ხაზის სადგურში ან ამ ხაზის სადგურიდან საერთო სარგებლობის სარკინიგზო ხაზზე გასაგზავნი ტვირთის მიტანის ვადა, რომელიც ერთიანი გადაზიდვის საბუთით

გადაიზიდება, განისაზღვრება ცალკე რკინიგზის საერთო ქსელის მანძილზე, ცალკე კი, მშენებარე სარკინიგზო ხაზის მანძილზე მიტანის ვადების ჯამით.

2. მშენებარე სარკინიგზო ხაზზე ტვირთის მიტანის ვადა გამოითვლება 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სადღეღამისო გარბენის ორჯერ შემცირებული ნორმებით და დამატებით მატულობს 2 დღე-ღამით რკინიგზის საერთო ქსელიდან მშენებარე სარკინიგზო ხაზზე (და უკან) ტვირთის გადაცემასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად.

3. თუ ტვირთი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო სექციით, მშენებარე სარკინიგზო ხაზის ერთ ან სხვადასხვა დანიშნულების სადგურზე მდებარე რამოდენიმე ტვირთმიმღების მისამართით, ამ ხაზზე ტვირთის მიტანის ვადა გამოითვლება ამ წესების 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სადღეღამისო გარბენის სამჯერ შემცირებული ნორმებიდან გამომდინარე.

მუხლი 74

1. ტვირთი ვადაში მიტანილად ჩაითვლება, თუ მისი მიტანის ვადის გასვლამდე იგი გადმოიტვირთება დანიშნულების სადგურზე რკინიგზის მიერ, ან დატვირთული ვაგონი (კონტეინერი) გადმოსატვირთად ჩამოყენებული იქნება ტვირთმიმღების საშუალებით.

2. თუ ტვირთი საბაჟო კონტროლზეა აყვანილი, მისი მიტანის თაობაზე ტვირთმიმღებისა და საბაჟო ორგანოების შეტყობინების დღე ჩაითვლება ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანის ფაქტობრივ დღეთ და რკინიგზა პასუხს არ აგებს საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებით ტვირთის შეჩერებისთვის დანიშნულების სადგურზე.

3. თუ ტვირთი მიტანილია საბაჟო ორგანოების სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, მისი მიტანის ვადა გახანგრძლივდება დანიშნულების სადგურზე მიტანიდან საბაჟო ორგანოების სამუშაო დღის დაწყებამდე.

4. ტვირთი ვადაში მიტანილად ითვლება, თუ ის დანიშნულების სადგურზე ვადაშია მიტანილი, მაგრამ ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება დაყოვნდა გადმოტვირთვის ადგილის დაკავების, ტვირთის გადაზიდვის საფასურის გადაუხდელობის ან ტვირთმიმღების მოქმედებით (უმოქმედობით) გამოწვეული სხვა მიზეზით, რის თაობაზე ფორმდება საერთო ფორმის აქტი.

5. ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ცარიელი ვაგონი ვადაში მიტანილად ჩაითვლება, თუ იგი დანიშნულების სადგურზე მივა დადგენილი ვადის გასვლამდე და რკინიგზის შეტყობინების საფუძველზე შესაძლებელია მისი გადაცემა მიმღებისთვის.

მუხლი 75

1. რკინიგზასა და ტვირთგამგზავნებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ტვირთის მიტანის ამ წესისგან განსხვავებული ვადა, რაც აღინიშნება ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები”.

2. ტვირთის, აგრეთვე ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ცარიელი ვაგონების მიტანის ვადის გადაცილებისთვის რკინიგზა პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII
ღია მოძრავი შემადგენლობით ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 76

1. ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდად დაიშვება ტვირთი, რომლის ნუსხას შეიმუშავებს რკინიგზა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ტვირთი, რომელიც თავისი თვისებებითა და ხასიათით არ შეიძლება გაუთანაბრდეს ნუსხაში შეტანილ ტვირთს, ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდად დაიშვება მხოლოდ რკინიგზის ნებართვით.

მუხლი 77

1. ღია მოძრავი შემადგენლობის სახეობას ირჩევს ტვირთგამგზავნი, გადასაზიდი ტვირთის თავისებურებების, დატვირთვა-გადმოტვირთვის პირობებისა და სამუშაოთა შესასრულებლად არსებული მოწყობილობისა და მექანიზმების გათვალისწინებით.

2. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულებისას დაცულ უნდა იქნეს სტანდარტებისა და სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნები, რომელიც შეეხება ვაგონების (კონტეინერების) დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას.

მუხლი 78

1. ტვირთი ღია მოძრავ შემადგენლობაზე განლაგდება და მაგრდება ვაგონსა და კონტეინერებში ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

2. ტვირთის შეფუთვისას, მისი თვისებების გათვალისწინებით გამოიყენება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისი სატრანსპორტო ტარა.

მუხლი 79

1. აკრძალულია ღია მოძრავ შემადგენლობაზე იმ ტვირთის გადაზიდვა, რომელიც შეფუთულია ქაღალდის, პერგამენტისა და სხვა ადვილაალებადი მასალის გამოყენებით.

2. ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდად დაშვებული საფრთხეშემცველი ტვირთი და მისი გადაზიდვის პირობები განისაზღვრება საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესით.

მუხლი 80

1. ჯართი, შავი ლითონის ნარჩენები და მათი შენადნობები გადაიზიდება სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ, გადასაზიდად უსაფრთხო, ცეცხლაფეთქებასაშიშ და რადიაქტიულ მასალებისგან უვნებელყოფილ, აგრეთვე მავნე ქიმიური ნივთიერებებისგან გაწმენდილ მდგომარეობაში. აღნიშნულ ტვირთს დართული უნდა ჰქონდეს აფეთქებაუსაფრთხოების დამადასტურებელი საბუთი.

2. ჯართი, ფერადი ლითონის ნარჩენები და მათი შენადნობები გადაიზიდება ნახევარვაგონებით ან სპეციალიზებული კონტეინერებით, 500 კგ-ზე მეტი წონის პაკეტებად დაწნეხილი.

მუხლი 81

1. ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ტვირთის ნუსხით განსაზღვრული ტვირთის წვრილმანი ფრაქციებით გადაზიდვის შესაძლებლობას ადგენს ტვირთგამგზავნი.

2. წვრილმანი ფრაქციების შემცველი ტვირთის დატვირთვამდე ტვირთგამგზავნი მოვალეა, დარწმუნდეს, რომ მოცემულ მოძრავ შემადგენლობაში წარდგენილი ტვირთის გადაზიდვა არ გამოიწვევს მის დანაკარგებს, სარკინიგზო ლიანდაგისა და გარემოს დაბინძურებას. თუ ვაგონის ბაქნის ან ძარის წესივრულობისას ტვირთის დანაკარგი შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციულმა ღრეჩოებმა, ტვირთგამგზავნმა უნდა მიიღოს დამატებითი ზომები ტვირთის გამოცვენის თავიდან ასაცილებლად.

3. წვრილმანი ფრაქციების შემცველი ტვირთის დატვირთვისას ღია მოძრავ შემადგენლობაზე ტვირთგამგზავნი ვალდებულია მიიღოს ზომები სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს ტვირთის წვრილმანი ნაწილაკების გამოქრევისა და ტვირთის გადაცვენის თავიდან ასაცილებლად, თუ იგი ჩატვირთულია ვაგონების ბორტის დონეზე მაღლა. ტვირთის ზედაპირი, მამდიდრებელი ფაბრიკების მახარისხებელ დანადგარებზე განლაგებული სორტული და რიგითი ქვანახშირის ბრიკეტების გარდა, უნდა იყოს მოსწორებული და მოტკეპნილი იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განლაგებისა და დამაგრების

ტექნიკური პირობებით ან ტვირთგამგზავნის მიერ შედგენილი და რკინიგზასთან შეთანხმებული ინსტრუქციით. დატვირთვის გაბარიტის ზედა შევიწროვებულ ნაწილს განივკვეთში უნდა ჰქონდეს ტრაპეციის ფორმა, ხოლო მისი ქვედა ძირი, ტვირთის დატკეპნის შემდეგ არ უნდა იყოს ნახევარვაგონის ძარის ზედა სარტყელზე უფრო მაღალი.

მუხლი 82

1. ვაგონებში ტვირთის მოსწორებისა და დატკეპნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მექანიზებული დანადგარები და სხვა სამარჯვები.

2. თუ მინერალურ-სამშენებლო ტვირთი ჩატვირთულია ნახევარვაგონის ბორტზე მაღლა, დატვირთვის გაბარიტის ზედა შევიწროვებული ნაწილის ძირი სულ ცოტა 50 მმ-ით დაბლა უნდა იყოს ბორტების დონესთან შედარებით.

3. ტვირთის მექანიზებული დანადგარების დატკეპნა და სხვა ხერხის გამოყენება უნდა უზრუნველყოფდეს ტვირთისა და ვაგონების დაცვა-შენახვას.

4. შეყინვადი ტვირთი ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადაიზიდება შეყინვადი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

თავი VIII
ტვირთის ჩაყრითა და დაყრით გადაზიდვის წესი

მუხლი 83

1. ფიზიკური თვისებებისა და შეფუთვის გათვალისწინებით ტვირთი ვაგონებში გადაიზიდება ჩაყრით ან დაყრით.

2. ჩაყრით გადაიზიდება ტვირთი, რომელიც წარმოადგენს ფრაქციული შემადგენლების (ნაწილაკების, ნაჭრების) ერთგვაროვან მასას, რომელსაც ახასიათებს ურთიერთძვრადობა (ფხვიერება). ჩაყრით გადასაზიდად დაშვებული ტვირთის ნუსხას შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 84

1. ფქვილი ჩაყრით გადაიზიდება აერირების სისტემით აღჭურვილი სპეციალიზებული ფქვილსაზიდი ვაგონებით. მარცვლეულის ტვირთი (ჭვავი, ხორბალი, შვრია, ქერი, წიწიბურა, ფეტვი, სორგო, სიმინდის მარცვალი, მარცვლოვან–პარკოსნები, ბრინჯი (მარცვალი), ზეკულტურების თესლი, ცერცველა, მარცვლეულის ნარჩენები), ქატო და საფქვავი წარმოების ნარჩენები გადაიზიდება მარცვლეულის ვაგონ-ჰოპერებში (მარცვალსაზიდ ვაგონებში) ჩაყრით.

2. დასატვირთად ჩამოყენებულ მარცვალსაზიდ ვაგონს უნდა ჰქონდეს წესივრული ძარა, დატვირთვა-გადმოტვირთვის ლიუკების რეზინისსამჭიდროებლიანი სახურავი, რომელიც გამორიცხავს ღრეჩოების არსებობას, აგრეთვე ჩამკეტი მექანიზმები და წესივრული ბლოკირების მოწყობილობა, რომელიც აღკვეთს ლიუკების თავის ახდას საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაურღვევლად.

3. ვაგონების ვარგისობა ფქვილისა და მარცვლეული ტვირთის დასატვირთად განისაზღვრება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამოსილი სამსახურის (შემდგომ – უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახური) წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. ტვირთგამგზავნმა მარცვლეული ტვირთი გადასაზიდად უნდა წარადგინოს შესაბამისი ხარისხის მოწმობის (სერტიფიკატის) თანდართვით.

5. საექსპორტოდ ან საიმპორტოდ გადასაზიდი მარცვლეული ტვირთი და მისი გადამუშავების პროდუქტები მოწმდება უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახურის მიერ და მასზე გაიცემა ხარისხის მოწმობა (სერტიფიკატი). თუ ტვირთგამგზავნს არა აქვს მოწმობა (სერტიფიკატი), მარცვლეული ტვირთი და მისი გადამუშავების პროდუქტები გადასაზიდად არ მიიღება.

მუხლი 85

1. 16 %-მდე ტენიანობის მარცვლეული ტვირთი, მათ შორის 17%-მდე – სამარცვლე-პარკოსანი კულტურები, 15 %-მდე – ფეტვი, 10%-მდე – ზეთოვანი კულტურების თესლი და 8 %-მდე – მზესუმზირას თესლი, ჩაყრით გადაიზიდება გადაზიდვის ზოგადი პირობების შესაბამისად. უფრო მეტი ტენიანობის აღნიშნული ტვირთის გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახურის მიერ განსაზღვრული წესით.

2. მცენარეთა კარანტინის უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახურის კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთი გადაიზიდება საქვეკონტროლო ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

3. დასნებოვნებული მარცვალი დასამუშავებლად და/ან გადასამუშავებლად შეიძლება გადაიზიდოს უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახურის მიერ განსაზღვრული ორგანიზაციების მისამართით. დასნებოვნებული მარცვლეული და არამარცვლეული ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთმიმღები რეცხავს ვაგონებს და ამის შესახებ წარუდგენს ცნობას დანიშნულების სადგურს.

მუხლი 86

1. ატმოსფერული ნალექებისაგან და დაფანტვისაგან დასაცავი ტვირთი (ცემენტი, კირი, მინერალური სასუქები, აპატიტი, თაბაშირი, ცარცი და სხვა) გადაიზიდება ვაგონ-ჰოპერებში, ცემენტსაზიდებში, მინერალსაზიდებში, აპატიტსაზიდებსა და სპეციალიზებულ დახურულ ვაგონებში ჩაყრით.

2. მადანი, ქვანახშირი, ფლუსები, ქვიშა, ხრეში, ღორღი, ტორფი, წიდა და სხვა ტვირთი, რომელიც არ მოითხოვს დაცვას ატმოსფერული ნალექებისაგან, გადაიზიდება ღია მოძრავ შემადგენლობაზე და სპეციალიზებულ ვაგონებში დაყრით. აღნიშნული ტვირთის გადაზიდვა მთლიანლითონის ლიუკიანი ნახევარვაგონების ნაცვლად ულიუკო ნახევარვაგონებით ნებადართულია, თუ ტვირთმიმღებს აქვს ვაგონ-საყურავები ან მათი მექანიკური გადმოტვირთვის სხვა საშუალება.

3. ტვირთის სპეციალიზებულ ვაგონებსა და ულიუკო ნახევარვაგონებში ჩაყრით გადაზიდვის დოკუმენტების გაფორმებისას, ტვირთგამგზავნი მოვალეა ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები" შეიტანოს აღნიშვნა: „სპეციალიზებული ვაგონებით (ან ულიუკო ნახევარვაგონებით) გადაზიდვა მიმღებთან შეთანხმებულია. გადმოტვირთვის მოწყობილობა არის".

მუხლი 87

1. დაყრითა და დაუპაკეტებლად სავაგონო გზავნილებით გადაიზიდება ტვირთი, რომელიც ვაგონში ჩატვირთვისას არ მოითხოვს ადგილების (ცალების) დათვლას და თავისი ფიზიკური მდგომარეობით არ შეიძლება განეკუთვნოს ჩასაყრელ ტვირთს.

2. დაყრით გადასაზიდი ტვირთის ნუსხას შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 88

1 ატმოსფერული ნალექებისა და გაჭუჭყიანებისგან დასაცავი ბაღჩეული კულტურები, ბოსტნეული და სხვა დაყრით გადასაზიდი ტვირთი გადაიზიდება დახურულ ვაგონში.

2. შეშა, ბუნებრივი ქვები, შავი ლითონი და სხვა დაყრით გადასაზიდი ტვირთი, რომელიც არ მოითხოვს ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვას, გადაიზიდება ღია მოძრავ შემადგენლობაზე და სპეციალიზებულ ვაგონში.

მუხლი 89

1. ტვირთის დაყრით გადაზიდვა დახურულ ვაგონში დაიშვება მხოლოდ ტვირთგამგზავნის მიერ დაყენებული ტარის გადამღობებით. ვაგონის კარის ღიობის გადასაღობად შეიძლება გამოყენებულ

იქნეს ფარები, დაფები, ყუაფიცრები, სხვა მკვრივი მასალებით შეღობვა, აგრეთვე ტარაში ჩაწყობილი ტვირთი.

2. ტვირთის დაყრით ან ჩაყრით გადაზიდვის დოკუმენტების გაფორმებისას ზედნადების გრაფაში „ადგილების რაოდენობა“ ტვირთგამგზავნი აღნიშნავს შესაბამისად „ჩაყრით“ ან „დაყრით“.

3. ჩაყრით ან დაყრით გადასაზიდი ტვირთის ჩატვირთვის წინ, ტვირთგამგზავნი იღებს ზომებს ვაგონების კონსტრუქციული ღრეჩოების ამოსავსებად, რათა სვლის გზაზე ტვირთი არ დაცვივდეს ლიანდაგზე და არ დააბინძუროს გარემო.

თავი IX
შეყინვადი ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 90

1. შეყინვად ტვირთს განეკუთვნება ამ წესების დანართში ჩამოთვლილი ნაყარი ტვირთი, რომელიც ცელსიუსის 0 გრადუსზე დაბალი ტემპერატურის პირობებში კარგავს ფხვიერებას, მისი შემადგენელი ნაწილაკების ერთმანეთზე შეყინვისა და იატაკსა და ვაგონის ძარის კედლებზე მიყინვის გამო.

2. წლის ცივი პერიოდის დადგომამდე, როდესაც აუცილებელია ტვირთის შეყინვის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ზომების გატარება, ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) ვალდებულია, უზრუნველყოს ტვირთის შესაბამისი მომზადება.

3. ტვირთგამგზავნს, რომელიც ზედნადებში არასწორად მიუთითებს ტვირთის დასახელებას, განსაკუთრებულ აღნიშვნებს ან ტვირთის გადაზიდვისას აუცილებელ უსაფრთხოების ზომებს, გაგზავნის გადასაზიდად აკრძალულ ტვირთს ან არასწორად აღნიშნავს მის თვისებებს, ეკისრება ზარალის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სადგურს უფლება აქვს დატვირთვის ადგილზე შერჩევით შეამოწმოს ტვირთგამგზავნის მიერ გადასაზიდად შეყინვადი ტვირთისა და მოძრავი შემადგენლობის მომზადების მდგომარეობა.

მუხლი 91

რკინიგზის მიერ მიწოდებული ვაგონებისა და კონტეინერების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან სხვა პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება ან გადაუხადოს რკინიგზას მათი ღირებულება და აუნაზღაუროს ზარალი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 92

1. გადასაზიდად შეყინვადი ტვირთის წარდგენამდე ტვირთგამგზავნი ვალდებულია, მიიღოს ზომები მისი ტენიანობის შესამცირებლად ან, თუ ეს შეუძლებელია მიიღოს შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები ტვირთის შეყინვის თავიდან ასაცილებლად.

2. თუ ტვირთგამგზავნი ნავსადგურია, ზედნადებში კეთდება აღნიშვნა ამ წესების 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად.

მუხლი 93

1. ტვირთის შეყინვის საწინააღმდეგო ზომები მიიღება ამ წესების დანართით განსაზღვრულ ვადაში, რომლის შეცვლა დაიშვება დანიშნულების სადგურის ან ტვირთის მიმღების წინადადებით, კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. თუ მიღებული პროფილაქტური ზომები არასაკმარისია ტვირთის შეყინვის თავიდან ასაცილებლად ტვირთმიმღები ვალდებულია, გადმოტვირთვის პუნქტში უზრუნველყოს ტვირთის ფხვიერების აღდგენა.

3. ტვირთის შეყინვისაგან დაცვის ძირითადი პროფილაქტიკური ზომებია:

ა) ნაყარი ტვირთის წინასწარი გაშრობა უსაფრთხო ტენიანობამდე;

ბ) დატვირთვამდე ტენიანი ტვირთის სრული გაყინვა;

გ) ტვირთის, ნახევარვაგონებისა და ბაქნების მოსხურება ქვანახშირითა და მინერალური ზეთით, აგრეთვე ნიოგრინით, სევერინით, ქლორკალციუმისა და მარილწყლის ხსნარებით;

დ) ტვირთში ხის ბურბუშელის და ჩაუმქრალი კირის შერევა.

მუხლი 94

1. შეყინვისაგან ტვირთის დაცვის პროფილაქტიკურ ზომას ირჩევს ტვირთგამგზავნი ტვირთის სახეობის, გადმოტვირთვის ტექნოლოგიისა და მისი შემდგომი გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით.

2. შერეული პროფილაქტიკური ზომები არ უნდა ახდენდეს უარყოფით ზეგავლენას მოძრავ შემადგენლობაზე, აგრეთვე ტვირთის ხარისხსა და თვისებებზე. მათი გამოყენება ტვირთგამგზავნმა უნდა შეათანხმოს ტვირთმიმღებთან.

3. ტვირთგამგზავნს დატვირთვის პუნქტში უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია ტვირთის შეყინვისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე.

მუხლი 95

1. თუ ჰაერის დაბალი ტემპერატურის ან ცვალებად კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებში ტვირთი გადაიზიდება შორეულ მანძილზე, ტვირთმიმღები ვალდებულია, შეყინვადი ტვირთის მიღების პუნქტი უზრუნველყოს გასათბობი ან ტვირთის ფხვიერების აღსადგენად საჭირო მექანიკური საშუალებებით.

2. ტვირთის შეთბობა ან მისი ფხვიერების აღდგენა მექანიკური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება ტვირთმიმღების მიერ დადგენილი წესით, რომელშიც განისაზღვრება ამ საშუალებების გამოყენების სამუშაო პარამეტრები და ტექნოლოგია, აგრეთვე ტექნიკური უსაფრთხოებისა და მოძრავი შემადგენლობის დაზიანებისგან დაცვის მოთხოვნები.

მუხლი 96

1. შეყინვადი გადასაზიდად ტვირთის წარდგენისას ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები" მიუთითოს ტენიანობის პროცენტი, შეყინვისგან დაცვის მიზნით მიღებული პროფილაქტიკური ზომები და დასვას შტემპელი „შეყინვადია".

2. ტენიანობის მითითება არ არის სავალდებულო მიწის, თიხის, ქვიშის, ხრეშისა და ღორღის ჩატვირთვისას.

3. სადგურმა შეყინვადი ტვირთი გადასაზიდად შეიძლება მიიღოს პროფილაქტიკური ზომების მიუღებლად, თუ ამის თაობაზე ტვირთგამგზავნი წარმოადგენს ტვირთმიმღების წერილობით თანხმობას და უზრუნველყოფს მის დროულ გადმოტვირთვას. ამ შემთხვევაში ზედნადებში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 97

1. იკრძალება გადასაზიდად შეყინული ტვირთის მიღება ამ წესების 90-97-ე მუხლების მოთხოვნათა დაუცველად.

2. თუ ტვირთი დანიშნულების პუნქტში მიტანილია შეყინულ მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია პროფილაქტიკური ზომების გამოყენების წესის ან ტვირთმიმღებთან შეთანხმებული გადაზიდვის პირობების დარღვევით, ტვირთმიმღები ვალდებულია, სადგურის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად შეადგინოს საერთო ფორმის აქტი, რომლითაც დასტურდება ტვირთის შეყინვის ფაქტი და მასში აღინიშნება ტვირთის გადმოტვირთვის პერიოდში ტვირთმიმღების მიერ ვაგონით სარგებლობისათვის გადახდილი საფასური.

თავი X
ტვირთის თანხლებით გადაზიდვის წესი

მუხლი 98

1. ტვირთის თანხლებით გადაზიდვის წესი არეგულირებს ტვირთის გადაზიდვას ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების წარმომადგენლის (შემდგომ – გამყოლი) თანხლებით.

2. გამყოლის თანხლებით სავაგონო გზავნილებით გადაიზიდება შემდეგი ტვირთი:

ა) ცხოველები;

ბ) ცოცხალი თევზი და თევზსაშენი მასალა (ლიფსიტები);

გ) მალფუჭებადი და სასურსათო ტვირთი, რომელიც გადაზიდვისას მოითხოვს სპეციალურ მომსახურებას (გათბობას, ვენტილირებას, მოვლას);

დ) ღვინო, ღვინომასალა და საკონიაკო სპირტი, რომელიც ჩასხმით გადაიზიდება სპეციალიზებულ მოძრავ შემადგენლობაზე (იზოთერმულ ვაგონ-ცისტერნებზე, თერმოს-ცისტერნებზე);

ე) ღვინო, არაყი, კონიაკი ღია ყუთებში;

ვ) სამუზეუმო და ანტიკვარული ფასეულობანი;

ზ) სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა (თბომავლები, ელმავლები, ორთქლმავლები, ძრავამავლები, ვაგონები, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების თბომავალი ავტოდრეზინები, ავტომოტრისები, დიზელ და ელექტრომატარებლების ვაგონები, მოძრავი სატვირთო ამწეები, ელექტროსადგურები, ენერგომატარებლები და სარკინიგზო სვლის მქონე სხვა მოწყობილობა), რომელიც გადაიზიდება თავის ღერძებზე უმოქმედო მდგომარეობაში; ლოკომოტივების ტენდერები;

თ) ბაქნებზე გადასაზიდი ლოკომოტივები, რომლებიც განკუთვნილია ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისთვის;

ი) ავტომობილები, ტრაქტორები, ყველა დასახელების მოტორიზებული მანქანები, რომლებიც ნამყოფია ექსპლუატაციაში, მათ შორის სარემონტოდ ან რემონტის შემდეგ გადასაზიდი;

კ) სპეციალური ავტომობილები, სპეციალიზებული ავტომობილები და ავტოცისტერნები (მათ შორის, ნავთობპროდუქტების, წყლის, თხევადი გაზისა და სათბობგამწყობების გადაზიდვისათვის), სპეციალური ძარების მქონე ავტომობილები; სავეტერინარო სამსახურის, მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფურგონ-ავტომობილები; მოძრავი სახელოსნოები ავტომობილებზე, მათ შორის ავტომობილ-ლაბორატორიები; ტექნიკური დახმარების ავტომანქანები, სახანძრო მანქანები, ავტობეტონსარევები; გზების გამწმენდი საფრქვეველიანი ავტომობილები, რენტგენის, სასწრაფო დახმარების, სარეანიმაციო და სხვა ავტომობილები, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით;

ლ) ტვირთი, რომელიც გადაიზიდება სვლის გზაზე ნაწილობრივი განტვირთვით ან დამატებითი დატვირთვით;

მ) საფრთხეშემცველი ტვირთი, რომლის სავალდებულო თანხლება გათვალისწინებულია „რკინიგზით საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესით“.

3. საერთაშორისო მიმოსვლით გადასაზიდი ტვირთის ნუსხა და მისი თანხლების წესი განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

4. სპეციალური ტვირთის დაცვას უზრუნველყოფს სატრანსპორტო პოლიცია და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილი ორგანო. დასაცავი ობიექტებისა და ტვირთის ნუსხა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 99

1. ტვირთგამგზავნი ზედნადებში ტვირთის დასახელების ქვეშ აღნიშნავს, რომ ტვირთი გადაიზიდება გამყოლთა თანხლებით და მიუთითებს გამყოლთა რაოდენობას, მათ გვარ-სახელებს (სრულად). სიტყვა „პასპორტის“ შემდეგ იწერება პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის სერია და ნომერი, ხოლო სიტყვების „მივლ. მოწმ.“ შემდეგ – მივლინების მოწმობის ნომერი.

2. თუ გადაზიდვის დამაბრკოლებელი გარემოებების გამო აუცილებელი გახდა ტვირთის გაცემა, გამყოლს შეუძლია განახორციელოს ტვირთგამგზავნის ფუნქციები. ამ შემთხვევაში, კეთდება

აღნიშვნა ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები“, სადაც ზუსტად აღიწერება გამყოლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება.

3. თუ ტვირთგამგზავნი იურიდიული პირია, გამყოლისთვის მისი უფლებამოსილებების დელეგირება ხდება ტვირთგამგზავნის მიერ გაცემული მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.

4. (ამოღებულია - 13.07.2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 100

1. გამყოლს უფლება აქვს იმგზავროს:

ა) ვაგონით, რომლითაც გადაიზიდება ტვირთი;

ბ) ცალკე ვაგონით, რომელსაც რკინიგზა გამოყოფს ტვირთგამგზავნის განაცხადის საფუძველზე;

გ) ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ცალკე ვაგონით.

2. თუ გამყოლი მგზავრობს ცალკე ვაგონით, ამ ვაგონის კუთვნილების მიუხედავად ტვირთგამგზავნი ავსებს გუ-27-ე ფორმის ზედნადებს, რომელშიც აღნიშნავს თითოეულ თანხლებულ ტვირთიან ვაგონს და იმ ვაგონს, რომლითაც მგზავრობს გამყოლი.

3. გამყოლის მგზავრობისათვის ტვირთგამგზავნს გადაეხდება დადგენილი ოდენობის საფასური, რომელიც აღინიშნება ზედნადებში.

4. გამყოლს უფლება აქვს უსასყიდლოდ გადაიტანოს თავისი ხელბარგი, ხოლო, თუ მისი მოცულობა აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, ხელბარგის ზედმეტი მასისათვის გამყოლს გადაეხდება დამატებითი საფასური, როგორც წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი პირადი (ყოფითი) საჭიროებებისათვის განკუთვნილ ტვირთზე.

მუხლი 101

1. გამყოლი, რომელსაც მინდობილი აქვს ტვირთის თანხლება და დაცვა ვალდებულია, გაგზავნის სადგურს წარუდგინოს პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი და მივლინების მოწმობა.

2. გადაზიდვის დოკუმენტების საფუძველზე გაგზავნის სადგური გამყოლს გადასცემს ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმის მოწმობას, რომელიც ხელმოწერილია სადგურის უფლებამოსილი მუშაკის მიერ და დამოწმებულია კალენდარული შტემპელით. მოწმობის მიღებისას, საგზაო უწყისის ყუაზე, გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელის ქვეშ გამყოლმა უნდა აღნიშნოს „მოწმობა მივიღე“ და მოაწეროს ხელი, ასევე ჩაწეროს თავისი სახელი და გვარი. მოწმობის მიღებისას გამყოლი უნდა გაეცნოს მასში განსაზღვრულ გამყოლის ძირითად მოვალეობებს, აგრეთვე ხელი მოაწეროს მოწმობასა და გამყოლისთვის მოწმობის გაცემის რეგისტრაციის წიგნში.

3. (ამოღებულია - 13.07.2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 102

1. გამყოლთა რაოდენობას განსაზღვრავს ტვირთგადამგზავნი (ტვირთმიმღები) აკრძალულია 2 კაცზე ნაკლები რაოდენობის გამყოლთა დანიშვნა.

2. საფრთხეშემცველი ტვირთის თანხლების დამატებითი პირობები განისაზღვრება საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისა და ცისტერნა-ვაგონებსა და ბუნკერულ ნახევარვაგონებში ტვირთის ჩასხმით გადაზიდვის წესებით.

3. ტვირთგამგზავნი მოვალეა გამყოლის თანხლებით გადასაზიდი ტვირთი განალაგოს და დაამაგროს ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

მუხლი 103

1. სვლის გზაზე გამყოლს შეუძლია ისარგებლოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი ფარნებითა და სტანდარტული ტიპის თუჯის ღუმელით, რომელშიც გამოიყენება ნახშირი, შეშა ან სხვა მყარი სათბობი. იკრძალება ვაგონში თამბაქოს მოწევა და ამ წესით გაუთვალისწინებელი გასათბობი და გასანათებელი ხელსაწყოების გამოყენება.

2. გამყოლი სვლის გზაზე ვალდებულია დაიცვას სახანძრო და პირადი უსაფრთხოების მოთხოვნები.

მუხლი 104

1. თუ ტვირთგამგზავნმა ვაგონი ღუმელით აღჭურვა, იგი მოვალეა ხანძრის ჩასაქრობად გამყოლი უზრუნველყოს სულ ცოტა 100-ლიტრიანი მოცულობის ბრეზენტის ან პოლიეთილენის ჭურჭელში ჩასხმული წყლის მარაგით.

2. ტვირთის თანხლებით გადასაზიდად საჭირო მოსახსნელ სამარჯვებს, რომლებიც არ აზიანებენ მოძრავ შემადგენლობას და აკმაყოფილებენ მოძრაობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ტვირთგამგზავნი.

მუხლი 105

1. სატვირთო ვაგონში ღუმელებისა და საღუმელე მოწყობილობის დაყენება წარმოებს სარკინიგზო ტრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

2. ღუმელების დაყენებისას ტვირთსა და ღუმელს შორის მანძილი უნდა იყოს სულ ცოტა 1 მეტრი, ხოლო ტვირთის დატვირთვის ზედა დონესა და ვაგონის ჭერს შორის – სულ ცოტა 50 სმ. ვაგონში, სადაც ტვირთთან ერთად ნავარაუდევია გამყოლის ყოფნაც, აკრძალულია კარის ღიობებში ტვირთის, მყარი სათბობის მარაგის ან სხვა მასალების განლაგება.

3. ვაგონში ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ღუმელებისა და საღუმელე მოწყობილობის დაყენებისას ტვირთგამგზავნის მიერ მათი რაოდენობა აღინიშნება ზედნადების მეორე მხარეზე არსებულ მე-4 გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები“.

4. ვაგონების მომარაგებას სამყოფი რაოდენობის მყარი საღუმელე სათბობით სვლის მთელ გზაზე უზრუნველყოფს ტვირთგამგზავნი.

5. თუ საღუმელე სათბობი არასაკმარისია, გამყოლს უფლება აქვს მიიღოს იგი სვლის გზაზე მდებარე იმ სადგურში, სადაც არის სათბობის საწყობი.

მუხლი 106

1. თუ ტვირთს გაფუჭების საფრთხე ექმნება და შეუძლებელი ხდება ტვირთმიმღებისათვის მისი უვნებლად მიტანა, ტვირთგამგზავნს ან საამისოდ უფლებამოსილ გამყოლს შეუძლია დამოუკიდებლად განკარგოს ტვირთი.

2. თუ გადაზიდვის პროცესში გამოვლინდა ტვირთის დამაგრების ან მდგრადობის დარღვევა, გამყოლი ვალდებულია წერილობით მიმართოს სადგურის უფროსს და მოითხოვოს ვაგონის მოხსნა. ამ შემთხვევაში გამყოლი იღებს ზომებს დამაგრების გამოსასწორებლად, ტვირთის განლაგების და მდგრადობის აღსადგენად. თუ ტვირთის დამაგრების ან მდგრადობის დარღვევა რკინიგზის მიზეზით მოხდა, იგი ვალდებულია თვითონ გამოასწოროს ეს ხარვეზი. ტვირთვის დამაგრებისა და დატვირთვის შემოწმების შედეგები, აგრეთვე ტვირთგამგზავნის მიზეზით ვაგონის იძულებითი მოცდენის დრო აღინიშნება საერთო ფორმის აქტში. ზედნადების მეორე მხარეზე არსებულ მე-5 გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“ ჩაიწერება საერთო ფორმის აქტის ნომერი და შედგენის თარიღი.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 107

1. თუ სვლის გზაზე გამოვლინდა გამყოლთა თანმხლებით მიმავალი ვაგონების ტექნიკური უწესივრობა და ამ ვაგონების შემდგომი მსვლელობა შეუძლებელია მოცემულ მატარებელთან ერთად, ასეთი ვაგონები უნდა მოიხსნას.

2. თუ ვაგონი დაზიანდა ტვირთგამგზავნის ან გამყოლის მიზეზით, დგება ვუ-25 მ ფორმის ვაგონის დაზიანებისა და საერთო ფორმის აქტები. თუ გამყოლი არ ეთანხმება ვაგონის დაზიანების შესახებ აქტის შინაარსს იგი აქტს ხელს აწერს თავისი შენიშვნით და აღნიშნავს უთანხმოების მიზეზს. ვაგონის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, დანიშნულების სადგურში ტვირთმიმღებისათვის გადასაცემად, ან დამატებით გასაგზავნ საგზაო უწყისს, თუ დაზიანებული ვაგონი ჯგუფური გზავნილის შემადგენლობაში მიდიოდა. დამატებით საგზაო უწყისში, ტვირთის დასახელების ქვეშ ან ზედნადების მეორე მხარეზე არსებულ მე-5 გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“ მიეთითება ვაგონის დაზიანების აქტის ნომერი, მისი შედგენის თარიღი და მიზეზი. ვაგონის დაზიანების აქტის მეორე ეგზემპლარი დაერთვის ვაგონის დაზიანების ანგარიშს, რომელსაც რკინიგზა ასანაზღაურებლად წარუდგენს ტვირთმიმღებს. ვაგონის დაზიანების აქტის მესამე ეგზემპლარი რჩება სადგურში, სადაც მოიხსნა ვაგონი. აქტების საჭირო რაოდენობა განსაზღვრულია ტვირთის გადაზიდვისას აქტების შედგენის წესით.

3. თუ ვაგონთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც აღმოჩნდა ტექნიკურად უწესივრო ვაგონი, მიდიოდა რამდენიმე გამყოლის თანხლებით, ერთი გამყოლი რჩება ამ ვაგონთან, ხოლო, თუ ვაგონთა ჯგუფი მიდიოდა ერთი გამყოლის თანხლებით, მაშინ დააკავებენ ვაგონთა მთელ ჯგუფს, სანამ არ აღმოიფხვრება მის შემადგენლობაში არსებული ვაგონის ტექნიკური უწესივრობა. თუ ვაგონის ტექნიკური უწესივრობის აღმოსაფხვრელად ტვირთი მეორე ვაგონშია გადატანილი, ამის შესახებ კეთდება აღნიშვნა გადაზიდვის დოკუმენტებში ან დამატებით საგზაო უწყისში.

მუხლი 108

1. თუ ტვირთის შემდგომი თანხლება შეუძლებელი გახდა, სადგური გამყოლის წერილობითი განცხადების საფუძველზე ამის შესახებ ატყობინებს ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს გაგზავნის ან დანიშნულების სადგურის მეშვეობით. თუ გამყოლს არ შეუძლია წერილობითი განცხადების გაკეთება, შეტყობინების გადაცემისა და ტვირთის თანხლების წესის შეცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს სამედიცინო დაწესებულების, სამართალდამცავი ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით გაცემული ცნობა. შეტყობინების მიღებისას ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები ცვლიან გამყოლს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დატვირთული ვაგონები, ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ახალი გამყოლების მოსვლამდე რჩება სადგურში, რის შესახებ დგება საერთო ფორმის აქტი.

3. სადგური, სადაც შეჩერდა დატვირთული ვაგონი, ახალ გამყოლებს გადასცემს მოწმობას ამ წესების 101-ე მუხლის შესაბამისად და მათ შესახებ მიუთითებს ზედნადების გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“.

მუხლი 109

1. ტვირთის დანიშნულების სადგურში მიტანისას, გადაზიდვის დოკუმენტებზე თანდართული საერთო ფორმის აქტის საფუძველზე რკინიგზა ტვირთმიმღებს ანაზღაურებინებს ახალი გამყოლების მოსვლის მოლოდინში ვაგონების სადგურში დგომის ხარჯებს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი არ ვრცელდება გამყოლების თანხლებით საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვაზე.

მუხლი 110

1. (ამოღებულია - 13.07.2017, №1-1/298).

2. დედანი ქაღალდის დოკუმენტები (განცხადება, ცნობა) და გამყოლთა მიერ ხელმოწერილი აქტები შესანახად რჩება იმ სადგურს, სადაც შეცვალეს გამყოლები.

3. გამყოლთა თანხლებით მიმავალი ვაგონი მატარებლის შემადგენლობაში დაყენებულ უნდა იქნეს ერთ ჯგუფად.

4. ტვირთის გადაზიდვა სატრანსპორტო პოლიციის დაცვის თანხლებით ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რკინიგზასა და სატრანსპორტო პოლიციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

თავი XI
ვაგონთა ჯგუფებით ერთი ზედნადებით ტვირთის გადაზიდვის წესი.

მუხლი 111

1. ეს წესი განსაზღვრავს ვაგონთა ჯგუფებით ერთი ზედნადებით ტვირთის გადაზიდვის პირობებს.

2. ვაგონთა ჯგუფებით გადასაზიდად წარდგენილი ტვირთი (ჯგუფური ან სამარშრუტო გაგზავნა) შეიძლება გაფორმებულ იქნეს ამ წესების დანართით განსაზღვრული გუ-27ე ფორმის ერთი ზედნადებით, თუ:

ა) ტვირთი ერთგვაროვანია;

ბ) დატვირთვა-გადმოტვირთვა ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში;

გ) ტვირთი გადასაზიდად ერთმა ტვირთგამგზავნმა წარუდგინა ერთ გაგზავნის სადგურს;

დ) ტვირთი იგზავნება ერთ დანიშნულების სადგურში ერთი ტვირთმიმღების მისამართით;

ე) გადაზიდვის პროცესში ტვირთის მასა და ვაგონების რაოდენობა უცვლელი რჩება.

3. (ამოღებულია - 13.07.2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 112

1. გამგზავნის მარშრუტის ფორმირებისას, რომელიც მარშრუტის ბირთვისა (გამგზავნის მარშრუტის ძირითადი ნაწილი) და მისაბმელი ნაწილისაგან შედგება, ცალკე ზედნადებებით ფორმდება როგორც მარშრუტის ბირთვი, ისე მისაბმელი ნაწილის შემადგენლობაში არსებული ვაგონთა ჯგუფი და მარშრუტის მისაბმელი ნაწილის თითოეული ცალკეული ვაგონი.

2. თუ ცხოველები გადაიზიდება ვაგონთა ჯგუფით გამყოლის თანხლებით, ნებადართულია ერთი ზედნადების გაფორმება.

მუხლი 113

1. გუ-27ე ფორმის ზედნადები შეივსება გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად და მის სათაურში ტვირთგამგზავნი გადაშლის:

ა) სამარშრუტო გზავნილით ტვირთის გადაზიდვისას – სიტყვებს „ან ვაგონთა ჯგუფებს";

ბ) ჯგუფური გზავნილით ტვირთის გადაზიდვისას – სიტყვებს „მარშრუტს ან".

2. ადგილების რაოდენობა, ტვირთის მასა და გადაზიდვის საფასური ზედნადების შესაბამის გრაფაში აღინიშნება თითოეული ვაგონის მიხედვით, ხოლო ადგილების საერთო რაოდენობა, გადასაზიდი ტვირთის მთელი მასა და გადაზიდვის საერთო ღირებულება – ზედნადების წინაპირზე.

3. ჯგუფის თითოეული ვაგონის საკეტ-საპლომბი მოწყობილობის მონაცემების შესახებ ტვირთგამგზავნი აღნიშნავს ზედნადების თანდასართავ დამატებით ფურცელზე. დამატებით ფურცელს ტვირთგამგზავნი ავსებს სამ ეგზემპლარად და ხელს აწერს მათ. ზედნადებში, ტვირთის

დასახელების ქვეშ, ტვირთგამგზავნი აღნიშნავს: „მონაცემები საკეტ-საპლომბი მოწყობილობის შესახებ იხილე დამატებით ფურცელზე".

4. ზედნადებსა და დამატებითი ფურცლის სამ ეგზემპლარს ტვირთგამგზავნი წარუდგენს გაგზავნის სადგურს, რომელსაც დამატებითი ფურცლის ყველა ეგზემპლარში შეაქვს ზედნადების ნომერი.

5. დამატებითი ფურცლის პირველი და მეორე პირი გაგზავნის სადგურმა თან უნდა დაურთოს შესაბამისად ზედნადებსა და საგზაო უწყისის ყუას, მესამე ეგზემპლარი კი, ტვირთის მიღების ქვითართან ერთად, დაუბრუნოს ტვირთგამგზავნს გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად.

6. (ამოღებულია - 13.07.2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 114

1. თუ ტვირთი ვაგონთა ჯგუფით ერთი გუ-27 ე ფორმის ზედნადებით გადაიზიდება, შეივსება გუ-29 ბ და გუ-29 ბრ ფორმის საგზაო უწყისი, ტვირთის მიღების ანალოგიური ფორმის ქვითარი და გუ-38 ბ ფორმის სავაგონო ფურცელი.

2. ტვირთის მიღების გუ-29ბ და გუ-29ბრ ფორმის ქვითრების შევსებისას ზედნადების უკანა მხარეს მიეთითება ჯგუფის ვაგონთა ნომრები, ხოლო ქვითარი მოწმდება სადგურის კალენდარული შტემპელით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 115

1. (ამოღებულია).

2. თუ უწესივრობის გამო ვაგონი (ვაგონთა ჯგუფი) სვლის გზაზე მოიხსნა სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილებიდან (შემდგომ – ძირითადი გზავნილი), სადგური, რომელშიც განხორციელდა ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნა, ვალდებულია შეადგინოს საერთო ფორმის აქტი.

3. ძირითადი გზავნილის ზედნადებისა და საგზაო უწყისის გრაფაში „გზაში შეტანილი აღნიშვნები" უნდა მიეთითოს მოხსნილი ვაგონის (ვაგონების) ნომერი, მოხსნის სადგურის სახელწოდება, მოხსნის მიზეზი, საერთო ფორმის აქტის ნომერი და მისი შევსების თარიღი. ეს აღნიშვნა დასტურდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და კალენდარული შტემპელით. ზედნადებში (საგზაო უწყისში) საკმარისი ადგილის უქონლობისას ეს მონაცემები აღინიშნება მასზე მიმაგრებულ ფურცელზე.

4. (ამოღებულია).

5. მონაცემები მოხსნილი ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) შესახებ, ასევე ამოიშლება ძირითად გზავნილთან ერთად მიმავალი სავაგონო ფურცლიდან და მოწმდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერითა და სადგურის კალენდარული შტემპელით, ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის მიზეზის მითითებით.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 116

1. ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ, საერთო ფორმის აქტის მონაცემების საფუძველზე თითოეული მოხსნილი ვაგონის მიმართ დგება ახალი სავაგონო ფურცელი და დამატებითი საგზაო უწყისი, რომელთა თანდართვითაც ვაგონი განაგრძობს სვლას დანიშნულების სადგურისკენ.

2. მოხსნილ ვაგონში განლაგებული ტვირთის გადაზიდვის ვადა, უწესივრობათა აღმოფხვრის შემდეგ, გამოითვლება ტვირთის სავაგონო გზავნილის სადღეღამისო გარბენის ნორმის საფუძველზე.

მუხლი 117

სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილით მიტანილი იმ ტვირთის გაცემისას, რომლის თანმხლებ ზედნადებში არის ჩანაწერი ვაგონის (ვაგონთა ჯგუფის) მოხსნის შესახებ, დანიშნულების სადგური ვალდებულია, გადაზიდვის დოკუმენტებზე თანდართული საერთო ფორმის აქტის (აქტების) საფუძველზე შეადგინოს კომერციული აქტი, მოუსვლელი ვაგონების ნომრების მითითებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 118

1. დანიშნულების სადგურში დამატებითი საგზაო უწყისით მიტანილი ტვირთი ტვირთმიმღებს გადაეცემა მისთვის გაცემული კომერციული აქტისა და გაგზავნის ზედნადების წარდგენის შემდეგ, ტვირთის გაცემის წესის შესაბამისად.

2. დანიშნულების სადგური კომერციული აქტის ყველა ეგზემპლარსა და გაგზავნის ზედნადებში ვალდებულია, მიუთითოს ტვირთის მიტანის შესახებ დამატებითი საგზაო უწყისით, უწყისისა და ვაგონის ნომრის, ტვირთის ჩატვირთვის გამფორმებელი სადგურის, დატვირთვის გაფორმებისა და ტვირთმიმღებისთვის ტვირთის გაცემის თარიღის აღნიშვნით.

3. ბოლო ვაგონის მოსვლის შემდეგ, რომელიც კომერციულ აქტში არშემოსულად არის აღნიშნული, ტვირთმიმღები კომერციულ აქტს შესანახად უბრუნებს სადგურს.

4. ძირითადი გზავნილის ტვირთზე ადრე დამატებითი საგზაო უწყისით მიტანილი ტვირთი გაიცემა ამ უწყისში ტვირთმიმღების ხელმოწერით. ძირითადი გზავნილის ტვირთის მიტანისას კომერციული აქტი არ დგება.

მუხლი 119

1. თუ დანიშნულების სადგურში მისული ვაგონების ნომრები და რაოდენობის მაჩვენებლები არ შეესაბამება გადაზიდვის დოკუმენტების მონაცემებს, ტვირთის გაცემა ფორმდება გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის მიხედვით.

2. სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილით მიტანილი ტვირთის გაცემისას, დანიშნულების სადგური გადაზიდვასთან დაკავშირებულ საბოლოო ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს ზედნადების მიხედვით, ვაგონთა იმ რაოდენობაზე გაანგარიშებით, რომელიც მივიდა ერთი გზავნილით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

თავი XII
გამგზავნის მარშრუტებით ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 120

1. ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანის დაჩქარებისა და გადაზიდვის სატრანსპორტო და საექსპლუატაციო ხარჯების შემცირების მიზნით ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამგზავნის მარშრუტებით (შემდგომ – მარშრუტი).

2. მარშრუტი ნიშნავს დადგენილი სიგრძისა და წონის მატარებლის შემადგენლობას, რომელიც ტვირთგამგზავნის მიერ შედგენილია თავის მისასვლელ ლიანდაგზე ან რკინიგზასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადგურში, თუ სატვირთო მატარებლების შედგენის

გეგმით განსაზღვრული ამგვარი მატარებლის გადამუშავებისაგან გათავისუფლებულია, სულ ცოტა, ერთი ტექნიკური სადგური მაინც.

მუხლი 121

1. მარშრუტი შეიძლება მოიწყოს პირდაპირი ან სანაწევრებელი.

2. დადგენილი წონის ან სიგრძის მარშრუტის გადმოსატვირთად მიღების შესაძლებლობას ტვირთგამგზავნი ათანხმებს ტვირთმიმღებთან.

3. მარშრუტი, რომელიც მიემართება დატვირთვის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე ორი ან მეტი რკინიგზის ფარგლებში განეკუთვნება ქსელურს, ხოლო ერთი რკინიგზის ფარგლებში – შიდასაგზაოს.

მუხლი 122

1. მარშრუტის სიგრძეს და წონას ადგენს და ტვირთგამგზავნებს აცნობებს რკინიგზა.

2. თუ მარშრუტის სვლის გზაზე განლაგებულია მატარებლის წონის შემცირების სადგური (გარდატეხის პუნქტი), მარშრუტი ყალიბდება ბირთვისგან (გამგზავნის მარშრუტის დადგენილი წონის ძირითადი ნაწილი, რომელიც წონის შეცვლის შემთხვევაში სადგურამდე სვლას განაგრძობს ხელახალი ფორმირების გარეშე) და მისაბმელი ნაწილისგან, რომელიც ჩართულია მარშრუტის შემადგენლობაში გარდატეხის პუნქტამდე. მარშრუტის ბირთვის სიგრძე და წონა დგინდება იგივე წესით, რა წესითაც იგი განისაზღვრა მთლიანად მარშრუტისათვის.

მუხლი 123. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 124. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 125

1. მარშრუტის შემადგენლობაში მიმავალი ვაგონის სანაწევრებელ პუნქტში (სადგურში) მისვლისას მისი დამისამართება ხდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის წარმომადგენლის მიერ, ხოლო შესასვლელ და გამანაწილებელ სადგურებში მოსული ვაგონისა, რომელიც იღებს სათბობის ტვირთს – რკინიგზის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ იმ გადმოტვირთვის სადგურში, რომელიც შედის დანაწევრების პუნქტის (სადგურის) ან შესასვლელი და გამანაწილებელი სადგურების მოქმედების ზონაში.

2. იმ ვაგონის დამისამართება, რომელიც დანაწევრების პუნქტში (სადგურში) მივიდა მარშრუტის შემადგენლობაში, ხორციელდება გადაზიდვის პირვანდელი დოკუმენტების მიხედვით.

3. აღრიცხვას ექვემდებარება ყველა მარშრუტი, რომელიც პასუხობს ამ წესების 120-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 122-ე მუხლის მოთხოვნებს.

თავი XIII
წვრილმანი გზავნილებით ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 126

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ვაგონის ტევადობის მესამედს;

ბ) 3, 5, 20 და 24-ტონიანი ბრუტო მასის ვაგონების ტევადობის მეოთხედს.

მუხლი 127

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის საერთო მასა არ უნდა აღემატებოდეს 20 ტონას, ხოლო ტვირთის ერთი ადგილის წონა უნდა შეადგენდეს:

ა) დახურულ ვაგონებში გადასიზიდი ტვირთისთვის – არანაკლებ 20 კგ და არაუმეტეს 1500 კგ;

ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ტვირთისთვის – არანაკლებ 1500 კგ და არაუმეტეს 10 ტონისა;

გ) დიდტონაჟიან უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის – არა უმეტეს 1500კგ, ხოლო საშუალოტონაჟიან უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის – არაუმეტეს 1000 კგ.

მუხლი 128

წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის ერთი ადგილის სიგრძე უნდა შეადგენდეს:

ა) დახურულ ვაგონებში გადასაზიდი ტვირთისთვის – არა უმეტეს 2 მეტრისა;

ბ) ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ტვირთისთვის – ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განთავსებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების შესაბამისად;

გ) უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთისთვის – კონტეინერის შიდა ზომებიდან გამომდინარე, უნივერსალურ კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვის წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 129

1. წვრილმანი გზავნილებით, მათ შორის უნივერსალურ კონტეინერებში ტვირთი გადაიზიდება ამგვარი გზავნილების მიღება-გასაცემად აღჭურვილ სადგურებს შორის.

2. აკრძალულია ერთ ვაგონში იმ წვრილმანი გზავნილის განთავსება, რომელიც იგზავნება ერთი სარკინიგზო კვანძის სხვადასხვა სადგურში.

3. ტვირთი წვრილმანი გზავნილებით იგზავნება ნაკრებ ვაგონებში ან კონტეინერებში:

ა) რამდენიმე ტვირთგამგზავნის მიერ ერთი სადგურის დანიშნულებით დატვირთული, სვლის გზაზე დახარისხების გარეშე (პირდაპირი ნაკრები ვაგონები, კონტეინერები);

ბ) ერთი ან რამდენიმე ტვირთგამგზავნის მიერ სხვადასხვა სადგურის დანიშნულებით დატვირთული, სვლის გზაზე დახარისხებით (გადასატვირთი ნაკრები ვაგონები);

გ) ნაკრებსექციებიან ვაგონებში ან ბაქნებზე დამაგრებულ კონტეინერებში, რომლებიც მოძრაობენ მომიჯნავე ტვირთმახარისხებელი სადგურებით შემოფარგლულ უბნებზე.

მუხლი 130

1. წვრილმანი გზავნილების პირდაპირ ნაკრებ კონტეინერებში გადაზიდვასთან დაკავშირებული სამუშაო სრულდება უნივერსალურ კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდად ტვირთი მიიღება გადაზიდვის განაცხადის საფუძველზე საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ტვირთგამგზავნს მისასვლელი ლიანდაგი.

მუხლი 131

1. წვრილმანი გზავნილების თითოეულ სავაგონო ან საკონტეინერო გადაზიდვაზე ტვირთგამგზავნი ადგენს გუ-27ვ ფორმის ცალკე ზედნადებს, რომელშიც მიუთითებს ტვირთის საერთო წონასა და ტვირთის პარტიაში შემავალი ადგილების საერთო რაოდენობას.

2. ტვირთგამგზავნი ზედნადებს ავსებს გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად. ზედნადების წინაპირის ზედა ნაწილში, გრაფაში „გაგზავნის სახეობა" მიეთითება: „პნკ", რაც ნიშნავს „პირდაპირი ნაკრები კონტეინერები". პირდაპირი ნაკრები კონტეინერების გამგზავნია მისი ფორმირების სადგური.

მუხლი 132

1. წვრილმანი გზავნილებით წარმოდგენილი ტვირთი ტვირთგამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს ტარაში ან სხვა შესაფუთ საშუალებაში, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ხოლო, თუ ეს სტანდარტები (ტექნიკური პირობები) არ არის დადგენილი, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ტვირთი იმდაგვარად შეფუთოს, რომ უზრუნველყოს მოძრაობის უსაფრთხოება, ვაგონის (კონტეინერის), ტვირთის მთლიანობა და დაცვა-შენახვა.

2. წვრილმანი გზავნილების ყოველ სატვირთო ადგილზე, მათ შორის იმ გზავნილისა, რომელიც გადასაზიდად წარმოდგენილია საერთო სარგებლობის ადგილებში, ტვირთგამგზავნი აკეთებს გამგზავნის, სპეციალურ და სარკინიგზო აღნიშვნებს, ტვირთის გადასაზიდად მიღების წესის შესაბამისად.

მუხლი 133

1. საფრთხეშემცველი ტვირთი წვრილმანი გზავნილებით გადაიზიდება ამგვარი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. პირადი საჭიროებისათვის განკუთვნილი ტვირთი წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდად მიიღება მგზავრთა გადაყვანის წესის შესაბამისად.

მუხლი 134

წვრილმანი გზავნილების მისაღებად განკუთვნილი საწყობი შეიძლება სპეციალიზებულ იქნეს ამგვარი ტვირთის დანიშნულებისამებრ. თითოეული დანიშნულებისათვის კონტეინერების ფორმირების გეგმის მიხედვით გამოყოფენ გარკვეულ უბანს ან სექციას. კონტეინერით გადასაზიდი წვრილმანი გზავნილები დანიშნულებისამებრ ჯგუფდება საწყობში. მძიმეწონიანი და ზომაგრძელი ტვირთი თავსდება შტაბელის გარე მხრიდან. ტვირთის განთავსება ვაგონსა და კონტეინერებში ჩატვირთვამდე უნდა იძლეოდეს ადგილების დათვლისა და სარკინიგზო აღნიშვნების შემოწმების საშუალებას.

მუხლი 135

1. წვრილმანი გზავნილებით გადასაზიდი ტვირთის მიღებისას საერთო სარგებლობის ადგილებში, გამგზავნი სადგურის უფლებამოსილმა მუშაკმა უნდა შეამოწმოს შეფუთვის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, ნიშანდების მდგომარეობა, ხოლო საჭიროებისას ტვირთის წონის შესაბამისობა ზედნადებში აღნიშნულ მონაცემებთან.

2. ტვირთის გადასაზიდად მიღების დასადასტურებლად რკინიგზა ვალდებულია, ზედნადებზე გააკეთოს აღნიშვნა კალენდარული შტემპელით. ტვირთის მიღების ქვითარი გადაეცემა ტვირთგამგზავნს საგზაო უწყისის ყუის შესაბამის გრაფაში ხელმოსაწერად.

მუხლი 136

1. სადგურში წვრილმანი გზავნილების მიტანისას, მათ შორის პირდაპირ ნაკრებ კონტეინერებში გადასაზიდად, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს შეფუთვასა და ტვირთის წონის შესახებ მონაცემების არსებობას, აღნიშნავს თითოეულ გაგზავნას ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთარში და აკეთებს მითითებას ზედნადების უკანა მხარეს, რომელიც ტვირთგამგზავნს უბრუნდება ტვირთის უკანასკნელი ნაწილის სადგურში მიტანამდე.

2. თუ ჩატვირთვას ახორციელებს რკინიგზა, წვრილმანი გზავნილების გადასაზიდად წარმოდგენილი ვაგონებისა და ნაკრები კონტეინერების კომერციულ ვარგისობას განსაზღვრავს გაგზავნის სადგური. ამ შემთხვევაში, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი არჩევს ტვირთს თითოეული ვაგონის ან ნაკრები კონტეინერისთვის და ავსებს სავაგონო ფურცელს, რომელიც გადაეცემა გაგზავნის სადგურის სატვირთო სალაროს.

მუხლი 137

1. ნაკრები ვაგონის (კონტეინერის) დატვირთვისას საერთო სარგებლობის ადგილებში, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი თვალს ადევნებს წვრილმანი გზავნილებით წარმოდგენილი ტვირთის სწორ განთავსებას.

2. წვრილმანი გზავნილი, რომელიც გაივლის მახარისხებელ სადგურს, დახურულ ვაგონებში უნდა განთავსდეს ერთ-ერთ ტორსულ კედელთან, რათა ტვირთის დახარისხების დროს შესაძლებელი იყოს მისი ამ გაგზავნისადმი კუთვნილების შემოწმება. სხვადასხვაგვარ შეფუთვაში მოთავსებული ან შეუფუთავი ტვირთი უნდა განლაგდეს ისე, რომ ერთობლივი გადაზიდვისას გამოირიცხოს მისი დაზიანება.

3. წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვისას რეკვიზიტების დაყენებასა და მოხსნას, აგრეთვე ვაგონების (კონტეინერების) ბორტების, ლუკებისა და კარებების გახსნა-დახურვას ახორციელებს რკინიგზა.

4. თუ წვრილმანი გზავნილები გადაიზიდება ღია მოძრავ შემადგენლობაზე, ტვირთი ვაგონში იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ ცალკეული გზავნილების გადმოტვირთვისას გზად მდებარე სადგურებში საჭირო არ გახდეს დანარჩენი ტვირთის გადაადგილება. ტვირთი უნდა იყოს დამაგრებული ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის დამაგრებისა და განთავსების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

მუხლი 138

1. საერთო სარგებლობის ადგილებში წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვის დამთავრებისთანავე, გაგზავნის სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს ვაგონში (კონტეინერში) ჩატვირთული გზავნილების რაოდენობას, წონასა და ადგილს; სავაგონო ფურცელში წერილობით მიუთითებს გზავნილების საერთო რაოდენობას და ხელს აწერს მას; იგი აგრეთვე ვალდებულია, თითოეული ვაგონის (კონტეინერის) მიხედვით შეაგროვოს მცირე გზავნილების ზედნადებები და გადასცემს ეს დოკუმენტები გაგზავნის სადგურის სატვირთო სალაროს.

2. პირდაპირი ნაკრები კონტეინერის სავაგონო ფურცელს სადგური ავსებს ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება წვრილმანი საკონტეინერო გზავნილების საწყობში, მეორე კი, თან ერთვის გასაგზავნ კონტეინერში ჩატვირთული ყველა წვრილმანი გზავნილის გადაზიდვის დოკუმენტებს.

3. კონტეინერის (ვაგონის) კარებების დაკეტვის შემდეგ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი პლომბავს მას საკეტ-საპლომბი მოწყობილობით, აღნიშნავს მის მონაცემებს სავაგონო ფურცელსა (ნაკრები ვაგონისთვის) და გუ-37 ფორმის დავთარში და ამოწმებს ხელმოწერით.

მუხლი 139

წვრილმანი გზავნილების გადამზიდი ნაკრები ვაგონები (კონტეინერები), დატვირთული არასაერთო სარგებლობის ადგილებში, იპლომბება ტვირთგამგზავნის მიერ, რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს მათში ტვირთის სწორ განთავსებას. ამ ვაგონების (კონტეინერების) გადასაზიდად მიღების გაფორმებამდე სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს:

ა) ვაგონის (კოტეინერის) ნომრის შესაბამისობას ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებთან;

ბ) საკეტ-საპლომბი მოწყობილობის არსებობას, წესივრულობას და საკონტროლო აღნიშვნების შესაბამისობას ზედნადების მონაცემებთან;

გ) ტვირთის ადგილების რაოდენობასა და ტვირთის დაზიანების, დაკარგვის ან შეფუთვის დაზიანების ნიშნების არარსებობას ღია მოძრავ შემადგენლობაში;

დ) დანიშნულების (დახარისხების) სადგურის სავაგონო ფურცელში მითითებული ნაკრები ვაგონების შესაბამისობას ამ ვაგონების ფორმირების გეგმასთან.

მუხლი 140

1. გაგზავნის სადგურში წვრილმანი გზავნილების დაჯგუფების პირობები განისაზღვრება დახურულ ვაგონსა და ღია მოძრავ შემადგენლობაზე წვრილმანი გზავნილების ფორმირების

საქსელო და საგზაო გეგმებით. წვრილმანი გზავნილები იმგვარად უნდა დაჯგუფდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რაც შეიძლება მეტი ნაკრები ვაგონის (კონტეინერის) ფორმირება.

2. წვრილმანი გზავნილებით სხვადასხვა დანიშნულების სადგურში გადასაზიდი ტვირთი ნაკრები დახურული ვაგონებიდან გადმოიტვირთება საერთო სარგებლობის ადგილებში.

3. წვრილმანი გზავნილებით მიტანილი ტვირთის გადმოსატვირთად სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ვაგონის (კონტეინერის) გახსნის წინ ამოწმებს საკეტ-საპლომბი მოწყობილობის სისწორეს და ხსნის მას.

4. თითოეული მცირე გზავნილის გადმოტვირთვა ხორციელდება სადგურის უფლებამოსილი მუშაკის თანდასწრებით, რომელიც ამოწმებს ტარას და/ან შეფუთვას, ასევე გადმოსატვირთი ტვირთის შესაბამისობას სავაგონო ფურცლისა და ზედნადების მონაცემებთან.

მუხლი 141

1. წვრილმანი გზავნილებით გადაზიდული ტვირთის გადმოტვირთვისას სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ამოწმებს, რომ ამ სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილ საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთი დაიწყოს აკურატულად, დაუზიანებლად, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნეს ვაგონის (კონტეინერის) უვნებლობა.

2. საერთო სარგებლობის ადგილებში გადმოტვირთული წვრილმანი გზავნილები აღინიშნება თარიღის, გაგზავნის ნომრისა და ადგილების რაოდენობის მითითებით. მონაცემები გადმოცლილი ტვირთის შესახებ სადგურის უფლებამოსილ მუშაკს შეაქვს ტვირთის გადმოცლის დავთარში.

3. წვრილმანი გზავნილების საერთო სარგებლობის ადგილებში გადმოტვირთვისას ტვირთის დარჩენილ ადგილებს ამაგრებს და გადაადგილებს რკინიგზა.

4. ვაგონის გადმოტვირთვის შემდეგ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი სავაგონო ფურცელში აღნიშნავს გადმოტვირთვის დასრულების თარიღს, ხელს აწერს მას და გადასცემს დანიშნულების სადგურის სატვირთო სალაროს.

5. სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ასევე ვალდებულია, შეამოწმოს ვაგონში (კონტეინერში) დარჩენილი, სხვა სადგურებისათვის განკუთვნილი წვრილმანი გზავნილების ადგილების რაოდენობა, მათი განთავსებისა და დამაგრების სისწორე, შესაბამისი აღნიშვნების არსებობა და შეადგინოს ახალი სავაგონო ფურცელი.

მუხლი 142

1. წვრილმანი გზავნილებით მიტანილ და გადმოცლილ ტვირთს რკინიგზა გადასცემს ტვირთმიმღებს, ტვირთის გაცემის წესის შესაბამისად.

2. თუ სადგურიდან ტვირთის გატანა საშვით წარმოებს, ტვირთმიმღებმა სადგურის უფლემაბოსილ მუშაკს უნდა წარუდგინოს სადგურის სატვირთო სალაროს მიერ გაცემული საშვი.

3. ტვირთმიმღების მიერ ტვირთის შენახვის საფასურის გადახადის შემდეგ, თუ მისი უსასყიდლო შენახვის ვადა გავიდა, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი გასცემს ტვირთის ავტომობილზე დატვირთვის ნებართვას. ამ შემთხვევაში, ზედნადებში (საშვზე) იგი აღნიშნავს ტვირთის გაცემის შესახებ, ხოლო ტვირთის გადმოცლის დავთარში მიუთითებს გზავნილების გაცემის თარიღსა და ნომერს, აგრეთვე იმ ავტომობილის მარკასა და სახელმწიფო ნომერს, რომლითაც მოხდა ტვირთის გატანა.

მუხლი 143

1. თუ წვრილმანი გზავნილებით გადაზიდული ტვირთის გაცემისას არ არსებობს ტარის და შეფუთვის დაზიანების ნიშნები, საგზაო უწყისის მეორე მხარეს ტვირთმიმღების ნებართვით კეთდება ჩანაწერი, რომ ტვირთი გაიცემა გახსნისა და შემცველობის შემოწმების გარეშე.

2. თუ დანიშნულების სადგურში ტვირთის მდგომარეობის, წონისა და ადგილების რაოდენობის შემოწმებისას აღმოჩნდა დანაკლისი ან ტვირთის დაზიანება, ანდა ამგვარი გარემოება დადგენილია სვლის გზაზე შედგენილი კომერციული აქტით, დანიშნულების სადგური განსაზღვრავს

ფაქტობრივი დანაკლისის ან ტვირთის დაზიანების ოდენობას და გადასცემს ტვირთმიმღებს კომერციულ აქტს.

3. თუ საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, სადგური, საკუთარი ინიციატივით ან ტვირთმიმღების მოთხოვნით, იწვევს ექსპერტებს და სათანადო სპეციალისტებს. ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებს ანაზღაურებს ექსპერტების (სპეციალისტების) მოწვევით დაინტერესებული მხარე.

თავი XIV
ტვირთის უნივერსალურ კონტეინერებში გადაზიდვის წესი

მუხლი 144

1. ეს წესი განსაზღვრავს ტვირთის უნივერსალურ კონტეინერებში (შემდგომ _ კონტეინერი) გადაზიდვის პირობებს და ამგვარი გადაზიდვის დოკუმენტების შევსების თავისებურებას.

2. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღებს, რკინიგზასა და სხვა პირებს უფლება არა აქვთ ისარგებლონ კონტეინერებით მათი მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

მუხლი 145

1. კონტეინერს უნდა ჰქონდეს დადგენილი ნიმუშის ნიშანდება, რომელიც მოცემულია ამ წესის დანართში. ყველა დიდტონაჟიან კონტეინერს უნდა გააჩნდეს ტრაფარეტი მორიგი შემოწმების ან რემონტის ვადების აღნიშვნით.

2. კონტეინერის ბრუტო წონა აღინიშნება მის კარებზე და კოდირებულია დიდტონაჟიანი კონტეინერის ნიშანდების კოდის მეორე მწკრივში ან საშუალოტონაჟიანი კონტეინერის ნიშანდების კოდის პირველ მწკრივში.

3. თუ კონტეინერს არა აქვს ნიშანდება და ტრაფარეტი, იგი გადასაზიდად არ მიიღება.

მუხლი 146

1. კონტეინერით სრულდება პირდაპირი, საექსპორტო, საიმპორტო და სატრანზიტო გადაზიდვა.

2. ფიზიკურ პირთა საჭიროებისთვის განკუთვნილი პირადი მოხმარების და მალფუჭადი ტვირთი კონტეინერში გადაიზიდება ამ წესების მოთხოვნათა დაცვით.

3. რკინიგზის კონტეინერებში აკრძალულია მყრალი ან ისეთი ტვირთის გადაზიდვა, რომელიც აბინძურებს კონტეინერის შიდა ზედაპირს, და რომლის გადაზიდვისა და გადმოტვირთვის შემდეგ აუცილებელია კონტეინერის დეზინფექცია.

5. საფრთხეშემცველი ტვირთი კონტეინერში გადაიზიდება ამგვარი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

6. თხევადი ტვირთი კონტეინერით გადასაზიდად დაიშვება მხოლოდ პირველად უმსხვრევ ტარაში (კასრები, ბიდონები, კანისტრები, პლასტმასის ჭურჭელი), აგრეთვე წვრილ ტარაში დაფასოებული, მუყაოს ყუთებში შეფუთული, მოლარტყული და სხვა მსუბუქი შეფუთვით. ამ შემთხვევაში, წვრილმანი ტარა განკუთვნილი უნდა იყოს წარმოდგენილი თხევადი ტვირთის გადასაზიდად.

მუხლი 147

1. დიდტონაჟიან კონტეინერში ჩატვირთული ერთი ტვირთის ადგილის წონა არ უნდა აღემატებოდეს 1500 კგ, ხოლო საშუალოტონაჟიან კონტეინერში ჩატვირთულისა – 1000 კგ-ს.

2. კონტეინერის ძირზე მოთავსებული ადგილების ერთიანი დატვირთვა, მათ შორის ფორმირებული შტაბელისა, ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე არ უნდა აღემატებოდეს: 1 კგძ-ს – დიდტონაჟიან კონტეინერში და 0,5 კგძ-ს – საშუალოტონაჟიან კონტეინერში.

3. კონტეინერის ძირზე დასაშვები დატვირთვის გადაჭარბებისას სატვირთო ადგილი უნდა განთავსდეს არანაკლებ 100 X 20 მმ კვეთის სტანდარტულ ქვეშზე ან სათანადო საყრდენ ზედაპირიან ქვესადებზე. ასეთი სატვირთო ადგილები კონტეინერში განლაგდება მხოლოდ ერთ იარუსად.

მუხლი 148

1. რკინიგზა ვალდებულია, დასატვირთად წარმოადგინოს წესივრული და მოცემული ტვირთის გადასაზიდად ვარგისი კონტეინერი, რომელიც გაწმენდილია ნაგვისა და ტვირთის ნარჩენებისგან.

2. გადასაზიდად პირველად შეფუთვაში უტაროდ ან შემსუბუქებული ტარით წარდგენილ ტვირთს, აგრეთვე მის გადასაზიდად განკუთვნილ კონტეინერს წინასწარ ამზადებს ტვირთგამგზავნი ისე, რომ ჩატვირთვის, გადაზიდვის ან გადმოტვირთვის დროს გამოირიცხოს ტვირთის სხვა და სხვაგვარი ხახუნი, დეფორმაცია, შეყინვა, გადამეტხურება ან ტვირთის სხვა უარყოფითი ზემოქმედება კონტეინერზე.

3. რკინიგზის კონტეინერებში დაზეთილი შეუფუთავი ტვირთი გადაიზიდება მხოლოდ მკვრივ ქაღალდში გახვეული, კონტეინერის ძირის, კედლებსა და ტვირთს შორის არსებული სივრცის დამცავი სადებებით აღჭურვილი, კონტეინერის შიდა ზედაპირის დაბინძურებისა და მექანიკური დაზიანებისგან დაცვის პირობით.

მუხლი 149

1. ტვირთგამგზავნმა კონტეინერში ტვირთი ისე უნდა განალაგოს, რომ გამოირიცხოს მისი გადაადგილება გადაზიდვის პროცესში ტვირთზე ბუნებრივი ზემოქმედების გამო.

2. დაუშვებელია ტვირთის მიბჯენა კონტეინერის კარზე (კონტეინერის კარსა და ტვირთს შორის მანძილი 3-დან 5 სმ-მდე უნდა დარჩეს), აგრეთვე ტვირთის ან მისი დასამაგრებელი მოწყობილობის დაჭედება კონტეინერის ძირზე. ტვირთის დასამაგრებლად გამოიყენება საბჯენი ძელები, ჯაჭვები, გამყოფი ფარები (კონტეინერის კარის ღიობში) და არანაკლებ 20 X 100 მმ განივკვეთის ფიცრის განმბჯენი ჩარჩოები.

3. ტვირთის შტაბელებს შორის, აგრეთვე ტვირთისა და კონტეინერის კედლებს შორის ღრეჩოების საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 200 მმ-ს, ხოლო გადაადგილება კონტეინერში მოთავსებული ტვირთის მასის საერთო ცენტრის შუაგულიდან არ უნდა აღემატებოდეს: 600 მმ – დიდტონაჟიანი კონტეინერის შუიდან, სიგრძეზე და 100 მმ – სიგანეზე.

მუხლი 150

1. კონტეინერში ჩატვირთული ტვირთის წონა არ უნდა აღემატებოდეს მისი ნეტო წონის ტვირთამწეობას, რომელიც შეადგენს ტრაფარეტზე მითითებული კონტეინერის ბრუტო წონასა და კონტეინერის ტარის წონას შორის სხვაობას.

2. კონტეინერში ტვირთის ჩატვირთვის შემდეგ მისი კარი იხურება, იკეტება და იპლომბება ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესის შესაბამისად.

მუხლი 151

1. კონტეინერის ვაგონში (ავტომობილზე) ჩატვირთვა სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში და მისი ვაგონიდან (ავტომობილიდან) გადმოტვირთვა ხორციელდება რკინიგზის მიერ. არასაერთო სარგებლობის ადგილებში ამ სამუშაოებს ასრულებს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები.

2. დატვირთული კონტეინერი ვაგონში უნდა დაიდგას კარებით შიგნით.

მუხლი 152

1. კონტეინერებში ტვირთი გადაიზიდება იმ სადგურებს შორის, რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით კონტეინერებზე სამუშაოების უზრუნველსაყოფად. კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვა სხვა სადგურებს შორის დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. კონტეინერის მიღება იმ ნავსადგურიდან, რომელიც არ არის ჩართული პირდაპირ შერეულ სარკინიგზო-საზღვაო გადაზიდვაში ან კონტეინერის გაგზავნა იმ ნავსადგურისა და სადგურის

გავლით, რომელიც არ არის აღჭურვილი ტვირთის გადასაცლელად საჭირო ტექნიკური საშუალებებით, აკრძალულია.

3. თუ კონტეინერში ტვირთი გადაიზიდება საზღვაო ნავსადგურების გავლით, მათ შორის არაპირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლით, ზედნადებს თან უნდა დაერთოს ტვირთგამგზავნის ხელმოწერით დადასტურებული ტვირთის ჩატვირთვისა და დამაგრების მოწმობა, რომელიც შეივსება ზედნადებში მითითებული მონაცემების შესაბამისად.

მუხლი 153

1. ტვირთის გადაზიდვა კონტეინერში იმ სადგურებსა და პორტებს შორის, რომელიც აღჭურვილია კონტეინერების დასამუშავებლად საჭირო ტექნიკური საშუალებებით, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონტეინერებით ერთობლივი სარგებლობის წესი განისაზღვრება მათ მფლობელთა შეთანხმებით.

2. ზედნადების მე-3 გრაფაში „ტვირთგამგზავნის განსაკუთრებული აღნიშვნები და შენიშვნები" ტვირთგამგზავნმა უნდა აღნიშნოს: „----------(დანიშნულების ქვეყნის დასახელება) წყლის ტრანსპორტით გადასაზიდად".

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ტვირთგამგზავნი ქონებრივად აგებს პასუხს ზედნადებში შეტანილი მონაცებების უტყუარობასა და არასწორი ან არასრული მონაცემების მითითებით გამოწვეულ შედეგზე.

4. თუ საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთული კონტეინერები წარმოდგენილია კომპლექტებად (კონტეინერების ჯგუფები) და იგზავნება სვლის გზაზე დაუხარისხებლად ერთი დანიშნულების სადგურში, ზედნადები ფორმდება თითოეულ დატვირთულ კონტეინერზე.

მუხლი 154

1. თუ წვრილმანი გზავნილების ტვირთი კონტეინერში გადასაზიდად მიღებულია საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში, გადაზიდვა დაიშვება ერთ კონტეინერში ერთ დანიშნულების სადგურში გადმოსაცლელად, ტვირთის შუალედური დახარისხების გარეშე (შემდგომ – პირდაპირი ნაკრები კონტეინერი). წვრილმანი გზავნილების ჩატვირთვისას თითოეულ პირდაპირ ნაკრებ კონტეინერში, ექსპედიტორი თავისი ხარჯით ავსებს გუ-29კ ფორმის ზედნადებს, ამ წესების დანართში გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად და ზედნადების წინაპირის ზედა ნაწილის გრაფაში „გზავნილების ფორმა" დიდი ასოებით აღნიშნავს „პნკ", რაც შემოკლებით ნიშნავს „პირდაპირი ნაკრები კონტეინერი". ამ შემთხვევაში, პირდაპირ ნაკრებ კონტეინერში ჩატვირთულ ტვირთს ექსპედიტორი ათავსებს კონტეინერის შიგნით, რაზეც მიუთითებს ზედნადების შესაბამის გრაფაში.

2. რკინიგზის მიერ პირდაპირი ნაკრები კონტეინერის ფორმირებისას, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ავსებს კონტეინერის თანმხლებ ფურცელს, რომელსაც ერთვის კონტეინერებში განლაგებულ წვრილმან გზავნილებზე გაფორმებული ზედნადებები,

მუხლი 155

1. თუ გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთმიმღები უარს ამბობს კონტეინერის გაწმენდაზე, რკინიგზას უფლება აქვს, ტვირთგამგზავნისგან არ მიიღოს აღნიშნული კონტეინერი და მოსთხოვოს მას მთელი ამ დროის განმავლობაში კონტეინერით სარგებლობისათვის დადგენილი საფასურის გადახდა.

2. კონტეინერის კომერციულ ვარგისობას გარკვეული ტვირთის გადასაზიდად განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი. ტვირთგამგზავნს უფლება აქვს, არ მიიღოს მისი ტვირთის გადასაზიდად კომერციულად უვარგისი კონტეინერი და რკინიგზა ვალდებულია, შეცვალოს იგი ვარგისით.

მუხლი 156

1. დატვირთული კონტეინერი გადასაზიდად მიიღება გარეგნული დათვალიერების, ტვირთგამგზავნის საკეტ-საპლომბი მოწყობილობის არსებობისა და ამის თაობაზე ზედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორის შემოწმების შემდეგ, გარდა პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისათვის განკუთვნილი ტვირთით დატვირთული კონტეინერის წარდგენისა, როდესაც დაპლომბვას უზრუნველყოფს გამგზავნი სადგური ტვირთგამგზავნის ხარჯით.

2. ტვირთის კონტეინერებში გადაზიდვისას ტვირთგამგზავნს შეუძლია, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, ვალდებულია, გამოაცხადოს გასაგზავნი ტვირთის ფასეულობა და შეადგინოს მისი ჩამონათვალი.

მუხლი 157

1. კონტეინერი, რომელიც გაიცემა საერთო სარგებლობის ადგილებში, 24 საათის განმავლობაში უსასყიდლოდ ინახება დანიშნულების სადგურში.

2. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან ექსპედიტორის მიერ მის მფლობელობაში არსებული კონტეინერების მიღების დაყოვნებისას, რკინიგზის სასარგებლოდ გადაიხდება კონტეინერების საერთო სარგებლობის ადგილებში დგომის საფასური.

3. რკინიგზის ან სხვა პირთა მფლობელობაში არსებული კონტეინერებით სარგებლობისას ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან ექსპედიტორი, რომელთანაც რკინიგზას გაფორმებული აქვს კონტეინერების ერთობლივი ექსპლუატაციის ხელშეკრულება, რკინიგზას უხდის კონტეინერებით სარგებლობის დადგენილ საფასურს, კონტეინერის თითოეული ტიპის მიხედვით.

მუხლი 158

1. დიდტონაჟიანი კონტეინერი სპეციალიზებულ ან გადაკეთებულ სარკინიგზო ბაქნებზე თავსდება და მაგრდება ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დაცვით.

2. საშუალოტონაჟიანი კონტეინერი, ნახევარაგონსა და უნივერსალურ (ბორტიან) ბაქანებზე გადაიზიდება მთლიანი კომპლექტით (კონტეინერების ჯგუფით), რომელიც იკავებს ნახევარვაგონის ან ბაქნის მთელ ფართობს, ტვირთის განთავსებისა და დამაგრების სქემების შესაბამისად.

3. თუ ბაქნის ურიკებზე უზრუნველყოფილია თანაბარი დატვირთვა, დიდტონაჟიანი კონტეინერი სპეციალიზებულ ბაქანზე შეიძლება გადაიზიდოს არასრული კომპლექტით, ბაქნის შუაში ფიტინგურ საბჯენებზე განლაგებით.

4. საშუალოტონაჟიანი კონტეინერების გადაზიდვა ადგილობრივი ტექნიკური საშუალებებით ნებადართულია მხოლოდ ერთი რკინიგზის ფარგლებში.

მუხლი 159

1. კონტეინერი დანიშნულების სადგურში გაიცემა იმავე წესით, რა წესითაც ხდება მისი გადასაზიდად მიღება.

2. დატვირთული, მათ შორის იმპორტული ტვირთით დატვირთული კონტეინერები, ნავსადგურისგან მიიღება ან ბარდება მას კონტეინერისა და მისი დაპლომბვის მდგომარეობის გარეგნული დათვალიერების შემდეგ. საჭიროებისას, ნავსადგურში კონტეინერში ტვირთის შემოწმება ან მისი წესივრულ კონტეინერში გადატვირთვა ხორციელდება ჩამბარებელი მხარის თანდასწრებით და მისი ხარჯით. შემოწმების შემდეგ კონტეინერს პლომბავს ჩამბარებელი მხარე, თავისი საკეტ-საპლომბი მოწყობილობით.

3. იმპორტული ტვირთით დატვირთულ კონტეინერზე საბაჟო ორგანოს საკეტ-საპლომბი მოწყობილობის არსებობა, ზედნადებს თანდართული გახსნის აქტისა და ზედნადებში შეტანილი შესაბამისი აღნიშვნითურთ, ტვირთის გაცემისას რკინიგზისათვის არ წარმოადგენს მისი მდგომარეობის, წონისა და ადგილების რაოდენობის შემოწმების სავალდებულო საფუძველს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 160

1. ექსპედიტორს, რომელსაც სადგურთან დადებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება, კონტეინერები სადგურში შემოაქვს და გააქვს სადგურიდან კეუ-16 ფორმის განწესის საფუძველზე, რომელსაც სადგური სამ ეგზემპლარად აფორმებს. განწესის ნომრად მიეთითება ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთრის ან ტვირთის გადმოტვირთვის დავთრის მიხედვით დადგენილი რიგითი ნომერი. ამავე განწესის შესაბამისად ხორციელდება ტვირთმიმღების, ტვირთგამგზავნისა და ექსპედიტორის მიერ კონტეინერებით სარგებლობის დროის აღრიცხვა. ამ მიზნით კეუ-16 ფორმის განწესში მითითებული უნდა იყოს კონტეინერების ნომრები. ამ შემთხვევაში, მისასვლელ ლიანდაგზე კონტეინერებიანი ვაგონების ჩამოყენებისას კეუ-16 ფორმის განწესი ფორმდება კონტეინერებიანი ვაგონის ჩამოყენებისა და დაწმენდა-დასუფთავების უწყისთან ერთად.

2. იმპორტული საქონლის მიღებისას კეუ-16 ფორმის განწესი, ზედნადებთან ერთად, გადაეცემა საბაჟო ორგანოს, რომელიც ემსახურება დანიშნულების სადგურს. ტვირთის გაშვებისას, საბაჟო ორგანო ზედნადებსა და კეუ-16 ფორმის განწესში დაუსვამს დადგენილი ფორმის შტამპს.

3. დატვირთული ან ცარიელი კონტეინერის გაცემისას ან სადგურში მათი დაბრუნებისას, სადგურის უფლებამოსილი მუშაკი განწესის შესაბამის გრაფაში აღნიშნავს კონტეინერის გაცემისა და დაბრუნების თარიღსა და დროს. ეს აღნიშვნები მოწმდება მისი და ექსპედიტორის ხელმოწერით. განწესის ორი ეგზემპლარი, კონტეინერთან ერთად, გადაეცემა ექსპედიტორს, განწესის ერთი ეგზემპლარი კი, რჩება სადგურში ან საკონტეინერო მოედანზე.

4. რკინიგზის უფლება-ვალდებულებებს იმ კონტეინერის მიმართ, რომელიც სხვისი საკუთრებაა, არეგულირებს კონტეინერის მესაკუთრესა და რკინიგზას შორის დადებული კონტეინერებით ერთობლივი სარგებლობის ხელშეკრულება.

თავი XV
ტვირთის სპეციალიზებულ კონტეინერებში გადაზიდვის წესი

მუხლი 161

სპეციალიზებული კონტეინერის სახეებია:

ა) სპეციალიზებული საშუალოტონაჟიანი კონტეინერი, რომლის ბრუტოს მაქსიმალური წონა 2,5 ტონაზე მეტი, მაგრამ 10 ტონაზე ნაკლებია;

ბ) სპეციალიზებული დიდტონაჟიანი კონტეინერი, რომლის ბრუტოს მაქსიმალური წონაა 10 ტონა და მეტია.

მუხლი 162

1. ახლად დამზადებულ და რკინიგზაზე გადასაზიდად პირველად წარდგენილ სპეციალიზებულ კონტეინერებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატი ან „უსაფრთხო კონტეინერების საერთაშორისო კონვენციით" გათვალისწინებული ფირფიტა, რომელიც მაგრდება ტვირთის უნივერსალურ კონტეინერებში გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. თუ პირდაპირი ან შერეული მიმოსვლით გადამზიდი სპეციალიზებული დიდტონაჟიანი კონტეინერი არ შეესაბამება „უსაფრთხო კონტეინერების საერთაშორისო კონვენციის" ნორმებს, აგრეთვე სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტებს, იგი გადასაზიდად არ მიიღება.

2. სპეციალიზებული კონტეინერის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი გამართული მდგომარეობა, ნიშანდების სისწორე და სისრულე.

3. საფრთხეშემცველი ტვირთი სპეციალიზებულ კონტეინერში გადაიზიდება ამ წესებისა და „რკინიგზით საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესის" შესაბამისად.

4. სპეციალიზებული კონტეინერების კომერციულ ვარგისობას გარკვეული ტვირთის გადასაზიდად განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი. ტვირთის ჩატვირთვა კომერციულად უწესივრო, მათ შორის ამ წესების დარღვევით მარკირებულ სპეციალიზებულ კონტეინერებში, აკრძალულია.

მუხლი 163

1. სპეციალიზებული კონტეინერების დატვირთვა-გადმოტვირთვა სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობაზე ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

2. სპეციალიზებული კონტეინერების მიღება, გაცემა და შენახვა, გარდა იმ კონტეინერებისა, რომლითაც გადაიზიდება საფრთხეშემცველი ტვირთი, შეიძლება განხორციელდეს საერთო სარგებლობის ადგილებში იმ პირობით, თუ კონტეინერი აღჭურვილია ხელშეუხებლობისა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო მოწყობილობით.

მუხლი 164

1. სპეციალიზებული დიდტონაჟიანი კონტეინერი კონტეინერმზიდ ბაქანზე განთავსდება ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განთავსებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

2. საქართველოდან გასაგზავნი ან მის ტერიტორიაზე ტრანზიტად მიმავალი ტვირთის სპეციალიზებულ კონტეინერებში გადაზიდვა სრულდება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების შეთანხმების“ შესაბამისად.

3. დიდი ან საშუალოტონაჟიანი სტანდარტული უნივერსალური კონტეინერების ზომისა და პარამეტრის მქონე სპეციალიზებული დიდტონაჟიანი კონტეინერების გადაზიდვა დაიშვება ამ უნივერსალურ კონტეინერებთან ერთად, გარდა საფრთხეშემცველი ტვირთით დატვირთული კონტეინერებისა.

მუხლი 165

1. სპეციალიზებული კონტეინერები იპლომბება ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესის შესაბამისად.

2. ნაყარი ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სპეციალიზებული კონტეინერი, რომელიც ტორსული მხრიდან აღჭურვილია ერთი კარით, ხოლო საწინააღმდეგო მხარის ქვედა ნაწილში – ლიუკით, სარკინიგზო ბაქნებზე განლაგებული უნდა იქნეს კარით შიგნით. კონტეინერების გვერდის ზედაპირზე აღინიშნება გადასაზიდი ტვირთის შესაბამისი ტრაფარეტი.

მუხლი 166

1. სარკინიგზო ბაქანსა ან ნახევარვაგონზე განლაგებულ თითოეულ სპეციალურ კონტეინერზე ტვირთგამგზავნი ვალდებულია, შეავსოს გუ-29კ ფორმის ზედნადები, ტვირთის უნივერსალურ კონტეინერებში გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. ზედნადების თითოეულ ბლანკზე, გრაფაში „გაგზავნის ტიპი” აღინიშნება სპეციალური კონტეინერის აბრევიატურა „სკ”.

3. თუ ტექნიკური პირობებით დადგენილი არ არის გარკვეული ტიპისა და ბრუტო წონის სპეციალიზებული კონტეინერების განლაგება-დამაგრების მოთხოვნები, ზედნადებში ტვირთგამგზავნი აღნიშნავს, რომ კონტეინერი განლაგებული და დამაგრებულია დამტკიცებული ნახაზის შესაბამისად.

4. საფრთხეშემცველი ტვირთის სპეციალიზებულ კონტეინერებში გადაზიდვის ან გადაზიდვის შემდეგ ცარიელი სპეციალიზებული კონტეინერების დაბრუნებისას, გადაზიდვის საბუთები შეივსება რკინიგზით საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

5. თუ ცარიელი სპეციალიზებული კონტეინერები გადაიზიდება სავაგონო ან მცირე გზავნილებით, ზედნადებში აღინიშნება სპეციალიზებული კონტეინერის აბრევიატურა და ყველა ცარიელი კონტეინერის საერთო წონა.

6. საქართველოდან მიმავალ სპეციალიზებულ კონტეინერებზე შეივსება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შეთანხმების” ზედნადები.

მუხლი 167

1. თუ ტვირთი გადასაზიდად წარდგენილია სპეციალიზებულ კონტეინერებში, ტვირთგამგზავნმა ზედნადებში უნდა მიუთითოს ტვირთის წონა, კონტეინერის საკუთარი წონა და მთელი გზავნილის საერთო ფაქტობრივი ბრუტო წონა.

2. სპეციალიზებულ კონტეინერებში განლაგებული ტვირთის წონა არ უნდა აღემატებოდეს კონტეინერის ტვირთამწეობას, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა კონტეინერისა და ტრაფარეტზე მითითებული მისი ტარის ნომინალური ბრუტო წონის შორის.

3. იკრძალება ტვირთგამგზავნის მიერ ტვირთის წონის განსაზღვრა გაზომვის მეშვეობით, თუ ამ ტვირთით სპეციალიზებული კონტეინერის დატვირთვას სრულ ტევადობამდე შეიძლება მოჰყვეს დასაშვები ტვირთამწეობის გადამეტება.

მუხლი 168

1. დატვირთული სპეციალიზებული კონტეინერი გადასაზიდად წარდგენილი შეიძლება იყოს ტვირთგამგზავნის საკეტ-საპლომბი მოწყობილობით.

2. დატვირთული სპეციალიზებული კონტეინერის მიღებისას პორტისპირა სადგურზე გასაგზავნად, ტვირთის განლაგება და დამაგრება კონტეინერში უნდა შეესაბამებოდეს საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის კონტეინერებით გადაზიდვის წესის მოთხოვნებს.

მუხლი 169. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

თავი XVI
ტვირთის სატრანსპორტო პაკეტებად გადაზიდვის წესი

მუხლი 170

1. ტვირთი, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პაკეტის სახით, გადასაზიდად წარდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო პაკეტებად (შემდგომ – პაკეტი).

2. პაკეტი არის დაპაკეტების საშუალებით ერთმანეთთან დამაგრებული გამსხვილებული სატვირთო ადგილი, რომელიც შედგება ტარაში შეფუთული ან შეუფუთავი ტვირთის ცალ-ცალკე ადგილებისგან და გადაზიდვა-შენახვის პროცესში უზრუნველყოფს:

ა) მექანიზებული დატვირთვა-გადმოტვირთვის შესაძლებლობას;

ბ) პაკეტის მთლიანობას;

გ) სატრანსპორტო, სასაწყობო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შემსრულებელ პირთა უსაფრთხოებას;

დ) დახურული, იზოთერმული ვაგონებისა და კონტეინერების ტვირთამწეობისა და ტევადობის რაციონალურ გამოყენებას, ხოლო ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადაზიდვისას – დატვირთვის გაბარიტის სრულ გამოყენებას;

ე) მდგრადობას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, პაკეტების დამაგრებას, განივი და გრძივი გადაადგილებისგან დასაცავად გადაზიდვის პროცესში;

ვ) მატარებლის უსაფრთხო მოძრაობას.

3. ტვირთი ღია მოძრავ შემადგენლობაზე სატრანსპორტო პაკეტებად გადაიზიდება ღია მოძრავ შემადგენლობაზე ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

მუხლი 171

1. გადასაზიდად წარდგენამდე, ტვირთგამგზავნი თავისი ხარჯით აყალიბებს ტვირთს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესატყვის პაკეტებად,

2. თითოეულ პაკეტში დასაშვებია მხოლოდ ერთი ტვირთმიმღების მისამართით გადასაზიდი ერთგვაროვანი და ერთნაირად შეფუთული ან შეუფუთავი ტვირთის მოთავსება.

3. პაკეტის კონსტრუქციის, საკონტროლო ნიშნების, დაპაკეტებისა და დამაგრების საშუალებების საიმედობიათვის პასუხისმგებელია ტვირგამგზავნი.

5. თუ ტვირთი გადაიზიდება დახურული ვაგონით, პაკეტის პარამეტრები, რომელიც ჩამოყალიბებულია 800 X 1200 მმ ზომის მრავალჯერადი მოხმარების ქვეშის გამოყენებით, არ უნდა აღემატებოდეს 840 X 1240 მმ-ს.

მუხლი 172

1. მრავალჯერადი მოხმარების დაპაკეტების საშუალებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფრთხეშემცველი და სპეციფიკური სუნის მქონე ტვირთის დაპაკეტებისთვის.

2. ტვირთგამგზავნმა პაკეტზე უნდა აღნიშნოს მასში მოთავსებული სატვირთო ერთეულების რაოდენობა.

3. აკრძალულია სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს შეუსაბამი დაპაკეტების საშუალებების გამოყენება.

მუხლი 173

1. დაპაკეტებული ტვირთი სვლის გზაზე ხელუხლებლად გადაიზიდება.

2. ტვირთის სამაგრი საშუალებები და პაკეტები აღჭურვილი უნდა იყოს საკონტროლო ნიშნებით, რაც გამორიცხავს პაკეტებიდან ცალკეული სატვირთო ადგილების ამოღებას სამაგრი საშუალებებისა და საკონტროლო ნიშნების დაუზიანებლად.

3. ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ძირითადი საკონტროლო ნიშნებია:

ა) პლომბი, რომელზეც აღნიშნულია ტვირთგამგზავნის სახელწოდება;

ბ) კლიტეში დატანებული საკონტროლო ლენტი;

გ) შეკლების აფსკი.

მუხლი 174

1. გადასაზიდად წარდგენამდე ტვირთგამგზავნი პაკეტზე აკეთებს გამგზავნის, სპეციალურ და სარკინიგზო ნიშანდებას. თუ პაკეტში არსებულ თითოეულ სატვირთო ადგილზე არის ტვირთგამგზავნის ნიშანდება, რომელიც ხელმისაწვდომია ვიზუალური კონტროლისთვის, სატვირთო ადგილის გაუხსნელად, პაკეტზე ამგვარი ნიშანდება აუცილებელი არ არის.

2. ტვირთის თვისებები, აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოს შესრულებისას მისი გადაადგილების წესი, აღინიშნება ტექსტის ან ნახატის სახით შესრულებული სპეციალური ნიშანდებით.

3. თუ ტვირთი გადაიზიდება სავაგონო გზავნილებით, სარკინიგზო ნიშანდებას პაკეტზე აკეთებს ტვირთგამგზავნი, – ტვირთის გადასაზიდად წარდგენამდე, ხოლო, თუ ტვირთი გადასაზიდად წარდგენილია წვრილმან გზავნილებად, – გაგზავნის სადგური, ტვირთის გადასაზიდად მიღებისას.

4. სარკინიგზო ნიშანდება კეთდება წილადი რიცხვის სახით, რომლის მრიცხველში ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთრის მიხედვით მიეთითება სადგურის მიერ შეტყობინებული რიგითი ნომერი და ტირეთი გზავნილში პაკეტების რაოდენობა, ხოლო მნიშვნელში – გაგზავნის სადგურის კოდი.

5. გამგზავნისა და სარკინიგზო ნიშანდება პაკეტზე კეთდება ჩამოურეცხავი საღებავით ან მასზე მჭიდროდ მიმაგრებული იარლიყით.

მუხლი 175

1. პაკეტებად გადასაზიდად ტვირთი მიიღება საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

2. მიღების პირობების მიხედვით პაკეტი უთანაბრდება ცალკე სატვირთო ადგილს.

3. პაკეტის წონას, რომელიც მოიცავს ტვირთის წონას დაპაკეტების საშუალებებთან ერთად, განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი და აღნიშნავს მას ზედნადების შესაბამის გრაფაში.

მუხლი 176

1. გადასაზიდად დახურულ და იზოთერმულ ვაგონებსა და კონტეინერებში წარდგენილი პაკეტების წონა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ტონას.

2. გადასაზიდად ღია მოძრავ შემადგენლობაზე წარდგენილი პაკეტის წონა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) სადგურზე არსებული დამტვირთავ-გადმომტვირთავი მანქანების ტვირთამწეობას, თუ ტვირთი ჩამოიტვირთება სადგურების საერთო სარგებლობის ადგილებში;

ბ) ტვირთმიმღებთან შეთანხმებულ წონას, თუ ტვირთი ჩამოიტვირთება არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

3. იმ სადგურების ნუსხას, რომლებსაც საერთო სარგებლობის ადგილებში აქვთ დამტვირთავ-გადმომტვირთავი მანქანები, მათი ტვირთამწეობის მითითებით შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 177

1. პაკეტების განლაგება და დამაგრება ვაგონებსა და კონტეინერებში ხორციელდება დადგენილი ტექნიკური პირობებისა და შესაბამისი ტვირთის გადაზიდვის წესის მიხედვით.

2. დახურული და იზოთერმული ვაგონების კართშორის სივრცეში პაკეტი იმგვარად უნდა განლაგდეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი მექანიკური გადმოტვირთვა ნებისმიერი კარიდან.

3. თუ ტექნიკური პირობებით ღია მოძრავ შემადგენლობაზე პაკეტების განლაგებისა და დამაგრების წესი განსაზღვრული არ არის, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, თვითონ შეიმუშაოს იგი.

4. თუ არასაერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთულ-გადმოტვირთული პაკეტები დახურულ და იზოთერმულ ვაგონებში გადაიზიდება სვლის მთელ გზაზე გადაუტვირთავად, ტვირთგამგზავნმა ისინი ვაგონში შეიძლება ისეთი სამაგრი საშუალებით დაამაგროს, რომელიც უზრუნველყოფს სვლის გზაზე ტვირთის დაცულობას.

მუხლი 178

1. გადაზიდვის დოკუმენტების შევსებისას პაკეტებად გადასაზიდ ტვირთზე, ზედნადების, საგზაო უწყისის, საგზაო უწყისის ყუისა და ტვირთის მიღების ქვითრის შესაბამის გრაფაში ტვირთგამგზავნი და რკინიგზა აღნიშნავენ:

ა) გრაფაში ,,ადგილების რაოდენობა'': მრიცხველში – პაკეტების რაოდენობას, მნიშვნელში – პაკეტებში სატვირთო ადგილების საერთო რაოდენობას, თუ ტვირთი გადასაზიდად მიღებულია ადგილების დათვლით;

ბ) გრაფაში ,,ტვირთის დასახელება'' – ,,პაკეტს'';

გ) გრაფაში ,,ტვირთის წონა'' – ტვირთის ბრუტო წონას, ხოლო ნაკრები გზავნილების გადაზიდვისას, რომელიც რამდენიმე დასახელების ტვირთისაგან შედგება – თითოეული დასახელების ტვირთის წონას;

დ) წვრილმანი გზავნილების პაკეტებად გადაზიდვისას, რომელიც ქვეშის გამოყენებით სრულდება, გრაფაში ,,ტვირთის მასა'': მრიცხველში – პაკეტის ბრუტო წონას, მნიშვნელში – პაკეტის ნეტო წონას, ქვეშის წონის გაუთვალისწინებლად.

2. პაკეტებში მოთავსებულ ტვირთს რკინიგზა გადასაზიდად იღებს საერთო სარგებლობის ადგილებში, პაკეტში ტვირთის რაოდენობის შეუმოწმებლად

3. დანიშნულების სადგურში დაზიანებული პაკეტის აღმოჩენისას, თუ იგი გადმოტვირთულია რკინიგზის მიერ, სადგური ვალდებულია შეამოწმოს პაკეტის შიგთავსი, ხოლო დაზიანებულ ადგილებში – ტვირთის რაოდენობა, წონა და მდგომარეობა ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით. შემოწმების შედეგები ფორმდება ტვირთის გადაზიდვისას აქტების შევსების წესის შესაბამისად.

მუხლი 179

1. დაპაკეტების საშუალების გამოყენების წესი და დაბრუნების ვადა განისაზღვრება ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღების შეთანხმებით.

2. ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღების კუთვნილი დაპაკეტების საშუალების გადაზიდვა ხორციელდება სრული გადაზიდვის საბუთებით სავაგონო და მცირე გზავნილებით.

3. დაპაკეტების საშუალების ტექნიკურ ზედამხედველობას, შეკეთებასა და გამძლეობის გამოცდას უზრუნველყოფს მისი მფლობელი, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

თავი XVII
ავტოტრაქტორის ტექნიკის გადაზიდვის წესი.

მუხლი 180

1. ეს წესი განსაზღვრავს უნივერსალური და სპეციალიზებული ვაგონებით მსუბუქი, სატვირთო, სპეციალური ავტომობილების, ავტობუსების, ტროლეიბუსების, მათი ძარების, ტრაქტორების, ექსკავატორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომატარებლების, კონტრეილერების, მოტო-ეტლების და სხვა თვლიანი და მუხლუხა ტექნიკის (შემდგომ – ავტოტრაქტორის ტექნიკა) რკინიგზით გადასაზიდად მომზადების, მიღებისა და გადაზიდვის მოთხოვნებს.

2. ავტოტრაქტორის ტექნიკის გადასაზიდად მომზადება მიზნად ისახავს გადაზიდვის პროცესში მისი დაცულობისა და მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას, რისთვისაც ტვირთგამგზავნი:

ა) ხსნის და ფუთავს ადვილად მოსახსნელ მაკომპლექტებელ დეტალებს და აღნიშნავს მათ ზედნადებში;

ბ) შესაფუთი მასალით იცავს მსხრევად დეტალებს.

მუხლი 181

1. ავტოტრაქტორის ტექნიკის მოხსნილი მაკომპლექტებელი დეტალები, რომლებიც გადაზიდვისას განლაგებულია კაბინაში, სალონში, საბარგულში ან დახურულ ძარაში, აგრეთვე თავიანთ ადგილებზე დამაგრებული კვანძები, შეიძლება შეუფუთავად გადაიზიდოს.

2. თუ ავტოტრაქტორის ტექნიკა გადაიზიდება გამგზავნის მარშრუტებით ან ვაგონთა ჯგუფით, სათანადოდ შეფუთული მაკომპლექტებელი დეტალების, კვანძების, სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტის ტრანსპორტირება ხორციელდება ავტოტრაქტორის ტექნიკის საერთო პარტიასთან ერთად, დახურულ ვაგონებში მოთავსებულ უნივერსალური კონტეინერებში. ამ შემთხვევაში, ტვირთგამგზავნი ზედნადების მე-4 გრაფაში მიუთითებს: „მაკომპლექტებელი დეტალები, კვანძები და ინსტრუმენტი არ არის ჩატვირთული“.

3. ავტოტრაქტორის ტექნიკის გადაზიდვისას სპეციალიზებულ ვაგონებში ადვილმოსახსნელი მაკომპლექტებელი დეტალების და კვანძების დემონტაჟი და მსხვრევადი დეტალების დაცვა სავალდებულო არ არის.

მუხლი 182

1. ტექნოლოგიურად დაუკომპლექტებელი ავტოტრაქტორის ტექნიკის გადაზიდვისას ზედნადებში აღინიშნება ყოველი ერთეული გადასაზიდი ავტოტრაქტორის ტექნიკის ნაკლული დეტალების და კვანძების ნუსხა.

2. თუ ზედნადების მე-4 გრაფაში არ არის საკმარისი ადგილი მოხსნილი და დაუკომპლექტებელი დეტალების აღსანიშნავად, მათი ნუსხა იწერება ცაკლე ფურცელზე, რის თაობაზეც მიეთითება ზედნადებში. ამ შემთხვევაში, ნუსხა დგება ოთხ ცალად, ტვირთგაგზავნის შტემპელიან ბლანკზე და მისი ხელმოწერით. ნუსხის თითოეულ ეგზემპლარზე აღინიშნება ზედნადების ნომერი და გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელი.

3. ნუსხის ერთი პირი, ტვირთის მიღების ქვითართან ერთად, გაგზავნის სადგურზე ბარდება ტვირთგამგზავნს, ხოლო მეორე პირი რჩება გაგზავნის სადგურს. ორი დანარჩენი ეგზემპლარი თან ერთვის ზედნადებს და საგზაო უწყისს, რომელთაგან ერთი, ზედნადებთან ერთად, გადაეცემა ტვირთგამგზავნს, მეორე კი, რჩება დანიშნულების სადგურს.

მუხლი 183

1. ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ტვირთის გადასაზიდად წარდგენამდე უზრუნველყოს ავტოტრაქტორის ტექნიკის კაბინების, სალონების კარების, ძარების, კაპოტის, ნაკვეთურებისა და საბარგულების ჩაკეტვა ან ჩარაზვა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აღჭურვოს ისინი დამატებითი საკეტ-საპლომბი მოწყობილობით და დაპლომბოს.

2. ტვირთმგზავნი ადგენს საინფორმაციო ფურცელს, რომელიც მაგრდება კაბინის მინის შიდა მხარეზე და მასში აღინიშნება ავტოტრაქტორის ტექნიკის ავზში არსებული დასაშვები რაოდენობის საწვავის დასახელება და მარკა (5 ტ-მდე ტვირთამწეობის ტექნიკისთვის ავზში საწვავის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ლ-ს, 5 ტ-ზე მეტი ტვირთამწეობისა – 15 ლ-ს), პლომბების, სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტის ყუთების რაოდენობა, მათი განლაგების ადგილი, მოხსნილი მაქომპლექტებელი დეტალების სია, ნაკლული დეტალების ნუსხა უკომპლექტო მოწოდებისას, ხოლო, თუ ტვირთი გადაიზიდება გამგზავნის მარშრუტებით და ვაგონთა ჯგუფებით, აგრეთვე მიეთითება „ინსტრუმენტი, მაკომპლექტებელი დეტალები და კვანძები არ ჩაწყობილა".

მუხლი 184

1. ავტოტრაქტორის ტექნიკის გადასაზიდად მომზადების წესს (შემდგომ – შეთანხმებული წესი), ტექნიკის თითოეული მარკის მიხედვით, სათანადო ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნების დაცვით შეიმუშავებს ტვირთგამგზავნი და ათანხმებს მას რკინიგზასთან. შეთანხმებული წესით, რომლის ასლი უნდა ინახებოდეს დატვირთვის სადგურში, განსაზღვრული უნდა იყოს მსხვრევადი დეტალების დაცვის ხერხი, ადვილად მოსახსნელი მაკომპლექტებელი დეტალების, კვანძების და სათადარიგო ნაწილების შეფუთვის ხერხი და განლაგების ადგილები, კარების ბლოკირების ხერხი, გასაღებების შენახვის ადგილი, პლომბების დადების დღე და ადგილი..

2. თუ კონსტრუქციული თავისებურებების გამო შეუძლებელია ავტოტრაქტორის ტექნიკის აწყობილ მდგომარეობაში გადაზიდვა, იგი ნაწილობრივ დაიშლება.

3. შეთანხმებული წესის პირველი ეგზემპლარი ინახება გაგზავნის სადგურში და მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს დანიშნულების რკინიგზას.

4. შეთანხმებული წესის ასლები ინახება ტვირთგამგზავნთან და რკინიგზის შესაბამის სამსახურში.

5. ავტოტრაქტორის ტექნიკის ძნელად მისადგომ რაიონებსა ან საექსპორტოდ გასაგზავნად მომზადებისას, შეთანხმებული წესის დაცვის აუცილებლობასთან ერთად მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ხელშეკრულების მოთხოვნები.

მუხლი 185

1. თუ ავტოტრაქტორის ტექნიკა გადასაზიდად ღია მოძრავ შემადგენლობაზე მიიღება, რკინიგზა ვალდებულია, შეამოწმოს ამ ტექნიკის განლაგებისა და დამაგრების სისწორე, ტვირთგამგზავნის პლომბების არსებობა, ავტოტრაქტორის ტექნიკის კაბინის ან ძარის გარეთ ღია მოძრავ შემადგენლობაში განლაგებული დიდგაბარიტიანი დეტალებისა და კვანძების ყუთების რაოდენობა, საინფორმაციო ფურცლის არსებობა, აგრეთვე ვიზუალურად დაათვალიეროს ისინი.

2. რკინიგზა არ ამოწმებს ავტოტრაქტორის ტექნიკის კომპლექტურობას, აგრეთვე იმ ტევადობებისა და ნაკეთურების შემცველობას, რომლებსაც ადევს ტვირთგამგზავნის პლომბი.

3. ავტოტრაქტორის ტექნიკის გაცემა დანიშნულების სადგურში ან სასაზღვრო გადამცემ სადგურებსა და ტვირთგადასაცლელ პუნქტებში გადაცემა, კომერციულად გამართული გადაზიდვისას ხორციელდება იმავე წესით, რა წესითაც ხდება მათი გადასაზიდად მიღება გაგზავნის სადგურზე.

მუხლი 186

1. ავტოტრაქტორის ტექნიკა მარშრუტებით ან ვაგონთა ჯგუფებით გადაიზიდება ვაგონების ჯგუფებით ერთი ზედნადებით ტვირთის გადაზიდვის წესისა და გამგზავნის მარშრუტებით ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. თუ ავტოტრაქტორის ტექნიკა გადაიზიდება ერთი მარშრუტით ან გადაზიდვის ერთი დოკუმენტით მიმავალი ვაგონების ჯგუფით, ყველა მანქანის გასაღებები ინახება სპეციალურ უჯრედებიან პლანშეტში, რომელთა ნომრები შეესაბამება მანქანების ნომრებს. გასაღების პლანშეტი ინახება ერთ-ერთი მანქანის კაბინაში ან საბარგულში, რომლის გასაღებს ფუთავს, ლუქავს და გადაზიდვის დოკუმენტზე ამაგრებს ტვირთმგზავნი, რის თაობაზეც შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ზედნადებში.

3. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 187

1. გამყოლის თანხლებით ავტოტრაქტორის ტექნიკა გადაიზიდება ტვირთის თანხლებით გადაზიდვის წესის შესაბამისად.

2. მსუბუქი ავტომობილების გადამზიდი სპეციალიზებული ვაგონების გადმოტვირთვის შემდეგ რკინიგზა ვალდებულია, შეამოწმოს მათი წესივრულობა, კომპლექტურობა და გაგზავნოს მიწერის რკინიგზის სადგურში:

ა) ავტომობილების გადამზიდი დახურული ვაგონები – გადასაზიდის სრული საბუთებით და ტვირთგამგზავნის საკეტ-საპლომბი მოწყობილობით დაპლომბილი;

ბ) ორიარუსიანი ბაქნები – გუ-27სპ გადაგზავნის ზედნადებით, გადაზიდვის დოკუმენტების შევსების წესის შესაბამისად.

3. გადაზიდვის დოკუმენტებსა და გუ-27სპ ფორმის გადაგზავნის ზედნადებებს ცარიელი ვაგონების დაბრუნებაზე აფორმებს ტვირთმიმღები, რომელმაც გადმოტვირთა ავტოტრაქტორის ტექნიკა.

4. საკუთარი ან იჯარით აღებული ვაგონების დაბრუნებისას გადაიხდება დადგენილი საფასური.

მუხლი 188

რკინიგზით გადასაზიდად მიიღება შემდეგი ტიპ-ზომების დატვირთული და ცარიელი ავტომატარებლები (ნახევარმისაბმელიანი, მისაბმელიანი ავტოსაწევარი) და კონტრეილერები (სპეციალური ნახევარმისაბმელი პნევმატიკურთვლიანი ფურგონი, განკუთვნილი ტარიან-ცალეული ტვირთის გადასაზიდად):

ა) ყველა ტიპის ავტომატარებლები, მათ შორის, არაუმეტეს 44 ტ სტანდარტული ბრუტო მასის, არაუმეტეს 18350 მმ საერთო სიგრძის, 2500 მმ სიგანისა და 4000 მმ სიმაღლის მისაბმელები;

ბ) არაუმეტეს 38,5 ტ მაქსიმალური ბრუტო მასისა და 2500 მმ სიგანის კონტრეილერები.

მუხლი 189

1. ავტომატარებლებისა და კონტრეილერების ძარის ბრეზენტის შალითები უნდა იყოს წესივრულ მდგომარეობაში, დაუზიანებული, აგრეთვე ჰქონდეს ძარაზე მისამაგრებელი სამარჯვები. ყულფებს და ნახვრეტებს ბრეზენტის შალითასა და ძარაში არ უნდა ჰქონდეს დარღვევები. შემოსაკრავი გვარლი უნდა იყოს მთლიანი, გადაუბმელ-გადაუკერებელი.

2. ტვირთი ავტომატარებლებისა და კონტრეილერების ძარაში უნდა განლაგდეს ვაგონებსა და კონტეინერებში ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობების შესაბამისად.

3. ავტომატარებლებისა და კონტრეილერების ძარა, გარდა ცარიელი ძარებისა, იპლომბება ტვირთგამგზავნის მიერ.

მუხლი 190

1. ტვირთგამგზავნი, ან მისი დავალებით, მძღოლ-ექსპედიტორი, უზრუნველყოფს კაბინის კარების საიმედო დაკეტვას გასაღებით და აკუმულატორის, სამარაგო თვლისა და სხვა მაკომპლექტებელი დეტალებისა და კვანძების დაცულობას.

2. ავტომატარებელში კვანძების არსებული საწვავის დასაშვები რაოდენობა განისაზღვრება ავზის ტევადობით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 200 ლიტრს.

3. გადასაფარებელი ტენტის სამაგრ გვარლს არ უნდა ჰქონდეს რაიმე დაზიანება, ხოლო ტენტის ძირითადი სამაგრი გვარლის ბოლოები გადაიბმება საიმედო კვანძით, რომელზეც ასევე იდება პლომბი ან საკეტ-საპლომბი მოწყობილობა.

მუხლი 191

1. რკინიგზით ავტომატარებლები შეიძლება გადაიზიდოს ტვირთგამგზავნის უფლებამოსილი მძღოლ-ექსპდიტორის თანხლებით, რომელიც ტვირთს მიჰყვება თანხლებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ვაგონში. ავტომატარებლების თანხლების პირობები განისაზღვრება ტვირთის თანხლებით გადაზიდვის წესით. კონტრეილერები რკინიგზით შეიძლება გადაიზიდოს თანხლების გარეშეც.

2. ავტომატარებლების და კონტრეილერების გადაზიდვა სრულდება მათი მომსახურებისთვის საჭირო მოწყობილობებით აღჭურვილ სადგურებს შორის, სასაზღვრო გადამცემი სადგურებისა და სხვა სახის ტრანსპორტზე გადაცემის პუნქტების ჩათვლით, პირდაპირი გამგზავნის მარშრუტებით, პირდაპირი და ჯგუფური ჩქარი მატარებლების შემადგენლობაში დაყენებული გამსხვილებული ვაგონების ჯგუფებით.

მუხლი 192

1. ავტომატარებლებისა და კონტრეილერების დატვირთვა სპეციალიზებულ მოძრავ შემადგენლობაზე ხორციელდება საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში.

2. ავტომატარებლები და კონტრეილერები გადასაზიდად მიიღება ღია მოძრავ შემადგენლობაზე მათი განლაგებისა და დამაგრების სისწორის შემოწმების, მთლიანობის ვიზუალური დათვალიერებისა და რკინიგზის მიერ დადგენილი ტიპის საკეტ-საპლომბი მოწყობილობის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ.

მუხლი 193

1. თითეული დატვირთული ან ცარიელი ავტომატარებლის (კონტრეილერის) გადასაზიდად ტვირთგამგზავნმა უნდა წარადგინოს დადგენილი წესით შევსებული გუ-29კ ფორმის ზედნადები. თანხლების გარეშე მომავალ დატვირთულ ავტომატარებლებსა და კონტრეილერებზე შევსებული ზედნადები წარდგენილ უნდა იქნეს ძარაში მათავსებულ ტვირთზე გამოწერილ საავტომობილო ზედნადებთან ერთად.

3. ავტომატარებლებისა და კონტრეილერების სარეგისტრაციო ნომრები და ბრუტოს ნომინალური მასა აღინიშნება ზედნადების იმ გრაფაში, სადაც გათვალისწინებულია ნიშანდების კოდებისა და კონტრეილერების ბრუტო მასის აღნიშვნა.

4. ზედნადების გრაფაში „გაგზავნის სახეობა" აღინიშნება:

ა) „ამლ" – გადასაზიდად ავტომატარებლის წარდგენისას;

ბ) „კტრ" – გადასაზიდად კონტრეილერის წარდგენისას.

5. ზედნადების გრაფაში „ტვირთის დასახელება" აღინიშნება ძარაში განლაგებული ტვირთის დასახელება, რომელიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საავტომობილო ზედნადებში გაკეთებულ ჩანაწერს, ხოლო ზედნადების სხვა გრაფები შეივსება ტვირთის უნივერსალურ კონტეინერებში გადაზიდვის წესის შესაბამისად.

6. ავტომატარებლებისა და კონტრაილერების საერთაშორისო გადაზიდვის დოკუმენტები ფორმდება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 194

1. ტვირთგამგზავნი, სხვა მონაცემებთან ერთად, ზედნადებში უთითებს ძარაში განლაგებული ტვირთის წონის (მასის) შემდეგ მონაცემებს:

ა) ავტომატარებლის (კონტრეილერის) საკუთარ და გზავნილის ბრუტოს საერთო მასას;

ბ) საკეტ-საპლომბი მოწყობილობის რაოდენობასა და საკონტროლო ნიშნებს.

2. საფრთხეშემცვლელი ტვირთი ავტომატარებლებსა და კონტრეილერებში გადაიზიდება რკინიგზით საფრთხეშემცვლელი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

3. სასურსათო და სხვა ტვირთი, რომელიც გადაზიდვისას მოითხოვს გარკვეული ტემპერატურული რეჟიმის დაცვას და ვენტილაციას, გადასაზიდად დაიშვება მხოლოდ ამ სახის ტვირთისთვის განკუთვნილ საგანგებოდ აღჭურვილ ავტომატარებლებსა და კონტრეილერებში.

მუხლი 195

1. გადასაზიდად დატვირთული ან ცარიელი ავტომატარებლებისა და კონტრეილერების მიღებისას მათი ყველა უწესივრობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის რკინიგზის პერსონალსა და ტვირთის შენახვას (კაბინის შუშის დაზიანება, ფარების უქონლობა და სხვ.), ტვირთგამგზავნის (მძღოლ-ექსპედიტორის) მიერ აღინიშნება ზედანადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები“.

2. თუ ზედნადებში არ არის საკმარისი ადგილი ავტომატარებლებისა და კონტრეილერების უწესივრობათა ჩამოსათვლელად, ტვირთგამგზავნი (მძღოლ-ექსპედიტორი) თავის შტემპელიან ფურცელზე (ბლანკზე) 4 ეგზემპლარად ჩამოწერს ნაკლოვანებებს და აწერს ხელს ამ ნუსხას. ამ შემთხვევაში, თითოეულ ეგზემპლარზე აღინიშნება ზედნადების ნომერი და სადგურის კალენდარული შტემპელი. ნუსხის ერთი პირი თან ერთვის ზედნადებს, მეორე, ტვირთის მიღების ქვითართან ერთად, ბარდება ტვირთგამგზავნს (მძღოლ-ექსპედიტორს), მესამე რჩება გაგზავნის სადგურს, ხოლო მეოთხე პირი იდება ავტომობილის ან კონტრეილერის ძარაში. ამ შემთხვევაში, ზედნადების მე-4 გრაფაში აღინიშნება: „უწესივრობათა ნუსხა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის რკინიგზის პერსონალს და გადაზიდვას, თან ერთვის“ და „ძარაში ტვირთის განლაგება არ ემუქრება რკინიგზით გადაზიდვის უსაფრთხოებას“.

3. დაუზიანებელი საკეტ-საპლომბი მოწყობილობის მქონე ავტომატარებლები და კონტრეილერები დანიშნულების სადგურში გაიცემა ვიზუალური დათვალიერებით.

მუხლი 196

დანიშნულების სადგურში ან სადგურიდან ავტომატარებლების შეყვანა-გამოყვანასა და კონტრეილერების შეტანა-გამოტანას, სადგურის საბარგო სამსახურის ან ტერმინალის მიერ გაცემული საშვით, უზრუნველყოფს შესაბამისად ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები თავისი ხარჯით.

თავი XVIII
მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 197

1. მალფუჭებად ტვირთს განეკუთვნება ტვირთი, რომელიც რკინიგზით გადაზიდვისას მოითხოვს მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებისგან დაცვას, მოვლას ან სვლის გზაზე განსაკუთრებულ მომსახურებას.

2. მალფუჭებადი ტვირთის ნუსხა, აგრეთვე თერმულ-ტექნოლოგიური დამუშავებისა და წლის პერიოდის კვალობაზე მისი გადაზიდვის ზღვრული ვადები მოცემულია ამ წესების დანართში.

3. მალფუჭებადი ტვირთი გადაიზიდება იზოთერმულ ვაგონებში (სარეფრიჟერატორო ვაგონი, ვაგონ-თერმოსი, ცისტერნა-თერმოსი, იზოთერმული ვაგონ-ცისტერნა), დახურულ ვაგონებში, უნივერსალურ და სარეფრიჟერატორო კონტეინერებში.

მუხლი 198

1. მოძრავ შემადგენლობაზე იმ მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ წესის დანართში, დაიშვება განსაკუთრებული პირობებით, რომლებსაც ადგენს რკინიგზა, დაინტერესებულ ტვირთგამგზავნთან და ტვირთმიმღებთან ერთად. ამ პირობების დაცვის შემთხვევაში ტვირთის ხარისხისა და ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა რკინიგზას არ ეკისრება.

2. განსაკუთრებული პირობებით, აგრეთვე, გადაიზიდება ის მალფუჭებადი ტვირთი, რომლის მდგომარეობა და შეფუთვა არ შეესაბამება სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, რის გამოც იგი შეიძლება გადაიზიდოს დადგენილი ზღვრული ვადების გადამეტებით.

3. თუ რკინიგზას არა აქვს ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც გადაზიდვის პროცესში შესაძლებელია ტვირთგამგზავნის მიერ მოთხოვნილი ტემპერატურელი რეჟიმის ან გადაზიდვის სხვა პირობების დაცვა, რკინიგზას უფლება აქვს, არ მიიღოს ტვირთი გადასაზიდად.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

მუხლი 199

1. წლის პერიოდები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ხერხი, მოცემულია ამ წესების დანართში. ამინდის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე რკინიგზას უფლება აქვს, დროებით შეცვალოს გადაზიდვის დაწყებისა და დამთავრების ვადები.

2. მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ხერხის განსაზღვრისას, ტვირთგამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს მისი ხანგრძლივობა, აგრეთვე ტვირთის შესანარჩუნებლად ყველაზე უფრო ნაკლებად ხელსაყრელი წლის პერიოდი.

3. თუ ამ წესის შესაბამისად, მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ხერხს განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი იგი ვალდებულია, ამის თაობაზე გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები”.

მუხლი 200

1. გადასაზიდად წარდგენილი მალფუჭებადი ტვირთი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიული დოკუმენტებით დაწესებულ მოთხოვნებს.

2. მალფუჭებადი ტვირთი გადაიზიდება შემდეგი სახის სატრანსპორტო ტარით:

ა) ხის, ფირფიცრის, მუყაოს, პოლიმერული ყუთებითა და ხონჩა-ყუთებით;

ბ) კასრებით;

გ) ტომრებით;

დ) ბადეებით;

ე) ბიდონებით;

ვ) მათარებით;

ზ) სპეციალიზიბული ქვეშებით.

3. მალფუჭებადი ტვირთის გადასაზიდი ტარა უნდა იყოს წესივრული, სუფთა და უზრუნველყოფდეს ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვას და დაწყობას მექანიზირებული საშუალებებით.

მუხლი 201

1. გაციებული, გაყინული და ახალგაყინული ხორცი (დაუფეშხოებელი ნაკლავი, ფეშხო, ნახევარფეშხო) შეიძლება გადაიზიდოს შეუფუთავად.

2. რკინიგზის მოთხოვნით ტვირთგამგზავნი ვალდებულია, წარმოადგინოს ტვირთის (ტარის) მიმართ დადგენილი სტანდარტები და ტექნიკური პირობები, ხოლო, თუ იგი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას ან დადგინდება ტვირთის (ტარის) შეუსაბამობა სტანდარტებთან (ტექნიკურ პირობებთან), რკინიგზა უფლებამოსილია, უარი თქვას ამ ტვირთის გადაზიდვაზე.

მუხლი 202

1. რკინიგზას უფლება აქვს, შერჩევით შეამოწმოს გადასაზიდად წარმოდგენილი მალფუჭებადი ტვირთის ხარისხი, ტარის მდგომარეობა და მათი შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტებისადმი. შემოწმება ხორციელდება ტვირთის გადასაზიდად წარდგენის პროცესში. გაციებული, გაყინული და ახალგაყინული ტვირთის ტემპერატურა უნდა გაიზომოს ვაგონში დატვირთვისას. ცალკეული სატვირთო ადგილების გახსნას და შემოწმების შემდეგ ტვირთის შეფუთვას, აგრეთვე ვაგონის (კონტეინერის) დაპლომბვას ახორციელებს ტვირთგამგზავნი

2. გადასაზიდად მიღებასა და გაცემისას რკინიგზა არ ამოწმებს ჰერმეტულად შეფუთული ტვირთის ხარისხს.

მუხლი 203

1. გადასაზიდად მალფუჭებადი ტვირთის წარდგენისას ტვირთგამგზავნი ვალდებულია, გადაზიდვის საბუთებთან ერთად, გაგზავნის სადგურს წარუდგინოს ტვირთის ხარისხის დამადასტურებელი საბუთი და მიუთითოს ზედნადებში მისი დასახელება, ნომერი, გაცემის თარიღი და ტვირთის ტრანსპორტაბელობის ვადა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბუთთან ერთად ტვირთგამგზავნი ვალდებულია, წარმოადგინოს:

ა) ხილბოსტნეულის გადაზიდვისას – ტოქსიკური ნივთიერების და პესტიციდების შემცველობის საბუთი;

ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის გადაზიდვისას – ვეტერინარული მოწმობა ან სერტიფიკატი;

გ) საკარანტინო ზონიდან ხილ-ბოსტნეულის, ცოცხალი მცენარეულის, სათესლე და სარგავი მასალის საექსპორტო-საიმპორტო გადაზიდვისას – ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

3. დაფასოებულ მინერალურ წყალსა და ღვინოზე ხარისხის საბუთების წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

მუხლი 204

1. ტვირთის დასახელების, თვისებების, გადაზიდვის უსაფრთხოების აუცილებელი ზომების ზედნადებში არასწორი მითითების, აგრეთვე გადასაზიდად აკრძალული მალფუჭებადი ტვირთის გაგზავნის შემთხვევაში, ტვირთგამგზავნი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მალფუჭებადი ტვირთი გადასაზიდად არ მიიღება, თუ ზედნადებში მითითებული ტრანსპორტაბელურობის ვადა ამ წესებით დადგენილ ვადაზე ნაკლებია.

მუხლი 205

1. საერთო სარგებლობის ადგილებში დასატვირთად ტვირთგამგზავნის მიერ მალფუჭებადი ტვირთის სადგურში შეზიდვა დაიშვება მხოლოდ მიღებული განაცხადის საფუძველზე, სადგურთან შეთანხმებულ დატვირთის დღეს.

2. ზაფხულის ან წლის გარდამავალ პერიოდში გაციებული ან გაყინული ტვირთი, აგრეთვე ტვირთი, რომელიც ვერ უძლებს გაყინვას ზამთრის პერიოდში, დატვირთვის ადგილზე მიტანილი უნდა იქნეს გარე ჰაერის ტემპერატურისგან დაცული.

მუხლი 206

1. რკინიგზა ვალდებულია, მალფუჭებადი ტვირთის დასატვირთად წარმოადგინოს გამართული და ვეტერინარიულ-სანიტარიული მოთხოვნების შესაბამისი ვაგონები და კონტეინერები. ვაგონების (კონტეინერების) შესაბამისობას ვეტერინარულ-სანიტარიულ მოთხოვნებისადმი განსაზღვრავს სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური.

2. სპეციალიზებული ცისტერნების მომზადებას რძის, ღვინისა და სხვა თხევადი სასურსათო ტვირთის გადასაზიდად უზრუნველყოფს ტვირთგამგზავნი, თუ ცისტერნები რკინიგზამ მას გადასცა ვადიან სარგებლობაში.

3. სხვადასხვა სახეობის მალფუჭებადი ტვირთის ერთობლივი გადაზიდვა ერთ ვაგონში (კონტეინერში) დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტვირთი უსუნოა და არ იკარებს სხვა ტვირთის სუნს, აქვს გადაზიდვის ერთნაირი პირობები და მომსახურების ხერხი. ამგვარი გადაზიდვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე უფრო მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ვადას.

მუხლი 207

1. მალფუჭებადი ტვირთის მისამართის შეცვლა ხდება:

ა) პირვანდელ დანიშნულების სადგურებში – ახალი გადაზიდვის საბუთების გაფორმებით, ხარისხის შესახებ ახალი საბუთის თანდართვით და ტვირთგამგზავნის მიერ ვაგონზე (კონტეინერზე) ახალი საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაყენებით;

ბ) სვლის გზაზე – გადაზიდვისა და ხარისხის პირვანდელი საბუთებით, თუ ტვირთი დანიშნულების სადგურში შეიძლება მიტანილი იქნეს ზედნადებში მითითებული ტრანსპორტაბელობის ვადის გასვლამდე;

გ) საექსპორტო-საიმპორტო ტვირთის – პირვანდელი გადაზიდვის საბუთით, თუ ზედნადებში მითითებული ტვირთის ტრანსპორტაბელობის ვადა გადის ახალი დანიშნულების სადგურში მიტანის ვადის შემდეგ, ხოლო, თუ ეს ვადა გადის ტვირთის მიტანამდე, ტვირთის მისამართი შეიცვლება გადაზიდვისა და ხარისხის ახალი საბუთების გაფორმებით.

2. იკრძალება მალფუჭებადი ტვირთით დატვირთული ცალკეული ვაგონების მისამართის შეცვლა, თუ ისინი ჩართულია სარეფრიჟერატორო სექციის შემადგენლობაში.

3. იმ ტვირთის მისამართის შეცვლა, რომლის გადაზიდვისას დარღვეულია მიტანის ვადა, გადაზიდვის ტემპერატურული რეჟიმი, ვენტილირების წესი და გადაზიდვის სხვა პირობები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ტვირთის ხარისხის დაქვეითება, აგრეთვე ამ ტვირთის გადაზიდვა დაზიანებული ან გზად მდებარე სადგურების საკეტ-საპლომბი მოწყობილობით ნებადართულია ამ დარღვევების აღმოფხვრისა და ახალი ხარისხის საბუთის გაცემის პირობით.

მუხლი 208

1. მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის სიჩქარეს ირჩევს და ზედნადებში აღნიშნავს ტვირთგამგზავნი. ეს წესი არ ვრცელდება ამ ტვირთის გადაზიდვისას იზოთერმულ ვაგონებში, რომელიც მხოლოდ დიდი სიჩქარით ხორციელდება.

2. გადაზიდვის ვადის ან სარეფრიჟერატორო ვაგონში ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით მიტანილი მალფუჭებადი ტვირთის გაცემისას დანიშნულების სადგურში, რკინიგზა ვალდებულია, შეამოწმოს მისი მდგომარეობა, წონა და ადგილების რაოდენობა.

3. სარეფრიჟერატორო ვაგონში, გარკვეული ტემპერატურული რეჟიმის დაცვით გადაზიდული მალფუჭებადი ტვირთის გაფუჭებისას დგება კომერციული აქტი, რომელსაც თან უნდა დაერთოს მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ამონაწერი გზაში ტემპერატურული რეჟიმის ჟურნალიდან.

მუხლი 209

1. თუ ტვირთგამგზავნის განაცხადის საფუძველზე, მალფუჭებადი ტვირთი უნდა გადაიზიდოს საღუმელე გათბობით აღჭურვილი სავაგონო გზავნილებით, რკინიგზა გამოყოფს დახურულ ვაგონებს. ღუმლებისა და საღუმელე მოწყობილობის მიტანა-დაყენებას უზრუნველყოფს ტვირთგამგზავნი, თავისი სახსრებით.

2. მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვა გამყოლის თანხლებით ხორციელდება შესაბამისი წესების საფუძველზე. ტვირთგამგზავნის განაცხადის მიღებისას, რკინიგზას შეუძლია, გამოუყოს მას გამყოლისთვის ცალკე ვაგონი და მოსთხოვოს დადგენილი საფასურის გადახდა.

3. ხელშეკრულების საფუძველზე ან რკინიგზის ნებართვით გამყოლს უფლება აქვს, იმგზავროს სარეფრიჟერატორო სექციის სამსახურებრივ ან ავტონომიურ სარეფრიჟერატორო ვაგონში, რომელსაც აქვს სამსახურებრივი განყოფილება.

მუხლი 210

1. მალფუჭებადი ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთგამგზავნი ვალდებულია, დაასუფთაოს ვაგონები (კონტეინერები), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გაწმინდოს იზოთერმული ვაგონების (კონტეინერების) იატაკი და კედლები.

2. მალფუჭებადი ტვირთის, ცხოველური წარმოშობის ნედლი პროდუქტებისა და ცხოველების გადაზიდვის შემდეგ ვაგონებს რეცხავს, საჭიროებისას კი, დეზინფექციას უტარებს, რკინიგზა, ტვირთმიმღების ხარჯით. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვის შემდეგ ვაგონების დამუშავების წესსა და რეჟიმს განსაზღვრავს სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური.

3. კონტეინერების, მათ შორის, სარეფრიჟერატორო კონტეინერების გარეცხვა-დეზინფექციას უზრუნველყოფს ტვირთმიმღები, ხოლო საქვეკარანტინო ტვირთის, ვაგონებისა და კონტეინერების გაუსნებოვნებას – საკარანტინო კონტროლის შესაბამისი სამსახური.

4. იმ ვაგონის მომართ, რომელმაც გაიარა ვეტერინარულ-სანიტარული დამუშავება, დადგენილი წესით გაიცემა შესაბამისი საბუთი სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ. სარეფრიჟერატორო სექციით ან სამსახურებრივი განყოფილებით აღჭურვილი ავტონომიური სარეფრიჟერატორო ვაგონის ვეტერინარულ-სანიტარიული დამუშავების შემდეგ, მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელს გადაეცემა ამ საბუთის ასლი, რომელიც წარმოადგენს მასში მალფუჭებადი, მათ შორის, ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებისადმი საქვეკონტროლო ტვირთის, ჩატვირთვის საფუძველს.

მუხლი 211

1. მალფუჭებადი ტვირთის სარეფრიჟერატორო სექციაში გადაზიდვისას ტვირთგამგზავნი ვალდებულია, თითოეულ სატვირთო ვაგონზე წარმოადგინოს ზედნადები და სხვა თანმხლები საბუთები.

2. სავაგონო პარტიაზე ნაკლები რაოდენობის იმპორტული მალფუჭებადი ტვირთი, რომელიც არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით გადაიზიდება საზღვაო ნავსადგურების ან სასაზღვრო გადამცემი სადგურების გავლით, შეიძლება ერთ გზავნილად გადაზიდული იქნეს იზოთერმულ დახურულ ვაგონში, აგრეთვე უნივერსალურ და სარეფრიჟერატორო კონტეინერში, ტვირთის დაცულობის უზრუნველყოფის პირობით.

მუხლი 212

1. მალფუჭებადი ტვირთის დატვირთვისას ტვირთგამგზავნმა ვაგონში (კონტეინერში) მისი დაწყობა და განთავსება უნდა უზრუნველყოს ადგილების გაუჭუჭყიანებლად, ტარისა და ვაგონის (კონტეინერის) შიდა მოწყობილობის დაუზიანებლად.

2. თუ ვაგონს (კონტეინერს) კედლებზე ვერტიკალური ძელაკები ან გოფრები (ღვლარჭნილები) აქვს, მალფუჭებადი ტვირთი მათზე მიბჯენით უნდა იქნეს დაწყობილი, ხოლო ძელაკების და გოფრების არასებობისას, ტორსული და გრძივი კედლებიდან 4-5 სმ მანძილის დაშორებით.

მუხლი 213

1. მალფუჭებადი ტვირთი, ხილ-ბოსტნეულის გარდა, დაიწყობა მჭიდრო შტაბელად (თაკარად), ლარტყების გამოუყენებლად.

2. მჭიდროდ დაწყობისას ყუთები განლაგებული უნდა იყოს ერთმანეთთან მიჯრით და ტორსული კედლების გაყოლებით. ყუთების ზომისა და სატვირთო სათავსის სიგანის არაჯერადობის გამო ვაგონის (კონტეინერის) სიგანეზე, ყუთებს შორის, წარმოშობილი ღიობი თანაბრად უნდა განაწილდეს.

3. სატვირთო ადგილების ზომისა და ვაგონების (კონტეინერების) სიგანის არაჯერადობისას, კასრით, ტომრით, ბადით გადასაზიდი ტვირთი განლაგებული უნდა იყოს ვაგონის (კონტეინერის) გრძივი ღერძის სიმეტრიულად.

მუხლი 214

1. კასრებს განალაგებენ ვერტიკალურად დასაგმანი ძროთი, ერთ ან რამდენიმე იარუსად, მილისით მაღლა, ან აწყობენ ჰორიზონტალურად, თუ მილისი გვერდიდან არის განლაგებული. კასრების განლაგებისას რამდენიმე იარუსად, სავალდებულოა შუასადებების გამოყენება.

2. 200 დმ^3-ზე მეტი ტევადობის კასრები უნდა დაიწყოს შუასადებზე, რომლის სისქე სულ ცოტა 2,5 სმ, სიგანე 15-20 სმ, სიგრძე კი, კასრების უდიდესი დიამეტრის სიგრძის შესაბამისია.

3. იზოთერმულ ვაგონებში კასრების შესაგორებლად იატაკის ცხაურებზე სავალდებულოა ფიცრების დაფენა ან დაფის დაგება.

4. იზოთერმულ ვაგონებში, აკრძალულია, 400 დმ^3-ზე მეტი, ხოლო კონტეინერებში, – 100 დმ^3-ზე მეტი ტევადობის კასრების ჩატვირთვა.

5. დატვირთვის თითოეულ იარუსზე და რიგში დაწყობილი უნდა იყოს ერთნაირი ზომის და ტიპის კასრები. თუ ერთნაირი ზომის კასრების რაოდენობა ვერ ავსებს ვაგონის (კონტეინერის) სრულ ტევადობას, ერთგვაროვნების პრინციპი გათვალისწინებული უნდა იქნეს კასრების იარუსებად დაწყობისას. ამ შემთხვევაში, პირველ იარუსზე იწყობა უფრო მძიმე კასრები.

6. დახურულ ვაგონებში და უნივერსალურ კონტეინერებში ზამთრის პერიოდში გადაზიდვისას, კასრში შეუვსებელი უნდა დარჩეს მისი ტევადობის 10 - 15%, რის თაობაზეც ტვირთგამგზავნი ვალდებულია, მიუთითოს ზედნადების შესაბამის გრაფაში.

მუხლი 215

1. ყუთებში ჩაწყობილი ხილ-ბოსტნეული ვაგონში განლაგდება შემდეგი წესით:

ა) ჭადრაკულად დაწყობისას – კენტ იარუსებზე მოთავსებული ყუთები განლაგდება ვაგონის სიგრძის გაყოლებით, ერთმანეთს შუა 4 - 5 სმ-ზე, ვაგონის ერთი გასწვრივი კედლისაგან 7 - 8 სმ და მეორისაგან 2 - 3 სმ მანძილის დაშორებით. იმავე თანმიმდევრობით იწყობა ყუთები ლუწ იარუსებზე იმ განსხვავებით, რომ ქვემოთ განლაგებულ კენტ იარუსებზე მოთავსებულ ყუთებს შორის არსებული ღიობები გადაფარული უნდა იყოს სულ ცოტა 2 - 3 სმ პირგადადებით. განაპირა ყუთები შეიძლება გამოწეული იყოს არა უმეტეს მათი სიგანის ერთი მესამედით;

ბ) ვერტიკალურად დაწყობისას – ფიცრის ყუთები განლაგდება ვაგონის სიგრძის გაყოლებით, მჭიდროდ ერთმანეთთან და ვაგონის ტორსულ კედლებთან, ხოლო განივად – ყუთებს შუა, აგრეთვე ტვირთის შტაბელებსა და გრძივ კედლებს შორის 4-5 სმ ღიობის დატოვებით. ყოველი ორი იარუსის შემდეგ ყუთების ზედაპირზე იდება 2-3 სმ განივკვეთის ლარტყები, რომელთა ბოლოები ებჯინება ვაგონის გრძივ კედლებს. ზედა ორ იარუსზე ყუთები უნდა დაიწყოს ლარტყებზე, ხოლო მომდევნო იარუსების ყუთები ზუსტად ეწყობა ქვედა რიგის ყუთებზე;

გ) ხონჩა-ყუთები და მუყაოს ყუთები იწყობა მჭიდრო ლარტყების გამოუყენებლად. ხონჩა-ყუთები განლაგდება გრძივად ვაგონის გასწვრივ, მჭიდროდ ერთმანეთთან და გრძივ კედლებთან ისე, რომ ქვედა ხონჩა-ყუთების ყველა დგარი ზუსტად ჯდებოდეს ზედა ყუთებში მათთვის დატოვებულ კილოებში.

2. ზედა იარუსის მომიჯნავე ყუთების დგარებს ერთი მეორეზე აბამენ მავთულით ან ხეზით.

3. ვაგონში (კონტეინერში) ბოსტნეულის ტომრებსა და ბადეებს აწყობენ ვერტიკალურად, რამდენიმე იარუსად.

4. ზამთრის პერიოდში ბანანის გადაზიდვისას, მისი გადამეტცივობის თავიდან აცილების მიზნით, მუყაოს ყუთების (კოლოფების) ქვედა რიგი თავსდება ქვეშზე, რომელიც იატაკის ცხაურებზე იდება. ბანანის ყუთები იწყობა მჭიდრო შტაბელებად, ღრეჩოების დაუტოვებლად, ან ჭადრაკულად.

მუხლი 216

1. პაკეტები იზოთერმულ ვაგონებში ქვეშზე იდება იატაკის ცხაურებზე, ხოლო დახურულ ვაგონებში (კონტეინერებში) – იატაკზე.

2. თუ პაკეტიანი ქვეშის სიმაღლე 110 სმ-ს არ აღემატება, პაკეტებს აწყობენ ორ იარუსად, ხოლო თუ სიმაღლე უფრო მეტია – ერთ იარუსად.

3. ქვეშებზე, რომლებზეც თერმოშეკლებადი პოლიმერული აფსკია გადაჭიმული, პაკეტების პირველ და მეორე იარუსებს შორის, დაცურების თავიდან ასაცილებლად, ჩაეფინება მუყაოს შუასადები. კართშორის სივრცეში პაკეტებს ქვეშებზე აყენებენ ერთ იარუსად, ვაგონის ნებისმიერი კარებიდან მათი მექანიკური გადმოტვირთვის უზრუნველსაყოფად.

4. 180 სმ-ზე მეტი სიმაღლის პაკეტები გადასაზიდად არ მიიღება. ქვეშები იწყობა გრძივი გვერდით ვაგონის სიგანეზე, ორ-ორი რიგში. ვაგონი უნდა დაიტვირთოს ქვეშების სრული კომპლექტით. პაკეტებს შორის 150 მმ-ზე მეტი მანძილის არსებობისას ისინი უნდა დამაგრდეს.

5. ტვირთის ორ იარუსად განლაგებისას, შტაბელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მეორე იარუსის განაპირა პაკეტები, კარშორის სივრცესთან, მაგრდება წინა რიგის პაკეტებთან მავთულგრეხილით – 4 მმ დიამეტრის ორძაფიანი მომწვარი მავთულით ან განმბჯენებით.

6. პაკეტის ჩატვირთვა-გადმოტვირთვისას, დატვირთვა იზოლირებული ვაგონის იატაკის ცხაურებზე და იატაკზე არ უნდა აღემატებოდეს 1200 კგ., ხოლო დახურული ვაგონისა – 1500 კგ.

მუხლი 217

1. ტვირთის ვაგონში განლაგება უნდა უზრუნველყოფდეს ორივე მხრიდან კარების თავისუფალ გაღებას. ტარიან-საფუთავი და ცალკეული ტვირთი იწყობა კართშორის სივრცეში, კარიდან 25 სმ-ის დაშორებით. თუ ამგვარად დაწყობილი ტვირთი არამდგრადია განივი მოძრაობის მიმართ, მაშინ კარსა და ტვირთს შუა დატანებულ უნდა იქნეს არანაკლებ 4 სმ სიგრძის ფიცრები ან დაფები. ამ შემთხვევაში, ტვირთი შეიძლება ფიცრებთან მჭიდროდ მიებჯინოს.

2. თუ ყუთების სიგრძე არ არის ვაგონის სიგრძის ჯერადი, ან თუ იგი განლაგებულია ჭადრაკულად, კართშორისი სივრცე 70 – 100 სმ სიგანეზე უნდა შემოიღობოს განმბჯენებით, რომლებიც შეიკვრება 18 – 20 სმ სიგანისა და 6 – 8 სმ საერთო სისქის ფიცრებისგან ან 10 – 15 სმ დიამეტრის მრგვალი დგარებისგან. ორი ზედა იარუსის ყუთები უნდა ეყრდნობოდეს განმბჯენების ფიცრებს. განმბჯენების მოწყობისას აკმალულია ვაგონის კედლებსა და იატაკში ლურსმნების ჩაჭედება.

მუხლი 218

1. დაუფეშხოებელ ნაკლავად, ფეშხოებად და ნახევარფეშხოებად გაყინული ხორცი, რომელიც შეუფუთავად გადაიზიდება, თავსდება იზოთერმულ ვაგონებში მკვრივ შტაბელად, იატაკის ცხაურებსა და კედლებზე, ჩატვირთვის მთელ სიმაღლეზე, ქაღალდის წინასწარი ჩაფენით ისე, რომ დატოვებული იქნეს ადგილი ცხაურებსა და კედლებს შორის ცივი ჰაერის ცირკულირებისთვის.

2. ნახევარფეშხოები იწყობა ვაგონის ტორსული კედლებიდან დაწყებული. პირველ რიგში ათავსებენ წინა მხარეს, კისრის გადანაჭერით ტორსული კედლისკენ, ხოლო გარე ზედაპირით – ცხაურისკენ, მეორე იარუსში – უკანა მხარეს, მესამეში – ისევ წინა მხარეს, კისრის გადანაჭერით კართშორისი სივრცისკენ და ა.შ. კართშორის სივრცეში, ჩატვირთვის საწინააღმდეგო კარიდან ვაგონის სიგრძივი ღერძის მიმართულებით, დაიწყობა კისრის გადანაჭერები.

3. ცხვრისა და ღორის დაუფეშხოებელი ნაკლავი იწყობა ვაგონის გასწვრივ კართშორის სივრცემდე, სადაც ნაკლავი თავსდება ვაგონის გარდი-გარდმო.

მუხლი 219

1. ხელოვნურად და ბუნებრივად გაცივებული ხორცი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო ვაგონებით, კოჭის კაკვებზე ჩამოკიდებული ისე, რომ დაუფეშხოებელი ნაკლავი, ფეშხოები და ნახევარფეშხოები არ ეხებოდეს ერთმანეთს, ვაგონის იატაკსა და კედლებს, ფეშხოების და ნახევარფეშხოების მარჯვენა ნახევრები იმყოფებოდეს ვაგონის კარიდან ერთ მხარეს, ხოლო მარცხენა ნახევრები – მეორე მხარეს, და მათი შიდა მხარე მიმართული იყოს ტორსული კედლისკენ, რომელზეც დაყენებულია ხელსაწყოები. საქონლის ნახევარფეშხოები და დაუფეშხოებელი ცხვარი დაკიდული უნდა იყოს კაკვებზე ორ იარუსად. დიდი ზომის ფეშხოები და ნახევარფეშხოები კაკვზე იკიდება ჭადრაკული წესით. გაციებული ღორის ხორცი, რომელიც დაჩეხილია ნახევარფეშხოებად, და ყველა სხვა სახის ცხოველის ხორცი, ადგილების მოცულობის კვალობაზე, იკიდება ისევე, როგორც საქონლისა და ცხვრის ხორცი.

2. შეყინული ხორცი, რომელიც განკუთვნილია სამრეწველო გადამუშავებისთვის, დაიწყობა არა უმეტეს 1,6 მ. სიმაღლის შტაბელებად ვაგონის გრძივი ღერძის გაყოლებით,.

3. დაფასოებული მყარი მარგარინის, საკონდიტრო, პურ-ფუნთუშეულისა და კულინარული ცხიმის ჩატვირთვისას ტვირთგამგზავნმა მუყაო უნდა ჩააფინოს ვაგონის იატაკისპირა ცხაურზე. ამგვარი ტვირთის განლაგება მუყაოს ყუთების ტორსზე არ დაიშვება.

მუხლი 220

1. ფუტკრის სკები ან ფუტკრის ფანერის პაკეტები, დახურული ვაგონებით გადაზიდვისას, თავსდება რამდენიმე იარუსად ისე, რომ ვენტილაციური ხვრელები არ გადაიხუროს და რიგებს შორის იყოს გამყოლთა გასავლელი ადგილი. სიმყარისთვის პაკეტები ან სკები დაფებზე მაგრდება ლურსმნით, ხოლო ბოლო რიგები, გასასვლელთან, მაგრდება ვერტიკალური ძელებით.

2. სათესლე რკოს ყუთები ვაგონში იდგმება ვერტიკალური წესით. დახურულ ვაგონში ჩატვირთვისას სათესლე რკოს ყუთების ქვედა იარუსი თავსდება შუასადებზე.

მუხლი 221

1. ხილ-ბოსტნეულის დაწყობის მაქსიმალური სიმაღლე, ვაგონის ტიპის მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ზომებს:

ა) საადრეო ჯიშების ყურძნის, გარგარის, ატმის, ალუჩის, ალუბლის, ბლის, ქლიავის, ვაშლის და მსხლის, ყუთებში – 1,8 მ;

ბ) საადრეო კომბოსტოს, საგვიანო კიტრის, ვაშლის, მსხლის, კომშის, მწვანე ბანანის, პამიდვრის, ნესვისა და სხვა ხილ-ბოსტნეულის, ყუთებში, ვაგონ-მაცივრებში – 2,0 მ;

გ) ხილ-ბოსტნეულის ხონჩა-ყუთებში, სარეფრიჟერატორო ვაგონებში – 1,7 მ;

დ) ხილ-ბოსტნეულის ხონჩა-ყუთებში, დახურულ ვაგონებში – 1,6 მ;

ე) საადრეო ვაშლის და მსხლის, ყუთებში, დახურულ ვაგონებში - 1,6 მ;

ვ) ჭყინტი და ბაზი სიმინდის ტაროს, ყუთებში, სარეფრიჟერატორო ვაგონში: წინასწარ შეციებულის - 1,6 მ, შეუციებელის – 1,2 მ;

ზ) ნესვის, საზამთროსა და გოგრასი, ყუთის ქვეშში ან ყუთებში: სარეფრიჟერატორო ვაგონებში – 2-3 იარუსს, დახურულ ვაგონებში – 2 იარუსს;

თ) საგვიანო კარტოფილის, თავიანი ხახვის, სუფრის ჭარხლის, სტაფილოსი, კომბოსტოსი და სხვა ბოსტნეულისა, რომელიც შეფუთულია ტომრებსა ან ბადეებში, სარეფრიჟერატორო და დახურულ ვაგონებში – 1,6 მ;

ი) საგვიანო ვაშლისა და მსხლის, კომშის, მკვახე ხურმის, ბროწეულის, საშუალო სიმწიფის კომბოსტოსი, ნესვის, პამიდვრის და სხვა ხილ-ბოსტნეულისა, ყუთებში, დახურულ ვაგონებში – 1,8 მ;

კ) საშუალო საგვიანო (1-ლი სექტემბრის შემდეგ) თავთეთრი კომბოსტოსა და საზამთროსი, უტაროდ (დაყრით), დახურულ ვაგონებში – 1,6 მ;

ლ) საგვიანო თავთეთრი კომბოსტოსი, საგვიანო შემოდგომაზე ამოღებული კარტოფილისა და სუფრის ჭარხლის, უტაროდ (დაყრით), დახურულ ვაგონებში გადაზიდვისას – 1,6 მ;

ო) წინა წლის მოსავლის კარტოფილის, უტაროდ (დაყრით), დახურულ ვაგონებში – 1,5 მ;

პ) გოგრის, უტაროდ (დაყრით), დახურულ ვაგონებში – 1,5 მ;

2. სუფრის ჭარხლის, საზამთროს და ნესვის დაყრით გადაზიდვის დროს ვაგონის იატაკი და კედლები, დატვირთვის სიმაღლეზე, მოფენილი უნდა იყოს მშრალი ნამჯის ან ხის ბურბუშელის 10 სმ სისქის ფენით.

3. ბოსტნეულის, კარტოფილის და ბაღჩეულის დაყრით გადაზიდვისას, ტვირთგამგზავნმა დახურული ვაგონების კართშორისი სივრცე უნდა შეღობოს ბოსტნეულის ფარებით.

მუხლი 222

1. მინერალური წყალი, უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლიანი, მათ შორის, გაზიანი წყალი და ლუდი, რომელიც დაფასოებულია პოლიმერულ ბოთლებსა (პეტ–ბოთლებში) და თუნუქის ქილებშია, უნდა შეიკრას შემოჭერილი თერმოშეკლებადი აფსკის ბლოკად.

2. „ტეტრა-ბლიკ ასეპტიკ" (შემდგომ – „ტბა") შეფუთვაში დაფასოებული ხილისა და ბოსტნეულის წვენი, ნექტარი, სტერილიზებული რძე და ნაღები, ხაჭო და ბრინზა შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთნაირი ტევადობის შეფუთვის ბლოკებად, რომელიც იდგმება თერმოშეკლებადი აფსკით შემოკრულ მუყაოს ხონჩაზე.

3. ბლოკები ვაგონებსა და კონტეინერებში გადაიზიდება მხოლოდ ქვეშებზე, პაკეტებად გაერთიანებული. ამ შემთხვევაში, პაკეტებს შემოკრული უნდა ჰქონდეს მკვრივი პოლიმერული თერმოშეკლებადი აფსკი.

4. პოლიმერული ბოთლების პაკეტების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მ-ს, ხოლო თუნუქის ქილებისა და „ტბა" შეფუთვისა – 1,1 მ-ს. პაკეტში, ბლოკების ჰორიზონტალურ რიგებს შუა, იგება მუყაო, ხოლო პაკეტები იწყობა ერთ იარუსად.

მუხლი 223

1. მალფუჭებადი ტვირთი იმ ყუთებში, რომელთა დატვირთვის სიმაღლე ამ წესებით არ არის განსაზღვრული, იწყობა ისეთ სიმაღლემდე, რომ ჩატვირთული ტვირთის მასა არ სცილდებოდეს ვაგონის ტრაფარეტულ ტვირთამწეობას. ტვირთის შტაბელის ზედა მხარესა და უმოწყობილობო ვაგონის ჭერს შორის უნდა რჩებოდეს სულ ცოტა 70 სმ. ზომის შუალედი თუ ვაგონში არის ჰაერსადენები და კაკვებიანი კოჭები, მათსა და ტვირთს შორის მანძილი არ უნდა იყოს 40 სმ-ზე ნაკლები. ასეთი სატვირთო ადგილების განლაგება კართშორის სივრცეში, საჭიროებისას, დაიშვება ვაგონის გასწვრივ, გარდიგარდმო ან დიაგონალზე კარის ღიობებში ორი ზედა იარუსის სიმაღლეზე ფიცრების შტაბელის დაყენებით, რაც უზრუნველყოფს ტვირთის კარზე მიბჯენასა და მთელი შტაბელის მდგრადობას.

2. ადგილიდან დაძვრის თავიდან ასაცილებლად, არ დაიშვება ყუთების საფეხურისებრი არასრულრიგოვანი დაწყობა ზედა იარუსებში.

მუხლი 224

1. ტვირთგამგზავნს უნდა ჰქონდეს მოწყობილობა, მასალები და სხვა სამარჯვები, რაც აუცილებელია მალფუჭებადი ტვირთის ჩატვირთვის, დამაგრებისა და გადაზიდვისთვის.

2. დატვირთვისას სამარჯვის დაყენებასა და გადმოტვირთვისას მის მოხსნას უზრუნველყოფს, შესაბამისად, ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები.

3. ტვირთმიმღების ყველა სამარჯვი, დანიშნულების სადგურში, ტვირთთან ერთად გადაეცემა ტვირთმიმღებს.

მუხლი 225

1. ვაგონში ხორცისა და ხორცპროდუქტების ჩატვირთვა ნებადართულია სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

2. ხორცისა და ხორცპროდუქტების ჩატვირთვის დანიშნული დროის შესახებ ტვირთგამგზავნი ვეტერინარულ სამსახურს ატყობინებს ვაგონის დასატვირთად ჩამოყენებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე.

3. ხორცსა და ხორცპროდუქტებს ტვირთგამგზავნი გადასაზიდად წარადგენს მხოლოდ იმ სადგურამდე და იმ ტვირთმიმღების მისამართით, რომელიც აღნიშნულია ვეტერინარულ მოწმობაში. დანიშნულების სადგურისა და ტვირთმიმღების შეცვლა დატვირთვის ან მისამართის შეცვლის დროს დაიშვება მხოლოდ ვეტერინარული სამსახურის თანხმობით.

მუხლი 226

ტვირთგამგზავნი ვალდებულია, გადასაზიდად წარადგინოს გაყინული ხორცი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და სხვა მსხვილფეხა ცხოველების ნაკლავი დაჩეხილი უნდა იყოს ფეშხოებად ან ნახევარფეშხოებად; ღორის ნაკლავი – გრძივ ფეშხოებად ან მთლიან უთავო ნაკლავად; ცხვარი და სხვა წვრილფეხა ცხოველები ხორცის გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს უთავოდ, მთლიანი ნაკლავის სახით;

ბ) ნაკლავზე, ფეშხოებსა და ნახევარფეშხოებზე არ უნდა იყოს შინაგანი ორგანოების ნარჩენები, შედედებული სისხლი, ფოჩები, ჭუჭყი, აგრეთვე ყინული და თოვლი. ნაკლავს, ფეშხოებსა და ნახევარფეშხოებს არ უნდა ჰქონდეს დაზიანებული ზედაპირი, გამოცლილი კანქვეშა ცხიმი, სისხლჩაქცევები და ნაჟეჟი ადგილები. სარეალიზაციოდ გამოსაშვებ გაყინულ ხორცს დასაშვებია ჰქონდეს ნაფხეკი ან კანქვეშა ცხიმის გამონაცალი ფართობზე, რომელიც არ აღემატება ზედაპირის 15%-ს;

გ) საქონლის, ცხვრისა და თხის ხორცის ტემპერატურა კუნთების სიღრმეში ძვლებთან, სარეფრიჟერატორო ვაგონებსა და სარეფრიჟერატორო კონტეინერებში ჩატვირთვისას, უნდა იყოს არა უმეტეს მინუს 8 გრადუსისა, ხოლო ღორის ხორცისა – არა უმეტეს მინუს 10 გრადუსისა;

დ) გაყინული ხორცის ბლოკები გახვეული უნდა იყოს პერგამენტში, პერგამენტისებრ ქაღალდში, ცელოფანში ან სხვა პოლიმერულ აფსკში, შეფუთული გოფრირებული მუყაოს ყუთებში ან სპეციალიზებულ იზოთერმულ მუყაოს კონტეინერებში, რომლებიც განლაგებულია დგარიან ან ბრტყელ ქვეშებზე;

ე) გადასაზიდად წარდგენისას, ტემპერატურა ბლოკის სიღრმეში არ უნდა აღემატებოდეს: ხორცის ბლოკებისა, ძვლებზე – მინუს 8 გრადუსს, ძარღვგამოცლილი ხორცის ბლოკების, ხორცისა და ფრინველის სუბპროდუქტებისა – მინუს 12 გრადუსს, მექანიკურად დამუშავებული ფრინველის ხორცის და ხორცის მასის ბლოკებისა – მინუს 18 გრადუსს;

ვ) გაყინული ხორცი და ხორცის ბლოკები, რომელიც საექსპორტოდ იგზავნება სასაზღვრო სადგურებში გადატვირთვით, წარდგენილი უნდა იყოს შეფუთული და გადაიზიდოს სარეფრიჟერატორო ვაგონებსა და სარეფრიჟერატორო კონტეინერებში. დასაშვებია გაყინული ხორცის შეუფუთავად გადაზიდვა დაუფეშხოებელი ნაკლავის და ფეშხოების სახით. ამ შემთხვევაში, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, ვაგონის იატაკსა და კედლებზე, ჩატვირთვის სიმაღლეზე,

დააფინოს სუფთა ქაღალდი და იმავდროულად ჩადოს ვაგონში სულ ცოტა 8 კგ ქაღალდი ვაგონების, იატაკისა და კედლების მოსაფენად. საექსპორტო ხორცის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს მინუს 10 გრადუსს, ხოლო ბლოკებისა – მინუს 12-დან მინუს 18 გრადუსამდე, პროდუქციის სახეობის კვალობაზე;

ზ) გაყინული ვეშაპის ხორცი და ჯიგარი გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს შეფუთულ ბლოკებად და მისი ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს მინუს 10 გრადუსს.

მუხლი 227

1. გაცივებული ხორცი გადასაზიდად მიიღება დაკვლის მომენტიდან არა უმეტეს 4 დღის შენახვის ვადით. ჩატვირთვისას, მისი ტემპერატურა, ძვლებთან, ყუთების სიღრმეში, უნდა იყოს 0-დან პლუს 4 გრადუსამდე. მას უნდა ჰქონდეს მშრალი ზედაპირი და შემხმარი ქერქი, რომელსაც არ უნდა ეტყობოდეს ობის, გალორწოვანებისა და დასველების კვალი. ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში ამგვარი ხორცის დაგროვებისა და გადაზიდვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 დღეს, ხოლო წლის გარდამავალ პერიოდში – 14 დღეს.

2. აკრძალულია დაჩეხილი ღორის ხორცის გაცივებულ მდგომარეობაში გადაზიდვა.

3. წლის გარდამავალ და ზამთრის პერიოდში ბუნებრივად გაციებულ მდგომარეობაში გადაიზიდება საქონლის, ძროხისა და ცხენის ხორცი, რომლის დაკვლის-შემდგომი შენახვის ვადაა არა უმეტეს 2 დღისა.

4. ბუნებრივად გაცივებულ ხორცს, გადასაზიდად წარდგენისას, ზედაპირზე უნდა ჰქონდეს შემხმარი ქერქი და ტემპერატურა ძვლებთან, კუნთების სიღრმეში, – პლუს 4-დან პლუს 12 გრადუსამდე.

მუხლი 228

1. სასურსათო მიზნით, სამრეწველო გადამუშავებისთვის შეყინული ხორცის გადაზიდვისას, ტვირთგამგზავნი ვალდებულია ზედნადების გრაფაში „ტვირთის დასახელება” დამატებით მიუთითოს ხორცის გაგზავნის მიზანი.

2. შეყინულ ხორცს, სარეფრიჟერატორო ვაგონებში ჩატვირთვისას, ზედაპირიდან 1 სმ სიღრმეზე უნდა ჰქონდეს ტემპერატურა მინუს 3 – 5 გრადუსი. შეყინული ხორცი დანაწევრებული უნდა იყოს გაყინულის ანალოგიურად. იგი უნდა იყოს მკვრივი და არ იდრიკებოდეს აწევისას.

3. შეყინული ხორცი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო ვაგონებში 0-დან მინუს 3 გრადუსამდე ტემპერატურით. მისი დაგროვებისა და გადაზიდვის საერთო ვადა, დაკვლის მომენტიდან, არ უნდა აღემატებოდეს: წლის ზაფხულის პერიოდში – 11 დღეს, გარდამავალ პერიოდში – 12 დღეს, ზამთრის პერიოდში – 15 დღეს.

მუხლი 229

1. ფრინველის ხორცი გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს ყუთებში შეფუთული.

2. გამოშიგნულ და ნახევრადგამოშიგნულ გაყინულ ფრინველის ნაკლავს უნდა ჰქონდეს ტემპერატურა ნაკლავის შიგნით არა უმეტეს მინუს 8 გრადუსისა, ხოლო გამოშიგნულ გაციებულ ნაკლავს – 0-დან პლუს 2 გრადუსამდე.

3. შენახვის საერთო ვადა, გაცივებული ფრინველის ხორცის ჩატვირთვამდე, და გადაზიდვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს გამომუშავების დღიდან.

მუხლი 230

1. ბოცვრის ნაკლავი გადასაზიდად მიიღება დაკლული ფრინველის ჩასაწყობად მოსახმარ ყუთებში, გაყინულ მდგომარეობაში, არა უმეტეს მინუს 9 გრადუსი ტემპერატურით.

2. ბოცვრის ნაკლავი უნდა იყოს გატყავებული, უთავო და ამოცლილი უნდა ჰქონდეს შინაგანი ორგანოები, თირკმლების გარდა.

3. ფრინველის, ბოცვრის ხორცი და გაუპუტავი ნანადირევი ფრინველი, რომელსაც აქვს ობის, გალორწოვანების ნიშნები, დაჰკრავს მჟავე სუნი, აგრეთვე აქვს ტენიანი ზედაპირი, გადასაზიდად არ მიიღება.

მუხლი 231

1. სუბპროდუქტი (თავი, ენა, ტვინი, დრუნჩი, ფეხი, გული, ფილტვები, ჯიგარი, თირკმელი, ყურები, კუდი, კუჭი, ელენთა, ცური) სასურსათო მიზნებისთვის გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ გაყინულ მდგომარეობაში და ტემპერატურა ქსოვილის სიღრმეში არ უნდა იყოს მინუს 12 გრადუსზე მეტი.

2. სუბპროდუქტი იფუთება მუყაოს ყუთებში, იზოთერმულ მუყაოს კონტეინერებში ან ქაღალდის ტომრებში.

3. სუბპროდუქტი უნდა იყოს ახალი, სუფთა, არ უნდა ეტყობოდეს გაფუჭების ნიშნები. თავ-ფეხი და ყურები გადაიზიდება დაფუფქული (შეტრუსული) სახით და უბეწვოდ.

4. ვეტერინარული სამსახურის ნებართვით დაიშვება პირუტყვის საკვებად განკუთვნილი დაბრიკეტებული გაყინული სუბპროდუქტის უტაროდ გადაზიდვა, ვაგონის იატაკზე და კედლებზე, დატვირთვის სიმაღლეზე, ქაღალდის გაკვრის პირობით.

5. სუბპროდუქტის გადაზიდვისას, ტვირთგამგზავნი ვალდებულია, მიუთითოს გამგზავნის გრაფაში „განსაკუთრებული განცხადებებისა და აღნიშვნები“: „სუბპროდუქტები განკუთვნილია სასურსათო მიზნებისათვის ან პირუტყვის საკვებად“.

მუხლი 232

1. ენდოკრინულ-ფერმენტული (კუჭუკანა, ფარისებრი, თირკმლისზედა და სხვა ჯირკვლები, ჰიპოფიზი, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსი, სათესლეები, საკვერცხეები) და სამედიცინო წარმოებისთვის განკუთვნილი სპეციალური ნედლეული (ღორის ფილტვები, ტვინი, ჯიგარი, თირკმელები, ელენთა, თვალის მინისებრი სხეული, ენის ლორწოვანი გარსი) გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს არა უმეტეს მინუს 20 გრადუსი ტემპერატურით.

2. დასაშვებია ენდოკრინული ნედლეულისა და გაყინული ხორცის ერთობლივი გადაზიდვა სარეფრიჟერატორო ვაგონებში. ამ შემთხვევაში, გაყინული ხორცის ტემპერატურა, ჩატვირთვის დროს, არ უნდა აღემატებოდეს მინუს 20 გრადუსს.

3. ენდოკრინული ნედლეული იფუთება ტომრებში და ზედნადებში აღინიშნება: „ნედლეული სამედიცინო პრეპარატების წარმოებისთვის“.

მუხლი 233

1. სისხლისა და მისი ფრაქციების გაყინული ბლოკები (პლაზმა, შრატი, ფერმენტული ელემენტები) უნდა შეიფუთოს ყუთებში, ქაღალდის ან კომბინირებული მასალის ტომრებში და უნდა ჰქონდეს ტემპერატურა არა უმეტეს 12 გრადუსისა.

2. დაშაშხულ ბარკალს, მკერდის ორცს, „კორეიკას“ და სხვა უმადშებოლილ ხორცეულს (შემდგომ – შაშხეული) უვაკუუმო შეფუთვაში უნდა ჰქონდეს კარგად გამოხატული შაშხის სუნი, მშრალი, სუფთა, თანაბარზომიერად შებოლილი ზედაპირი, ხორცისა და ქონის გამონაგლეჯი ადგილების, ხორცის ფოჩების, ობისა და ჯაგრის ნარჩენების გარეშე.

3. შაშხეული გადაიზიდება ყუთებსა და კასრებში, სასურსათო ცხიმმოსმული.

4. შაშხეული გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს 0-დან მინუს 9 გრადუსამდე ტემპერატურით. დაიშვება გადასაზიდად შაშხეულის მიღება, თუ ტემპერატურა 0-დან პლუს 4 გრადუსამდეა, როდესაც მისი დაგროვებისა და გადაზიდვის ვადა არ აღემატება 20 დღეს.

მუხლი 234

1. უმადშებოლილ, მოხარშულ-შებოლილ და ნახევრადშებოლილ ძეხვს უნდა ჰქონდეს სუფთა, მშრალი, გარსდაუზიანებელი ზედაპირი. უმადშებოლილი ძეხვის კონსისტენცია უნდა იყოს მაგარი, მკვრივი, ნახევრად შებოლილისა – მკვრივი, მჭიდრო, მოხარშულ-შებოლილისა კი, მჭიდრო.

2. უმადშებოლილი ძეხვი გადასაზიდად წარედგინება არა უმეტეს მინუს 12 გრადუსი ტემპერატურით, ხოლო ნახევრადშებოლილი და მოხარშულ-შებოლილი – მინუს 14-დან მინუს 9 გრადუსამდე.

3. ნახევრადშებოლილი და მოხარშულ-შებოლილი ძეხვეული გადასაზიდად დაიშვება 0-დან მინუს 4 გრადუსამდე ტემპერატურით, თუ მისი დაგროვებისა და გადაზიდვის საერთო ვადა არ აღემატება 15 დღეს.

4. უმადშებოლილი, მოხარშულ-შებოლილი და ნახევრადშებოლილი ძეხვეულის ტენიანობა აღინიშნება ზედნადებში, ტვირთის დასახელების ქვეშ, და იგი არ უნდა აღემატებოდეს სტანდარტებით (ტექნიკური პირობებით) დადგენილს. ძეხვეული გადაიზიდება ყუთებში ჩაწყობილი.

მუხლი 235

1. გადასაზიდად წარსადგენ ღორის ქონს, (შპიკს) უნდა ჰქონდეს: ტემპერატურა არა უმეტეს პლუს 4 გრადუსისა, ფერი – თეთრი ან თეთრ-მოვარდისფრო, არ უნდა დაჰკრავდეს სიყვითლე, გამუქება ან რაიმე სხვა ელფერი; კონსისტენცია – მკვრივი, არაზეთოვანი და არაწებოვანი; გემო და სუნი – ისეთი, როგორიც ახასიათებს ახალ, დამარილებულ ან დამარილებულ-შებოლილ ღორის ქონს, ყოველგვარი სხვა უცხო გემოსა და სუნის გარეშე. ღორის ქონი გადაიზიდება შეფუთული სახით.

2. ცხოველთა სასურსათო ცხიმი (საქონლის, ცხვრის, ღორის, ცხენის და ძვლისა) გადაიზიდება კასრებით, აგრეთვე ყუთში მონოლითის სახით ჩაწყობილი, არა უმეტეს პლუს 4 გრადუსი ტემპერატურით, ხოლო ცხიმგაუმტარ ქაღალდში გახვეული, ძელაკებად დაფასოებული და ყუთში ჩაწყობილი – არა უმეტეს მინუს 6 გრადუსი ტემპერატურით.

3. ჰერმეტულად შეფუთული თითოეული სასურსათო ცხიმი გადაიზიდება დახურულ ან იზოთერმულ ვაგონებში, მთელი წლის განმავლობაში ტემპერატურული რეჟიმის დაუცველად.

მუხლი 236

1. დამარილებული ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი და დამარილებული ენა გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს კასრებში, რომელიც მარილწყლით არის სავსე. დამარილებული ხორცი, რომლის დამარილების ვადა 10 დღეზე ნაკლებია, გადასაზიდად არ მიიღება. დამარილების ვადა აღინიშნება ხარისხის მოწმობაში.

2. დაკონსერვებული სისხლი გადაიზიდება რკინის ან ხის კასრებში, რომელიც სავსე უნდა იყოს მოცულობის დაახლოებით 4/5-ით.

მუხლი 237

1. ხინკალი და პელმენი შეკვრაში, ხორცის ნახევარფაბრიკატი, რომელიც დაფასოებულია პოლიმერისაფსკგადაკრულ პატარა ხონჩებში, აგრეთვე სოსისი და სარდელი პოლიმერულ შეფუთვაში იწყობა მუყაოს ყუთებში და გადასაზიდად წარედგინება არა უმეტეს მინუს 18 გრადუსი ტემპერატურით.

2. ხორცისა და ხორცპროდუქტების სარეფრიჟერატორო ვაგონებში გადაზიდვის ზღვრული ვადა, წლის პერიოდების მიხედვით, აღნიშნულია ამ წესების დანართში.

მუხლი 238

1. გადასაზიდად წარდგენილ გაყინულ თევზს, თევზისა და ზღვის სავარცხელას ფილეს, მიდიებს, ტრეპანგებს, კიბორჩხლის ჩხირებს, კიბორჩხალს, მოხარშულ-გაყინულ კრევეტებს და სხვა გაყინულ ზღვის პროდუქტებს, დატვირთვისას, უნდა ჰქონდეს არა უმეტეს მინუს 18 გრადუსი ტემპერატურა.

2. გაუყინავი კიბორჩხლის ჩხირების, მოხარშული კიბორჩხლისა და კრევეტის გადაზიდვა არ დაიშვება.

მუხლი 239

1. გაყინული თევზის კეთილხარისხოვნების ნიშნებია:

ა) სხეულის ზედაპირი – სუფთა, ბუნებრივი შეფერილობისა;

ბ) ლაყუჩები – ღია ან მუქი წითელი;

გ) სუნი (გალხობის შემდეგ) – ახალი თევზისა, მანკიერი ნიშნების გარეშე.

2. გაყინული თევზის გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ ყუთებსა და სასურსათო ტომრებში შეფუთული.

3. გაყინული თევზი და გაყინული თევზის ფილე, რომელიც შეფუთულია აფსკიან პაკეტებსა და მუყაოს შეკვრებში, პოლიმერული დაფარვის გარეშე იწყობა ყუთებში.

მუხლი 240

1. გაცივებული თევზი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო ვაგონებით, ყუთებში ან მშრალი ტარის კასრებში. ზუთხისებრი და ორაგულისებრი თევზი იწყობა მხოლოდ ყუთებში.

2. გაცივებულ თევზს უნდა ჰქონდეს ტემპერატურა ხერხემალთან ხორცის სიღრმეში მინუს 1-დან პლუს 3 გრადუსამდე. შეფუთვის თარიღი უნდა აღინიშნოს ზედნადებში ტვირთის დასახელების ქვეშ.

მუხლი 241

1. გადასაზიდად წარდგენილი თევზი და ქაშაყი – დამარილებული, დამარილებულ-შეკმაზული და მარინადი, შეფუთული უნდა იყოს ხის, პოლიმერ ჩასასხმელ ან მშრალი ტარის ყუთებში, რომელთა ტევადობა შეადგენს არა უმეტეს 50 დმ^3-სა, პოლიმერის მასალის სარჩულიან ტომრებში, ფიცრის ყუთებში, ხოლო პოლიმერული მასალის პაკეტებად დაფასოებული – გოფრირებული მუყაოს ყუთებში.

2. ჩასასხმელ კასრებში ჩაწყობილ თევზსა და ქაშაყს მოსხმული უნდა ჰქონდეს სათანადო სიმკვრივის მარილწყალი, ხოლო ტარაში ჩაწყობილი გაწურული უნდა იყოს. ყუთებში ჩაფენილი უნდა იყოს პერგამენტი, პერგამენტისებრი ქაღალდი, ცელოფანი ან წყალშეუღწევადი მასალა.

3. მარილის შემცველობა თევზსა და ქაშაყში უნდა შეადგენდეს:

ა) სუსტად დამარილებულისა – 6-დან (ქაშაყისათვის 7-დან) 10%-მდე ჩათვლით;

ბ) საშუალო დამარილებულისა – 10-ზე მეტს და 14%-მდე ჩათვლით;

გ) მაგრად დამარილებულისა –14%-ზე მეტს.

4. მარილის შემცველობა უნდა აღინიშნოს ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშნები".

5. თევზსა და დამარილებულ ქაშაყს, დამარილებულ-შეკმაზულსა და მარინადს, ჩატვირთვისას უნდა ჰქონდეს ტემპერატურა 0-დან მინუს 3 გრადუსამდე.

6. კასრებში ჩაწყობილი და მარილხსნარში ჩადებული დამარილებული თევზი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო ვაგონებში, ვაგონ-თერმოსებსა და დახურულ ვაგონებში იმ პირობით, რომ ტვითგამგზავნმა იზოთერმული ვაგონის იატაკის ცხაურზე და დახურული ვაგონის იატაკზე დააგოს ქაღალდი, მუყაო ან სხვა საფუთავი მასალა და დაფაროს იგი ნახერხის ფენით. გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთმიმღები ვალდებულია, გაწმინდოს ვაგონი საფენად გამოყენებული მასალისა და ნახერხისგან და გაგზავნოს გასარეცხად. რეცხვას, ტვირთმიმღების ხარჯით, უზრუნველყოფს რკინიგზა.

მუხლი 242

1. ცივად და ცხლად შებოლილი თევზი, ზურგიელის ნაწარმი, მზეზე გამოყვანილი და სხვა თევზეული გადაიზიდება მხოლოდ ტარაში.

2. ცხლად შებოლილი თევზისა და ზურგიელის ნაწარმის გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ გაყინული სახით. ცხლად შებოლილი თევზი და ზურგიელის ნაწარმი გადაიზიდება სარეფრიჟერატორო ვაგონებში და გასინჯვისას უნდა ჰქონდეს ტემპერატურა არა უმეტეს მინუს 18 გრადუსისა.

3. ცივად შებოლილი თევზისა და ზურგიელის ნაწარმის ტემპერატურა, დატვირთვისას, არ უნდა აღემატებოდეს 0 გრადუსს და მისი გადაზიდვა წარმოებს იზოთერმულ ვაგონებში.

4. ცივად შებოლილი ორაგულისებრი თევზი და კბილებიანი ვეშაპი, აგრეთვე, ცივად შებოლილი და მზეზე გამოყვანილი ზურგიელის ნაწარმი, შეფუთული უნდა იყოს მხოლოდ ყუთებში.

5. ყუთზე, რომელშიც მოთავსებულია ცხლად შებოლილი გაყინული თევზი, მსხვილი შრიფტით უნდა გაკეთდეს წარწერა „გაყინულია".

6. ცივად შებოლილი და მზეზე გამოყვანილი თევზის, მათ შორის, ზურგიელის ნაწარმის ყუთების ტორსულ კედლებზე შეიძლება დატანებული იყოს 25 მმ-დან 30 მმ-მდე დიამეტრის ორი-სამი მრგვალი ნახვრეტი.

მუხლი 243

1. გაყინული კიბორჩხლის ჩხირების პაკეტები, მოხარშულ-გაყინული კიბორჩხალა და კრევეტები იწყობა ყუთებში, რომლებსაც მსხვილი შრიფტით უნდა ჰქონდეს გაკეთებული წარწერა „გაყინულია".

2. კიბორჩხლის ჩხირების დატვირთვამდე, შენახვისა და გადაზიდვის ხანგრძლივობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს.

მუხლი 244

1. ორაგულისებრი თევზის მარცვლოვანი ხიზილალა და დაუფასოებელი დამარილებული ქვირითი იფუთება ახალ ჩასასხმელ კასრებში, რომელთა ტევადობა არ აღემატება 50 დმ^3-ს.

2. ორაგულისებრთა მარცვლოვანი, ზუთხისებრთა მარცვლოვანი და პაიუსის, ზეთხისებრთა პასტერიზებული ხიზილალა და დამარილებული ქვირითი, რომელიც ლითონის ან მინის ქილებშია დაფასოებული, იწყობა ყუთებში.

3. თევზისა და თევზის პროდუქციის ფიცრის და ფანერის ყუთები პირთამდე უნდა იყოს სავსე და ტორსზე გადაკრული ჰქონდეს ფოლადის საფუთარი ლენტი ან ფოლადის მავთული.

4. გოფრირებულ მუყაოს ყუთებზე შემოჭერილი უნდა იყოს ფოლადის მავთული ან შემოკრული წებოვანი ლენტი. მარცვლოვანი ხიზილალის მუყაოს ყუთებს ორ სარტყლად აკრავენ წებოვან ლენტს.

5. მარცვლოვანი ხიზილალას ყუთებზე შემოკრული მავთულის წვერები მჭიდროდ უნდა იყოს გადაგრეხილი.

6. გაყინული თევზის ტომრები საიმედოდ უნდა იყოს გაკერილი, ხოლო თევზის კასრები – საიმედოდ დაცობილი.

მუხლი 245

1. ყოველგვარი ცოცხალი თევზი და მოსაშენებელი (გასაშვები) თევზის მასალა (ლიფსიტები), სადგურში დასატვირთად შეტანამდე, უნდა იმყოფებოდნენ ოჩხებში და სათანადოდ მოამზადონ გადაზიდვის პირობებისთვის. გადასაზიდად ვარგისად ითვლება მკვირცხლი, მოძრავი თევზი, სხეულზე მექანიკური დაზიანებებისა და ობის წანაზარდების გარეშე, ქერცლისა და ტყავის დაუზიანებელი საფარით, დაუზიანებელი და სუფთა ფარფლებით.

2. ცოცხალი თევზი და მოსაშენებელი (გასაშვები) თევზის მასალა (ლიფსიტები) გადაიზიდება ცოცხალი თევზის გადამზიდ სარეფრიჟერატორო სექციებში, ტვირთგამგზავნის გამყოლითურთ და მისი პასუხისმგებლობით.

3. კიბო გადაიზიდება ყუთებში, რომელსაც დატანებული აქვს საცირკულაციო ღიობები, თითოში 100 – 150 ცალი. ტარაში კიბოს ჩაწყობისას, მათ შუა აწყობენ მშრალ ხავსს, სუფთა მშრალ

წყალმცენარეებს ან თივას. დრო, კიბოს დაჭერასა და დატვირთვას შორის, არ უნდა აღემატებოდეს 36 საათს. ჩატვირთვამდე კიბოები უნდა ინახებოდეს საჩრდილობლის ქვეშ ან დახურულ შენობაში.

4. გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ცოცხალი კიბო. ლიმანის, ტბის და გუბურის კიბოები გადასაზიდად მიიღება არა უმეტეს 2 დღის, ხოლო მდინარის კიბო – 6 დღემდე გადაზიდვის ვადით.

5. თევზისა და თევზპროდუქტების სარეფრიჟერატორო ვაგონებში გადაზიდვის ზღვრული ვადა, წლის პერიოდების მიხედვით, აღნიშნულია ამ წესების დანართში.

მუხლი 246

1. ხილ-ბოსტნეული გადასაზიდად წარდგენილი უნდა იყოს ქორფა, სუფთა, მექანიკური და მავნებელ-დაავადებებით დაზიანების გარეშე, არ უნდა ჰქონდეს ზედმეტი გარეგნული ტენიანობა, აგრეთვე იყოს სიმწიფის მიხედვით ერთგვაროვანი ყოველ სავაგონო პარტიაში.

2. ნაყოფში ტოქსიკური ელემენტების, პესტიციდებისა და ნიტრატების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს სამედიცინო-ბიოლოგიური მოთხოვნების და სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხის სანიტარული ნორმებით დადგენილ დასაშვებ დონეს.

3. თუ ხილ-ბოსტნეულის უტაროდ გადაზიდვა არ არის გათვალისწინებული სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით, იგი ჩაწყობილი უნდა იყოს თითოეული სახეობისთვის შესატყვის შემდეგ ტარაში:

ა) საგვიანო კარტოფილი ყუთებში, ყუთის ქვეშებში, ქსოვილისა და ბადის ტომრებში, ხოლო საადრეო კარტოფილი – მკვრივ ტარაში;

ბ) სუფრის ჭარხალი და სტაფილო – ყუთებში, ქსოვილის ტომრებსა და ყუთის ქვეშებში;

გ) თავიანი ხახვი - ფიცრის ყუთებში, ბადისა და ქსოვილის ტომრებში;

დ) ნიორი – ყუთებში;

ე) კიტრი, ბადრიჯანი, ყაბახი, ყვავილოვანი კომბოსტო – ფიცრის ყუთებში;

ვ) საადრეო თავთეთრა კომბოსტო – ყუთებში, ხოლო საშუალო სიმწიფის, საშუალო-საგვიანო და საგვიანო სიმწიფისა – ყუთებსა და ყუთის ქვეშებში;

ზ) პატარა ნესვი – ფიცრის ყუთებში, ხოლო მსხვილი ნესვი და სასურსათო გოგრა – სპეციალიზებულ კონტეინერებსა და გალიებში;

თ) სასურსათო საზამთრო – ყუთის ქვეშებში;

ი) პამიდორი, ტკბილი წიწაკა – ფიცრის ყუთებსა და ხონჩა-ყუთებში;

კ) ვაშლი, მსხალი, კომში – ფიცრის ყუთებში, ხოლო საგვიანო ვაშლი, ასევე გოფრირებულ მუყაოს ყუთებში;

ლ) ბროწეული და ხურმა – ფიცრის ყუთებში;

მ) ყურძენი, გარგარი, ატამი, ალუჩა, ქლიავი, ბალი და ალუბალი – ფიცრის ყუთებსა და ხონჩა-ყუთებში;

ნ) მოცხარი და ხურტკმელი – ხონჩა ყუთებში;

ო) მარწყვი – ხონჩა-ყუთებსა და ლარტყულიან ჭურჭელში;

პ) ციტრუსის ნაყოფი (ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, გრეიფრუტი), სუბტროპიკული და ტროპიკული ხილი – ხისა და მუყაოს ყუთებში.

4. ხილ-ბოსტნეული დახურულ ტარაში იწყობა მჭიდროდ, ტარის პირთამდე ისე, რომ ერთმანეთს არ ეხახუნებოდეს და არ ეხეთქებოდეს. ყოველ ყუთში იწყობა ერთი პომოლოგიური ჯგუფისა და ერთი ზომითი კატეგორიის ნაყოფი.

5. მასობრივი დამზადების პერიოდში, ტვირთგამგზავნთან და ტვირთმიმღებთან შეთანხმებით, დაიშვება დახურულ ვაგონებში საგვიანო კარტოფილის, სუფრის ჭარხლის, საზამთროს, სასურსათო გოგრის, საშუალო საგვიანო და საგვიანო თავთეთრა კომბოსტოს, აგრეთვე სპირტის, სახამებლისა და ბადაგის წარმოებისთვის განკუთვნილი კარტოფილის დაყრით გადაზიდვა. ხანგრძლივ შესანახი კარტოფილი გადაიზიდება მხოლოდ ტარაში.

6. ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვა სარეფრიჟერატორო ვაგონებსა და სარეფრიჟერატორო კონტეინერებში ხორციელდება მხოლოდ ტარაში.

მუხლი 247

1. ბანანი გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს მკვრივი, მწვანე ფერის კანითა და ნაყოფის ყუნწით, საკმარისად განვითარებული, სახეობისთვის ტიპური ფორმისა და სიდიდის ნაყოფით.

2. პოლიმერის აფსკის ტომრებში წინასწარ ჩაწყობილი ბანანი, ტომრის ყელის მჭიდროდ შეკვრის შემდეგ, უნდა ჩაიწყოს მუყაოს კოლოფში.

3. ბანანი გადაიზიდება მხოლოდ სარეფრიჟერატორო სექციებში ან ავტონომიურ სარეფრიჟერატორო ვაგონებში. გადაზიდვის დროს გარე ჰაერის დადებითი ტემპერატურისას, ვენტილაცია უნდა მოეწყოს დღე-ღამეში ორჯერ, უარყოფითი ტემპერატურისას – დღეში ერთხელ, ვენტილატორების 15 – 20 წუთის ჩართვით. გარე ჰაერის უარყოფითი ტემპერატურისას ბანანი საწყობიდან სარეფრიჟერატორო ვაგონში ჩაიტვირთება მხოლოდ ტამბურებიდან, რომლებიც თბება. ყველა შემთხვევაში, ექსპერტიზის აქტში უნდა აღინიშნოს გარე ჰაერის ტემპერატურა ბანანის ჩატვირთვის პერიოდში.

4. გადაზიდვის დასასრულს გაყვითლებული ბანანების არსებობა არ არის ნაყოფის ხარისხის გაუარესების ნიშანი.

მუხლი 248

1. ჭყინტი და ბაზი სიმინდის ტარო გადაიზიდება მხოლოდ სარეფრიჟერატორო ვაგონებში.

2. გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს სულ ცოტა 15 სმ სიგრძის ტარო (ტკბილი სიმინდისა – არა ნაკლებ 12 სმ), ქორფა ღია მწვანე ფოთლებით, რომლებსაც არ ეტყობა ჭკნობის ნიშნები, აქვს ყავისფერი ბუტკოს სვეტები, ნაზი გარსის მქონე, ერთმანეთს მიყრილი მკვრივი მარცვლები, მავნებელდაავადებებით დაუზიანებელი. პარტიაში დაიშვება ტაროს ზედა ნაწილში 3 სმ-მდე სიგრძეზე განუვითარებელი მარცვლების მქონე სიმინდის ტაროს არსებობა.

3. სიმინდის ტარო იწყობა ხონჩა-ყუთებში ან ფიცრის ყუთებში, რომელთა ტევადობა 12 კგ-დეა, და სადგურში შეიზიდება ვაგონის გადასაზიდად მზადყოფნისას.

4. წინასწარ, არაუმეტეს პლუს 3 გრადუსამდე გაცივებული სიმინდის ტარო, გადასაზიდად დაიშვება არა უმეტეს 6 დღის ვადით, ხოლო გაუცივებელი – არა უმეტეს 4 დღის ვადით. ტაროს ტეხვიდან დატვირთვამდე დრო არ უნდა აღემატებობეს: გაუცივებელი ტაროსთვის – 12 საათს, ხოლო წინასწარ გაცივებულისთვის – 30 საათს.

მუხლი 249

1. ცოცხალი მცენარეების და ყვავილების, აგრეთვე სათესლე-სარგავი მასალის გადაზიდვის ხერხსა და ვადას ადგენს ტვირთგამგზავნი და აღნიშნავს ზედნადებში. ცოცხალი მცენარეები და ყვავილები გადაიზიდება მხოლოდ ტვირთგამგზავნის გამყოლთა თანხლებით.

2. სათესლე რკო ჩაიწყობა ფიცრის ყუთებში. არ დაიშვება გადასაზიდად ტენიანი, წინასწარ გაუშრობელ-გაუნიავებელი, აგრეთვე 0,5 სმ-ზე მეტი ღივის მქონე რკოს წარდგენა.

3. ქორფა ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვის ზღვრული ვადები მოცემულია ამ წესების დანართში.

მუხლი 250

1. რძე და რძის პროდუქტები გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს გაციებულ მდგომარეობაში, არა უმეტეს პლუს 4 გრადუსის ტემპერატურით.

2. რძე უნდა იყოს სუფთა, არ უნდა დაჰკრავდეს უცხო გემო, სუნი და უნდა წარმოადგენდეს უნალექო, თეთრი ფერის, ოდნავ მოყვითალო ელფერის მქონე ერთგვაროვან სითხეს.

3. სტერილიზებული რძე და ნაღები გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს არა უმეტეს 10 გრადუსი ტემპერატურით, გამომუშავების დღიდან არა უმეტეს ერთი თვის შენახვის ვადით.

4. გაყინული ხაჭო გადასაზიდად წარედგინება არა უმეტეს მინუს 12 გრადუსი ტემპერატურით.

მუხლი 251

1. რძე, გარდა ცისტერნებში გადასაზიდისა, და რძის პროდუქტები დაფასოებული უნდა იყოს:

ა) არასტერილიზებული რძე და ნაღები – მათარებში;

ბ) სტერილიზებული რძე და ნაღები – „ტბა“ პაკეტებსა ან მინის შეფუთვაში, ყუთებში ჩაწყობილი;

გ) არაჟანი – მათარებში, „ტბა“ პაკეტებსა ან მინის ქილებში, ყუთებში ჩაწყობილი;

დ) გაცივებული ხაჭო, ხაჭოს ყველეული და ხაჭოს მასა – ხისტ ტარასა და ყუთებში;

ე) გაყინული (დაფასოებული) ხაჭო, გაცივებული ხაჭოს ყველეული – ყუთებში;

2. მათარას მჭიდროდ უნდა ჰქონდეს დახურული რეზინის, პერგამენტის ან პერგამენტისმაგვარი ქაღალდის შუასადებიანი თავსახური.

მუხლი 252

1. რძე და რძის პროდუქტები გადაიზიდება იზოთერმულ ვაგონებში. არასტერილიზებული რძე, სადგურებს შორის, გადაიზიდება, აგრეთვე რძის იმ ცისტერნაში, რომელზეც ტვირთგამგზავნსა და ტვირთმიმღებს აქვს ცისტერნების ჩასასხმელი, გადმოსასხმელილი და სარეცხი საშუალება.

2. წლის ზაფხულის პერიოდში, პლუს 30 გრადუსამდე გარე ჰაერის ტემპერატურის დროს ცისტერნებში ჩასხმისას, რძეს უნდა ჰქონდეს არა უმეტეს პლუს 4 გრადუსი ტემპერატურა, ხოლო უფრო მაღალი გარე ტემპერატურისას – არა უმეტეს პლუს 2 გრადუსი.

3. ზამთრის პერიოდში რძეს, ცისტერნებში ჩასხმისას, უნდა ჰქონდეს ტემპერატურა არა ნაკლებ პლუს 8 გრადუსისა.

4. ცისტერნები რძით უნდა შეივსოს ხუფის ნახევარსიმაღლემდე. სამსექციან ცისტერნებში, ნებადართულია, აივსოს ორი კიდურა ან ერთი შუა სექცია. არ დაიშვება ერთი კიდურა ან კიდურა და შუა სექციის რძით ავსება. ცისტერნებში რძე გადაიზიდება ცისტრენებში თხევადი ტვირთის გადაზიდვის ზოგადი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 253

1. კარაქი (მონოლითად ან დაფასოებული) გადასაზიდად მიიღება ყუთებში შეფუთული.

2. ერბო გადასაზიდად მიიღება ხის კასრებში, რომლებსაც ამოგებული აქვს პოლიმერის აფსკი, ან ყუთებში ჩაწყობილ მინისა და თუნუქის ქილებში. აფსკამოუფენელი კასრების ზედაპირი დაფარული უნდა იყოს კაზეინის მინანქრით ან მისი შემცველი სხვა საფარველით.

3. კარაქის მონოლითად გადაზიდვისას, ყუთებში ჩაფენილი უნდა იყოს პერგამენტი ან პოლიმერის აფსკი, ფიცრის ყუთები უნდა იყოს დაჭედებული, ხოლო ტორსზე გამაგრებული ფოლადის ლენტით ან მავთულით.

4. ნაღების კარაქს უნდა ჰქონდეს სუფთა, ამ სახეობის კარაქისთვის დამახასიათებელი გემო და სუნი, ერთგვაროვანი და მკვრივი კონსისტენცია, ფერი – თეთრიდან ყვითლამდე, მთელ მასაში ერთგვაროვანი, ზედაპირი გაჭრისას – ოდნავ ბრჭყვიალა და მშრალი, ანდა ტენის ერთგვაროვანი უმცირესი წვეთების მქონე.

5. ერბოს უნდა ჰქონდეს რბილი მარცვლოვანი კონსისტენცია. გადასაზიდად წარდგენილ ერბო-კარაქის ტემპერატურა უნდა შეადგენდეს:

ა) კარაქისა და ერბოსი – არა უმეტეს მინუს 6 გრადუსისა;

ბ) საექსპორტოდ გასაგზავნის – არა უმეტეს მინუს 14 გრადუსისა.

6. კარაქი გადაიზიდება იზოთერმულ ვაგონებში, ხოლო ზამთრისა და გარდამავალ პერიოდში, როდესაც გარე ტემპერატურა 6 გრადუსზე ნაკლებია, ერბოს გადაზიდვა დაიშვება დახურულ ვაგონებში.

მუხლი 254

1. ძელაკებად დაფასოებული, პერგამენტში ან დამუშავებულ კილიტაში გახვეული მყარი მარგარინი, გამყარებული საკონდიტრო, პურსაცხობი და კულინარიული ცხიმი (შემდგომ –

გამყარებული ცხიმი), იფუთება ყუთებში, ხოლო დაუფასოებელი (მონოლითის სახით) იწყობა ყუთებში, რომლებიც ამოფენილია პერგამენტით ან პოლიმერის აფსკით.

2. დაუფასოებელ მყარ მარგარინსა და გამყარებულ ცხიმს, რომლის სიმაგრე 40 გრ/სმ და ნაკლებია, ან დაფასოებულს, რომლის სიმაგრე 50 გრ/სმ და ნაკლებია, ვაგონში ჩატვირთვისას უნდა ჰქონდეს ტემპერატურა არა უმეტეს 10 გრადუსისა, ხოლო შესაბამისად 40 გრ/სმ და 50 გრ/სმ-ზე მეტი სიმყარის პროდუქცია გადასაზიდად წარედგინება არა უმეტეს პლუს 15 გრადუსის ტემპერატურით.

3. მყარი მარგარინი და გამყარებული ცხიმი გადაიზიდება იზოთერმულ ვაგონებში, ხოლო გარდამავალ პერიოდში, როდესაც გარე ჰაერის ტემპერატურა პლუს 10 გრადუსს არ აღემატება, დაიშვება ამ ტვირთის დახურულ ვაგონებში გადაზიდვა.

მუხლი 255

1. 100-დან 500 გრამამდე ნეტო წონის რბილი, პოლიმერულ შეფუთვაში დაფასოებული და გოფრირებულ მუყაოს ყუთებში ჩაწყობილი მარგარინი, თუ ყუთის ზღვრული ნეტო წონა არ აღემატება 10 კილოგრამს, გადასაზიდად მიიღება არა უმეტეს პლუს 10 გრადუსი ტემპერატურით.

2. რბილი მარგარინი გადაიზიდება იზოთერმული ვაგონებით, ხოლო წლის გარდამავალ პერიოდში, როდესაც გარე ჰაერის ტემპერატურა პლუს 10 გრადუსს არ აღემატება, მისი გადაზიდვა დაიშვება დახურულ ვაგონებში.

მუხლი 256

1. გაუმყარებელი საკონდიტრო და თხევადი ცხიმი გადაიზიდება ფოლადისა და ხის კასრებში და მათარებში. ხის კასრებში ჩადებული უნდა იყოს პოლიმერული მასალის ჩანართი ტომარა.

2. გაუმყარებელი და თხევადი ცხიმის გადაზიდვა წარმოებს, აგრეთვე სპეციალიზებულ ცისტერნებში.

მუხლი 257

1. მაიონეზი გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს მინის შეფუთვაში დაფასოებული, შიდა- და შუასადებების მქონე ყუთებში.

2. ვაგონში სხვადასხვა გამომუშავების თარიღის მაიონეზის პარტიის ჩატვირთვისას, მთელი სავაგონო გზავნილის ტრანსპორტაბელურობის ვადა იანგარიშება ყველაზე ადრეული გამომუშავების თარიღის პარტიის მიხედვით.

3. მაიონეზის ტემპერატურა, დატვირთვის დროს, არ უნდა იყოს პლუს 4 გრადუსზე მეტი და 0 გრადუსზე ნაკლები.

4. მაიონეზის გადაზიდვა წლის ყველა პერიოდში ხდება იზოთერმულ ვაგონებში.

მუხლი 258

1. მაჭიკის (დვრიტით ამოყვანილი) მაგარი ყველი იფუთება ყუთებში. დატვირთვისას ყველს უნდა ჰქონდეს ტემპერატურა: ზაფხულის და წლის გარდამავალ პერიოდში – არა უმეტეს პლუს 4 გრადუსისა, ზამთრის პერიოდში – არანაკლებ პლუს 8 გრადუსისა. მდნარი ყველი უნდა ჩაიწყოს ყუთებში და ჰქონდეს ტემპერატურა: ზაფხულის პერიოდში ჩატვირთვის დროს – არაუმეტეს პლუს 2 გრადუსისა, ხოლო ზამთრის პერიოდში – არანაკლებ პლუს 5 გრადუსისა.

2. ბრინზა გადაიზიდება ხის კასრებში, რომელიც არ ატარებს მარილხსნარს, ხოლო თუნუქის ქილებსა ან „ტბა“ პაკეტებში დაფასოებული – ყუთებში. კასრში ისხმება სუფთა მარილხსნარი. ბრინზას უნდა ჰქონდეს სუფთა, ულორწოო და უქერქო ზედაპირი.

3. ნაყინი გადაიზიდება ლითონის ქილებში, ხოლო წვრილად დაფასოებული – კოლოფებში, სპეციალურ კონტეინერებსა და სხვა ტარაში მხოლოდ სარეფრიჟერატორო ვაგონებში. ამ შემთხვევაში, ყოველ ვაგონში, ტვირთგამგზავნის სახსრებით დამატებით იტვირთება 2,0 – 3,0 ტონა მშრალი ყინული. ნაყინის ტემპერატურა, კვერცხის ჩატვირთვისას, უნდა იყოს არა უმეტეს მინუს 20 გრადუსისა.

მუხლი 259

1. ქათმის სასურსათო კვერცხი (გაუცივებელი და გაცივებული) გადაიზიდება სპეციალურ უჯროვან შეფუთვაში, რომელიც ყუთებში იწყობა. გაცივებული კვერცხის ტემპერატურა, გადასაზიდად წარდგენისას, უნდა იყოს არაუმეტეს პლუს 6 გრადუსი.

2. გაუცივებელი კვერცხი ზაფხულის პერიოდში, როდესაც გარე ჰაერის ტემპერატურა არ აღემატება პლუს 25 გრადუსს, აგრეთვე წლის გარდამავალ პერიოდში გარე ჰაერის დადებითი ტემპერატურისას, გადაიზიდება დახურულ ვაგონებში.

3. დიეტური კვერცხი რკინიგზით არ გადაიზიდება.

4. გაყინული კვერცხის პროდუქტები (კვერცხის მელანჟი, გული და ცილა) გადაიზიდება თეთრი თუნუქით ჰერმეტულად დარჩილულ ქილაში, რომელიც ყუთშია ჩაწყობილი.

5. სარეფრიჟერატორო ვაგონებში რძის, ყველ-კარაქის და ცხიმის მრეწველობის პროდუქციისა და კვერცხის გადაზიდვის ზღვრული ვადა განსაზღვრულია ამ წესების დანართში.

მუხლი 260

1. დაწნეხილი პურსაცხობი საფუარი, გადასაზიდად წარდგენისას, უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ფერი – მორუხო, მოყვითალო ელფერით, ძელაკების ზედაპირზე არ უნდა იყოს მუქი ლაქები;

ბ) კონსისტენცია – მკვრივი, საფუარი იოლად იმტვრევა;

გ) გემო და სუნი – საფუარისთვის დამახასიათებელი, დაუშვებელია ობის ან რაიმე სხვა უცხო სუნი.

2. ქაღალდში შეფუთული საფუვრის ძელაკები უნდა ჩაიწყოს ყუთებში. თითოეულ ყუთში იწყობა მასის მიხედვით ერთნაირი დაფასოების, ერთი პარტიისა და გამომუშავების თარიღის ძელაკები. ვაგონში ჩატვირთვისას, საფუვრის ტემპერატურა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს პლუს 4 გრადუსისა და არანაკლებ 0 გრადუსისა.

3. ვაგონში სხვადასხვა გამომუშავების თარიღის საფუარის პარტიის ჩატვირთვისას, მთელი სავაგონო გზავნილის ტრანსპორტაბელურობის ვადა იანგარიშება ყველაზე ადრეული გამომუშავების თარიღის პარტიის მიხედვით.

4. სპეციალიზებულ ქარხნებში გამომუშავებულ საფუარს, გადასაზიდად წარდგენისას, უნდა ჰქონდეს მედეგობა არანაკლებ 60 საათისა, ხოლო სპირტის ქარხნებში გამომუშავებულს – არანკლებ 48 საათისა.

5. ვაგონში საფუვრის ჩატვირთვის მომენტში ტვირთგამგზავნი იღებს სინჯებს საფუვრის მედეგობის საკონტროლო განსაზღვრისთვის. ანალიზის შედეგები ინახება გაგზავნის სადგურში და ტვირთგამგზავნთან.

მუხლი 261

1. ლითონისა და მინის შუფუთვის დაკონსერვებული პროდუქცია გადაიზიდება ყუთებში, ხოლო შეუფუთავი – პოლიეთილენის ჩანართიან კასრებში.

2. პროდუქციანი კასრები და ქილები უნდა იყოს მჭიდროდ დახუფული და არ ჟონავდეს.

3. მინის ქილები იწყობა განივ და გრძივ უჯრედიან ტიხრის მქონე ყუთებში. ლითონის ქილების ჰორიზონტალურ რიგებს ყუთებში დატანებული უნდა ჰქონდეს მუყაოს ან მკვრივი ქაღალდის შუასადებები.

4. დაიშვება კონსერვირებული პროდუქციის გადაზიდვა თუნუქის ქილებში, თერმოშეკლებადი ბლოკების სახით. ბლოკები გადაიზიდება მხოლოდ პაკეტებად გაერთიანებული, ქვეშებზე. ამ შემთხვევაში, პაკეტს უნდა ჰქონდეს შემოკრული თერმოშეკლებადი აფსკი.

5. სტერილიზებული ბოსტნეული, ხილი, წვენი და ნექტარი მინის თუნუქის შეფუთვაში, აგრეთვე „ტბა“ პაკეტებში გადაიზიდება იზოთერმულ და დახურულ ვაგონებში.

მუხლი 262

1. ღვინო, მათ შორის, შუშხუნა, ცქრიალა და შამპანური, აგრეთვე ლიქიორ-არყის ნაწარმი გადაიზიდება ყუთებში ჩაწყობილ ბოთლებში.

2. დახურულ ხის ყუთებს გარედან აკრავენ მავთულს ან ფოლადის საფუთავ ლენტს. გოფრირებულ მუყაოს ყუთებს გარედან შემოუჭერენ ფოლადის სახუფავ ლენტს ან ორ სარტყლად შემოაკრავენ ქაღალდის ლენტს. დახურულ ყუთებს უკეთდება სამანიპულაციო ნიშნები, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად.

3. (ამოღებულია).

4. (ამოღებულია).

5. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

მუხლი 263

1. მინერალური წყალი, უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლური, მათ შორის, გაზიანი სასმელები, გადასაზიდად წარდგენილი უნდა იქნეს მინის, თუნუქის ან პოლიმერული შეფუთვით, ყუთებში ან სპეციალიზებულ კონტეინერებში. თუნუქის ქილებსა და პეტ-ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქცია შეიძლება შეიკრას ბლოკებად ამ წესების 222-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

2. მინერალური წყლის, უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლური სასმელების უტაროდ (დაყრით) გადაზიდვა არ დაიშვება.

მუხლი 264

1. ლუდი, მინის ან პოლიმერის ბოთლებში, თუნუქის ქილებსა და კასრებში გადაიზიდება იზოთერმულ ვაგონებში. ლუდი გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს პლუს 2-დან პლუს 12 გრადუსამდე ტემპერატურით.

2. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

მუხლი 265

1. ფუტკარი გადაიზიდება სკებში ან ფანერის პაკეტებში, ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების გამყოლთა თანხლებით.

2. ფუტკრის გადაზიდვა დახურულ ვაგონებში დაიშვება, როდესაც გარე ჰაერის ტემპერატურა არ აღემატება პლუს 10 გრადუსს, ხოლო, თუ იგი პლუს 10 გრადუსზე მეტია, ფუტკრის გადაზიდვა ხორციელდება სარეფრიჟერატორო ვაგონებში.

3. ფუტკრის გადაზიდვისას სარეფრიჟერატორო ვაგონების ტემპერატურულ რეჟიმს, ვენტილირების პერიოდულობას და ხანგრძლივობას აწესებს ტვირთგამგზავნი.

მუხლი 266

1. მცენარეული ზეთი პეტ-ბოთლებში გადაიზიდება გოფრირებულ მუყაოს ყუთებში ჩაწყობით ან რამდენიმე ბოთლის ბლოკების სახით, რომლებსაც შემოკრული აქვს პოლიმერული თერმოშეკლებადი აფსკი. ბლოკები ჩამოყალიბებული უნდა იყოს პაკეტებად და დაიწყოს ქვეშზე, ჰორიზონტაულ რიგებსშუა სადებების დატანებითა და მკვრივი პოლიმერის აფსკის შემოკვრით. პაკეტების საერთო სიმაღლე, ქვეშის სიმაღლის გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 180 სმ-ს.

2. სხვადასხვა მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ზღვრული ვადები განსაზღვრულია ამ წესების დანართში.

მუხლი 267

1. მალფუჭებადი ტვირთის გადასაზიდად გამოიყენება იზოთერმული და დახურული ვაგონები ან სარეფრიჟერატორო და უნივერსალური კონტეინერები.

2. სარეფრიჟერატორო ვაგონში, რომელსაც მიეკუთვნება სარეფრიჟერატორო სექცია და ვაგონი, გადაიზიდება ამ წესებით გათვალისწინებული მალფუჭებადი ტვირთი.

3. თერმოს-ვაგონებში გადაიზიდება თერმულად დამზადებული მალფუჭებადი ტვირთი 10 დღეზე მეტი შენახვის ვადით.

4. ხილ-ბოსტნეული, როგორც ბიოლოგიური სითბოს გამომყოფი, თერმოს-ვაგონებში არ გადაიზიდება.

5. თერმოს-ვაგონებში გადასაზიდი მალფუჭებადი ტვირთის ნუსხას და გადაზიდვის პირობებს ადგენს რკინიგზა.

6. იზოთერმულ ვაგონ-ცისტერნებში ან თერმოს-ცისტერნებში გადაიზიდება ღვინო და ღვინო მასალა, ტვირთგამგზავნთა ან ტვირთმიმღებთა გამყოლების თანხლებით.

7. რძე გადაიზიდება რძის ცისტერნებში.

მუხლი 268

1. დახურულ ვაგონებსა და უნივერსალურ კონტეინერებში გადაიზიდება მალფუჭებადი ტვირთი, რომელიც არ მოითხოვს გზაში ტემპერატურული რეჟიმის დაცვას.

2. დახურულ ვაგონებსა და დათბუნებულ უნივერსალურ კონტეინერებში გადაზიდვა ხორციელდება რკინიგზის მითითებებით.

3. უნივერსალურ კონტეინერებში გადასაზიდი მალფუჭებადი ტვირთის ნუსხას და გადაზიდვის ზღვრულ ვადას ადგენს რკინიგზა.

მუხლი 269

1. სარეფრიჟერატორო ვაგონის სატვირთო სათავსი, გარე ჰაერის დადებითი ტემპერატურისას, ვაგონის ჩამოყენების წინ წინასწარ უნდა იყოს გაცივებული იმ ტვირთის ჩასატვირთად, რომელიც გადასაზიდად წარედგინება მინუს 10 და უფრო დაბალი (0 გრადუსამდე) ტემპერატურით. გაუცივებელი ტვირთის ჩატვირთვისას სატვირთო სათავსის წინასწარი გაცივება არ ხდება.

2. გარე ჰაერის უარყოფითი ტემპერატურისას იმ ტვირთის ჩატვირთვის წინ, რომელიც გათბობას მოითხოვს, სარეფრიჟერატორო ვაგონის სატვირთო სათავსს წინასწარ ათბობენ პლუს 6 გრადუსამდე.

3. ბანანის ჩატვირთვის წინ ჰაერის ტემპერატურა ვაგონის სატვირთო სათავსში აყვანილიუნდა იქნეს 12 გრადუსამდე.

მუხლი 270

1. სარეფრიჟერატორო სექციის ცალკეული სატვირთო ვაგონი შეიძლება დაიტვირთოს გადაზიდვის სხვადასხვა რიჟიმების მქონე ტვირთით.

2. ტვირთგამგზვნის (ტვირთმიმღების) განაცხადით დიზელელექტროსადგურიანი სამსახურებრივი ვაგონისგან მოხსნილ სარეფრიჟერატორო სექციის სატვირთო ვაგონში მალფუჭებადი ტვირთი შეიძლება იმყოფებოდეს არაუმეტეს 6 საათისა.

3. გარე ჰაერის უარყოფითი ტემპერატურისას ტვირთგამგზავნი ვალდებულია, მიიღოს ზომები ხილ-ბოსტნეულის გადამეტცივების ან შეყინვის თავიდან ასაცილებლად დატვირთვის დროს.

მუხლი 271

1. მალფუჭებადი ტვირთის სარეფრიჟერატორო ვაგონებში გადაზიდვისას, ტემპერატურული რეჟიმი და ვენტილირების საჭიროება განისაზღვრება ტვირთის სახეობის ან ტვირთის ტემპერატურის მიხედვით ჩატვირთვის დროს.

2. ზამთრის პერიოდში გადაზიდვისას დაიშვება გაყინული ტვირთის, მათ შორის, ერბოს, ტემპერატურის შეუზღუდავი შემცირება, თუ ვაგონში ჩატვირთვისას მას ჰქონდა მინუს 5 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა.

3. ზაფხულისა და წლის გარდამავალ პერიოდში სუსხის დადგომამდე, დახურულ ვაგონებში გადაზიდვისას, სვლის მთელ გზაზე ხდება მზეზე გამოყვანილი თევზის, ხილ-ბოსტნეულის, სასურსათო ქათმის კვერცხის (გაუცივებლის) ვენტილირება.

4. დახურული ვაგონების განუწყვეტელი ვენტილირება წარმოებს:

ა) ნახევრად ღია გვერდის ლიუკებიდან. ნახევრად ღია გვერდის ლიუკების სახურავები დამაგრებული უნდა იყოს 4 – 6 მმ დიამეტრის მავთულით და შეყენებული ჰქონდეს ტვირთგამგზავნის მიერ დამზადებული ხის ძელაკები, როგორც ამ წესების დანართში არის ნაჩვენები. ვაგონის გარსსამოსში, ლიუკების სახურავების დასამაგრებლად, ლიუკის თავზე იხვრიტება 5 – 6 მმ დიამეტრის ხვრელი. ამ ნახვრეტსა და ლიუკის სახურავის რგოლში გაიყრება მავთული. მავთულის ბოლოები იგრიხება გარსამოსის შიდა მხრიდან ლითონის ფირფიტის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება ვაგონის კარზე ნაგრეხების დაყენებისას. ამასთან, გრეხილს უნდა ჰქონდეს სულ ცოტა სამი ხვეულა. ვაგონის კედლისგან ლიუკის სახურავის კიდის დაცილება არ უნდა იყოს 100 მმ-ზე მეტი. ნახევრად ღია მდგომარეობაში ლიუკების სახურავების დამაგრებას, აგრეთვე მავთულის მოხსნას გადმოტვირთვის შემდეგ, აწარმოებს, შესაბამისად, ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები;

ბ) ღია ლიუკებიდან, რომლებსაც შიგნიდან დატანებული აქვს ლითონის გისოსი.

5. სარეფრიჟერატორო კონტეინერებში მალფუჭებადი ტვირთი გადაიზიდება ფიტინგიან ბაქნებსა და დიზელ-ელექტროსადგურის სპეციალურად აღჭურვილ ბმულებზე, რომლებსაც, რკინიგზის ნებართვით და დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით, თან ახლავს მექანიკოსთა ბრიგადა.

მუხლი 272

1. მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილი, რომელიც გარკვეულ ტემპერატურულ რეჟიმს მოითხოვს, გადაიზიდება ნაკრებ ავტონომიურ რეფრიჟერატორულ ვაგონებსა და თერმოს-ვაგონებში, ხოლო ტვირთი, რომელიც არ მოითხოვს ტემპერატურული რეჟიმის დაცვას – ნაკრებ დახურულ ვაგონებში, რომლებიც კურსირებენ გაგზავნის ერთი სადგურიდან დანიშნულების ერთ სადგურამდე, რამდენიმე ტვირთმიმღების მისამართით.

2. თუ სარკინიგზო მიმართულების რამდენიმე სადგურში (უბნის) მალფუჭებადი ტვირთი გადასაზიდად სისტემატურად წარედგინება წვრილმან გზავნილებად, რკინიგზა ნიშნავს ნაკრებ-სარიგებელ ვაგონებს.

3. მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილები გადაიზიდება ტარაში.

4. იმ მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილების გადაზიდვის ზღვრული ვადა, რომელიც სპეციალურ მომსახურებას (გაციება, გათბობა, ვენტილირება) საჭიროებს, არ უნდა აღემატებოდეს გადაზიდვის ზღვრულ ვადას, რომელიც დაწესებულია წარსადგენ ტვირთთაგან ყველაზე ნაკლებად მედეგ სავაგონო გზავნილებისთვის.

5. მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილები, რომლებიც არ მოითხოვს სპეციალურ მომსახურებას, სავაგონო გზავნილებად გროვდება ტვირთგამგზავნის ან ექსპედიტორის მიერ, ხოლო გადაზიდვისას სპეციალური მომსახურების საჭიროების შემთხვევაში – ტვირთგამგზავნის მიერ.

6. დანიშნულების სადგურში წვრილმანი გზავნილების გაცემას ახორციელებს ექსპედიტორი.

მუხლი 273

1. ერთ ვაგონში იტვირთება მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილები, რომლებიც გადაზიდვისას მოითხოვს ერთნაირ ტემპერატურულ რეჟიმს და ერთმანეთზე არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას.

2. რკინიგზა პასუხს არ აგებს წვრილმანი გზავნილებით გაგზავნილი მალფუჭებადი ტვირთის გაფუჭებისთვის, თუ ტვირთგამგზავნმა (ექსპედიტორმა) ვაგონში ჩატვირთა ერთმანეთთან შეუთავსებელი ტვირთი, არასწორად განსაზღვრა მიტანის ვადა, არ შეასრულა ტვირთის განლაგებისა და დამაგრების მოთხოვნები, აგრეთვე, თუ ტვირთი გაფუჭდა რკინიგზისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით.

მუხლი 274

1. ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლაში ნაკრებ ვაგონებს ნიშნავს გაგზავნის რკინიგზა, იმ რკინიგზებთან შეთანხმებით, სადაც უნდა შესრულდეს გადაზიდვა,.

2. მალფუჭებადი ტვირთის წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვისას, ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, გამოიყენება ტვირთის წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვის წესი.

თავი XIX
ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალის და ობიექტის გადაზიდვის წესი

მუხლი 275

მცენარეული წამოშობისა და ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული სხვა პროდუქცია, მასალა და ობიექტი (შემდგომ – ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთი), რომელიც შეიძლება გახდეს საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების (შემდგომ – მავნე ორგანიზმები) გადამტანი, საკარანტინო რეჟიმის ტერიტორიებიდან რკინიგზით გადასაზიდად მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ ტვირთგამგზავნი წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის (შემდგომ – მცენარეთა დაცვის სამსახური) მიერ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გაგზავნის ადგილებში გაცემულ სერტიფიკატს (შემდგომ – სერტიფიკატი) და დაცული იქნება შესაბამისი ფიტოსანიტარიულ-საკარანტინო წესები.

მუხლი 276

1. კარანტინგამოცხადებული ტერიტორიის შესახებ მცენარეთა კარანტინის ინსპექციისგან შეტყობინებისა და გადაზიდვაშეზღუდული საქვეკარანტინო ტვირთის ნუსხის მიღების შემდეგ, რკინიგზა, რომლის საქმიანობის ზონაში მდებარეობს ასეთი ტერიტორია, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე სხვა რკინიგზებს. სადგურებზე ტვირთის მიღების ყველა პუნქტში, თვალსაჩინო ადგილებში გამოიკვრება განცხადება, გადაზიდვაშეზღუდული საქვეკარანტინო ტვირთის შესახებ, რომელიც გადასაზიდად უსერტიფიკატოდ არ მიიღება.

2. სერტიფიკატი გაიცემა საქვეკარანტინო ტვირთის თითოეულ ვაგონზე (კონტეინერზე) ან თითოეულ გზავნილზე (პარტიაზე), თუ ერთ ვაგონში (კონტეინერში) არის ტვირთის რამდენიმე გზავნილი (პარტია). სერტიფიკატის ერთი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, მეორე ეგზემპლარი რჩება გაგზავნის სადგურს და ინახება, როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტი. ზედნადებში ტვირთგამგზავნს შეაქვს აღნიშნვა სერტიფიკატის თანდართვის შესახებ, სადაც მიუთითებს მის ნომერსა და გაცემის თარიღს.

3. ტვირთი გადასაზიდად არ მიიღება, თუ სერტიფიკატს არა აქვს ბეჭედი და ხელმოწერა, აქვს შესწორებული და წაშლილი ადგილები, წარდგენილია სერტიფიკატის ასლები, ან მასში ტვირთის დასახელება არ შეესაბამება ფაქტობრივად წარდგენილს.

4. სერტიფიკატი, დატვირთვის სადგურზე წარსადგენად, ვარგისია მასში მითითებული ვადის განმავლობაში. ვაგონში (კონტეინერში) ჩატვირთული ტვირთის სერტიფიკატის მოქმედების ვადა არ იზღუდება.

5. საქვეკარანტინო ტვირთს ტვირთგამგზავნი გადასაზიდად წარადგენს მხოლოდ იმ სადგურში და იმ ტვირთმიმღების მისამართით, რომელიც აღნიშნულია სერტიფიკატში. საქვეკარანტინო

ტვირთის მისამართის შეცვლა დაიშვება, თუ მისამართის შეცვლის განმცხადებელი წარმოადგენს მცენარეთა კარანტინის ინსპექციის თანხმობას მისამართის შეცვლაზე.

მუხლი 277

1. კარანტინგამოცხადებული ზონიდან მიტანილი საქვეკარანტინო ტვირთის გადმოტვირთვა, ტვირთმიმღების მიერ, ხორციელდება მხოლოდ მცენარეთა კარანტინის ინსპექციის ნებართვით.

2. საქვეკარანტინო ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ, ტვირთმიმღები ასუფთავებს ვაგონებს (კონტეინერებს), ხოლო ტვირთის ნარჩენებსა და ნაგავს, მცენარეთა კარანტინის ინსპექცის მითითებით, წვავს საამისოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში.

3. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ვაგონები (კონტეინერები), საჭიროებისას, ექვემდებარება გაუსნებოვნებას მცენარეთა დაცვის სამსახურის მიწერილობის (საკარანტინო ფოტოსანიტარული კონტროლის აქტი) საფუძველზე,.

4. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთისა და სატრასპორტო საშუალებების გაუსნებოვნების ორგანიზებას უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის სამსახური. გაუსნებოვნებისა და მასთან დაკავშირებულ მოცდენის ხარჯებს ანაზღაურებს ტვირთმიმღები.

5. ვაგონების (კონტეინერების) გაუსნებოვნების თაობაზე მცენარეთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენს საკარანტინო ფიტოსანიტარიული კონტროლის აქტს, რომელსაც ტვირთმიმღები წარუდგენს სადგურს.

მუხლი 278

1. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული იმპორტული ტვირთის საქართველოში შემოტანა ნებადართულია ამ ტვირთზე მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული საიმპორტო საკარანტინო ნებართვისა და ექსპორტიორი ქვეყნის მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ოფიციალური სამსახურის მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის არსებობისას, რომელსაც ექსპორტიორი ქვეყნის აღნიშნული ორგანო გასცემს ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის თითოეულ ვაგონზე (კონტეინერზე) ან თითოეულ გზავნილზე (პარტიაზე), თუ ერთ ვაგონში (კონტეინერში) ტვირთის რამდენიმე გზავნილია (პარტიაა).

2. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ცალკეული იმპორტული ტვირთის უსერტიფიკატოდ გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ მცენარეთა დაცვის სამსახურის ნებართვით.

3. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული საექსპორტო ტვირთი გადასაზიდად მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ ტვირთგამგზავნი რკინიგზას წარმოუდგენს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემულ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს.

მუხლი 279

1. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვისას, ზედნადებზე უნდა იყოს მცენარეთა დაცვის სამსახურის დადგენილი ნიმუშის შტამპი საქართველოში ამ ტვირთის შემოტანის ან მისი სატრანზიტო გატარების ნებართვით.

2. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული იმპორტული ტვირთის სახელმწიფო საზღვრის გამტარი პუნქტების სასაზღვრო გადამცემ სადგურში მიტანის თაობაზე სადგური აცნობებს მცენარეთა დაცვის სამსახურს, წარუდგენს მას ამ ტვირთის დოკუმენტებს და გადასცემს აღნიშნულ ტვირთს შესამოწმებლად.

მუხლი 280

1. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადატვირთვა დაიშვება მხოლოდ მცენარეთა დაცვის სანსახურის ნებართვით.

2. ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს ვაგონების (კონტეინერების) მოცდენა იმ ნორმების გადამეტებით, რაც დადგენილია სადგურის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესით.

მუხლი 281

1. თუ სასაზღვრო პუნქტებში ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის შესამოწმებლად და ლაბორატორიული ანალიზის ან ექსპერტიზის მოსაწყობად აღებულ იქნა ნიმუშები, მცენარეთა დაცვის სანსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფორმებს შესაბამის აქტს, რომელიც დგება სასაზღვრო გადამცემი სადგურისა და საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით. აქტის ერთი ეგზემპლარი დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, ხოლო მეორე ინახება იმ სადგურში, სადაც მოხდა ნიმუშების ამოღება.

2. სახელმწიფო საზღვრის გამტარი პუნქტის სასაზღვრო გადამცემ სადგურში დასნებოვნებული ტვირთის გამოვლენისას, მცენარეთა დაცვის სანსახური, საჭიროებისას, აწესებს შესასრულებლად სავალდებულო საკარანტინო მოთხოვნებს.

3. სახელმწიფო საზღვრის გამტარი პუნქტის სასაზღვრო გადამცემ სადგურში ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუსნებოვნების ორგანიზებას უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის სანსახური.

მუხლი 282

1. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადმოცლის შემდეგ, ტვირთმიმღებმა, მცენარეთა დაცვის სამსახურის მიწერილობის შესაბამისად, საგულდაგულოდ უნდა დაასუფთაოს ვაგონი (კონტეინერი) და გაანადგუროს მასში არსებული ნარჩენები, ხოლო, საჭიროებისას გარეცხოს ვაგონები (კონტეინერები), რის თაობაზეც მცენარეთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენს საკარანტინო ფიტოსანიტარიული კონტროლის აქტს. აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საბაჟო ორგანოს, მეორე კი, სადგურის პასუხისმგებელ პირს.

2. გადაზიდვასთან დაკავშირებულ საბოლოო ანგარიშსწორებას ტვირთმიმღები ახორციელებს ტვირთის დანიშნულების სადგურში მიტანისას.

მუხლი 283

1. თუ ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთი გადასაზიდად მიიღება სახელმწიფო საზღვრის გამტარი პუნქტის სასაზღვრო გადამცემ სადგურებსა და საზღვაო ნავსადგურში ვაგონების გადატვირთვით, ტვირთმიმღები წარადგენს სერტიფიკატს.

2. ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადამზიდი ვაგონებისა და კონტეინერების დაზიანების ან ამ ტვირთის დაკარგვის ნიშნების გამოვლენის თაობაზე სადგური მოვალეა, დაუყოვნებლივ აცნობოს მცენარეთა დაცვის სამსახურს.

თავი XX

სახელმწიფო ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის საქვეკონტროლო ტვირთისა და ცხოველთა გადაზიდვის წესი

მუხლი 284

1. გადამდები დაავადებების გავრცელების ტერიტორიიდან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ნედლეულისა და საქონლის საკვების რკინიგზით გადაზიდვა დაიშვება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური) კონტროლით.

2. ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურს უფლება აქვს დაადგინოს ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვის განსაკუთრებული პირობები ან აკრძალოს მისი გადაზიდვა.

3. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და სასურსათო ნედლეული რკინიგზით გადაიზიდება მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად, ხოლო ცხოველები – ცხოველთა გადაზიდვის წესის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 285

1. ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთი რკინიგზით გადასაზიდად მიიღება მხოლოდ ვაგონის (კონტეინერის) წვრილმანი გზავნილის თანმხლები დოკუმენტაციით: მე-2 და მე-3 ფორმების ვეტერინარული მოწმობით ან მე-5 ფორმის (ბ, დ, ე) ვეტერინარიული სერტიფიკატით.

2. ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის კონტროლს დაქვემდებარებული საექსპორტო-საიმპორტო ან სატრანზიტო ტვირთი გადაიზიდება ვეტერინარული მოწმობის თანხლებით, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის სპეციალური წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ვეტერინარიულ მოწმობას არ საჭიროებს ვეტერინარული ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების გადაზიდვა.

3. ვეტერინარული სერტიფიკატი, მოწმობა ან ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის წერილობითი ნებართვა, რომელშიც გარკვევით არ არის შეტანილი ყველა სათანადო მონაცემი, შევსებულია განსხვავებული მელნით, შრიფტით, სხვადასხვა პირის მიერ ან აქვს შესწორებები, მიიჩნევა ბათილად და ამ დოკუმენტებით ტვირთი გადასაზიდად არ მიიღება.

მუხლი 286

1. ტვირთის თანმხლები ვეტერინარული საბუთების შევსების წესს განსაზღვრავს ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახური.

2. ვეტერინარულ საბუთში უნდა მიეთითოს ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის ნებართვის ნომერი და თარიღი, ასევე კომპეტენტური ორგანოს ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის გადაადგილების შესახებ.

3. ვეტერინარული მოწმობა (სერტიფიკატი) თან ერთვის ზედნადებს. ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები", აგრეთვე შეთანხმების ზედნადების გრაფაში „გამგზავნის მიერ თანდართული საბუთები", ტვირთგამგზავნი მიუთითებს ვეტერინარული დოკუმენტის ნომერს, მისი გაცემის თარიღსა და დასახელებას.

4. მე-2 და მე-3 ფორმის ვეტერინარული მოწმობა ძალაშია სამი დღის განმავლობაში მისი გაცემიდან ტვირთის ჩატვირთვის დაწყებამდე.

მუხლი 287

1. ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის საქვეკონტროლო ტვირთის მოსალოდნელი ჩატვირთვის შესახებ ტვირთგამგზავნმა ჩატვირთვის დანიშნული დროის შესახებ უნდა შეატყობინოს აღნიშნულ სამსახურს ვაგონის დასატვირთად ჩამოყენებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე.

2. ტვირთი, რომელიც ექვემდებარება ვეტერინარულ-სანიტარიულ ზედამხედველობას, გადასაზიდად მიიღება მხოლოდ იმ სადგურებამდე და იმ ტვირთმიმღების მისამართით, რომელიც მითითებულია ვეტერინარულ მოწმობაში (სერტიფიკატში). დანიშნულების სადგურისა და ტვირთმიმღების სახელწოდება შეიძლება შეიცვალოს ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 288

1. ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური ტვირთს ათვალიერებს მისი ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და გადატვირთვის პუნქტებში. დათვალიერების შედეგები აღინიშნება ვეტერინარულ მოწმობაში (სერტიფიკატში), დათვალიერების თარიღის მითითებით და მოწმდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

2. ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს მოსთხოვოს ტვირთგამგზავნს ტვირთის ტარის შერჩევით გახსნა და აკრძალოს მისი გადაზიდვა, თუ გამოვლინდა ტვირთის შეუსაბამობა ვეტერინარულ მოთხოვნებთან.

მუხლი 289

1. თუ ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური გამოავლენს საქვეკონტროლო ტვირთს, რომელიც გადაიზიდება თანმხლები ვეტერინარიული დოკუმენტაციის გარეშე, ან თუ გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი ამ ტვირთის კეთილსაიმედოობის თაობაზე, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით ტვირთის გადაზიდვა შეიძლება შეჩერდეს და შემდგომ გაგრძელდეს მხოლოდ მისივე ნებართვით.

2. სვლის გზაზე დათვალიერების მიზნით, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი გადაზიდვის შეჩერების მოთხოვნას წარუდგენს იმ სადგურს, სადაც იმყოფება ტვირთი.

3. გადაზიდვის შეჩერებისას, სადგური, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელის თანდასწრებით, ადგენს საერთო ფორმის აქტს, რომელშიც აღინიშნება გადაზიდვის შეჩერების მიზეზი და მის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები. აქტის ასლი თან დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტებს, რის თაობაზედაც სადგურს შეაქვს აღნიშვნა „რკინიგზის აღნიშვნების" გრაფაში.

მუხლი 290

1. მშრალუმარილო და მშრალად დამარილებული ტყავის და ბეწვეულის ნედლეული გადასაზიდად მიიღება რბილ ტარაში, ხოლო სველდამარილებული – გაუჟონავ კასრებში ან ყუთებში.

2. შეუფუთავი ან გაყინული ტყავის საბეწვეულე ნედლეული გადასაზიდად არ მიიღება.

3. სხვა ტექნიკურ ნედლეულთან ერთად ერთ ვაგონში გადასაზიდად არ მიიღება სველდამარილებული ტყავ-ბეწვეულის ნედლეული, რომელიც არ არის შეფუთული ან შეფუთულია რბილ ტარაში.

4. ტყავ-ბეწვეულის ნედლეულსა და გამოყვანილ ბეწვეულს ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს ჯილეხზე. გამოკვლევის უარყოფითი შედეგები უნდა აისახოს ვეტერინარულ მოწმობაში (სერტიფიკატში). ჯილეხზე უარყოფითი რეაქციის მქონე ტყავს, ნედლ და გამოყვანილ ბეწვეულს უნდა ჰქონდეს გამოკვლევის მწარმოებელი ლაბორატორიის დამღა.

მუხლი 291

1. დაუმუშავებელი მშრალი ტყავი შეიფუთება ტილოს ტომრებში, ყუთებსა ან კოლოფებში.

2. მშრალი გლემურძი გადასაზიდად წარედგინება მკვრივ ტომრებში, პოლიმერული აფსკის ჩატანებით, ხოლო კირხსნარით დაკონსერვებული – გაუჟონავ კასრებში.

3. მატყლი, ჯაგარი, თმა, ბუმბული და გერმა გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს რბილ ტარაში. ხოლო მატყლის სამრეცხაოში გასაგზავნ თითოეულ ტომარას უნდა ჰქონდეს ფაბრიკის მარკა.

4. მშრალი ნაწლავნედლეული და შარდის ბუშტი გადასაზიდად წარედგინება ყუთებსა ან ტომრებში, რომელიც შეფუთულია მკვრივ რბილ ტარაში. მშრალდამარილებული და დამარილებული ნაწლავნედლეული გადასაზიდად წარედგინება მყარ გაუჟონავ კასრებში.

მუხლი 292

1. რქა, ჩლიქი და ძვალი გადასაზიდად წარდგენილ უნდა იყოს რბილ ტარაში, რბილი ნაწილებისგან, ჭუჭყისგან გასუფთავებული და გამომშრალი. შეუფუთავი, გაუმშრალი რქა, ჩლიქი და ძვალი გადასაზიდად არ მიიღება.

2. რქის, ჩლიქის და ძვლის უტაროდ გადაზიდვა დაიშვება დახურულ ვაგონებში ან კონტეინერებში.

3. ზამთრის პერიოდში დასაშვებია რბილი ქსოვილებისგან გასუფთავებული გაყინული რქის, ჩლიქისა და ძვლის გადაზიდვა დახურულ ვაგონში, თუ ჰაერის ტემპერატურა არ აღემატება მინუს 5 გრადუსს და, თუ არსებობს ტვირთმიმღების თანხმობა ამგვარ გადაზიდვაზე. ამ შემთხვევაში,

ზედნადების გრაფაში „გამგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები” ტვირთგამგზავნი მიუთითებს „ნედლი ძვლის (რქის, ჩლიქის) გაყინულ მდგომარეობაში გადაზიდვა შეთანხმებულია ტვირთმიმღებთან”.

4. სასურსათო და ძეხვეულის ძვალი გადაიზიდება მხოლოდ მყარ ტარაში (ყუთი, კასრი). ძვლის გადაზიდვისას ვეტერინარულ მოწმობაში (სერტიფიკატში) მითითებული უნდა იყოს მისი წარმოშობა (სასურსათო, ძეხვეულის, საველე).

5. აკრძალულია სასურსათო და ძეხვეულის ძვლის გადაზიდვა საველესთან ერთად, აგრეთვე საველე ძვლის გადაზიდვა წვრილმანი გზავნილებით.

6. არ დაიშვება საველე ძვლის, ჩლიქისა და რქის ვაგონებში ჩატვირთვა, გადმოტვირთვა და შენახვა საერთო სარგებლობის ადგილებში. ამ ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა ნებადართულია უშუალოდ ავტოტრანსპორტიდან ვაგონში და ვაგონიდან ავტოტრანსპორტზე.

მუხლი 293

1. აკრძალულია ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადაზიდვა, მათ შორის, წვრილმანი გზავნილებით, საკვებ პროდუქტებთან, ცხოველის საკვებთან, ლითონის ნაკეთობებთან, საღებავ, სუნიან და აორთქლებად ნივთიერებებთან, პირადი (საყოფაცხოვრებო) მოხმარების ტვირთთან ერთად, აგრეთვე საკვები ნედლეულის გადაზიდვა ცხოველური წარმოშობის ტექნიკურ ნედლეულთან ერთად.

2. არ დაიშვება ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადაზიდვა კონტეინერებში, გარდა ბეწვეულის ნედლეულისა, რომელიც არ ექვემდებარება ჯილეხზე გამოკვლევას.

3. ცხოველური წარმოშობის ნედლეული და საკვები წვრილმანი გზავნილებით გადაიზიდება ტვირთის წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვის წესის შესაბამისად.

მუხლი 294

1. ტყავი, ნედლი და გამოყვანილი ბეწვეული, ჯაგარი, თმა, ბუმბული, გერმა, მატყლი, ნაწლავნედლეული, შარდის ბუშტი, რქა, ჩლიქი, სასურსათო და ძეხვეულის ძვალი, ტყავნედლეულის ჩამონაჭრები და გლემურძი გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს შეფუთულ მდგომარეობაში, წვრილმანი გზავნილებით.

2. მატყლი, ჯაგარი, თმა, ბუმბული, გერმა გადასაზიდად წარდგენილი უნდა იყოს წვრილმანი გზავნილებით ყუთებში ან მკვრივ, რბილ ტარაში, ხოლო რქა და ჩლიქები – მხოლოდ მყარ ტარაში.

3. ტყავის ჩამონაჭრებისა და გლემურძის წვრილმანი გზავნილებით გადაზიდვა დაიშვება, თუ ისინი შეფუთულია გაუქონავ კასრებში.

მუხლი 295

1. ვაგონები, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ნედლეულის გადაზიდვის შემდეგ, აგრეთვე ხორცისა და ხორცპროდუქტების გადასაზიდად განკუთვნილი ვაგონები, ექვემდებარება ვეტერინარულ-სანიტარიულ დამუშავებას.

2. ვეტერინარულ-სანიტარიული დამუშავების კატეგორია დგინდება ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, რომელიც თითოეულ ვაგონზე გასცემს დადგენილი ფორმის ვეტერინარულ დოკუმენტს, გადასამუშავებლად გაგზავნის მითითებით (დამუშავების რეჟიმისა და მეთოდის აღწერით).

3. ვაგონების ვეტერინარულ-სანიტარიულ დამუშავებას უზრუნველყოფს რკინიგზა, ტვირთმიმღების ხარჯით. დეზინფექციის ჩატარების შემდეგ ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი გასცემს დადგენილი ფორმის მოწმობას ვაგონების დამუშავებისა და კეთილსაიმედოობის შესახებ, რომელშიც მიეთითება დამუშავების რეჟიმი და მეთოდი ვაგონების კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული მოწმობის გარეშე ვაგონების ხელახალი გამოყენება ტვირთის გადასაზიდად აკრძალულია.

4. დადგენილი ვეტერინარული მოთხოვნების დამრღვევი პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 296

1 . ყველა სახეობის ცხოველს, მათ შორის, ფრინველს, საბეწვეულო ნადირს, ლაბორატორიულ, ზოოპარკისა და შინაურ ცხოველებს, ზღვის ნადირს, ფუტკარს, თევზს (შემდგომ – ცხოველები) გადასაზიდად წარადგენს ტვირთგამგზავნი, დადგენილი წესით გაცემული ვეტერინარიული მოწმობის საფუძველზე.

2. ვეტერინარიული მოწმობის, ხოლო საერთაშორისო გადაზიდვისას – ასევე ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის წერილობითი ნებართვის გარეშე, ცხოველთა გადაზიდვა აკრძალულია. აღნიშნული მოწმობა და ნებართვა ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

3. თითოეულ ვაგონზე გაფორმებული ვეტერინარიული მოწმობის პირველი პირი, ვაგონში მოთავსებულ ცხოველთა რაოდენობის მითითებით, თან ერთვის ზედნადებს, ხოლო მეორეს ტვირთგამგზავნი გადასცემს ცხოველთა თანხლებ გამყოლს.

4. ზედნადების გრაფაში „ტვირთგამგზავნის განსაკუთრებული განცხადება და აღნიშვნა“ ტვირთგამგზავნი მიუთითებს ვეტერინარიული მოწმობის თანდართვის შესახებ, მის ნომერსა და გაცემის თარიღის.

მუხლი 297

1. ცხოველთა გადაზიდვა ხორციელდება ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის ნებართვით, ხოლო იმ ცხოველთა გადაზიდვისას, რომლებიც ექვამდებარებიან „გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის” მოქმედებას, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს ამ კონვენციით გათვალისწინებული საბუთები.

2. ცხოველთა გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ იმ სადგურების გავლით, რომლებშიც მოწყობილია სასაზღვრო ვეტერინარული პუნქტები.

მუხლი 298

1. ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლი სასაზღვრო ვეტერინარულ პუნქტში ვეტერინარულ მოწმობას ცვლის შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატით.

2. სასპორტო, საცირკო და სხვა სახის ცხოველების (ფრინველების) საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოში მათზე გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატები ძალაშია გაცემიდან 90 დღის განმავლობაში, თუ აღნიშნული ცხოველების ჯანმრთელობა დადგენილი წესით დადასტურებულია იმ ქვეყნის უფლებამოსილი ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ.

3. ვეტერინარული მოწმობა, რომელშიც გარკვევით არ არის შეტანილი ყველა სათანადო მონაცემი, შევსებულია განსხვავებული მელნით, შრიფტით, სხვადასხვა პირის მიერ ან აქვს შესწორებები, მიიჩნევა ბათილად და ამ დოკუმენტით ტვირთი გადასაზიდად არ მიიღება.

მუხლი 299

1. ცხოველთა საიმპორტოდ გადასაზიდად მიღება დაიშვება შესაბამისი ექსპორტიორი სახელმწიფოს უფლებამოსილი ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული ვეტერინარიული სერტიფიკატის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ვეტერინარიულ-სანიტარიულ მოთხოვნებს.

2. სასაზღვრო ვეტერინარიული პუნქტიდან ცხოველთა შემდგომი გადაზიდვის შესაძლებლობასა და პირობებს განსაზღვრავს ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. ცხოველთა დათვალიერება და ექსპორტიორ სახელმწიფოთა ვეტერინარული სერტიფიკატების სანაცვლოდ ვეტერინარიული მოწმობების გაფორმება ხორციელდება უფლებამოსილი ვეტერინარიული ექიმის მიერ დანიშნულების პუნქტებში.

მუხლი 300

1. ცხოველების დატვირთვა-გადმოტვირთვა ვაგონებში გადასაზიდად ხორციელდება არასაერთო სარგებლობის ადგილებში, სადაც მოწყობილია პირუტყვის დასატვირთი ბაქნები.

2. გამონაკლის შემთხვევებში ცხოველთა დატვირთვა-გადმოტვირთვა დაიშვება საერთო სარგებლობის ბაქნებიდან ან სადგურის მოედნებიდან, ტრაპის გამოყენებით.

3. სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთვისას ცხოველები სადგურში მიყვანილი უნდა იყვნენ სადგურთან შეთანხმებულ ვადაში.

მუხლი 301

1. ლაბორატორიული, ზოოპარკისა და შინაური ცხოველები გადაიზიდება სპეციალიზებულ ვაგონებში ან ამგვარი გადაზიდვისთვის მოწყობილ დახურულ ვაგონებში.

2. თუ დახურულ ვაგონში ცხოველები ჩატვირთა ტვირთგამგზავნმა, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ვაგონების შესაბამისი მოწყობაც.

მუხლი 302

1. ცხოველთა გადასაზიდად გამოიყოფა სუფთა ვაგონები, ხოლო საჯიშე ცხოველების გადასაზიდად – წყლით გარეცხილი და დეზინფიცირებული ვაგონები. ვაგონების ვარგისობა ცხოველთა გადასაზიდად დგინდება ტვირთგამგზავნის მიერ, უფლებამოსილ ვეტერინარულ ექიმთან ერთად.

2. შესაბამისი დამუშავების გარეშე ცხოველთა გადასაზიდად იკრძალება იმ ვაგონის მიწოდება, რომლითაც ადრე შხამქიმიკატები ან მინერალური სასუქი გადაიზიდა.

მუხლი 303

1. ცხოველთა დატვირთვა-გამოტვირთვა ხორციელდება სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით, რომელსაც დამტვირთავ-გადმომტვირთავი ამის თაობაზე ატყობინებს სატვირთო სამუშაოს დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე.

2. ცხოველთა დატვირთვა-გამოტვირთვა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს დღის ნათელ მონაკვეთში. გამონაკლის შემთხვევაში დაიშვება ცხოველთა დატვირთვა-გამოტვირთვა დღე-ღამის ბნელ მონაკვეთში იმ პირობით, რომ სატვირთო სამუშაოს შესრულების ადგილი აღჭურვილი იქნება განათების საკმარისი საშუალებით.

მუხლი 304

1. ცხოველთა ჩასატვირთად დაშვებისას, უფლებამოსილი ვეტერინარული ექიმი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ვეტერინარულ მოწმობაში, ხოლო ჩატვირთვის აკრძალვის შემთხვევაში ადგენს აქტს ვეტერინარული მოწმობისა და მისი ასლის ამოღებით, რის თაობაზედაც ატყობინებს სადგურის უფროსს.

2. ცხოველთა დატვირთვის აკრძალვის მომენტიდან არა უგვიანეს 2 საათის განმავლობაში ტვირთგამგზავნი ვალდებულია, გაიყვანოს ისინი სადგურის ტერიტორიიდან.

3. დაავადებული ან დაავადების ნიშნების მქონე ცხოველების გამოვლენისას ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 305

1. დახურულ ვაგონებში დასაშვებია შემდეგი რაოდენობის ცხოველთა ჩატვირთვა:

ა) მსხვილფეხა რქოსანი ზრდასრული პირუტყვისა – 16-დან 24-მდე სული, მათი ზომისა და წონის მიხედვით;

ბ) მსხვილფეხა რქოსანი მოზარდეული პირუტყვისა – 24-დან 28-მდე სული;

გ) დეკეულისა – 36-დან 50-მდე სული, ასაკის მიხედვით;

დ) ცხვრისა და თხისა – 80-დან 100-მდე სული;

ე) ღორისა – 50-დან 60-მდე სული (ერთი ცხოველის 80 კგ-მდე წონისას), 44-დან 50-მდე (ერთი ცხოველის 80 კგ-დან 100კგ-მდე წონისას), 28-დან 44-მდე სული (ერთი ცხოველის 100კგ-დან 150 კგ-მდე წონისას) და 20-დან 28-მდე სული (ერთი სულის 150 კგ-ზე მეტი წონისას);

ვ) ცხენისა – არა უმეტეს 14 სულისა;

ზ) აქლემისა – არა უმეტეს 8 სულისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რაოდენობის ცხოველთა ჩატვირთვის დამთავრების შემდეგ, ვაგონში უნდა დარჩეს თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლება დაეტიოს კიდევ ერთი ცხოველი.

3. საჯიშე და მაღალპროდუქტიული ცხოველების დატვირთვის ნორმები განისაზღვრება ტვირთგამგზავნის მიერ, ვეტერინარულ ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 306

1. ცხენი მოთავსებული უნდა იყოს ვაგონის გასწვრივი ღერძის პარალელურად, თავით კართაშორისი სივრცისაკენ, ორ რიგად ვაგონის თითოეულ ნახევარში.

2. გამყოლის შეუფერხებელი გადაადგილებისათვის შუა რიგებში აყენებენ ერთი ცხენით ნაკლებს, ვიდრე განაპირა რიგებში.

3. ცხენის გადასაყვანი ვაგონი უნდა აღიჭურვოს ოთხი განივი საბმური დაფა-კადონით, ორი კარით, ორი გრძივი და ოთხი საფურაჟე დაფით.

4. ცხენის გადაყვანა დაიშვება მხოლოდ დაუჭედავ მდგომარეობაში.

მუხლი 307

1. ვაგონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეიძლება განლაგდეს როგორც განივად, ასევე გრძივად.

2. სპეციალიზებულ ვაგონებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჩაიტვირთება მხოლოდ განივად. ამ შემთხვევაში, პირუტყვის დატვირთვამდე, ვაგონის გრძივი კედლის არამოსასხნელ დაფებზე ცხოველთა დასაბმელი სჭვალებით მაგრდება ლითონის რგოლები ან კავები ისე, რომ ერთ რგოლზე შესაძლებელი იყოს 1-2 ცხოველის დაბმა. ვაგონის ტორსულ კედლებთან დაიგება ორი დაფისგან შემდგარი თაროები, რომელიც ეწყობა ვაგონის გარდიგარდმო არამოსასხნელ დაფებზე, ვაგონის ტორსულ კედლებთან მიჯრით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დატვირთვის შემდეგ ვაგონის კარის ღიობებში აყენებენ ცხაურს.

3. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გრძივად განლაგებისას, ვაგონები მოეწყობა ისევე, როგორც ცხენის გადაზიდვის დროს, ოღონდ დაფების ნაცვლად კარის ღიობებში აყენებენ ცხაურს – გისოსებს.

4. ცხვარი, თხა, ხბო, ღორი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეული ვაგონში ჩაიტვირთება დაუბმელად.

მუხლი 308

1. იკრძალება ხარისა და ძროხის, ვერძისა და ნერბის, ტახისა და ნეზვის, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის ცხოველთა გადაზიდვა ერთი ვაგონით.

2. იკრძალება ღორის ჩატვირთვა: ზამთრის პერიოდში – 25 გრადუსზე მეტი ყინვისას, ხოლო ზაფხულის პერიოდში, პლუს 25 და მეტი გრადუსი ტემპერატურისას, – 100 კგ-ზე მეტი წონის ღორისა.

მუხლი 309

1. მცირე ზომის ცხოველები გადაიზიდება რამდენიმე იარუსად განლაგებულ გალიებსა და ყუთებში. ვაგონის გვერდის კედლიდან, გალიასა და სახურავს შორის, მანძილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0,2 მეტრს.

2. გალიები და ყუთები თავსდება ვაგონის გრძივ კედელთან ისე, რომ დარჩეს გასავლელი ადგილი ცხოველთა მოვლისა და ვენტილაციისთვის.

3. გალიებსა და ყუთებს უნდა ჰქონდეთ მთლიანი, წყალგაუმტარი ძირი და ისინი საიმედოდ უნდა დამაგრდეს დატვირთვის შემდეგ.

მუხლი 310

1. გარეული ცხოველები სავაგონო გზავნილებით გადაიზიდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რკინიგზის მიერ განსაზღვრული პირობების მიხედვით, რომლებიც შეთანხმებულია ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურთან და ტვირთგამგზავნთან.

2. საბეწვეულე ნადირი, მათი სახეობების მიხედვით, გადაიზიდება რკინის ან მაგარი ხის გალიებში, რომელსაც აქვს ლითონისგისოსიანი კარები. გალიის გარსს უნდა ჰქონდეს საიმედო საკეტი, რომელიც გამორიცხავს თავისით გაღების შესაძლებლობას და იკეტება კლიტით ან ბოქლომით.

მუხლი 311

1. ფრინველი გადაიზიდება მთლიან წყალგაუმტარძირიან გალიებში.

2. ფუტკრის, აგრეთვე გასამრავლებლად და სააკლიმატიზაციოდ გათვალისწინებული ცოცხალი კიბოს, თევზის, თევზსმოსაშენებელი მასალის (ლიფსიტების) გადაზიდვა ხორციელდება მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად.

მუხლი 312

1. ტვირთგამგზავნი ვალდებულია გადაზიდვის პროცესში ცხოველები უზრუნველყოს ხარისხიანი საკვებით და საფენით, გადაზიდვის დადგენილი ვადისა და ორდღიანი მარაგის გათვალისწინებით. საკვებისა და საკვები დანამატების ვეტერინარულ-სანიტარიული ხარისხიანობა დადასტურებული უნდა იქნეს ვეტერინარული მოწმობით (სერტიფიკატით).

2. გაგზავნის პუნქტში მინუს 15 გრადუსზე დაბალი ჰაერის ტემპერატურისას ჟენჟოს, დურდოს და სილოსის საკვებად გამოყენება არ დაიშვება.

მუხლი 313

1. სპეციალურ თაროებსა და ვაგონის კარის ღიობებს შორის მოთავსებული საკვები და საფენი გადაიზიდება ცხოველებთან ერთად. მარცვლეული საკვები (შვრია, ფქვილი, ქატო და კომბინირებული საკვები) შეფუთული უნდა იყოს ტომრებში, ხოლო თივა და ნამჯა – ზარდინებად (ფუთებად) დაწნეხილი.

2. ტვირთგამგზავნის თხოვნით და მისი ხარჯით საკვებისა და საფენის გადასაზიდად შეიძლება გამოიყოს ცალკე ვაგონი.

3. ცხოველებით დატვირთული ვაგონების გორაკიდან დაშვება და მათ მიმართ ბიძგებთან დაკავშირებული მანევრები წარმოებს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით. სადგური ვალდებულია გააფრთხილოს ასეთი ვაგონების გამყოლები მანევრირების დაწყების თაობაზე.

მუხლი 314

1. ცხოველებით დატვირთული ვაგონების გამყოლთა მოვალეობები განისაზღვრება ტვირთის თანხლებით გადაზიდვის წესით.

2. ტვირთგამგზავნის თხოვნით და მისი ხარჯით გამყოლს შეიძლება გამოეყოს ცალკე ვაგონი.

3. ცხოველთა გადაზიდვისას გამყოლი ვალდებულია, დაარწყულოს ცხოველები სულ ცოტა დღეში ერთხელ – ზაფხულის პერიოდში და ერთხელ ან ორჯერ – გარდამავალ და ზამთრის პერიოდში.

4. იმ სადგურთა ნუსხას, სადაც წარმოებს ცხოველების დარწყულება, შეიმუშავებს რკინიგზა. ასეთი სადგური აღჭურვილი უნდა იყოს ცხოველთა დასარწყულებლად აუცილებელი ინვენტარით (წყლის სვეტი, შლანგი და სხვა მოწყობილობა), რომელიც განლაგებულია სადგურის შესაბამის სარკინიგზო ბაქანზე, ხოლო, მისი არარსებობის შემთხვევაში, სადგური ვალდებულია, უზრუნველყოს წყლის მიწოდება უშუალოდ პირუტყვის ვაგონთან.

5. ცხოველთა ბოლო დარწყულების შემდეგ სადგური ვალდებულია, ცხოველებით დატვირთული ვაგონების გასვლა შეატყობინოს დარწყულების შემდეგ სადგურს. სადგური ვალდებულია, ცხოველთა დარწყულების ან გამყოლის მიერ დარწყულებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშნოს გამყოლის საგზაო ჟურნალში.

6. ცხოველებით დატვირთული ვაგონების მსვლელობის გაუთვალისწინებელი შეფერხებისას სვლის გზაზე, სადგური, მისი სპეციალიზაციის მიუხედავად, ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ცხოველების დროულად დასარწყულებლად.

მუხლი 315

1. მატარებლის გაჩერებისას ცხოველებით დატვირთული ვაგონების ნაკელისგან გაწმენდას გამყოლი ახორციელებს მხოლოდ რკინიგზის მიერ განსაზღვრულ სადგურში. ასეთი სადგური უზრუნველყოფს ცხოველებით დატვირთული ვაგონების მოთავსებას მათ გასაწმენდად გათვალისწინებულ ლიანდაგზე.

2. დაავადებული ცხოველების გამოვლენის ან ცხოველთა განსაკუთრებული პირობებით გადაზიდვისას ვაგონების ნაკელისგან გაწმენდა სვლის გზაზე აკრძალულია.

მუხლი 316

1. სვლის გზაზე ცხოველთა მასობრივი ან ცალკეული დაავადების (გაწყდომის) თითოეული შემთხვევის, აგრეთვე ცხოველთა მიერ საკვებისა და წყლის მიღების შეწყვეტის თაობაზე, გამყოლი ვალდებულია, სადგურის მეშვეობით წერილობით შეატყობინოს ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ცხოველთა გადაყვანის შემდგომი გაგრძელების ან გადაყვანის შეწყვეტის თაობაზე.

2. აკრძალულია დაავადებული ცხოველების დაკვლა სვლის გზაზე.

მუხლი 317

1. თუ ცხოველთა გადაზიდვა შეჩერდა სვლის გზაზე საკარანტინო ღონისძიებების ჩასატარებლად, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით მიმართოს იმ სადგურს, სადაც ცხოველები იმყოფება.

2. სადგური მოვალეა, ცხოველებით დატვირთული ვაგონების შეჩერების ან ვაგონიდან ცხოველების მოხსნის ყველა შემთხვევის შესახებ შეადგინოს საერთო ფორმის აქტი, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლისა და ცხოველთა გამყოლის მონაწილეობით. აქტის ასლი, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის წერილობით მოთხოვნასთან ერთად, თან დაერთვის გადაზიდვის საბუთებს.

მუხლი 318

1. სადგურმა ზედნადებში უნდა აღნიშნოს საერთო ფორმის აქტის შედგენისა და იმ ფაქტობრივი ხარჯის შესახებ, რომელიც გასწია რკინიგზამ დაავადებულ ცხოველებთან წინასწარ გაუთვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას.

2. დაავადებული ან დახოცილი ცხოველების გადმოტვირთვასთან დაკავშირებით რკინიგზის მიერ გაწეულ ფაქტობრივ ხარჯებს დანიშნულების სადგურში ანაზღაურებს ტვირთმიმღები (ექსპედიტორი), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ სადგურების ნუსხას, რომლებზეც დაშვებულია ცხოველთა ლეშის გადმოტვირთვა, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს რკინიგზა.

მუხლი 319

1. ცხოველებით დატვირთული ვაგონების ტექნიკური უწესივრობის აღმოჩენისას სვლის გზაზე, სადგური, რომელმაც გამოავლინა უწესივრობა, ვალდებულია, მიიღოს გადაუდებელი ზომები მათი შეკეთებისა და, შეძლებისდაგვარად, იმავე ან უახლოესი მატარებლით ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

2. ცხოველების გადატვირთვა სხვა ვაგონში დაიშვება მხოლოდ ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვით და მისი კონტროლით.

მუხლი 320

1. ცხოველებით დატვირთული ვაგონების გადმოსატვირთად შემოსვლის თაობაზე დანიშნულების სადგური ატყობინებს ტვირთმიმღებსა და ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურს.

2. ცხოველთა გადმოტვირთვის დამთავრებისთანავე ტვირთმიმღები ვალდებულია, ნაკელი და საფენის ნარჩენები გამოიტანოს ვაგონების კართშორის სივრცეში, იმ ვაგონების გარდა, რომლებიც შემდგომ, მესამე კატეგორიის დამუშავებას.

3. ტვირთმიმღების თხოვნით, სადგურს შეუძლია, ნაკელისა და საფენების გამოსატანად დაადგინოს დამატებითი დრო, შემოსული ვაგონების რაოდენობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 321

1. ვაგონების დეზინფექცია ხორციელდება რკინიგზის საშუალებებით, ტვირთმიმღების ხარჯით.

2. ცხოველთა გადმოტვირთვის შემდეგ ვაგონების ვეტერინარულ-სანიტარიული დამუშავების (დეზინფექციის) კატეგორიას ადგენს და დეზინფექციის ჩატარებას ამოწმებს ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 322

1. თუ ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცხადებულია კარანტინი, რკინიგზა დროებით აჩერებს ან ზღუდავს ცხოველთა დატვირთვას.

2. კარანტინგამოცხადებულ სადგურში შემოსული ცხოველებით დატვირთული ვაგონები იგზავნება სხვა სადგურში ტვირთგამგზავნის (ტვირმიმღების) განცხადებისა და ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ცხოველთა გადაზიდვისას ვეტერინარული მოთხოვნების დამრღვევი პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XXI. ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვის წესი

მუხლი 323

1. ტვირთგამგზავნი უფლებამოსილია, გადასაზიდად წარმოადგინოს ფასგამოცხადებული ტვირთი.

2. ფასის გამოცხადება სავალდებულოა, თუ გადასაზიდად წარდგენილია:

ა) ძვირფასი ლითონები, პატიოსანი თვლები და მათი ნაკეთობანი;

ბ) ხელოვნების ნიმუშები, ანტიკვარული საგნები და სხვა მხატვრული ნაკეთობანი;

გ) ვიდეო- და აუდიოაპარატურა;

დ) ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა;

ე) სამრავლებელი ტექნიკა;

ვ) მანქანა-მოწყობილობის, ხელსაწყოების საცდელი ნიმუშები;

ზ) პირადი (ყოფითი) საჭიროებებისათვის განკუთვნილი ტვირთი, რომელიც თანხლების გარეშე გადაიზიდება.

მუხლი 324

1. ტვირთის ფასი ცხადდება მისი ღირებულებიდან გამომდინარე.

2. ტვირთის ღირებულება განისაზღვრება მისი ფასის მიხედვით, რომელიც აღნიშნულია გამყიდველის ანგარიშში, ან გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, ხოლო მათი არარსებობისას – იმ ფასიდან გამომდინარე, რომელიც შესადარ პირობებში ჩვეულებრივ გადაიხდება ანალოგიური საქონლისთვის.

3. ფასგამოცხადებული ტვირთის გადასაზიდად წარდგენისას ტვირთგამგზავნი, ზედნადებთან ერთად, გაგზავნის სადგურს წარუდგენს ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვის აღწერილობას, რომელიც შევსებულია ამ წესების დანართით გათვალისწინებული ფორმით.

4. თუ სხვადასხვა ფასეულობის ტვირთი გადასაზიდად თითო ზედნადებით არის წარდგენილი, განმასხვავებელი ნიშნები, ადგილების რაოდენობა და ფასი აღწერილობაში აღინიშნება ცალკე სტრიქონად.

5. ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვის აღწერილობა დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი უბრუნდება ტვირთგამგზავნს, მეორე – გაიკვრება ვაგონის (კონტეინერის) შიგნით, თვალსაჩინო ადგილას, ან ჩაიდება ერთ-ერთ სატვირთო ადგილში, ტვირთის წვრილმანი გზავნილით გადაზიდვისას, ხოლო ნუსხის მესამე ეგზემპლარი რჩება გამგზავნის სადგურს.

6. პირადი (ყოფითი) საჭიროებისთვის განკუთვნილი ფასგამოცხადებული ტვირთი გადასაზიდად წარედგინება რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის წესის შესაბამისად.

მუხლი 325

გადაზიდვის დოკუმენტების გაფორმებისას, გაგზავნის სადგურის უფლებამოსილმა მუშაკმა უნდა შეამოწმოს ტვირთგამგზავნის მიერ აღწერილობის შევსების სისწორე, ჩაწეროს მასში ზედნადების ნომერი, ხელი მოაწეროს სტრიქონში „აღწერილობა მიღებულია“ და დაამოწმოს გაგზავნის სადგურის კალენდარული შტემპელით. ტვირთგამგზავნი და სადგურის უფლებამოსილი მუშაკი ხელს აწერენ თითოეულ ფურცელზე.

მუხლი 326

1. რკინიგზა ანაზღაურებს ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვისას მიყენებულ ზარალს ტვირთის გამოცხადებული ღირებულების ოდენობით ან მისი გამოცხადებული ღირებულების იმ წილის ოდენობით, რომელიც შეესაბამება ტვირთის დაკარგულ, ნაკლულ, ან დაზიანებულ (გაფუჭებულ) ნაწილს. რკინიგზა, აგრეთვე ვალდებულია, დაუბრუნოს დაზარალებულ პირს ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების საფასური, დაკარგული, ნაკლული ან დაზიანებული (გაფუჭებული) ტვირთის ოდენობის პროპორციულად, თუ ეს საფასური არ შედის ამ ტვირთის ღირებულებაში.

2. ტვირთის ფასის გამოცხადებისთვის ტვირთგამგზავნი რკინიგზას უხდის დამატებით საფასურს დადგენილი ოდენობით, რომელიც აღინიშნება გადაზიდვის დოკუმენტებში.

თავი XXII
ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესი

მუხლი 327

1. ვაგონებში (კონტეინერებში) გარეშე პირთა შეღწევის თავიდან აცილების მიზნით და გადასაზიდი ტვირთის ხელშეუხებლობისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საკეტ-საპლომბი მოწყობილობა.

2. საკეტ-საპლომბი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს მისი მოხსნის შეუძლებლობას მთლიანობის დაურღვევლად და ვაგონში (კონტეინერში) უნებართვო შეღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 328

1. საკეტ-საპლომბი მოწყობილობა მაგრდება ვაგონებისა და კონტეინერების წესივრულ ჩამკეტ საშუალებებზე.

2. საკეტ-საპლომბ მოწყობილობას ვაგონსა და კონტეინერზე აყენებს მისი დამტვირთავი მხარე.

3. არ დაიშვება ტვირთის საექსპორტო გადაზიდვა ვაგონებსა და კონტეინერებში საკეტ-საპლომბი მოწყობილობის გარეშე.

მუხლი 329

1. თუ საბაჟო შემოწმებისას ვაგონები (კონტეინერები) გაიხსნა, მასზე ახალი საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაყენებას უზრუნველყოფს საბაჟო ორგანო, რის შესახებ აღინიშნება გადაზიდვის საბუთებში.

2. საბაჟო ორგანოს მიერ ვაგონების (კონტეინერების) გახსნის შესახებ ფორმდება შესაბამისი აქტი, ტვირთის გადაზიდვისას აქტების შედგენის წესის თანახმად.

3. საბაჟო შემოწმებისთვის ვაგონების (კონტეინერების) გახსნისა და საბაჟო ორგანოს მიერ ახალი საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაყენების თაობაზე შეთანხმების ზედნადების 93-ე გრაფაში რკინიგზას შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი, საკეტ-საპლომბი მოწყობილობის ღირებულების მითითებით.

4. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში დაიშვება ცარიელი ვაგონების (კონტეინერების) დაპლომბვა.

მუხლი 330

1. რკინიგზის მიერ ვაგონის ან კონტეინერის გახსნას საკონტროლო შემოწმებისთვის უნდა დაესწროს ტვირთგამგზავნის წარმომადგენელი, რომელიც შემოწმების დამთავრების შემდეგ ხელახლა პლომბავს ვაგონს (კონტეინერს).

2. შემოწმების შედეგის შესახებ დგება საერთო ფორმის აქტი, ტვირთგამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით.

მუხლი 331

1. თუ ტვირთის მდგომარეობა შემოწმდა სვლის გზაზე, დაიშვება საკეტ-საპლომბი მოწყობილობის მხოლოდ იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც მოიხსნა ტვირთის შესამოწმებლად, რის შესახებ დგება საერთო ფორმის აქტი და კეთდება აღნიშვნა გადაზიდვის საბუთში.

2. თუ გაგზავნის სადგურში ვაგონში (კონტეინერში) აღმოჩნდა წინა გადაზიდვისას გამოყენებული საკეტ-საპლომბი მოწყობილობა, იგი უნდა მოხსნას ვაგონის (კონტეინერის) დამტვირთველმა მხარემ.

მუხლი 332

საკეტ-საპლომბი მოწყობილობა მაგრდება:

ა) დახურულ ვაგონზე – ვაგონის თითოეულ მხარეს განლაგებული კარის ზესადებზე, თითო ცალი;

ბ) სარეფრიჟერატორო ვაგონზე – ვაგონის თითოეულ მხარეს განლაგებულ იმ კარზე, რომელიც აღჭურვილია დასაჭერი ფილით და ჩამკეტი მოწყობილობის ბერკეტებით, თითო ცალი;

გ) ცისტერნაზე – ზედა ჩასატვირთი ლიუკის სახურავზე, თითო ცალი;

დ) ვაგონ-ჰოპერზე – ჩასატვირთი ლიუკის დამამაგრებელი შტანგის ჩამკეტ მოწყობილობაზე, თითო ცალი;

ე) მსუბუქი ავტომობილების გადამზიდ დახურულ ვაგონზე – თითოეული ტორსული მოედნის კარის ჩამკეტ მოწყობილობაზე, თითო ცალი;

ვ) კონტეინერებზე – თითო ცალი, კარის მარჯვენა საგდულის მარცხენა მხარეს განლაგებულ სახელურზე, რომელიც ბოლოს იკეტება.

მუხლი 333

1. საკეტ-საპლომბ მოწყობილობაზე აღინიშნება გაგზავნის რკინიგზის შემოკლებული დასახელების შვიდციფრიანი ინდიკატორული საკონტროლო ნიშანი, მწარმოებლის სავაჭრო ნიშანი, მოწყობილობის დამზადების წლის ბოლო ციფრი და მოწყობილობის დასახელება.

2. ერთნაირი, აგრეთვე არამკაფიო და არასრული ინდივიდუალური წარწერების მქონე საკეტ-საპლომბი მოწყობილობის გამოყენება არ დაიშვება.

3. საკეტ-საპლომბი მოწყობილობა, რომელზეც დატანებულია ინდივიდუალური საკონტროლო ნიშანი, ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას.

4. ტვირთგამგზავნსა და ტვირთმიმღებს საკეტ-საპლომბი და მათი მოსახსნელი მოწყობილობით უზრუნველყოფს რკინიგზა, დადგენილი საფასურით.

თავი XXIII
ტვირთის გადაზიდვის მისამართის შეცვლის წესი

მუხლი 334

1. ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების განაცხადის საფუძველზე რკინიგზა ახდენს გადასაზიდი ტვირთის მისამართის შეცვლას, გადაზიდვის დოკუმენტებში აღნიშნული დანიშნულების სადგურისა და ტვირთმიმღების შესახებ მონაცემების შეცვლის მეშვეობით.

2. ტვირთის მისამართის შეცვლის ნებართვას გასცემს რკინიგზის უფლებამოსილი პირი.

3. საერთაშორისო მარშრუტებით გადასაზიდი ტვირთის მისამართის შეცვლა ხორციელდება ამ წესების შესაბამისად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 335

1. ტვირთის მისამართის შეცვლის განაცხადს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები წარადგენს წერილობით.

2. მისამართის შეცვლის განაცხადში აღინიშნება:

ა) ვაგონის (კონტეინერის) ნომერი;

ბ) ზედნადების ნომერი;

გ) ტვირთის დასახელება;

დ) გამგზავნი სადგურის და ტვირთგამგზავნის სახელწოდება;

ე) თავდაპირველი ტვირთმიმღების სახელწოდება;

ვ) პირველადი დანიშნულების სადგურის სახელწოდება;

ზ) ახალი დანიშნულების სადგურის სახელწოდება;

თ) ახალი ტვირთმიმღების სახელწოდება.

3. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 336

1. ტვირთის მისამართის შეცვლის განაცხადს ხელს აწერს განმცხადებლი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი და იგი მოწმდება დადგენილი წესით.

2. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 337

ტვირთის მისამართის შეცვლის ნებართვა გადაეგზავნება იმ სადგურს, სადაც განხორციელდა მისამართის შეცვლა, ხოლო ასლი – პირველად დანიშნულების სადგურს. სადგური, რომელზეც მოხდა მისამართის შეცვლა, ამის თაობაზე ატყობინებს პირველად დანიშნულების სადგურს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანერგა №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 338

1. ტვირთის მისამართის შეცვლა ფორმდება გადაზიდვის პირვანდელი და ახალი დოკუმენტებით, გარდა ამ წესებითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი შემთხვევებისა.

2. მისამართის შეცვლის გაფორმებისას განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშსწორება პირვანდელი და ახალი გადაზიდვის დოკუმენტების მიხედვით.

3. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 339

1. თუ ღია მოძრავ შემადგენლობაში გადასაზიდი ტვირთის მისამართის შეცვლისას ფორმდება გადაზიდვის ახალი დოკუმენტები, აღნიშვნები, რომლებიც შეტანილია პირვანდელი ზედნადების უკანა მხარის 1-ლ გრაფაში, გადაიტანება გადაზიდვის ახალ დოკუმენტებში, ტვირთის დამაგრებისა და განთავსების სქემის თანდართვით, თუ ისინი დართული ჰქონდა პირვანდელ დოკუმენტებს.

2. თუ ტვირთი მოთავსებულია უწესივრო ვაგონებში (კონტეინერებში) ან უწესივრო მდგომარეობაშია საკეტ-საპლომბი მოწყობილობა, დარღვეულია ტემპერატურული და სავენტილაციო რეჟიმი, მისი მისამართის შეცვლა დაიშვება გზად მდებარე სადგურების აქტებით იმ პირობით, რომ გამოვლენილი ნაკლოვანება აღმოიფხვრება.

3. პირდაპირ შერეული დანიშნულებით გადასაზიდი ან მალფუჭებადი ტვირთის მისამართის შეცვლა ხორციელდება ამ სახეობების ტვირთის გადაზიდვის წესით.

მუხლი 340

საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის მისამართის შეცვლა ხორციელდება შესაბამისი საბაჟო ორგანოს თანხმობით. თუ ამ ტვირთის გადაზიდვა საშიშროებას უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, უსაფრთხო მოძრაობასა და ეკოლოგიურ წონასწორობას, მისი მისამართის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშეც. ამ შემთხვევაში რკინიგზა ვალდებულია, მისამართის შეცვლის შესახებ შეატყობინოს შესაბამის საბაჟო ორგანოს.

მუხლი 341

1. თუ დანიშნულების სადგურში არ აღმოჩნდა ზედნადებში მითითებული ტვირთმიმღები, ტვირთის მისამართის შეცვლა ტვირთგამგზავნის განცხადებით, პირვანდელი გადაზიდვის დოკუმენტების მიხედვით, ხორციელდება მხოლოდ საქართველის რკინიგზის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, ტვირთმიმღები ახალი დანიშნულების სადგურში იხდის რკინიგზით მომსახურების საფასურს.

2. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298).

3. ტვირთმიმღების ან დანიშნულების სადგურის შეცვლის შემთხვევაში, მხარე, რომლის განცხადების საფუძველზე განხორციელდა ამგვარი ცვლილება, პასუხს აგებს პირვანდელი ტვირთმიმღების წინაშე ამ ცვლილების შედეგისთვის და ვალდებულია, დაარეგულიროს ანგრიშსწორება ტვირთგამგზავნს, პირვანდელ ტვირთმიმღებსა და ფაქტობრივ ტვირთმიმღებს შორის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 342

1. ელექტრონული ზედნადებით გადასაზიდი ტვირთის მისამართის შეცვლა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მატერიალური ფორმის დოკუმენტებით, ასევე ახალი ან პირვანდელი ელექტრონული ზედნადებით.

2. თუ ელექტრონული ზედნადებით ტვირთის გადაზიდვა ახალ დანიშნულების სადგურამდე შეუძლებელია, სადგური, სადაც ხდება ტვირთის მისამართის შეცვლა, აფორმებს გადაზიდვის დოკუმენტებს, მატერიალური სახით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 343

1. ტვირთის მისამართის შეცვლისთვის საფასურს განსაზღვრავს რკინიგზა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ტვირთმიმღების ან ტვირთგამგზავნის მიზეზით მისამართის შეცვლის მოლოდინში დატვირთული ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნებისთვის რკინიგზის სასარგებლოდ გადაიხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური.

თავი XXIV
სადგურების საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთის შენახვის წესი

მუხლი 344

1. ეს წესი განსაზღვრავს ღია და დახურულ საწყობებსა და ვაგონებში (კონტეინერებში) იმ ტვირთის შენახვის პირობებს, რომელიც გადასაზიდად მიიღება, გადმოიტვირთება და გაიცემა სადგურების საერთო სარგებლობის ადგილებში.

2. საერთო სარგებლობის ადგილების ღია საწყობებში დაიშვება მხოლოდ იმ ტვირთის შენახვა, რომლის ნუსხაც განსაზღვრულია ამ წესების დანართში.

3. პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისთვის განკუთვნილი, აგრეთვე საფრთხეშემცველი ტვირთის სადგურში შენახვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 345

1 სპეციალიზებულ მოძრავ შემადგენლობაში ჩასხმით და დაყრით ან ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) გამყოლის თანხლებით გადასაზიდი ცხოველური წარმოშობის ნედლი პროდუქტების, საფრთხეშემცველი, მალფუჭებადი ან არაგაბარიტული ტვირთის საერთო სარგებლობის ადგილებში ვაგონებსა და ავტომობილებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვას, წვრილმანი გზავნილებით მიტანილი ტვირთის გარდა, რკინიგზა ახორციელებს ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების წერილობითი თანხმობით.

3. საერთო სარგებლობის ადგილებში გასაცემი მალფუჭებადი ტვირთის სარეფრიჟერატორო ვაგონებიდან და სარეფრიჟერატორო კონტეინერებიდან გადმოცლა ტვირთმიმღების მიერ დაიშვება უშუალოდ ვაგონიდან (კონტეინერიდან) ავტოტრანსპორტზე.

4. საერთო სარგებლობის ადგილებში უსაბუთო მალფუჭებადი ტვირთის ჩამოტვირთვა სარეფრიჟერატორო ვაგონებიდან (კონტეინერებიდან) ნებადართულია მხოლოდ მისი გადაცემისას უშუალოდ ვაგონიდან (კონტეინერიდან) ავტოტრანსპორტზე, რეალიზაციის პროცესში.

6. ამ მუხლით განსაზღვრული ტვირთისთვის, გარდა უსაბუთო ტვირთისა, დგინდება საერთო სარგებლობის ადგილებში შენახვისა და სადგურიდან ტვირთმიმღების მიერ გატანის შემდეგი ზღვრული ვადა:

ა) 6 საათი – ცოცხალი, მოჭრილი ყვავილებისთვის;

ბ) 12 საათი – ქორფა ბოსტნეულის (კომბოსტოს, კარტოფილის და ჭარხლის გარდა), მოჭრილი მცენარეების, ახალი ხილისა და კენკრასთვის;

გ) 1 დღე-ღამე – მოსახმარად გამზადებული ზუთხის, ორაგულის და სხვა სახეობის თევზების ხიზილალისთვის, კარტოფილის, სუფრის ჭარხლის, ახალი კომბოსტოს, ტარაში მოთავსებული ბაღჩეულის, ცხოველთა ცხიმის და ქონის, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლის, ღვინის სპირტის, პურფუნთუშეულის ნაწარმის, გამოუყვანელი ტყავის და ბეწვეულის, ტარაში მოთავსებული არაორგანული და ორგანული ქიმიის პროდუქციისათვის;

დ) 2 დღე-ღამე – სარეფრიჟერატორო ვაგონებში ან სარეფრიჟერატორო კონტეინერებში მიტანილი მალფუჭებადი, დამარილებული და დაკონსერვებული ტვირთისთვის, ბოსტნეულის, სოკოს, ხილის და კენკრის მარინადისთვის, ცოცხალი მცენარეების (მოჭრილის გარდა), სასურსათო კვერცხის, კონსერვისა და წვენისთვის, აგრეთვე ამ მუხლით განსაზღვრული მალფუჭებადი ტვირთისათვის, რომელიც მიტანილია დახურულ ვაგონებში ან უნივერსალურ კონტეინერებში;

ე) 3 დღე-ღამე – შეფუთული მინერალური სასუქის, ლელქაშის, ლერწის, ხრალის, ნეჭის, წკნელის, ნამჯისა და სხვა მსგავსი მასალის ნაწარმისთვის (დაწნული ავეჯის გარდა), დაპაკეტებული უტილ-ნედლეულისა და ბრიკეტებად დაწნეხილი ხის ბურბუშელისთვის;

ვ) 5 დღე-ღამე – ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა ტვირთისთვის, მალფუჭებადი და პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისთვის განკუთვნილი ტვირთის გარდა.

მუხლი 346

უსაბუთო ტვირთისთვის დგინდება შენახვის შემდეგი ზღვრული ვადა:

ა) 12 საათი - ტვირთისთვის, რომლის შენახვის ვადად, ამ წესების 345-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია 6 საათი;

ბ) 1 დღე-ღამე – ტვირთისთვის, რომლის შენახვის ვადად, ამ წესების 345-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია 12 საათი;

გ) 1 დღე-ღამით გახანგრძლივებული – ტვირთისთვის, რომლის შენახვის ვადად, ამ წესების 345-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია 1 და 2 დღე-ღამე;

დ) 5 დღე-ღამით გახანგრძლივებული – ტვირთისთვის, რომლის შენახვის ვადად, ამ წესების 345-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია 3 და 5 დღე-ღამე.

მუხლი 347

1. (ამოღებულია).

2. (ამოღებულია)

3. საერთო სარგებლობის ადგილებში ვაგონების (კონტეინერების) გადმოსატვირთად მიწოდებისა და რკინიგზის საშუალებით ტვირთის ჩამოტვირთვის დამთავრების დრო, სადგურის უფლებამოსილი მუშაკის მიერ აღინიშნება სავაგონო ფურცელში და მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროში.

4. ვაგონების (კონტეინერების) მიწოდების თარიღი, რკინიგზის ან ტვირთმიმღების საშუალებით ტვირთის ჩამოსატვირთად, აღინიშნება ზედნადების უკანა მხარეს, სადგურის კალენდარული შტემპელის დასმით.

5. (ამოღებულია).

6. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 348. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 349. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 350

1. ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის გაფუჭებისთვის ეკისრება ტვირთმიმღებს, თუ იგი გამოწვეულია საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთის შენახვის ზღვრული ვადის გადამეტებით.

2. თუ შენახვის ზღვრული ვადის განმავლობაში ტვირთმიმღები არ მიიღებს ზომებს საერთო სარგებლობის ადგილში ტვირთის ჩამოსატვირთად და ამ ადგილიდან გასატანად, რკინიგზას უფლება აქვს, დაუბრუნოს იგი ტვირთგამგზავნს ან მოახდინოს მისი რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 351

1. ნებადართულია იმ ტვირთის შენახვა, რომელიც ტვირთგამგზავნმა გაგზავნის სადგურში მიიტანა დატვირთვის დანიშნულ დღეზე ადრე, მაგრამ არა უმეტეს ამ წესებით დადგენილი შენახვის ზღვრული ვადისა. ამ შემთხვევაში, აგრეთვე თუ ტვირთგამგზავნის მოთხოვნით არ შედგა ან გადაიდო ამ ტვირთის გადაზიდვა, სადგურის ტერიტორიაზე მისი ყოფნის დროისთვის გადაიხდება ტვირთის შენახვის დადგენილი საფასური.

2. თუ ტვირთგამგზავნმა უარი განაცხადა დატვირთვაზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ტვირთის შენახვის ვადის ათვლა იწყება სადგურში ტვირთის ფაქტობრივი მიტანის დღიდან და მთავრდება იმ დღეს, როდესაც ტვირთი უნდა ჩაიტვირთულიყო ან სადგურიდან ყოფილიყო გატანილი. სადგურში ტვირთის მიტანის თარიღი აღინიშნება ზედნადების გრაფაში „ტვირთის შეტანა ნებადართულია ---------- (რიცხვი, თვე)", ხოლო იმ დღის თარიღი, როდესაც დანიშნულია ტვირთის ჩატვითრვა, აღინიშნება გრაფაში „ჩატვირთვა დანიშნულია ---------- (რიცხვი, თვე) ------".

თავი XXV
ტვირთის გაცემის წესი

მუხლი 352

1. რკინიგზა მოვალეა, შეატყობინოს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ ტვირთის მიტანის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა.

2. მიტანილი ტვირთის შესახებ შეტყობინების წესსა და ფორმას ადგენს დანიშნულების სადგური. ტვირთმიმღების წინადადებით შეიძლება განისაზღვროს შეტყობინების სხვაგვარი წესი. შეტყობინებისთვის გამოიყენება კავშირგაბმულობის არსებული საშუალებები.

3. შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად ტვირთმიმღები გამოყოფს შეტყობინების მიმღებ პასუხისმგებელ პირს, რომლის გვარი, ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი წერილობით ეცნობება დანიშნულების სადგურს.

4. შეტყობინების გადაცემა რეგისტრირდება სადგურში ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში.

5. ტვირთის მიტანის შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს შეტყობინების გადაცემის თარიღი და დრო.

მუხლი 353

1. თუ სადგური ტვირთის მიტანის შესახებ არ შეატყობინებს ტვირთმიმღებს, ტვირთმიმღები თავისუფლდება ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის საფასურის გადახდისგან ტვირთის მიტანის შეტყობინების მიღებამდე.

2. რკინიგზა ვალდებულია, ტვირთმიმღების მეშვეობით შეატყობინოს შესაბამის საბაჟო ორგანოს დანიშნულების სადგურში საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის მიტანის თაობაზე.

3. რკინიგზას შეუძლია, ხელშეკრულების შესაბამისად ტვირთმიმღებს მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია მისი მისამართით გამოგზავნილი ტვირთის მოახლოების შესახებ. შეტყობინების ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 354

დანიშნულების სადგურში ელექტრონული ზედნადებით გაფორმებული ტვირთის მიტანისას, ტვირთმიმღებს ინფორმაცია ტვირთის მოსვლის შესახებ გადაეცემა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 355

1. დანიშნულების სადგურში ტვირთმიმღებს ტვირთი გადაეცემა მას შემდეგ, რაც იგი გადაიხდის ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასურს.

2. ტვირთის გაცემის დასტურია საგზაო უწყისში ტვირთმიმღების ხელმოწერა. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ტვირთი ჩამოიტვირთა რკინიგზის საშუალებით საერთო სარგებლობის ადგილებში – ტვირთის ფაქტობრივი გაცემის დასტურად და თარიღად მიიჩნევა დანიშნულების სადგურის უფლებამოსილი მუშაკის აღნიშვნა ზედნადების მეორე მხარეს, გრაფაში „ტვირთის გატანა“, ხოლო თუ ასეთი გრაფა არ არის – ანალოგიური აღნიშვნა გრაფაში „აღნიშვნები ტვირთის გაცემის შესახებ“. აღნიშვნა მოწმდება სადგურის შტემპელით;

ბ) ტვირთი ჩამოიტვირთა ტვირთმიმღების საშუალებით საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში, ან ვაგონები ჩამოყენებულია რკინიგზის ლოკომოტივით რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის გადმოტვირთვის ადგილებში – ტვირთის ფაქტობრივი გაცემის დასტურია ტვირთმიმღების ხელმოწერა მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს შესაბამის გრაფაში;

გ) ვაგონის მიწოდება-გამოყვანა რკინიგზის მისასვლელ ლიანდაგზე გადმოტვირთვისას განხორციელდა იმ ლოკომოტივით, რომელიც რკინიგზას არ ეკუთვნის – ტვირთის ფაქტობრივი გაცემის დასტურია ტვირთმიმღების ხელმოწერა მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს შესაბამის გრაფაში.

3. იმ ვაგონების (კონტეინერების) გადაცემისას, რომელშიც მოთავსებული ტვირთი ექვემდებარება გაცემას რკინიგზის მონაწილეობით, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მეორე დოკუმენტში აღინიშნება გარემოება, რომელიც ადასტურებს რკინიგზის მონაწილეობის აუცილებლობას ტვირთის გაცემაში (საერთო ფორმის აქტი, კომერციული აქტი). ამ შემთხვევაში, ტვირთის ფაქტობრივი გაცემის დასტურია რკინიგზის წარმომადგენლის აღნიშვნა ზედნადებში, ამ წესებით გათვალისწინებული ტვირთის გაცემის შედეგის შესახებ.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 356

1. თუ ტვირთმიმღები თავს არიდებს ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასურის გადახდას, რკინიგზას უფლება აქვს, დააკავოს ტვირთი და ამის თაობაზე წერილობით შეატყობინოს ტვირთმიმღებს, რომელმაც შეტყობინების მიღებიდან 4 დღის განმავლობაში უნდა დაფაროს დავალიანება. თუ ამ ვადაში ტვირთმიმღები არ მიიღებს ზომებს ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასურის გადასახდელად, ხოლო ტვირთგამგზავნი არ განკარგავს ტვირთს, რკინიგზას უფლება აქვს, მოახდინოს დაკავებული ტვირთის რეალიზაცია (თუ გადაზიდვის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), გარდა:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბრუნვიდან ამოღებული ან ბრუნვაშეზღუდული ტვირთისა;

ბ) სპეციალური, მათ შორის სამხედრო დანიშნულების ტვირთისა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო და თავდაცვითი საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

გ) ტვირთისა, რომლის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასურის გადახდა ხდება დანიშნულების სადგურში,

2. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის რეალიზაციას რკინიგზა ახორციელებს იმ საბაჟო ორგანოს ნებართვით, რომლის საქმიანობის რეგიონშიც იმყოფება სადგური.

მუხლი 357

1. ტვირთმიმღების საშუალებით ვაგონების (კონტეინერების) გადმოსატვირთად მიწოდების თაობაზე სადგურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დადგენილი ფორმით შეატყობინოს ტვირთმიმღებს ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებამდე არა უგვიანეს 2 საათით ადრე.

2. თუ რკინიგზა ვაგონებს მიაწვდის შეტყობინების გარეშე, მიწოდებული ვაგონები ჩაეთვლება ტვირთმიმღებს და მათი ყოფნის დრო რკინიგზის მისასვლელ ლიანდაგზე აითვლება ვაგონების ფაქტობრივი მიწოდებიდან ორი საათის გასვლის შემდეგ.

3. თუ ვაგონი, შეტყობინებაში აღნიშნულ ვადასთან შედარებით, დაგვიანებით იქნა მიწოდებული, ვაგონების ყოფნის დრო მისასვლელ ლიანდაგზე იანგარიშება ფაქტობრივი მიწოდების მომენტიდან. თუ დაგვიანება ორ საათს აღემატება, მაშინ რკინიგზა ვალდებულია, კვლავ შეატყობინოს ტვირთმიმღებს მომავალი მიწოდების შესახებ.

მუხლი 358

1. ტვირთის მისაღებად ტვირთმიმღები დანიშნულების სადგურს წარუდგენს ტვირთის მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთს.

2. ტვირთის მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთს იურიდიული პირი გასცემს მისი ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ამოწმებს ბეჭდით.

3. ტვირთის მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი შეიძლება გაიცეს ტვირთის ერთჯერად მიღებაზე კონკრეტული ზედნადებით. ამ შემთხვევაში, გადაზიდვის დოკუმენტების განკრედიტების შემდეგ, იგი დაერთვის საგზაო უწყისს, ხოლო ხანგრძლივი ვადით გაცემული საბუთის ასლი ინახება დანიშნულების სადგურში.

მუხლი 359

ტვირთის მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთში აღინიშნება უფლებამოსილი პირის პასპორტის ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის მონაცემები და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები (დოკუმენტების განკრედიტება, გადაზიდვისათვის ანგარიშსწორების განხორციელება, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს, ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის, კომერციული აქტის ხელმოწერა და სხვ.), აგრეთვე ვაგონის (კონტეინერის) და ზედნადების ნომერი, თუ საბუთი გაიცემა ტვირთის მიღებაზე კონკრეტული ზედნადებით.

მუხლი 360

1. ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სადგურის მოთხოვნით, ვალდებულია წარმოადგინოს პასპორტი ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთი.

2. ტვირთის გაცემის გაფორმებისას ტვირთმიმღებს ზედნადები ეძლევა საგზაო უწყისში ხელმოწერით, სადაც აღინიშნება ტვირთის მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის ნომერი და თარიღი.

მუხლი 361

1. ფიზიკური პირისთვის გამოგზავნილი ტვირთი ტვირთმიმღებს გადაეცემა მხოლოდ პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარმოდგენის შემდეგ, საგზაო უწყისში ტვირთის მიღების თარიღისა და საპასპორტო მონაცემების მითითებით (სერია, ნომერი, პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის გამცემი ორგანოს დასახელება, გაცემის თარიღი და საცხოვრებელი ადგილი).

2. პირადი (ყოფითი) საჭიროებისთვის განკუთვნილი ტვირთი გაიცემა რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის წესის მოთხოვნათა დაცვით.

3. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298).

4. (ამოღებულია - 13.07. 2017, №1-1/298).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 362

1. ტვირთმიმღები ვალდებულია, მიიღოს მისი მისამართით მიტანილი ტვირთი.

2. ტვირთმიმღებს შეუძლია უარი განაცხადოს ტვირთის მიღებაზე მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. თუ ტვირთი გაფუჭდა ტვირთმიმღების მიერ ტვირთის დაგვიანებით ჩადმოტვირთვა-გატანის ან მისასვლელ (სადგურის) ლიანდაგზე ვაგონების დაყოვნების გამო, მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის მიზეზით, აღნიშნული პირები პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დანიშნულების სადგურში მიტანილი ტვირთი და კონტეინერები, რომელიც გადმოიტვირთება და გაიცემა საერთო სარგებლობის ადგილებში, 24 საათის განმავლობაში უფასოდ ინახება დანიშნულების სადგურში.

5. თუ ვაგონები, მათ შორის, კონტეინერებით დატვირთული ვაგონები, ტვირთმიმღების საშუალებით გადმოსატვირთად მიწოდებულია სადგურის საერთო ან არასაერთო სარგებლობის ადგილებში ან მისასვლელ ლიანდაგზე, რკინიგზის ლოკომოტივით, მაშინ ვაგონების (კონტეინერების) გადაცემა ხდება უშუალოდ გადმოტვირთვის ადგილებში. თუ ვაგონები (კონტეინერები) ტვირთმიმღების მიერ გადმოიტვირთება იმ მისასვლელ ლიანდაგზე, რომელსაც ემსახურება სხვა პირთა ლოკომოტივი, მაშინ ვაგონები (კონტეინერები) გადაიცემა ხელშეკრულებით განსაზღვრულ სარკინიგზო გადასაყენებელ ლიანდაგზე.

მუხლი 363

თუ ვაგონები, მათ შორის, კონტეინერებით დატვირთული ვაგონები, ტვირთმიმღების საშუალებებით გადმოსატვირთად მიწოდებულია სადგურის საერთო ან არასაერთო სარგებლობის ადგილებში, გადაცემის მონაწილე მხარეები გარეგნული დათვალიერებით უნდა დარწმუნდნენ ვაგონების ძარას, კონტეინერის, საკეტ-საპლომბი მოწყობილობის წესივრულობასა და მათზე მითითებული მონაცემების შესაბამისობაში სავაგონო ფურცლებსა და ზედნადებებში აღნიშნულ მონაცემებთან, ხოლო თუ ტვირთი გადაიზიდა ღია მოძრავ შემადგენლობაზე – დაზიანების (გაფუჭების) ხილული ნიშნებისა და ტვირთის დაკარგვის ფაქტის არარსებობაში.

მუხლი 364

1. თუ ვაგონების (კონტეინერების) გადმოსატვირთად გადაცემისას აუცილებელია რკინიგზის მონაწილეობა, სადგური ვალდებულია, შეადგინოს საერთო ფორმის აქტი, მიიღოს მონაწილეობა ტვირთის გაცემაში და გადმოტვირთვის შედეგების მიხედვით გააფორმოს კომერციული აქტი. ამის შესახებ აღინიშნება მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს „შენიშვნის“ გრაფაში ან მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტში, სადაც აღინიშნება საერთო ფორმის ან კომერციული აქტის ნომერი.

2. თუ კომერციული უწესივროება გამოვლინდა ვაგონის სარკინიგზო გადასაყენებელ ლიანდაგზე (კონტეინერების) გადაცემის შემდეგ, პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისთვის ეკისრება სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მფლობელს.

მუხლი 365

1. დროის მონაკვეთი, ტვირთის გაცემაში მონაწილეობის მისაღებად სადგურის წარმომადგენლის მოსვლამდე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ შედის ვაგონის (კონტეინერის) ტვირთმიმღების სარგებლობაში ყოფნის საერთო დროში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოება დასტურდება საერთო ფორმის აქტით, სადაც მიეთითება ვაგონის (კონტეინერის) მოცდენის დრო, ტვირთის გაცემაში მონაწილეობის მისაღებად სადგურის წარმომადგენლის მივლინების საჭიროების შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან მისი მოსვლის მომენტამდე. საერთო ფორმის აქტს ხელს აწერს ტვირთმიმღებისა და სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 366

1. რკინიგზა არ მონაწილეობს არაპირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლით გადასაზიდი იმპორტული ტვირთის მდგომარეობის, მასისა და ადგილების რაოდენობის შემოწმებაში, რომელიც მიტანილია დანიშნულების სადგურში ტვირთგამგზავნების ან საბაჟო ორგანოს საკეტ-საპლომბო მოწყობილობით დაპლომბილ კონტეინერებში და წესივრულ ვაგონებში, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოება, დანიშნულების სადგურში მიტანილი ტვირთი, სასაზღვრო, სანიტარიული, საკარანტინო და სხვა სახის შემოწმების შემდეგ, სასაზღვრო სადგურის მიერ დაპლომბილი ვაგონიდან (კონტეინერიდან) გაიცემა რაოდენობისა და მდგომარეობის შეუმოწმებლად.

მუხლი 367

1. ტვირთის გაცემისას დანიშნულების სადგურში რკინიგზა ამოწმებს მის მდგომარეობას, მასასა და ადგილების რაოდენობას, თუ:

ა) დანიშნულების სადგურში ტვირთი მიტანილია უწესივრო ვაგონით (კონტეინერით), აგრეთვე დაზიანებული ან გზად მდებარე სადგურის საკეტ-საპლომბო მოწყობილობით დაპლომბილი ვაგონით (კონტეინერით);

ბ) ტვირთი გადაიზიდა ღია მოძრავ შემადგენლობაზე და დანიშნულების სადგურში მიტანილია დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების ნიშნით;

გ) დარღვეულია მალფუჭებადი ტვირთის მიტანის ვადა ან სარეფრიჟერატორო ვაგონში გადაზიდვის ტემპერატურული რეჟიმი;

დ) მიტანილია რკინიგზის მიერ დატვირთული ტვირთი;

ე) გაიცემა საერთო სარგებლობის ადგილებში რკინიგზის მიერ გადმოტვირთული ტვირთი.

2. რკინიგზის მიერ ტვირთის რაოდენობისა და მდგომარეობის შემოწმება, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) დაყრით ან ჩაყრით გადაზიდული ტვირთი, რომლის მასა აწონვით განისაზღვრა, გაიცემა შემოწმებით იმავე ტიპის სასწორზე, რა ტიპის სასწორზეც მისი მასა განისაზღვრა გამოგზავნისას. ამ

შემთხვევაში, ვაგონის ტარის მასად მიიჩნევა ვაგონის ტრაფარეტზე აღნიშნული მასა, ხოლო, თუ ტვირთმიმღებს აქვს სავაგონო სასწორი, ნებადართულია ვაგონის ტარის აწონვაც. ტვირთი, რომლის მასა გაგზავნისას განისაზღვრა გაზომვით ან გაანგარიშების გზით, გაიცემა მასის შემოწმებისა და განსაზღვრის იგივე წესით, რა წესითაც მოხდა მისი შემოწმება-განსაზღვრა გამოგზავნისას;

ბ) ტარიან-ცალეული ტვირთი, რომლის მასა გაგზავნისას განისაზღვრა სტანდარტის ან ტრაფარეტის მიხედვით, გაიცემა გზავნილში ტვირთის ადგილების რაოდენობისა და მასის, ან ტვირთის ერთეულის რაოდენობის შემოწმებით მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში;

გ) ბოსტნეული და ბაღჩეული, რომელიც გადაიზიდება დაყრით, მათ შორის, ბადეებით, ტვირთმიმღებს გადაეცემა მასის შემოწმებით. შეფუთული, მათ შორის, ღია ტიპის ყუთებში გადასაზიდი მალფუჭებადი ტვირთის გაცემა, რომლის მასა გაგზავნისას განსაზღვრულია ტრაფარეტის ან სტანდარტის მიხედვით, ხორციელდება ტვირთის ადგილების რაოდენობისა და მასის ან ტვირთის ერთეულის რაოდენობის შემოწმებით მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში;

დ) დახერხილი მასალა და ხე-ტყე გაიცემა ადგილების რაოდენობის შემოწმებით, თუ გადაზიდვის დოკუმენტების თანახმად იგი არ აღემატება ას ადგილს, ხოლო სხვა შემთხვევაში – გაზომვით;

ე) ხე-ტყის, დახერხილი მასალის ან შეშის შტაბელებად (თაკარებად) გადაზიდვისას ტვირთის რაოდენობა მოწმდება სამაგრდარღვეულ შტაბელებში გაზომვის მეშვეობით.

3. თუ ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული ტვირთის მასა გაგზავნისას აწონვით განისაზღვრა, დანიშნულების სადგურში იგი მოწმდება ანალოგიური წესით.

4. ვაგონით გადაზიდვის პროცესში დაჯდომისა და შემჭიდროების გამო ხე-ტყისა და შეშის სიმაღლის კლება ითვლება ნორმად, თუ იგი შტაბელის სიმაღლის თითოეულ მეტრზე არ აღემატება სამ სანტიმეტრს.

მუხლი 368

1. უწესივრო გადაზიდვისას ტვირთი, მათ შორის, დახერხილი მასალა და ხე-ტყის პაკეტები, გაიცემა პაკეტების რაოდენობისა და ტვირთის მდგომარეობის შემოწმებით უწესივრო პაკეტებში.

2. იზოთერმულ მოძრავ შემადგენლობაში შეუფუთავად გადაზიდული ხორცი და ხორცპროდუქტები სასაქონლო სასწორზე მასის აწონვითა და ადგილების რაოდენობის შემოწმებით გაიცემა იმ შემთხვევებში, თუ ზედნადებში ტვირთის რაოდენობაა აღნიშნული.

3. ჩასხმით გადაზიდული ტვირთის მასას რკინიგზა, ტვირთმიმღებთან ერთად, ამოწმებს იმავე წესით, რა წესითაც იგი განისაზღვრა გაგზავნის დროს.

4. ტვირთი, რომლის გადაზიდვა დაიშვება საკეტ-საპლომბი მოწყობილობის გარეშე, მაგრამ ნაგრეხის სავალდებულო დადებით, გაიცემა რკინიგზის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 369

1. ტვირთის მასის ნამეტის აღმოჩენისას სადგური აკეთებს სავალდებულო აღნიშვნებს, ტვირთმიმღების მოთხოვნის მიუხედავად.

2. თუ კანონმდებლობის შესაბამისად ტვირთი რკინიგზამ უნდა გასცეს შემოწმებით, ტვირთმიმღები ვალდებულია, გახსნას ვაგონი (კონტეინერი) მხოლოდ სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისთვის.

3. თუ ტარაში მოთავსებული ცალკეული ტვირთი არასაერთო სარგებლობის ადგილებში გაიცემა რკინიგზის მონაწილეობით, ტვირთმიმღებმა უნდა დააწყოს ტვირთი წინათ გადმოტვირთულისაგან ცალკე, რათა საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს გადმოცლილი ტვირთის ხელახალი შემოწმების შესაძლებლობა.

მუხლი 370

1. ტვირთის მასა სწორია, თუ გაგზავნის სადგურში განსაზღვრული მასის სხვაობა, დანიშნულების სადგურში დადგენილთან შედარებით, არ აღემატება:

ა) მასის ნაკლებობისას – ასეთი ტვირთის ნეტო მასის განსაზღვრის ზღვრულ განსხვავებას (მასის გაზომვის ცდომილება), აგრეთვე მისი მასის ბუნებრივი კლების ნორმას;

ბ) მასის ზედმეტობისას – ასეთი ტვირთის ნეტო მასის განსაზღვრის ზღვრული განსხვავების მნიშვნელობას (მასის გაზომვის ცდომილება).

2. ტვირთის მასის ბუნებრივი კლების ნორმები იანგარიშება ტვირთის ბრუტო მასისგან – ტარითა და შეფუთვით გადასაზიდ ტვირთზე ან ტვირთის ნეტო მასისგან – უტაროდ და შეუფუთავად გადასაზიდ ტვირთზე.

მუხლი 371

1. თუ დანაკლისის, გაფუჭების ან დაზიანების ნიშნებით მიტანილი ტვირთის გაცემამდე, მათ შორის სვლის გზაზე, შედგა კომერციული აქტი, დანიშნულების სადგურს იგი შეუძლია გასცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტვირთმიმღების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ანგარიში, ანგარიშ-ფაქტურა, სპეციფიკაცია და სხვა) მოხედვით განსაზღვრული იქნება ტვირთის ფაქტობრივი დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების ოდენობა.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დოკუმენტების წარუდგენლობისას ტვირთი ტვირთმიმღებს გადაეცემა მისი დაწვრილებითი აღწერით, ტვირთის გადაზიდვისას აქტების შედგენის წესის შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში კი, მხოლოდ საექსპერტო აქტის შედგენის შემდეგ.

მუხლი 372

1. აუცილებლობისას, რკინიგზა თავისი ინიციატივით ან ტვირთმიმღების მოთხოვნით, ექსპერტიზის ჩასატარებლად იწვევს ექსპერტს ან შესაბამის სპეციალისტს. ექსპერტის გამოძახების თაობაზე სადგური ატყობინებს ტვირთმიმღებს, რომელსაც, თავის მხრივ, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი მისამართით მიტანილი ტვირთის ექსპერტიზაში.

2. ექსპერტიზა, რომელიც მოეწყო სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე, ბათილია.

მუხლი 373

1. მალფუჭებადი ტვირთის ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს 24 საათის განმავლობაში ვაგონის გახსნის მომენტიდან. ექსპერტიზის შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც, ექსპერტთან ერთად, ხელს აწერს ექსპერტიზის მონაწილე ყველა პირი.

2. საექსპერტო აქტში უნდა აისახოს ტვირთის დაზიანების (გაფუჭების) მიზეზი და მოცულობა, აგრეთვე ტვირთის ღირებულების შემცირების ოდენობა. საექსპერტო აქტი უნდა იყოს მოტივირებული და იგი არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდს.

3. საექსპერტო აქტი ფორმდება და გადაეცემა სადგურს კომერციულ აქტზე დასართავად.

4. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს რკინიგზა ან ტვირთმიმღები იმის კვალობაზე, თუ ვისი ინიციატივით მოეწყო ექსპერტიზა, დანახარჯის შემდგომი მიკუთვნებით ბრალეულ მხარეზე.

5. ექსპერტიზა არ ტარდება, თუ ტვირთის დანაკლისის ან დაზიანების (გაფუჭების) ღირებულება არ აღემატება 20 ლარს ან ექსპერტიზის ხარჯი აღემატება ზარალის ოდენობას. ამ შემთხვევებში, ტვირთის დანაკლისის, დაზიანების (გაფუჭების) მიზეზი და ზარალის ოდენობა ერთობლივად განისაზღვრება სადგურის უფროსისა და ტვირთმიმღების მიერ და აღინიშნება კომერციულ აქტში.

მუხლი 374

1. სადგურიდან ტვირთის გასატანად ტვირთმიმღები ვალდებულია, წარუდგინოს სადგურს ზედნადები, გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურის

გადახდის აღნიშვნით, ხოლო სადგურში, სადაც დადგენილია ტვირთის საშვით გატანის წესი, დამატებით წარადგინოს სადგურის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი საშვი, რომელიც ტვირთმიმღებს ჩამოერთმევა საკონტროლო-გამშვებ პუნქტში ტვირთის გატანისას. თუ ტვირთის გატანა ხდება ნაწილ-ნაწილ, ტვირთმიმღებს საშვი ჩამოერთმევა ტვირთის ბოლო ნაწილის გატანისას.

2. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 375

1. დამატებითი გადაზიდვის დოკუმენტებით გადაზიდული ტვირთი გაიცემა:

ა) ძირითადი გადაზიდვის დოკუმენტებით მიტანილი ტვირთის ნაწილი – საგზაო უწყისში ხელწერილით, ტვირთმიმღებისთვის ზედნადებისა და ტვირთის დანაკლისის თაობაზე კომერციული აქტის გადაცემით;

ბ) დამატებითი გადაზიდვის დოკუმენტებით მიტანილი ტვირთის ნაკლული ნაწილი – დამატებით საგზაო უწყისში ხელწერილით, ტვირთმიმღების მიერ ძირითადი ზედნადებისა და კომერციული აქტის წარდგენით. ამ შემთხვევაში, კომერციულ აქტს იტოვებს სადგური.

2. საბოლოო ანგარიშსწორება გადაზიდვისთვის წარმოებს ძირითადი ზედნადების მიხედვით. დამატებითი დოკუმენტებით მიტანილი ტვირთის გაცემის შესახებ სადგური აკეთებს აღნიშვნას ძირითად ზედნადებში.

მუხლი 376

1. თუ ძირითადი გადაზიდვის დოკუმენტებიან ტვირთზე ადრე დანიშნულების სადგურში მიტანილია დამატებითი გადაზიდვის დოკუმენტებიანი ტვირთი, მაშინ ტვირთის მიტანილი ნაწილი ტვირთმიმღებს გადაეცემა დამატებით საგზაო უწყისზე ხელწერილით. ამ შემთხვევაში, ტვირთის მიმღები სადგური ვალდებულია, გასცეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ტვირთის მიღებული ნაწილი ტვირთმიმღებს ჩაეთვლება ძირითადი გზავნილის ანგარიშში. ეს ცნობა ინახება სადგურში.

2. თუ ტვირთის მიღების ქვითრის თანახმად ტვირთის მთელი მოცულობა მიღებულია დამატებითი გადაზიდვის დოკუმენტებით, მაშინ სადგური, ამ ქვითრის საფუძველზე, დაკარგულის ნაცვლად ადგენს ზედნადებისა და საგზაო უწყისის ასლებს და გასცემს ტვირთს ამ წესების შესაბამისად.

მუხლი 377 (ამოღებულია)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 378

1. თუ ტვირთი დანიშნულების სადგურში არ იქნა მიტანილი დადგენილ ვადაში, ტვირთმიმღები ვალდებულია, წარუდგინოს სადგურს ქვითრის დედანი ან სათანადოდ გაფორმებული ასლი ტვირთის მიღების შესახებ. დანიშნულების სადგური, გაგზავნის სადგურის მეშვეობით, ვალდებულია, დარწმუნდეს ტვირთის მიუტანლობისა და ქვითრის ნამდვილობის ფაქტში. შეკითხვის მიღების შემდეგ ერთი დღე-ღამის ვადაში გაგზავნის სადგური მოვალეა, დანიშნულების სადგურს გასცეს პასუხი ზედნადების ყველა გრაფის მონაცემის მითითებით, ტვირთის გასაგზავნად მიღების დავთრის თანახმად. თუ ტვირთის მიუტანლობის ფაქტი დადასტურდა, დანიშნულების სადგურის უფლებამოსილმა მუშაკმა წარდგენილ ქვითარში უნდა შეიტანოს აღნიშვნა „ტვირთი არ მოსულა“ და დაამოწმოს იგი დანიშნულების სადგურის კალენდარული შტემპელითა და თავისი ხელმოწერით.

2. იმ ტვირთის ძებნას, რომელიც ტვირთის მიღების ქვითარში აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიტანილი დანიშნულების ადგილში, ტვირთმიმღების განცხადებით აწარმოებს დანიშნულების სადგური.

3. ტვირთის ძებნის მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად ტვირთმიმღები წარმოადგენს ტვირთის მიღების ქვითარს, ხოლო მისი უქონლობისას – მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურას (დედანს ან ასლს) ან მიმწოდებლის (ტვირთგამგზავნის) დოკუმენტს, რომელიც ანგარიშ-ფაქტურის შემცვლელია, თუ აღნიშნულ დოკუმენტებში არის მონაცემები ტვირთის გვარეობის, გაგზავნის თარიღის, გაგზავნისა და დანიშნულების სადგურისა და რკინიგზის, იმ ზედნადების ნომრის შესახებ, რომლითაც ტვირთი გადასაზიდად ჩაბარდა, აგრეთვე ვაგონის (სავაგონო გზავნილის დროს) ან კონტეინერის ნომრის შესახებ, თუ ტვირთი კონტეინერში გაიგზავნა.

მუხლი 379

1. თუ ელექტრონული ზედნადებით გამოგზავნილი ტვირთი ვადაში არ იქნა მიტანილი, ტვირთმიმღებმა რკინიგზას შეუძლია მოსთხოვოს ტვირთის ძებნის გამოცხადება. ამისათვის ტვირთმიმღები დანიშნულების სადგურს წარუდგენს განცხადებას, რომელშიც აღნიშნავს ელექტრონული ზედნადების ნომერსა და გაგზავნის სადგურს.

2. საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოტანალი ტვირთის ძებნას უზრუნველყოფს დანიშნულების სადგური, სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით (ხელშეკრულებებით) დადგენილი წესით.

3. ტვირთის გადმოცლის შემდეგ ვაგონები (კონტეინერები) უნდა გაიწმინდოს და დასუფთავდეს. დადგენილი წესით

4. ერთიანი გადაზიდვის დოკუმენტის მიხედვით ვიწრო ლიანდის სადგურიდან ფართო ლიანდის სადგურზე გადასაზიდი ტვირთი სვლის მთელ გზაზე გაიცემა ამ წესების შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

თავი XXVI
ტვირთის გადმოცლის შემდეგ ვაგონებისა და კონტეინერების დასუფთავებისა და რეცხვის წესი

მუხლი 380

1. ტვირთის გადმოცლის შემდეგ ვაგონები (კონტეინერები) უნდა გაიწმინდოს შიგნიდან და გარედან, მოეხსნას ტვირთის დასამაგრებელი მოსახსნელი სამარჯვები, აგრეთვე წესრიგში იქნეს მოყვანილი არამოსახსნელი სამაგრი ინვენტარული სამარჯვები, მათ შორის ტურნიკეტები. ამ სამუშაოს ასრულებს ტვირთის ჩამომტვირთავი მხარე.

2. ვაგონი (კონტეინერი), ცისტერნებისა და ბუნკერული ნახევარვაგონების გარდა, დასუფთავებულად ითვლება, თუ ტვირთის გადმოცლის შემდეგ მოცილებულია დასატვირთად და ტვირთის გასამაგრებლად გამოყენებული მოსახსნელი სამარჯვები და მასალა, აგრეთვე, თუ ვაგონის (კონტეინერის) შიგნით და გარეთ, მათ შორის, ვაგონის კოჭებსა და ლიუკის სახურავზე, არ არის ტვირთის გროვა და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ტვირთის ჩასატვირთად.

3. ცისტერნები და ბუნკერული ნახევარვაგონები დასუფთავებულად ითვლება, თუ ვაგონის ქვაბისა და ბუნკერის შიდა ზედაპირიდან მოცილებულია ტვირთის ნარჩენები. ამ შემთხვევაში, ზედა გადმოსასხმელიან ცისტერნიდან გადმოსხმის შემდეგ ტვირთის გადმოუსხმელი ნარჩენი შეიძლება შეადგენდეს არა უმეტეს 1 სმ-ს ხუფის ქვეშ გაზომვით.

მუხლი 381

1. თუ ნაყარი ტვირთი გადაიზიდა წრიული მარშრუტებით ან ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ვაგონით, ჩამოტვირთვის შემდეგ მის დასაშვებ ნაშთს აღნიშნული პირი ადგენს მხოლოდ რკინიგზის წერილობითი თანხმობით, მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. ვაგონის (კონტეინერის) გარე ზედაპირსა და სავალ ნაწილებს წმენდს ის პირი, ვინც სარგებლობს ამ ვაგონით (კონტეინერით).

3. დასუფთავებულ ვაგონში თოვლის არსებობა არ არის მისი დაბინძურების ნიშანი.

4. ვაგონზე (კონტეინერზე) და ვაგონის ჩარჩოზე ნიშნები და ტრაფარეტები მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს.

მუხლი 382

1. ვაგონის (კონტეინერის) გარე და შიდა ზედაპირი უნდა გაიწმინდოს გაჭუჭყიანებისგან დამცავი აფსკისა და ემულსიის ნარჩენებისგან, აგრეთვე დაწებებული ქაღალდის, იარლიყებისა და საჭდეებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი იარლიყის არსებობა ცარიელ ვაგონზე ან ამ ვაგონში სხვა ტვირთის გადაზიდვისას გათვალისწინებულია ტვირთის გადაზიდვის გეგმით.

2. ვაგონის (კონტეინერის) დასუფთავების საშუალება უნდა უზრუნველყოფდეს მის დაცვა-შენახვასა და იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო.

3. თუ მიტანილი ტვირთის ჩამოტვირთვის შემდეგ ვაგონში (კონტეინერში) გამოვლინდა წინათ გადაზიდული ტვირთის ნარჩენები, სადგური, ტვირთმიმღების მონაწილეობით, ადგენს საერთო ფორმის აქტს.

მუხლი 383

1. ტვირთმიმღების საშუალებით საერთო სარგებლობის ადგილებში ტვირთის ჩამოტვირთვისას, ვაგონების (კონტეინერების) გადმოცლისა და დასუფთავების შემდეგ დარჩენილი ნაგავი, აგრეთვე ტვირთის სამაგრის, შეფუთვისა და სხვა მასალის ნარჩენები ტვირთმიმღებმა უნდა გაიტანოს სადგურიდან ტვირთთან ერთად.

2. ტვირთმიმღების მიერ მყრალი და ვაგონის დამბინძურებელი ტვირთის ჩამოტვირთვის შემდეგ, რომელიც სპეციალიზებულ და წრიულ (დახშულ) მარშრუტებად შედგენილ დახურულ ვაგონებში შეფუთულად გადაიზიდა, მიუხედავად მათი კუთვნილებისა, უნდა გარეცხოს ტვირთმიმღებმა. იმ ტვირთის ნუსხა, რომლის ჩამოტვირთვის შემდეგ დახურული ვაგონი უნდა გაირეცხოს, მოცემულია ამ წესების დანართში. თუ არამარცვლეული ტვირთი გადაიზიდა მარცვლეულმზიდ ვაგონში, მისი ჩამოტვირთვის შემდეგ ვაგონის გარეცხვა ასევე სავალდებულოა.

მუხლი 384

1. თუ ტვირთმიმღებს არა აქვს ვაგონის გარეცხვის შესაძლებლობა, მას რეცხავს რკინიგზა, ტვირთმიმღების ხარჯით.

2. ვაგონების დასუფთავებას, რეცხვას, და საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციას, პირუტყვის, ფრინველის, ცხოველური წარმოშობის ნედლი პროდუქტებისა და მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის შემდეგ, ახორციელებს რკინიგზა, ტვირთმიმღებთა ხარჯით.

3. საფრთხეშემცველი, მათ შორის, ჩასასხმელი ტვირთის ჩამოტვირთვის შემდეგ, ვაგონების დასუფთავება, რეცხვა, გაორთქვლა და დეზინფექცია ხორციელდება ამ წესების შესაბამისად, აგრეთვე რკინიგზით საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისა და ვაგონ-ცისტერნებითა და ბუნკერული ნახევარვაგონებით ჩასასხმელი ტვირთის გადაზიდვის წესებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 385

ტვირთმიმღების მიერ ვაგონების (კონტეინერების) დასუფთავებისა და რეცხვის მიოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, რკინიგზას უფლება აქვს არ მიიღოს ეს ვაგონები (კონტეინერები) დადგენილი მოთხოვნების შესრულებამდე. ამ შემთხვევაში, ტვირთმიმღებს გადახდება ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური მათი დაყოვნების მთელი დროისთვის.

მუხლი 386

1. გადმოტვირთვის შემდეგ ვაგონებისა და კონტეინერების დასუფთავებისა და რეცხვის წესის დარღვევისთვის ტვირთმიმღებისა და რკინიგზის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. თუ ტვირგამგზავნის თანხმობით რკინიგზამ დასატვირთად გამოყო ცარიელი დაუსუფთავებელი ვაგონები (კონტეინერები) ღია ლუკით, კარით და მოუხსნელი სამაგრი სამარჯვით, მაშინ მათი მოხსნა, დასუფთავება და რეცხვა ხორციელდება ტვირთგამგზავნის მიერ, რკინიგზის ხარჯით.

3. ცარიელი ვაგონი გასარეცხად იგზავნება გადაგზავნის ზედნადებით, ხოლო სადეზინფექციოდ – გადაზიდვის დოკუმენტებით.

თავი XXVII
სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების წესი

მუხლი 387

1. სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი (შემდგომ – მისასვლელი ლიანდაგი) განკუთვნილია ცალკეული საწარმოების მომსახურებისთვის და მიერთებულია საერთო სარგებლობის რკინიგზის ქსელთან.

2. მისასვლელი ლიანდაგის მესაკუთრე შეიძლება იყოს რკინიგზა ან სხვა პირი.

3. ამ წესების მიზნისთვის, თუ მისასვლელი ლიანდაგის მესაკუთრე არ არის რკინიგზა, მას ეწოდება მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე.

4. რკინიგზა და მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლე ვალდებულია უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული მისასვლელი ლიანდაგის ტექნიკური მოვლა-შენახვა და მიმდინარე რემონტი.

მუხლი 388

1. მისასვლელ ლიანდაგს აქვს საზღვარი საერთო მოხმარების რკინიგზის ლიანდაგთან, რომელიც აღინიშნება ნიშნით „რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის საზღვარი“. ამ ნიშნის დაყენების ადგილს განსაზღვრავს რკინიგზა.

2. მისასვლელი ლიანდაგი შეიძლება გაიხსნას მუდმივი ან დროებითი ექსპლუატაციისთვის.

3. მუდმივი ექსპლუატაციისთვის ახლად აშენებული მისასვლელი ლიანდაგის გახსნა და მასზე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ჩამოყენება დაიშვება მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციაში შესვლისა და მისი მომსახურების პირობების განსაზღვრის შემდეგ. გადაწყვეტილება მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციაში შესვლის თაობაზე მიიღება კომისიურად, რკინიგზისა და მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის წარმომადგენლის მონაწილეობით.

მუხლი 389

1. მისასვლელი ლიანდაგის საექსპლუატაციოდ მიღების შემდეგ მისი მოსარგებლე, რკინიგზასთან ერთად, შეიმუშავებს მისასვლელ ლიანდაგზე მოძრაობის მომსახურებისა და ორგანიზაციის წესს, რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი სადგურისა და მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის უფლებამოსილი პირი და ამტკიცებს რკინიგზა.

2. მისასვლელ ლიანდაგზე მოძრაობის მომსახურებისა და ორგანიზაციის წესით განისაზღვრება მისასვლელ ლიანდაგზე ბრუნვისთვის დასაშვები შემადგენლობების (მატარებლების) წონის ნორმა და სიდიდე, მოძრაობის მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე, ლოკომოტივის ტიპი, სამანევრო გადაადგილების პირობები, ისრული გადამყვანების მდებარეობა, სიგნალების არსებობა და განლაგება, ვაგონების დამაგრების ნორმები და სხვა პირობები, რომლებიც დაკავშირებულია მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. მისასვლელი ლიანდაგის

ტექნიკური აღჭურვილობისა და მისი მუშაობის ტექნოლოგიის შეცვლის შემთხვევაში, აღნიშნულ წესში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები.

3. პირებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მატარებლის მოძრაობასა და სამანევრო მუშაობასთან, აგრეთვე ტვირთის დატვირთვა-დამაგრებასა და გადმოტვირთვაზე პასუხისმგებელ პირებს, უნდა გააჩნდეთ რკინიგზის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს მათ პროფესიულ შესაბამისობას. აღნიშნული მოწმობის გარეშე ისინი სამუშაოდ არ დაიშვებიან,

მუხლი 390

1. თითოეულ მისასვლელ ლიანდაგს უნდა ჰქონდეს ტექნიკური პასპორტი, გეგმა, გრძივი პროფილი და ხელოვნურ ნაგებობათა ნახაზი.

2. ტექნიკურ პასპორტში აღინიშნება რელსის, შპალის, ბალასტის, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობის, სასასწორო ხელსაწყოების, ვაგონის დასატვირთი, გადმოსატვირთი, გასაწმენდი, გასარეცხი მოწყობილობისა და მექანიზმის, სამანევრო მოწყობილობის, ჯალამბრის, სამრეწველო სადგურის, გორაკის, ნახევარგორაკის, გამწოვი ლიანდაგის, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირების და სამატარებლო-სამანევრო მუშაობისას გამოსაყენებელი კავშირგაბმულობის მოწყობილობის, სხვა ხელსაწყოებისა და მექანიზმების ტექნიკური მახასიათებლები. აღნიშნული დოკუმენტაცია, მისასვლელი ლიანდაგის საექსპლუატაციოდ მიღებისას, წარედგინება რკინიგზას მისივე მოთხოვნით.

3. ახალი ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღების ან მისი დახურვის შემდეგ, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს ტექნიკურ პასპორტში შეაქვს შესაბამისი ცვლილება და ტექნიკური პასპორტის ერთ ეგზემპლარს, შეტანილი ცვლილებით, გადასცემს რკინიგზას. რკინიგზა ვალდებულია, ეს ცვლილება ასახოს მომიჯნავე სადგურის ტექნიკურ-განმკარგულებელ აქტში და გააფორმოს მისასვლელი ლიანდაგის უწყისი, რომელიც წარმოადგენს მის დანართს.

მუხლი 391

1. მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის თანხმობით, რკინიგზას შეუძლია მისასავლელი ლიანდაგის გამოყენება, მათ შორის, სამანევრო სამუშაოების მოწყობისა და ვაგონების დროებითი განლაგებისთვის.

2. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რკინიგზას შეუძლია საერთო მოხმარების სარკინიგზო ლიანდაგი გადასცეს სხვა პირს ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში. ამ შემთხვევაში მისი მომსახურება ხორციელდება მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების ანალოგიურად. საერთო მოხმარების სარკინიგზო ლიანდაგით სარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შორის იდება ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულება.

3. იმ საერთო მოხმარების სარკინიგზო ლიანდაგის მიმდინარე ტექნიკურ მოვლა-შენახვას, რომელიც დროებით სასყიდლიან სარგებლობაშია გადაცემული, მოსარგებლის ხარჯით, უზრუნველყოფს რკინიგზა.

4. დაკავებული ტერიტორიისა და ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ფრონტის ფარგლებში მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე უზრუნველყოფს მის განათებას და ნაგვისა და თოვლისგან გაწმენდას.

მუხლი 392

1. მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლესთან რკინიგზა დებს:

ა) მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებას, თუ მისასვლელი ლიანდაგი მისი მოსარგებლის საკუთრებაა;

ბ) ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებას, თუ მისასვლელი ლიანდაგი არ არის მოსარგებლის საკუთრება.

2. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების ტიპიური ფორმა მოცემულია ამ წესების დანართში.

მუხლი 393

1. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების პირობები განისაზღვრება მომიჯნავე სადგურისა და მისასვლელი ლიანდაგის მუშაობის ტექნოლოგიის გათვალისწინებით, საჭიროებისას კი, ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის საფუძველზე.

2. მისასვლელი ლიანდაგისა და მომიჯნავე სადგურის მუშაობის ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის შემუშავების საჭიროებას ერთობლივად განსაზღვრავენ რკინიგზა და მისასვლელი ლიანდაგის მფლობელი. ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მეთოდიკური რეკომენდაციები

მუხლი 394

1. თუ ერთი პირი არის რამდენიმე მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე, რომელსაც აქვს ცალკეული მომიჯნავე ადგილები ერთ ან რამდენიმე სადგურთან, მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ცალ-ცალკე, თითოეულ მომიჯნავე მისასვლელ ლიანდაგზე, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ ერთიანი ხელშეკრულების დადებაზე.

2. ვაგონების მიწოდებისა და გამოყვანის პირობები, აგრეთვე ვაგონების ბრუნვის ტექნოლოგიური ვადა განისაზღვრება ამ წესებით, საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებითა და მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებით.

3. სამართლებრივი ურთიერთობა კონტრჰაგენტსა და მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლეს შორის რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 395

1. კონტრჰაგენტის მომსახურებისას რკინიგზის ლოკომოტივით, კონტრჰაგენტსა და რკინიგზას შორის იდება ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, თუ მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე თანახმაა თავის მისასვლელ ლიანდაგზე გაატაროს კონტრაჰგენტის ვაგონები.

2. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებები იდება არანაკლებ 3 წლის ვადით.

3. სადგურის ან რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის ტექნიკური აღჭურვილობისა და მუშაობის ტექნოლოგიის შეცვლის შემთხვევაში ხელშეკრულებებში შეიტანება დამატებები და ცვლილებები, რომლებიც ფორმდება დამატებითი შეთანხმებით ან იდება ახალი ხელშეკრულება.

4. მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის შეცვლის შემთხვევაში, მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებებს რკინიგზა დებს მისასვლელი ლიანდაგით ახალ მოსარგებლესთან.

მუხლი 396

1. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს სამი თვით ადრე რკინიგზა, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლესთან ერთად, იწყებს ახალი ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას.

2. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების დადებამდე, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე წარუდგენს რკინიგზას მისასვლელ ლიანდაგით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს, ხოლო რკინიგზა გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს ამ ხელშეკრულებების პროექტების მოსამზადებლად.

მუხლი 397

1. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებები იდება მისასვლელი ლიანდაგის ტექნიკური პასპორტის მონაცემების, მისი გეგმის, გრძივი პროფილისა და ხელოვნურ ნაგებობათა ნახაზის გათვალისწინებით.

2. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების დადებამდე რკინიგზა, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლესთან ერთად, ამოწმებს მისასვლელ ლიანდაგს და მის ტექნიკურ აღჭურვილობას. შემოწმების შედეგები ფორმდება რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის შემოწმების აქტით, რომლის ტიპური ფორმა მოცემულია ამ წესების დანართში.

3. მისასვლელი ლიანდაგის შემოწმების აქტს ხელს აწერს სადგურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი და მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე. საჭიროებისას, მისასვლელი ლიანდაგის შესამოწმებლად შეიძლება მოწვეული იყოს მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორი, სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატი და რკინიგზის სხვა შესაბამისი სპეციალისტები. მისასვლელი ლიანდაგის შემოწმებას ხელმძღვანელობს სადგურისა და მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

4. შემოწმების მონაწილე მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე ხელს აწერს მისასვლელი ლიანდაგის შემოწმების აქტს, ხოლო, თუ იგი არ ეთანხმება აქტში შეტანილ მონაცემებს, ხელს აწერს აქტსა და წერილობით აყალიბებს თავის განსაკუთრებულ მოსაზრებას.

მუხლი 398

1. მისასვლელი ლიანდაგის შემოწმების აქტი დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს, მეორე – სადგურს, მესამე კი გადაეცემა რკინიგზას.

2. რკინიგზის მოთხოვნით, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე მისთვის განკუთვნილ შემოწმების აქტის ეგზემპლარს დაურთავს მისასვლელი ლიანდაგის გეგმას, რომელშიც მიეთითება დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილები და აღინიშნება მისასვლელი ლიანდაგისა და სასაწყობო ფართობის სპეციალიზაცია.

მუხლი 399

1. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების პროექტებს შეიმუშავებს რკინიგზა. პროექტებს ხელს აწერს რკინიგზის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

2. ხელშეკრულების ხელმოწერილი პროექტის 2 ეგზემპლარს რკინიგზა განსახილველად და ხელმოსაწერად წარუდგენს მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს, რომელიც განიხილავს, ხელს აწერს და უბრუნებს მას რკინიგზას მიღებიდან 10 დღის ვადაში.

3. თუ მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე არ ეთანხმება პროექტის პირობებს, მაშინ, ხელშეკრულების პროექტის ხელმოწერასთან ერთად, იგი ადგენს უთანხმოების ოქმს და ხელშეკრულების ხელმოწერილ პროექტთან ერთად, მის ორ ეგზემპლარს, გადასცემს რკინიგზას. უთანხმოების არსებობის თაობაზე აღინიშნება ხელშეკრულების პროექტში.

მუხლი 400

1. რკინიგზა ვალდებულია, უთანხმოების ოქმი განიხილოს მიღებიდან 10 დღის ვადაში. რკინიგზა წინასწარ აცნობებს მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს უთანხმოების განხილვის თარიღს, ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. თუ თანხმობა ვერ იქნა მიღწეული, სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 401

1. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე რკინიგზა მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს არ წარუდგენს ახალი ხელშეკრულების პროექტს, მაშინ მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე უფლებამოსილია თვითონ მოამზადოს და წარუდგინოს რკინიგზას ხელშეკრულების პროექტის თავისი ვარიანტი. ამ პროექტის განხილვის წესი და ვადები იგივეა, რაც ხელშეკრულების პროექტის მომზადებისას რკინიგზის მიერ.

2. თუ ერთ-ერთი მხარე ხელმოწერილ პროექტს არ დააბრუნებს 10 დღის ვადაში, ხელშეკრულება დაიდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ახალი ხელშეკრულების დადებამდე მხარეები ხელმძღვანელობენ მათ შორის ყველაზე გვიან დადებული მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების პირობებით.

მუხლი 402

1. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებას რკინიგზა დებს იმ მოსარგებლესთან, რომელიც, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, კონტრჰაგენტის მომსახურებას ახორციელებს თავისი ლოკომოტივით და მინიჭებული აქვს მისი მისამართით მოსული ვაგონების მიღებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების შესრულების უფლებამოსილება.

2. ტვირთის გადაზიდვისას, პირდაპირი შერეული გადაზიდვის გარდა, რკინიგზის ურთიერთობა საზღვაო ნავსადგურებთან რეგულირდება საკვანძო შეთანხმებით.

მუხლი 403

1. მისასვლელი ლიანდაგის მშენებლობის პერიოდში მასზე ვაგონების მიწოდება დაიშვება იმ ხელშეკრულების პირობების დაცვით, რომელიც დადებულია რკინიგზასა და მშენებელს ან იმ პირს შორის, რომლისთვისაც შენდება მისასვლელი ლიანდაგი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულება მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორის დასკვნა ამ მისასვლელ ლიანდაგზე ვაგონების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ და შემუშავებულია მასზე ლოკომოტივისა და ვაგონის გადაადგილების წესი.

3. მისასვლელ ლიანდაგზე ვაგონის დაზიანების გამო ფორმდება ვუ-25მ ფორმის აქტი, რომელსაც ხელს აწერს რკინიგზისა და მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 404

1. სამართლებრივ ურთიერთობებს მომიჯნავე რკინიგზასა და იმ პირს შორის, რომელიც ახორციელებს მისასვლელი ლიანდაგის მშენებლობას ან მშენებლობის დაფინანსებას, აწესრიგებს მათ შორის დადებული ხელშეკრულება.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების წესი და ვადები ანალოგიურია მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებების გაფორმების წესისა და ვადებისა.

მუხლი 405

1. თუ მისასვლელ ლიანდაგს ემსახურება მისი მოსარგებლის ლოკომოტივი, ხელშეკრულებით დადგენილ გადასაყენებელ რკინიგზის ლიანდაგზე ვაგონების ჩამოყენებას უზრუნველყოფს რკინიგზის ლოკომოტივი, ხოლო ვაგონების შემდგომ მოძრაობას, დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებზე განაწილებასა და გადასაყენებელ სარკინიგზო ლიანდაგზე დაბრუნებას – მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის ლოკომოტივი.

2. თუ მისასვლელ ლიანდაგს ემსახურება რკინიგზის ლოკომოტივი, მისასვლელ ლიანდაგზე ვაგონების ჩაყენებასა და გამოყვანას დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებისკენ ახორციელებს რკინიგზა.

მუხლი 406

1. რკონიგზის ლოკომოტივით მომსახურებისას ვაგონების მიღება და ჩაბარება ხორციელდება დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში, ხოლო, თუ მისასვლელ ლიანდაგს ემსახურება მოსარგებლის ლოკომოტივი – გადასაყენებელ სარკინიგზო ლიანდაგზე.

2. ამ თავის მიზნიდან გამომდინარე, დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილს წარმოადგენს მისასვლელი ლიანდაგის ის ნაწილი, რომელიც ემიჯნება დახურულ ან ღია საწყობს და განკუთვნილია ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის.

3. დატვირთა-გადმოტვირთვის ადგილებში მისაწოდებელი ვაგონების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება სასაწყობო და მისასვლელი ლიანდაგის დასატვირთ-გადმოსატვირთი მარგი სიგრძით.

4. ვაგონების ჩაბარებისას გადასაყენებელ სარკინიგზო ლიანდაგზე, ჩამოსაყენებელი ვაგონების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება ამ ლიანდაგის მარგი სიგრძის მიხედვით.

მუხლი 407. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 408

1. მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს ვაგონის მიწოდების დროის შესახებ სადგური ატყობინებს მიწოდებამდე არა უგვიანეს 2 საათით ადრე. შეტყობინების გადაცემა აღინიშნება შესაბამის დავთარში.

2 მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე ვალდებულია, გამოყოს შეტყობინების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი და წერილობით აცნობოს სადგურს მისი სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი.

3. შეტყობინების გაგზავნა ცარიელი ვაგონების დასატვირთად ჩამოყენების დროის თაობაზე სავალდებულო არ არის, თუ იტვირთება ის ვაგონი, რომელიც გადმოიტვირთა ამავე მისასვლელ ლიანდაგზე. ვაგონის მიწოდების დროის თაობაზე შეტყობინების გადაცემის წესსა და ვადებს ადგენს სადგური.

მუხლი 409

1. რკინიგზის მიზეზით ვაგონების მიწოდების დაყოვნების დრო დატვირთა-გადმოტვირთვის ადგილების გადასაყენებელ სარკინიგზო ლიანდაგზე აითვლება იმ მომენტიდან, რომელიც განსაზღვრულია ვაგონების მიწოდების შეტყობინებაში.

2. ვაგონების გამოყვანის ვადა დატვირთა-გადმოტვირთვის ადგილების გადასაყენებელი სარკინიგზო ლიანდაგებიდან დგინდება მომიჯნავე სადგურისა და მისასვლელი ლიანდაგის სამუშაო დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

მუხლი 410

1. თუ ვაგონი გამოყვანილია შეტყობინების საფუძველზე ან იგი არ არის მომზადებული გამოსაყვანად განრიგის ან დაწესებული ინტერვალის ხანგამოშვების მიხედვით, მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე ვალდებულია, აცნობოს რკინიგზას ვაგონის გამოსაყვანად მზადყოფნის დრო, მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონების მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებებით დადგენილ ვადაში.

2. ვაგონების შეტყობინების საფუძველზე გამოყვანის ვადა აითვლება შეტყობინების გადაცემის მომენტიდან.

3. განრიგის მიხედვით ან დადგენილი ინტერვალის ხანგამოშვებით ვაგონების გამოყვანის ვადად მიიჩნევა ის დრო, რომელიც განრიგით ან ინტერვალით არის გათვალისწინებული.

მუხლი 411

1. თუ მისასვლელ ლიანდაგს ემსახურება რკინიგზის ლოკომოტივი, ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის დროთ მიიჩნევა დროის მონაკვეთი, დასატვირთად ან გადმოსატვირთად ვაგონების ფაქტობრივი მიწოდების მომენტიდან იმ მომენტამდე, როდესაც ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღებისგან სადგურმა მიიღო შეტყობინება ვაგონების გამოსაყვანად მზადყოფნის თაობაზე.

2. თუ მისასვლელ ლიანდაგს ემსახურება მისი მოსარგებლის ლოკომოტივი, ვაგონის ყოფნის დროდ მისასვლელ ლიანდაგზე მიიჩნევა დროის მონაკვეთი იმ მომენტიდან, როდესაც ვაგონი მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს გადაეცა გადასაყენებელ სარკინიგზო ლიანდაგზე, იმ მომენტამდე, როდესაც მან იგი დააბრუნა იმავე ლიანდაგზე.

მუხლი 412

1. ვაგონის ყოფნის დროდ მისასვლელ ლიანდაგზე მიიჩნევა:

ა) არა უადრეს შეტყობინებაში მითითებული დრო – თუ ვაგონის მიწოდება-გამოყვანა მოხდა შეტყობინებით;

ბ) არა უადრეს განრიგით გათვალისწინებული ვადა – თუ ვაგონის მიწოდება-გამოყვანა მოხდა განრიგის მიხედვით;

გ) არა უადრეს წინა მიწოდების შემდეგ დაწესებული ინტერვალის გასვლის დრო – თუ ვაგონის მიწოდება-გამოყვანა მოხდა ინტერვალების ხანგამოშვებით.

2. თუ ვაგონები რკინიგზამ შეტყობინების გარეშე მიაწოდა, ვაგონები ეთვლება ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს და მათი ყოფნის დრო მისასვლელ ლიანდაგზე იანგარიშება ვაგონების ფაქტობრივი მიწოდების შემდეგ 2 საათის გასვლამდე.

3. თუ ვაგონები მიწოდებულია შეტყობინებაში მითითებულ ვადაზე გვიან, ვაგონების ყოფნის დრო მისასვლელ ლიანდაგზე აითვლება მათი ფაქტობრივი მიწოდების მომენტიდან. თუ დაგვიანება 2 საათს აღემატება, მაშინ რკინიგზა ვალდებულია, კვლავ შეატყობინოს ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლეს მომავალი მიწოდების შესახებ.

4. (ამოღებულია).

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 413

1. თუ დასატვირთ-გადმოსატვირთად მისასვლელ ლიანდაგზე მიწოდების მოლოდინში ვაგონები დაყოვნდა სადგურში ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით, დგება საერთო ფორმის აქტი.

2. თუ მომიჯნავე სადგურში მიუღებლობის გამო დატვირთული ვაგონები ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით დაყოვნდა შუალედურ სადგურში, და მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დასაგროვებლად საჭირო ტექნიკური საშუალებები, რკინიგზის უფლებამოსილი პირი გასცემს ვაგონების დაყოვნების განკარგულებას შუალედურ სადგურში. ამის საფუძველზე, შუალედური სადგური ვაგონების დაყოვნების თაობაზე ატყობინებს ტვირთმიმღებს ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლეს და ავსებს საერთო ფორმის აქტს.

3. თუ ვაგონების დაყოვნება მისასვლელ ლიანდაგზე გამოწვეულია სტიქიური უბედურების, საომარი მოქმედების, ბლოკადის, ეპიდემიის ან სხვა დაუძლეველი ძალის, აგრეთვე ტვირთგამგზავნთან, ტვირთმიმღებთან ან მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლესთან მომხდარი ავარიის გამო, რის შედეგად შეწყდა მათი ძირითადი საწარმოო საქმიანობა, ფორმდება საერთო ფორმის აქტი, რომელსაც თან უნდა დაერთოს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა მისასვლელ ლიანდაგზე დატვირთვა-გადმოტვირთვის შეუძლებლობის შესახებ.

თავი XXVIII
ტვირთის გადაზიდვისას აქტების შედგენის წესი

მუხლი 414

1. გარემოება, რომელიც გადაზიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით.

2. კომერციული აქტი ადასტურებს:

ა) ტვირთის დასახელების, მასისა და ადგილების რაოდენობის შეუსაბამობას გადაზიდვის დოკუმენტში აღნიშნულ მონაცემებთან;

ბ) ტვირთის დაზიანებას (გაფუჭებას);

გ) უსაბუთო ტვირთის აღმოჩენას ან გადაზიდვის დოკუმენტების გამოვლენას ტვირთის გარეშე;

დ) დატაცებული ტვირთის დაბრუნებას რკინიგზისთვის;

ე) ტვირთის გაცემის დოკუმენტების გაფორმებიდან 24 საათის განმავლობაში რკინიგზის მიერ ტვირთის გადაუცემლობას მისასვლელ ლიანდაგზე. ამ შემთხვევაში კომერციული აქტი დგება მხოლოდ ტვირთმიმღების მოთხოვნით.

3. ტვირთმიმღების თხოვნით, რკინიგზას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ტვირთის მდგომარეობის, მასისა და ადგილების რაოდენობის შემოწმებაში და, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, შეადგინოს კომერციული აქტი.

მუხლი 415

1. კომერციული აქტი დგება:

ა) თუ ტვირთი გადმოიტვირთა საერთო სარგებლობის ადგილებში – გადმოტვირთვის დღეს, ხოლო სხვა შემთხვევებში – ტვირთმიმღებისთვის ტვირთის გადაცემის დღეს;

ბ) თუ ტვირთი გადმოიტვირთა არასაერთო სარგებლობის ადგილებში – გადმოტვირთვის დღეს. ამ შემთხვევაში ტვირთი უნდა შემოწმდეს მისი ჩამოტვირთვის პროცესში ან უშუალოდ ჩამოტვირთვის შემდეგ;

გ) სვლის გზაზე – იმ გარემოების გამოვლენის დღეს, რომელიც კომერციული აქტით უნდა გაფორმდეს.

2. თუ ამ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში კომერციული აქტის შედგენა შეუძლებელია, მაშინ იგი უნდა შედგეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

3. მონაცემები კომერციულ აქტში აღინიშნება გადაზიდვის დოკუმენტების, სავაგონო და სასაქონლო სასწორებზე ტვირთის ხელახალი აწონვის დავთრებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა მიხედვით მოხდა ტვირთის შედარება.

მუხლი 416

1. მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვისას კომერციული აქტის პირველ ეგზემპლარს დაერთვის სათანადოდ დამოწმებული ხარისხის სერტიფიკატი ან ხარისხის მოწმობის ასლი, რომელიც შედგენილია სადგურის უფლებამოსილი მუშაკის მიერ დედანი დოკუმენტის საფუძველზე, მისი გვარ-სახელისა და თანამდებობის მითითებით.

2. თუ კომერციული აქტი დგება იმ მალფუჭებადი ტვირთის გაფუჭების თაობაზე, რომელიც გადაიზიდება მომსახურე ბრიგადის თანხლებით სარეფრიჟერატორო სექციებში, კონტეინერებში ან ენდოკრინული ნედლეულის გადამზიდ ავტონომიურ სარეფრიჟერატორო ვაგონებში, კომერციული აქტის პირველ ეგზემპლარს დაერთვის ამონაწერი ვუ-85 ფორმის სამუშაო ჟურნალიდან გზაში ტემპერატურული რეჟიმის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს სარეფრიჟერატორო სექციის, კონტეინერის, ენდოკრინული ნედლეულის გადამზიდი ავტონომიური სარეფრიჟერატორო ვაგონის მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელი. ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს სადგურის უფლებამოსილი მუშაკის ხელმოწერით და გადმოტვირთვის სადგურის ბეჭდით, ამ მუშაკის გვარ-სახელისა და თანამდებობის მითითებით. ამ შემთხვევაში, კომერციულ აქტში აღინიშნება

სარეფრიჟერატორო სექციის, კონტეინერის, ენდოკრინული ნედლეულის გადამზიდი ავტონომიური სარეფრიჟერატორო ვაგონის გადმოტვირთვის წინ არსებული ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობა.

მუხლი 417

1. თუ კომერციული აქტი შედგენილია ვეტარინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველებისა და ტვირთის გადაზიდვისას, მის პირველ ეგზემპლარს დაერთვის ვეტერინარიული მოწმობის (სერტიფიკატის) ასლი.

2. თუ კომერციული აქტი შედგენილია კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვისას, მის პირველ ეგზემპლარს დაერთვის სერტიფიკატის ასლი, რომელიც ადასტურებს ტვირთში საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების არარსებობას.

მუხლი 418

1. თუ ერთი ტვირთგამგზავნის მიერ ერთი ტვირთმიმღების მისამართით დაყრით ან ჩაყრით გამოგზავნილი ერთგვაროვანი ტვირთის მიტანისას წესივრულ ვაგონებში გამოვლინდა დანაკლისი, რომელიც აღემატება ასეთი ტვირთის მასის ბუნებრივი კლების ნორმასა და ნეტო მასის გაზომვათა ცდომილებას, აგრეთვე ნამეტის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს სხვაობას გაგზავნის სადგურში განსაზღვრულ ტვირთის მასასა და დანიშნულების სადგურში განსაზღვრულ მასას შორის, ნეტო მასის გაზომვის ცდომილების გათვალისწინებით, თუ იგი აღმოჩენილია ცალკეულ გზავნილებად გადაზიდული ტვირთის მიმართ მოცემულ კალენდარულ დღე-ღამეში შემოწმებისას, ფორმდება ერთი კომერციული აქტით.

2. დაყრით, ჩაყრით ან ჩასხმით, გზაში გადაცლით ან გადატვირთვით გადაზიდული ტვირთის დანაკლისი ან ნამეტი, რომელიც ერთმა ტვირთგამგზავნმა გაგზავნა ერთი ტვირთმიმღების მისამართით და მიტანილია წესივრულ ვაგონებში, სვლის გზაზე დანაკარგის ნიშნების გარეშე, განისაზღვრება ერთდროულად გაცემული ტვირთის მთელი პარტიის შემოწმების შედეგების მიხედვით და ფორმდება ერთი კომერციული აქტით.

მუხლი 419

1. კომერციულ აქტში, თითოეული გზავნილის მიხედვით, აღინიშნება ვაგონის ნომერი, სახეობა, საკეტ-საპლომბი მოწყობილობის რაოდენობა და მასზე აღბეჭდილი ინფორმაცია, აგრეთვე გადაზიდვის დოკუმენტებში აღნიშნული და ფაქტობრივად არსებული ტვირთის ადგილების რაოდენობა და მასა. თუ ტვირთის მასა განისაზღვრა სავაგონო სასწორზე, კომერციულ აქტში აღინიშნება ვაგონის ბრუტო მასა, ტარის მასა (ტრაფარეტით ან სასწორზე შემოწმებული) და ნეტო მასა. ვაგონების ხელახალი აწონვის მონაცემები აღინიშნება ნუსხაში, რომელიც დაერთვის კომერციულ აქტს. ნუსხას ხელს აწერს კომერციული აქტის ხელმომწერი პირი.

2. სადგური, ამ წესებით გათვალისწინებული ფორმის ბლანკზე და სასტამბო ნუმერაციით, სამ ცალად ადგენს კომერციულ აქტს და ავსებს მას კომპიუტერზე ან საბეჭდ მანქანაზე გადახაზვის, ამოშლისა და გასწორების გარეშე. ტვირთის დანაკლისის და დატაცების შემთხვევაში კომერციული აქტი დგება ოთხ ცალად.

მუხლი 420

1. თითოეულ კომერციულ აქტზე დაისმის სადგურის სტრიქონული შტემპელი.

2. კომერციული აქტის პირველ ეგზემპლარს რკინიგზა იყენებს იმ გარემოების გამოსაკვლევად, რომელიც გახდა მისი შედგენის საფუძველი.

3. თუ კომერციული აქტი შედგენილია დანიშნულების სადგურზე, მაშინ აქტის მეორე ეგზემპლარი გადაეცემა ტვირთმიმღებს, მისი მოთხოვნით.

4. თუ კომერციული აქტი შედგენილია გაგზავნის ან გზად მდებარე სადგურში, მაშინ კომერციული აქტის მეორე ეგზემპლარი დაერთვის ზედნადებს ან საბარგო-საგზაო უწყისს და

დანიშნულების სადგურამდე თან ახლავს ტვირთს. კომერციული აქტის შედგენის შესახებ აღინიშნება ზედნადების მეორე მხარეს, გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“, სადაც მიეთითება კომერციული აქტის ნომერი, მისი შედგენის თარიღი და შედგენის საფუძველი. ამ ჩანაწერს თავისი ხელმოწერით ამოწმებს სადგურის უფლებამოსილი მუშაკი და მასზე დაესმის კომერციული აქტის შემდგენელი სადგურის შტემპელი.

5. კომერციული აქტის მესამე ეგზემპლარი ინახება აქტის შემდგენელ სადგურში.

6. ტვირთის დანაკლისის ან/და დატაცების შემთხვევაში კომერციული აქტის მეოთხე ეგზემპლარი გადაეცემა სატრანსპორტო პოლიციის შესაბამის განყოფილებას.

მუხლი 421

თუ ტვირთის მიღებასა და გაცემასთან დაკავშირებულ სამუშაოს სადგურის საერთო სარგებლობის ადგილებში ასრულებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა და კომერციულ ოპერაციათა მექანიზებული დისტანცია (შემდგომ – დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანცია), მაშინ კომერციული აქტი დგება ამ დისტანციის მიერ. ყოველ კომერციულ აქტზე დაისმის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის შტემპელი. თუ სვლის გზაზე კომერციული აქტი შეადგინა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციამ, მაშინ კომერციული აქტის შედგენის თაობაზე გაკეთებული აღნიშვნა მოწმდება შტემპელით ამ დისტანციაში.

მუხლი 422

1. თუ ტვირთი გადაიზიდება ელექტრონული ზედნადებით, კომერციული აქტი შეიძლება შედგეს ასევე ელექტრონული სახით, ასეთ შემთხვევაში, კომერციული აქტის მონაცემების საფუძველზე, ელექტრონულ ზედნადებში კეთდება შესაბამისი აღნიშვნები.

2. გაგზავნისა და გზად მდებარე სადგურებში შედგენილი ელექტრონული კომერციული აქტები თან დაერთვის ელექტრონულ ზედნადებს.

3. ერთიანი ელექტრონული სისტემიდან ამობეჭდილ ელექტრონულ კომერციულ აქტს აქვს ელექტრონული კომერციული აქტის იდენტური იურიდიული ძალა „ ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის გრძანერგა №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 423

1. თუ ზედნადებში აღნიშნულია კომერციული აქტის შედგენის თაობაზე გზად მდებარე სადგურის მიერ, ხოლო ტვირთის თანმხლებ გადაზიდვის დოკუმენტებში იგი არ აღმოჩნდა, კომერციული აქტი დგება ტვირთის გაცემის შედეგების მიხედვით დანიშნულების სადგურში.

2. გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის არარსებობა ტვირთის გაცემის მომენტში, ზედნადებში შესაბამისი აღნიშვნის მიუხედავად, არ შეიძლება გახდეს კომერციული აქტის არარსებულად ცნობის საფუძველი.

მუხლი 424

თუ დანიშნულების სადგურში შემოწმებისას არ აღმოჩნდა სხვაობა გზად მდებარე სადგურში შედგენილი კომერციული აქტის მონაცემებსა და ტვირთის ფაქტობრივ მონაცემებს შორის, მაშინ დანიშნულების სადგური ვალდებულია, გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის „68“ გრაფაში, ახალი კომერციული აქტის შეუდგენლად, გააკეთოს შემდეგი შინაარსის აღნიშვნა: ‘‘_____ _____,,_____, გაცემული ტვირთის შემოწმებისას სხვაობა ამ აქტთან შედარებით არ აღმოჩნდა‘‘. ეს აღნიშვნა მოწმდება სადგურის სტრიქონული ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის შტემპელითა და 436-ე მუხლში მითითებული პირების ხელმოწერით. კომერციული აქტი რეგისტრირდება დაუცველ ტვირთზიდვაზე შედგენილი კომერციული აქტების

აღრიცხვის წიგნში. კომერციული აქტების აღრიცხვის წიგნის რიგითი სარეგისტრაციო ნომერი გადაიტანება კომერციულ აქტში და აღინიშნება ამ აქტის სასტამბო ნომრის ქვეშ, რის შემდეგ გადაეცემა ტვირთმიმღებს, მისი მოთხოვნით. თუ გზად მდებარე სადგურში შედგენილი კომერციული აქტი გადაეცა ტვირთმიმღებს, მისი ასლი ინახება დანიშნულების სადგურში.

მუხლი 425

თუ გზად მდებარე სადგურში შედგენილ კომერციულ აქტში არსებული მონაცემები არ შეესაბამება ტვირთის შემოწმების მონაცემებს დანიშნულების სადგურში, დგება კომერციული აქტი. ამ შემთხვევაში, ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში არ გადაეცემა გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტი, გარდა იმ კომერციული აქტისა, რომელშიც აღნიშნულია გადაზიდვის წესების დარღვევის თაობაზე ტვირთგამგზავნის მიერ.

მუხლი 426

1. თუ სვლის გზაზე ან გადმოტვირთვისას კომერციული აქტი შედგენილია იმ ტვირთის მიმართ, რომელიც მიტანილია ტვირთგამგზავნის წესივრული საკეტ-საპლომბი მოწყობილობით ან ღია მოძრავ შემადგენლობაზე წესივრულად დატვირთული, მაშინ დანიშნულების სადგური მოვალეა, გადასცეს ტვირთმიმღებს გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის ასლი, მიუხედავად იმისა, შეადგინა თუ არა მან ტვირთის გაცემისას კომერციული აქტი. ამ შემთხვევაში, დანიშნულების სადგური აკეთებს გზად მდებარე სადგურის კომერციული აქტის ასლს, რომელიც მასთან ინახება.

2. თუ ტვირთის გაცემის წესების შესაბამისად ჩატარებულ იქნა ტვირთის ექმპერტიზა, ამის შესახებ უნდა გაკეთდეს აღნიშნვა კომერციული აქტის „67“ გრაფაში.

მუხლი 427

1. კომერციულ აქტს ადგენს და ამ წესების 415-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში ხელს აწერს ტვირთმიმღები, თუ იგი მონაწილეობდა ტვირთის შემოწმებაში, და სადგურის სამი მუშაკი:

ა) სადგურის უფროსი (უფროსის მოადგილე) ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფროსი (უფროსის მოადგილე);

ბ) სატვირთო რაიონის უფროსი, პაკჰაუზის, საკონტეინერო მოედნის ან მახარისხებელი ბაქნის გამგე, მოვალეობათა განაწილების კვალობაზე;

გ) სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის მიმღებ-ჩამბარებელი. თუ სადგურის საშტატო განრიგით ეს თანამდებობები არ არის გათვალისწინებული, მაშინ კომერციული აქტის ხელმოსაწერად შეიძლება მოწვეულ იქნეს სადგურის (დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის) სხვა უფლებამოსილი მუშაკი. ამ შემთხვევაში, კომერციულ აქტში კეთდება ჩანაწერი: „საშტატო განრიგში ———————— თანამდებობა არ არის“.

2. თუ ვაგონის ტარას ამოწმებს მიმღებ-ჩამბარებელი, რომელსაც გადმოტვირთვისას ტვირთის აწონვაში მონაწილეობა არ მიუღია, კომერციული აქტის „66“ გრაფაში აღინიშნება იმ მიმღებ-ჩამბარებელის გვარი, რომელიც მონაწილეობდა ტვირთის აწონვასა და ვაგონის ტარის შემოწმებაში. კომერციულ აქტს ხელს აწერს მიმღებ-ჩამბარებელი, რომელმაც შეამოწმა ვაგონის ტარა.

მუხლი 428

თუ ვაგონი მოსულია წესივრულ მდგომარეობაში, დატვირთვის პუნქტის დაუზიანებელი საკეტ-საპლომბი მოწყობილობით, მაშინ კომერციული აქტის შედგენისას ტვირთმიმღების მონაწილეობით, მათ შორის, რამდენიმე გზავნილზე, ვაგონიდან მოხსნილი საკეტ-საპლომბი მოწყობილობა უქმდება და დაერთვის კომერციულ აქტს, ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესის შესაბამისად.

მუხლი 429

1. ტვირთმიმღების მოთხოვნით დანიშნულების სადგური ვალდებულია, 3 დღის ვადაში გადასცეს მას 428-ე მუხლით გათვალისწინებულ გზავნილზე შედგენილი კომერციული აქტი.

2. ტვირთმიმღებს კომერციული აქტი გადაეცემა, თუ იგი ტვირთის მიღებაზე წარადგენს შესაბამის უფლებამოსილებას, ხოლო თუ იგი ფიზიკურ პირია – პასპორტს ან პიროვნების დამადასტურებელ სხვა საბუთს და ხელს მოაწერს კომერციული აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც სადგურს რჩება.

მუხლი 430

1. თუ სადგურის ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს კომერციული აქტის შედგენაზე ან დადგენილი წესით გაფორმებაზე, ტვირთმიმღებს უფლება აქვს, ამის თაობაზე წერილობით განუცხადოს რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურის უფლებამოსილ პირს. აღნიშნული განცხადება ადრესატს გადაეცემა უშუალოდ, ან სადგურის ანდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

2. განცხადება ტარდება რეგისტრაციაში რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურში და მასზე აღინიშნება განცხადების წარდგენის თარიღი და დრო, აგრეთვე იმ პირის თანამდებობა და გვარ-სახელი, რომელმაც განცხადება ჩაიბარა. იგივე მონაცემები უნდა აღინიშნოს ტვირთმიმღებისთვის მიცემულ ხელწერილში, როდესაც განცხადების გადაცემა ხდება სადგურის ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

3. თუ რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურის უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს კომერციული აქტის შედგენაზე ან დადგენილი წესით გაფორმებაზე, იგი ვალდებულია, მალფუჭებადი ტვირთის მიმართ – განცხადების მიღებიდან ერთი დღის, ხოლო სხვა ტვირთის მიმართ – სამი დღის განმავლობაში, აცნობოს ტვირთმიმღებს უარის მიზეზი.

მუხლი 431

თუ კომერციული აქტი გაფორმდა ძირითადი გზავნილით მიტანილი ტვირთის დანაკლისის გამო და გადაეცა ტვირთმიმღებს, მაშინ ამ ტვირთის მიტანისას დამატებითი დოკუმენტით ტვირთმიმღების მიერ წარმოდგენილი ძირითადი გზავნილის ზედნადებსა და კომერციული აქტის ყველა ეგზემპლარს „68“ გრაფაში, დანიშნულების სადგურმა უნდა აღნიშნოს ნაკლული ტვირთის მიტანის თაობაზე დამატებითი დოკუმენტით და მიუთითოს ვაგონის ნომერი, დამატებითი გამოგზავნის გამფორმებელი სადგურის სახელწოდება, დამატებითი გამოგზავნის გაფორმებისა და ნაკლული ტვირთის გაცემის თარიღი. აღნიშვნას ხელს აწერს ამ წესების 427-ე მუხლში აღნიშნული პირი და იგი მოწმდება სადგურის შტემპელით. ტვირთის უკანასკნელი ნაწილის მიტანისას, რომელიც კომერციულ აქტში მიუტანლად არის აღნიშნული, ტვირთმიმღები კომერციულ აქტს უბრუნებს შესანახად სადგურს.

მუხლი 432

ძირითადი გზავნილით მიტანილი ტვირთის დანაკლისის გამო, რომელიც გადაიზიდა ელექტრონული ზედნადებით, დანიშნულების სადგურმა შეიძლება შეადგინოს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული კომერციული აქტი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 433. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 434

1. საერთო ფორმის აქტს ადგენს რკინიგზა. საერთო ფორმის აქტით დასტურდება შემდეგი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი:

ა) დანიშნულებისა და გზადმდებარე სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით;

ბ) დატვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელის მიზეზით მათ ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა;

გ) ტვირთგამგზავნისათვის ცარიელი ვაგონების მიწოდების დაყოვნება მისივე მიზეზით;

დ) ტვირთმიმღების ან ტვირთგამგზავნის მიერ თავისი ვაგონების (კონტეინერების) მიღების დაყოვნება;

ე) ვაგონების (კონტეინერების) გაუწმენდავად დატოვება ტვირთმიმღების საშუალებით გადმოტვირთვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩამოსხმის ან სარეცხ-გასაორთქლ სადგურში გამოვლინდება ბოლომდე გადმოუღვრელი ტვირთის ნარჩენებიანი ცისტერნები და ხვიმირიანი ნახევარვაგონები;

ვ) ცისტერნებისა და ბუნკერ-ვაგონების ჩასხმის ან გადმოსხმის შემდეგ მათი გარე ზედაპირის დატოვება გაუწმენდავად;

ზ) რკინიგზის მიერ ტვირთგამგზავნის საშუალებით დასატვირთად გაუწმენდავი ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება;

თ) ვაგონეზე (კონტეინერზე) საკეტ-საპლომბი მოწყობილობის არარსებობა, თუ ზედნადებსა და სავაგონო ფურცელში აღნიშნულია მისი არსებობის შესახებ, საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაზიანება ან გამოცვლა, თუ არ არსებობს კომერციული აქტის შედგენის საფუძველი, ვაგონებზე (კონტეინერებზე) გაურკვეველი ინფორმაციით დატანებული საკეტ-საპლომბი მოწყობილობის აღმოჩენა სვლის გზაზე ან დანიშნულების სადგურში, განზრახ დაზიანების კვალის გარეშე, თუ ინფორმაცია, რომელიც იკითხება, შეესაბამება ზედნადებისა და სავაგონო ფურცლის მონაცემებს ან სვლის გზაზე განზრახ დაზიანების კვალის გარეშე ვაგონებზე (კონტეინერებზე) ისეთი საკეტ-საპლომბი მოწყობილობის აღმოჩენა, რომელზეც დატანებული ინფორმაცია არ შეესაბმება ზედნადებისა და სავაგონო ფურცლის მონაცემებს;

ი) ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების მიზეზით რკინიგზის იმ ლოკომოტივის დაყოვნება, რომელიც გაიგზავნა ვაგონების გამოსაყვანად, მათი შეტყობინების შესაბამისად;

კ) ტვირთის დაყოვნება სვლის გზაზე;

ლ) უწესივრო ვაგონების (კონტეინერების) აღმოჩენა სვლის გზაზე, რაც საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებისა და გადასაზიდი ტვირთის დაცვა-შენახვას;

მ) ვაგონის (კონტეინერის) დაზიანება;

ნ) სხვა პირთა მფლობელობაში არსებული ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური დაკავება რკინიგზის მიერ;

ო) რკინიგზის ვაგონების (კონტეინერების) თვითნებური გამოყენება ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ;

პ) ტვირთის გაცემის დაყოვნება, ტვირთგამგზავნის მიერ ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებით გაწეული სხვა მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო;

ჟ) გაგზავნის ან დანიშნულების სადგურში ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიზეზით იმ ტვირთის დაყოვნება, რომელსაც იცავს პოლიცია (დაცვა);

რ) რკინიგზის ლოკომოტივის მოცდენა კომერციული ოპერაციების შესასრულებლად გამოუსადეგარ გადასარბენებსა და გამყოფ პუნქტებში, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოს დასრულების მოლოდინში;

ს) ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა ვალდებული პირის უარის თქმა ან თავის არიდება ვაგონის ან კონტეინერის დაზიანების აქტის, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს, ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის, გადაზიდვის განაცხადის შესრულების სააღრიცხვო ბარათისა და

სხვა დადგენილი ფორმის დოკუმენტის ხელმოწერაზე. ამ შემთხვევებში, ხელმოწერის ადგილას აღინიშნება საერთო ფორმის აქტის შედგენის თაობაზე, მისი ნომრისა და შედგენის თარიღის მითითებით, რომელსაც ხელს აწერს სადგურის უფლებამოსილი მუშაკი, სადგურის სტრიქონული შტემპელით დამოწმებით;

ტ) ვაგონში ცხოველთა ლეშის აღმოჩენა სვლის გზაზე.

2. საერთო ფორმის აქტს სადგური ადგენს 4 ეგზემპლარად. საერთო ფორმის აქტის ყოველ ეგზემპლარზე, გრაფაში რკ/გზის სადგური ————————— , დაისმის აქტის შემდგენელი სადგურის სტრიქონული შტემპელი.

3. სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების, აღრიცხვის, ექსპედირების და „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონულ სისტემაში“ შეტანის წესს განსაზღვრავს რკინიგზა.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 435

თუ ტვირთი გადაიზიდება ელექტრონული ზედნადებით, გადაზიდვის დოკუმენტებს დასართავი საერთო ფორმის აქტი შეიძლება შედგეს ელექტრონული სახით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 436

1. საერთო ფორმის აქტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი.

2. თუ გადაზიდვის ხელშეკრულებით რკინიგზამ ტვირთგამგზავნს დასატვირთად უნდა მიაწოდოს ღია ლიუკებიან-კარიანი, გაუწმენდავი ცარიელი ვაგონები (კონტეინერები), ტვირთის დასამაგრებელი მოუხსნელი სამარჯვებით, მაშინ სადგურში ამ ვაგონების (კონტეინერების) დასატვირთად მიწოდებისას დგება საერთო ფორმის აქტი, რომელშიც აღინიშნება ტვირთგამგზავნის თანხმობა ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებაზე, მათი ნომრების, აგრეთვე ხელშეკრულების ნომრისა და თარიღის მითითებით.

3. თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძვლით იქნა შეჩერებული, რაც, ამ წესების მიხედვით, გამოიწვევს ტვირთის მიტანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა.

მუხლი 437. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 438. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 439. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 440. (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 441 . (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 442 . (ამოღებულია)

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/1524 – სსმ III, №4, 10.01.2007წ., მუხ.30

მუხლი 443

1. თუ ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური უწესივრობის გამო გამოვლინდა ტვირთის გაჟონვა, გაფუჭება ან დასველება, კომერციული აქტთან ერთად დგება ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი, რომლის ფორმა განსაზღვრულია ამ წესების დანართით.

2. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი დგება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი დაერთვის კომერციული აქტის პირველ ეგზემპლარს, მეორე კი, რჩება მის შემდგენელ სადგურში.

3. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტი, როგორც წესი, უნდა შედგეს ვაგონის (კონტეინერის) უწესივრობის გამოვლენის დღეს, მაგრამ არა უგვიანეს კომერციული აქტის შედგენის დღისა.

მუხლი 444

1. ვაგონის (კონტეინერის) ტექნიკური მდგომარეობის აქტში, ვაგონის (კონტეინერის) უწესივრობის მიზეზთან ერთად, სავალდებულოდ უნდა აღინიშნოს უწესივრობის ხასიათი და მისი წარმოშობა.

2. ვაგონის ტექნიკური მდგომარეობის აქტს ხელს აწერს ვაგონის დათვალიერების მონაწილე სავაგონო დეპოსა და სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. კონტეინერის ტექნიკური მდგომარეობის აქტს ხელს აწერს კონტეინერის დათვალიერების მონაწილე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციისა და სადგურის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 445

1. თუ ვაგონი (კონტეინერი), ღია მოძრავ შემადგენლობაზე გადასაზიდი ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი ტექნიკა სადგურში გაიხსნა სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარიული, სავეტერინარო, ფიტოპათოლოგიური და სხვა სახის შემოწმების მოსაწყობად, მაშინ ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით, დგება ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტი.

2. საიმპორტო ტვირთის გადაზიდვისას სადგური ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტს ადგენს სამ ეგზემპლარად, ხოლო საექსპორტო ტვირთის გადაზიდვისას – ოთხ ეგზემპლარად. აქტის ერთი ეგზემპლარი, ვაგონიდან (კონტეინერიდან) მოხსნილ საკეტ-საპლომბ მოწყობილობასთან ერთად, რჩება აქტის შემდგენელ სადგურში, მეორე – დაერთვის გადაზიდვის დოკუმენტს და ტვირთს თან ახლავს დანიშნულების სადგურამდე, მესამე – გადაეცემა იმ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელს, რომლის მოთხოვნითაც გაიხსნა ვაგონი (კონტეინერი), ხოლო მეოთხე ეგზავნება გაგზავნის სადგურს. აქტის მეოთხე ეგზემპლარის საფუძველზე, ტვირთგამგზავნი იხდის ვაგონზე, კონტეინერზე, ავტომობილზე, ტრაქტორსა და სხვა თვითმავალ მანქანაზე ახლად დაყენებული საკეტ-საპლომბი მოწყობილობის ღირებულებას. ზედნადების მეორე მხარეს, გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები“ ან დამატებით საგზაო უწყისში ტვირთის დასახელების ქვეშ, ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტის შემდგენელმა სადგურმა უნდა აღნიშნოს ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტის შედგენის თაობაზე. ეს აღნიშნვა მოწმდება აქტის შემდგენელი მუშაკის ხელმოწერითა და სადგურის კალენდარული შტემპელით.

მუხლი 446

ვაგონის (კონტეინერის) გახსნის აქტში აღინიშნება შემოწმების დროს ვაგონიდან ან კონტეინერიდან მოხსნილი და ახლად დაყენებული საკეტ-საპლომბი მოწყობილობის, მათი დამყენებელი პირის, მოწყობილობის ტიპისა და საკონტროლო ნიშნის თაობაზე, ხოლო საექსპორტო ტვირთის გადაზიდვისას, აქტის მეოთხე ეგზემპლარში დამატებით აღინიშნება საკეტ-საპლომბი მოწყობილობის ღირებულება. აქტს ხელს აწერს იმ სადგურის უფლებამოსილი მუშაკი, სადაც მოხდა ვაგონის (კონტეინერის) გახსნა, აგრეთვე გახსნაში მონაწილე სასაზღვრო, საბაჟო და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოს წარმომადგენელი. აქტი მოწმდება სადგურის კალენდარული შტემპელით.

მუხლი 447 (ამოღებულია)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 448

1. ვაგონის დაზიანების აქტი დგება ვაგონის დაზიანების ყველა შემთხვევაში, ამ წესების დანართში განსაზღვრული ფორმით, მათ შორის, იმ ვაგონის საკეტი ან საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დასაყენებელი სამარჯვების დაზიანებისას, რომელიც ექვემდებარება კაპიტალურ-სადეპო, მიმდინარე (მოხსნით, მოუხსნელად) რემონტს ან ინვენტარიდან ამორიცხვას, აგრეთვე შეჯახებისას და წყვილთვლის რელსიდან ვაგონის გადმოსვლის შემთხვევაში. წყვილთვლის რელსიდან ვაგონის გადმოსვლისას ვაგონის დაზიანების აქტი დგება მაშინაც, თუ ვაგონი არ დაზიანებულა.

2. ვაგონის დაზიანების აქტი არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მუხლი 449

1. ვაგონის დაზიანების აქტს ადგენს ვაგონის მსინჯველი ან სავაგონო დეპოს ოსტატი ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან ვაგონის დამზიანებელი სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, ხოლო ვაგონის მსინჯველის ან სავაგონო დეპოს ოსტატის არყოფნისას – სადგურის უფროსი ან რკინიგზის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

2. თუ ვაგონი დაზიანდა შეჯახების ან რელსიდან გადმოსვლის შედეგად, მაშინ ვაგონის დაზიანების აქტი დგება რკინიგზის მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორის ან რკინიგზის სავაგონო დეპოს რევიზორის თანდასწრებით

3. სარეფრეჟირატორო სექციის ვაგონის, ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის ან მათი სპეციალური მოწყობილობის დაზიანებისას, ვაგონის დაზიანების აქტს, რკინიგზის უსაფრთხოების მთავარ რევიზორთან და სარეფრეჟირატორო სექციის, ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელთან ერთად, ადგენს იმ სავაგონო დეპოს უფლებამოსილი პირი, რომლის უბანზეც მოხდა დაზიანება.

4. ვაგონის დაზიანების აქტს ხელს აწერს მის შედგენაში მონაწილე პირი და იგი მოწმდება ბეჭდით.

5. თუ ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს ან თავს არიდებს ვაგონის დაზიანების აქტის ხელმოწერაზე, მაშინ უნდა შედგეს საერთო ფორმის აქტი.

მუხლი 450

1. ვაგონის დაზიანების აქტი თითოეულ ვაგონზე დგება ცალ-ცალკე:

ა) თუ ვაგონი ექვემდებარება მიმდინარე რემონტს – 3 ეგზემპლარად;

ბ) თუ დაზიანება მოხდა შეჯახებისას და რელსიდან გადმოსვლის დროს – 4 ეგზემპლარად;

გ) თუ ვაგონი ექვემდებარება გეგმიურ რემონტს ან ინვენტარიდან ამორიცხვას – 5 ეგზემპლარად;

დ) სარეფრეჟირატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის დაზიანებისას – 6 ეგზემპლარად.

2. ვაგონის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლარი გადაეცემა ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან ვაგონის დამზიანებელ სხვა პირს, მეორე – დაერთვის ანგარიშს, რომელიც წარედგინება ვაგონის დაზიანებისთვის, მესამე – შესანახად რჩება სავაგონო დეპოში, რომლის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ვაგონის დაზიანების აქტს, მეოთხე – გადაეცემა რკინიგზის სავაგონო მეურნეობის სამსახურს, მეხუთე – გადაეგზავნება ქარხანას ან სავაგონო დეპოს, რომელმაც უნდა გაარემონტოს ვაგონი. სარეფრეჟირატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის დაზიანებისას აქტის მეექვსე ეგზემპლარი გადაეცემა სარეფრეჟირატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის მომსახურე ბრიგადის ხელმძღვანელს, მიწერის დეპოში გადასაცემად.

მუხლი 451

1. სვლის გზაზე ვაგონის დაზიანების აქტი დგება ოთხ ეგზემპლარად, ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

2. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის ვაგონის დაზიანებისას დგება ვაგონის დაზიანების აქტის დამატებითი ეგზემპლარი, რომელიც მათ გადაეცემათ მოთხოვნისამებრ.

3. თუ ტვირთი გადაიზიდება ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების წარმომადგენლის თანხლებით, ვაგონის დაზიანების აქტს ხელი შეიძლება მოაწეროს ტვირთის გამყოლმა, თუ მას, ზედნადების მიხედვით, მინიჭებული აქვს ტვირთგამგზავნის უფლებები.

4. ვაგონის დაზიანების აქტში აღინიშნება დაზიანების მიზეზები და ჩამონათვალი, სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი რემონტის სახეობა, დაზიანებული დეტალებისა და ვაგონის აღდგენის ღირებულება, ხოლო სარეფრეჟირატორო სექციის ან ავტონომიური სარეფრეჟირატორო ვაგონის დაზიანებისას აქტში დამატებით მიეთითება მიწერის დეპო და რკინიგზა.

მუხლი 452

1. თუ ვაგონი დაზიანდა შეჯახების, რელსიდან გადმოსვლის ან მარცხის შედეგად, მაშინ ვაგონის დაზიანების აქტის სტრიქონში „დამატებითი მონაცემები“ აღინიშნება ქედის კოჭის, გრძივი გვერდის შველერისა და ხერხემლის ძელის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სიბრტყის მაქსიმალური ნაღუნის სიდიდე, აგრეთვე ვაგონის ჩარჩოს გასარემონტებელი ელემენტების დასახელება.

2. თუ აღდგენითი სამუშაოს შესრულებისას ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაზიანებულმა ვაგონმა დამატებითი დაზიანება მიიღო, დგება ვაგონის დაზიანების აქტის დანართი, რომელშიც აღინიშნება დაზიანების ნუსხა და მისი გამომწვევი გარემოება. აქტის დანართი დგება იმ შემთხვევაშიც, თუ ვაგონს აქვს ჩარჩოს კოროზიულობა, კონსტრუქციული და ცვეთის სხვა ნაკლოვანება და ამის გამო ინვენტარიდან ამორიცხვას ექვემდებარება.

3. ვაგონის დაზიანების აქტის დანართს ხელს აწერს სავაგონო დეპოს უფროსი (უფროსის მოადგილე), რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორი, რკინიგზის სავაგონო მეურნეობის რევიზორი და აღმდგენი მატარებლის უფროსი. ხელმოწერა ვაგონის დაზიანების აქტსა და მის დანართში მოწმდება სავაგონო დეპოს ბეჭდით, რომელიც საფინანსო ოპერაციისთვის გამოიყენება.

მუხლი 453

1. ვაგონის სარემონტოდ გაგზავნისას ქარხანაში ან დეპოში, ვაგონის დაზიანების აქტში აღინიშნება ქარხნის (დეპოს) სახელწოდება და ვე-26 ფორმის თანმხლები ფურცლის შედგენის თარიღი.

2. თუ დაზიანებული ვაგონი გარემონტებულია ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, ვაგონის მიმღები სავაგონო დეპოს წარმომადგენელი, რემონტის შემდეგ, ვაგონის დაზიანების აქტის ყველა ეგზემპლარში აღნიშნავს მისი მიღების შესახებ და

მიუთითებს გარემონტებული ვაგონების აღრიცხვის (ფორმა ვუ-16) დავთარში ჩანაწერის რიგით ნომერს, თარიღს, დროს და ამოწმებს მას ხელმოწერით.

მუხლი 454

1. კონტეინერის დაზიანების აქტი, რომლის ფორმა მოცემულია ამ წესების დანართში, დგება კონტეინერის დაზიანების ყველა შემთხვევაში, მათ შორის, კონტეინერის საკეტი ან საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დასაყენებელი სამაგრის დაზიანებისას, რომელიც ექვემდებარება კაპიტალურ, გეგმიურ, მიმდინარე რემონტს ან კონტეინერის ამორიცხვას ინვენტარიდან.

2. კონტეინერის დაზიანების აქტი არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მუხლი 455

1. კონტეინერის დაზიანების აქტს ადგენს უფროსი მიმღებ-ჩამბარებელი, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის ოსტატი, ვაგონის მსინჯველი ან სავაგონო დეპოს ოსტატი, ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების და კონტეინერის დაზიანებაში ბრალეული სხვა წარმომადგენელის თანდასწრებით. თუ სადგურში არ არის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის ან სავაგონო დეპოს მუშაკი, მაშინ კონტეინერის დაზიანების აქტს ადგენს სადგურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

2. კონტეინერის დაზიანების აქტს ხელს აწერს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის უფროსი (უფროსის მოადგილე), სავაგონო დეპოს უფროსი (უფროსის მოადგილე), სადგურის უფროსი, მიმღებ-ჩამბარებელი, ვაგონის მსინჯველი ან სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი და კონტეინერის დამზიანებელი პირი, თანამდებობისა და გვარ-სახელის მითითებით. აქტი მოწმდება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციის, სავაგონო დეპოს ან სადგურის ბეჭდით.

3. თუ ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან კონტეინერის დამზიანებელი სხვა პირი უარს აცხადებს ან თავს არიდებს კონტეინერის დაზიანების აქტის ხელმოწერაზე, ამ წესების შესაბამისად დგება საერთო ფორმის აქტი.

მუხლი 456

1. კონტეინერის დაზიანების აქტი დგება თითოეულ კონტეინერზე ცალ-ცალკე. რკინიგზის კონტეინერის დაზიანების შემთხვევაში, კონტეინერის დაზიანების აქტი დგება სამ ეგზემპლარად. კონტეინერის დაზიანების აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის ანგარიშს, რომელიც ეგზავნება დაზიანებაში ბრალეულ პირს, მეორე ეგზემპლარი, აქტის შედგენის ადგილის მიხედვით, ინახება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციაში, სავაგონო დეპოსა ან სადგურში, ხოლო მესამე, უწესივრო კონტეინერის რემონტის შეტყობინებით (ფორმა ვუ-23კ), გადაეცემა რემონტის ჩამტარებელ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დისტანციას ან სავაგონო დეპოს. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა უფლებამოსილი პირის კონტეინერის დაზიანებისას, დამატებით დგება კონტეინერის დაზიანების აქტის მეოთხე ეგზემპლარი, რომელიც აღნიშნულ პირებს მათივე მოთხოვნით გადაეცემა.

2. კონტეინერის დაზიანების აქტში აღინიშნება კონტეინერის დაზიანების მიზეზები და ნუსხა, სამუშაოს მოცულობა და საჭირო რემონტის სახეობა, აგრეთვე დაზიანებული ნაწილებისა და კონტეინერის აღდგენის ღირებულება.

მუხლი 457

1. თუ ჩასხმის პუნქტში ან სარეცხ-გასაორთქლ სადგურში გამოვლინდა ისეთი ცისტერნები ან ხვიმირიანი ნახევარვაგონები, რომელშიც ტვირთის ნარჩენი აღემატება დადგენილ ნორმას, მაშინ, ამ წესების დანართით გასაზღვრული ფორმით, დგება ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი.

2. ცისტერნის (ბუნკერიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

3. ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტი დგება ოთხ ეგზემპლარად თითოეულ ნარჩენებიან ცისტერნაზე ან ხვიმირიან ნახევარვაგონზე, რომელთაგან სამი ეგზემპლარი, გადასაგზავნ ზედნადებთან ერთად, გადაეცემა რკინიგზის სატვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურს, სადაც წარმოებდა ტვირთის გადმოსხმა, მეოთხე კი, რჩება ჩასხმის პუნქტში ან სარეცხ-გასაორთქლ სადგურში და წარმოადგენს ამოღებული ტვირთის ნარჩენების მატერიალური აღრიცხვის საფუძველს. ამ შემთხვევაში აქტის პირველი ეგზემპლარი დაერთვის იმ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც წარმოებს საფასურის გადახდა, მეორე გადაეცემა ტვირთმიმღებს, რომელმაც დაუშვა ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმა, მესამე კი, შესანახად რჩება ტვირთის გადმომსხმელ სადგურს.

4. ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) უკმარგადმოსხმის აქტს ხელს აწერს სადგურის მიმღებ-ჩამბარებელი და ცისტერნის დამთვარიელებელი. აქტის მეორე მხარეს აღინიშნება ცისტერნის ან ხვიმირიანი ნახევარვაგონის გადმოსხმის დრო, რომელიც მოიცავს დროის მხოლოდ იმ მონაკვეთს, რაც მოხმარდა ტვირთის ნარჩენების მოცილებას, ცისტერნის (ხვიმირიანი ნახევარვაგონის) გაორთქვლისა და რეცხვის დროის აღურიცხავად. ეს აღნიშვნა მოწმდება ჩასხმის პუნქტის ან სარეცხ-გასაორთქლი სადგურის უფროსისა და ბრიგადირის ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით ან შტემპელით.

მუხლი 458

1. ექსპერტიზის აქტი, ამ წესების დანართით განსაზღვრული ფორმით, დგება ტვირთის დანაკლისის, გაფუჭების ან დაზიანების მიზეზისა და ექსპერტიზის ჩატარების დღისთვის არსებული ზარალის ოდენობის დასადგენად.

2. ექსპერტიზის აქტს ხელს აწერეს ექსპერტი და, რკინიგზის ან ტვირთმიმღების მოთხოვნით, ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილე სხვა სპეციალისტი, აგრეთვე სადგურის უფროსი და ტვირთმიმღების წარმომადგენელი, თუ იგი მონაწილეობდა მისი მისამართით მიტანილი ტვირთის ექსპერტიზაში.

3. ჩატარებული ექსპერტიზის შესახებ კეთდება აღნიშნვა კომერციული აქტის „67“ გრაფაში.

თავი XXIX
რკინიგზისადმი პრეტენზიების წაყენებისა და განხილვის წესი

მუხლი 459

1. პრეტენზია ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით რკინიგზას წაეყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პრეტენზიის წაყენების უფლება, შესაბამისი მტკიცებულების თანდართვით, აქვს ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან მათ მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

მუხლი 460

1. პრეტენზია ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების (გაფუჭების) გამო წაყენებული უნდა იქნეს თითოეულ გზავნილზე ცალ-ცალკე.

2. თუ ერთი ტვირთგამგზავნის მიერ, ერთი გაგზავნის სადგურიდან ერთი დანიშნულების სადგურის მიმართულებით და ერთი ტვირთგამგზავნის მისამართით დატვირთულია ერთგვაროვანი ტვირთი, დასაშვებია ერთი პრეტენზიის წარდგენა იმ გზავნილთა ჯგუფზე, რომელზეც შედგა ერთი კომერციული აქტი.

3. დასაშვებია ერთი პრეტენზიის წარდგენა სამარშრუტო ან ჯგუფური გზავნილებით გადაზიდულ ტვირთზე, კომერციულ აქტში აღნიშნული ვაგონების რაოდენობის მიხედვით.

4. აკრძალულია ერთი პრეტენზიის წარდგენა გზავნილთა ჯგუფზე ტვირთის პირდაპირი შერეული გადაზიდვისას, თუ ეს ტვირთი გადაიზიდა ტვირთგადაცლის სხვადასხვა პუნქტის გავლით.

მუხლი 461

1. პრეტენზიაში უნდა აღინიშნოს:

ა) მისი წაყენების საფუძველი;

ბ) საპრეტენზიო თანხა, ყოველი ცალკეული მოთხოვნისა და დოკუმენტის მიხედვით;

გ) პრეტენზიის წარმდგენის ზუსტი იურიდიული მისამართი, ხოლო, თუ ის ფიზიკური პირია, ასევე პიროვნების დამადასტურებელი საბუთის მონაცემები;

დ) მხარეთა საბანკო რეკვიზიტები;

ე) პრეტენზიაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი.

2. პრეტენზიას ხელს აწერს ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. თუ პრეტენზია წარდგენილია ტვირთზე, რომელიც გადაიზიდა ელექტრონული ზედნადებით, საპრეტენზიო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების წარდგენა უნდა განხორციელდეს ამ წესების შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება №1-1/298 - ვებგვერდი, 13.07.2017 წ.

მუხლი 462

1. პრეტენზიას თან უნდა დაერთოს პრეტენზიის დამადასტურებელი შემდეგი საბუთი:

დიდი ტონაჟის კონტეინერებისათვის დაისმის ნიშანსადები კოდის პირველი სტრიქონის უკლებლივ ყველა ასო და ციფრი, ამასთან ასოითი ინდექსი (ასომთავრულის ოთხი ნიშანი) დაისმის გრაფის მარცხენა არეში, ხოლო ციფრული (შვიდი ნიშანი) – მარჯვენა არეში. უკანასკნელი ციფრი არის საკონტროლო რიცხვი და გამოიყენება კონტეინერის ნიშანსადები კოდის სისწორის შემოწმებისათვის;

საშუალოტონაჟიანი კონტეინერებისათვის გრაფის მარჯვენა არეში იწერება ნიშანდების ნომრის პირველი სტრიქონის უკლებლივ ყველა ციფრი. ნიშანდების ნომრის უკანასკნელი ციფრი არის საკონტროლო ნიშანდების ნომრის სისწორის შესამოწმებლად. გრაფის მარცხენა არეში იწერება კონტეინერის მესაკუთრე რკინიგზის ორნიშნა ციფრული კოდი, რკინიგზების საერთაშორისო სისტემის შესაბამისად. დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოების, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რკინიგზების ციფრული კოდი კონტეინერებზე დასმულია კონტეინერის ნიშანდების ნომრის ქვეშ. თუ კონტეინერებზე არ არის მესაკუთრის ორნიშნა ციფრული კოდი, გრაფის მარცხენა არეში იწერება: კ/ს (ანუ ,,კონტეინერი საკუთარი“);

,,კონტეინერის მასა ბრუტო, ტუ – იწერება კონტეინერის ბრუტო მასის ტრაფარეტული მნიშვნელობა:

დიდი ტირაჟის კონტეინერის ბრუტო მასა აღინიშნება კონტეინერის კარზე, აგრეთვე კოდირებულია ნიშანსადები კოდის ციფრული ნაწილის მეორე სტრიქონში (პირველი ორი ციფრი);

საშუალო ტონაჟის კონტეინერების ბრუტო მასა რიცხობრივად ტოლია კონტეინერის ნომრის პირველი ციფრისა (ნიშანსადები კოდის პირველი ციფრი);

,,გზავნილის ტიპი“ – გრაფაში იწერება დიდი ასოებით ,,პაკ“ იმ შემთხვევაში, როდესაც იგზავნება პირდაპირი ასაწყობი კონტეირერი, და ,,სკხ“, როდესაც იგზავნება სპეციალიზებული კონტეინერით მისი სპეციალიზაციის მიუხედავად. დანარჩენ შემთხვევაში გრაფა ან არ ივსება, ანდა დიდი ასოებით იწერება ,,კოგ“ (ანუ ,,კონტეინერული გაგზავნა“);

„მონაცემები ვაგონის შესახებ“ – იწერება ტვირთგამზავნის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაგონზე კონტეინერის დატვირთვა აწარმოვა ტვირთგამგზავნმა არასაერთო სარგებლობის ადგილებში;

„სადგური და დანიშნულების გზა“ – აღინიშნება საკონტეინერო ოპერაციებისათვის ღია სადგურისა და დანიშნულების რკინიგზის ზუსტი დასახელება.

საზღვაო ნავსადგურების მეშვეობით საექსპორტო ტვირთის კონტეინერების გაგზავნის გრაფიკი „სადგური და დანიშნულების გზა“ აღინიშნება პორტისპირა დანიშნულების სადგურის დასახელება და მისი კოდი, რომელიც შეესაბამება ერთიან საქსელე ნიშნულს, მაგალითად: „ფოთი – ექსპორტი - ----------„;

„გამგზავნი“ – აღინიშნება ტვირთის გამგზავნი ორგანიზაციის ზუსტი და სრული დასახელება და მისი ციფრული კოდი. თუ ტვირთს გზავნის ფიზიკური პირი, აღინიშნება ტვირთის გამგზავნი პირის სახელი და გვარი.

საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებიდან იმპორტული ტვირთის კონტეინერებით გადაგზავნისას აღინიშნება იმ ოპერატორის (ექსპედიტორის) დასახელება, რომლის მეშვეობითაც წარმოებს გაგზავნის ოპერაცია, და მისი ციფრული კოდი;

„გამგზავნის საფოსტო მისამართი“ – აღინიშნება ტვირთგამგზავნის ზუსტი საფოსტო მისამართი, ქალაქის ან სოფლის (სადგურის), ოლქის, რაიონის, ქუჩის სახელწოდება და სახლის ნომერი;

„მიმღები“ – აღინიშნება კონტეინერის მიმღები ორგანიზაციის ზუსტი და სრული სახელწოდება. თუ მიმღები ფიზიკური პირია, მაშინ აღინიშნება კონტეინერის მიმღები პირის სახელი და გვარი.

საზღვაო ნავსადგურიდან საექსპორტო ტვირთის კონტეინერებით გაგზავნისას აღინიშნება იმ ოპერატორის (ექსპედიტორის) მისამართი და ციფრული კოდი, რომელიც რკინიგზისაგან იღებს კონტეინერებს და გზავნის მათ გზით.

„მიმღების საფოსტო მისამართი“ – ისევე, როგორც ტვირთგამგზავნისათვის.

„გადამხდელი“ – სტრიქონის გამოყოფილ ნაწილში აღინიშნება გადამხდელის სრული სახელწოდება და მონაცემები მისი კოდის შესახებ, თუ ტვირთგამგზავნი არ არის იმავადროულად პირი, რომელმაც ხარჯები გაისტუმრა.

ცხრილის გრაფებში, სადაც იწერება მონაცემები კონტეინერში მოთავსებული ტვირთის შესახებ, აღინიშნება:

„ტვირთის დასახელება“ – ტვირთის სრული და ზუსტი სახელწოდება სატარიფო სახელმძღვანელოს შესაბამისად. თუ ასაწყობი კონტეინერი იგზავნება, მაშინ ცხრილის გრაფებში აღინიშნება კონტეინერში მოთავსებული თითოეული გზავნილის ტვირთის დასახელება, მცირე გზავნილების გადასაზიდად მიღებული ტვირთის ზედნადებებში გაკეთებული ჩანაწერების შესაბამისად;

„ტვირთის მასა შეფუთვასთან ერთად, რომელსაც განსაზღვრავს გამგზავნი, კგ-ობით“- თითოეული დასახელების (ან მცირე გზავნილის თითოეული ადგილის) ტვირთის მასა კონტეინერში მოთავსებულ შეფუთვასთან ერთად.

„ტვირთის მასა“, „ტვირთის მასა“ (სიტყვიერეად)- იწერება ციფრებით და სიტყვიერად ტვირთის საერთო მასა შეფუთვასთან ერთად, რომელსაც განსაზღვრავს გამგზავნი, კგ-ობით;

„კონტეინერის ტარის მასა“ – ცარიელი კონტეინერის მასა მასზე არსებული ტრაფარეტის თანახმად, კგ-ობით;

„კონტეინერის ბრუტოს მასა, ფაქტობრივი“ – კონტეინერში მოთავსებული ტვირთის საერთო, შეფუთვასთან ერთად ფაქტობრივი მასის და კონტეინერის ტარის მასის ჯამი, კგ-ობით;

„ადგილების რაოდენობა“ – თითოეული დასახელების ტვირთის ადგილების რაოდენობა და ადგილების რაოდენობა ციფრებით და სიტყვიერად საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ სვეტის სტრიქონებში;

„შეფუთვა“ – შემოკლებით, ზედნადები აღნიშნული თითოეული დასახელების ტვირთის შეფუთვის სახეობა, შეფუთვის არარსებობისას აღინიშნება შემოკლებით – „შეუფ.“

„კონტეინერის დატვირთის ტექნიკური ნორმა“ – იმ შემთხვევაში, როდესაც კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა დადგენილია, აღინიშნება კონტეინერის დატვირთვის საქსელო ან ადგილობრივი ტექნიკური ნორმა. თუ კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა არ არის დადგენილი, ამ გრაფაში აღინიშნება – „არ არის დადგენილი“.

„მონაცემების სსმ-ის შესახებ“ – აღინიშნება მონაცემები საკეტსაპლომბი მოწყობილობის შესახებ, რომელიც კონტეინერზეა ჩამოკიდული ვაგონებისა და კონტეინერების დაპლომბვის წესების შესაბამისად.

ფიზიკური პირების პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებისათვის განკუთვნილი ტვირთის კონტეინერზე „მონაცემებს სსმ-ის შესახებ“ მიუთითებს რიკინიგზის მუშაკი,

„გაცხადებული ღირებულება“ – სიტყვიერად იწერება კონტეინერში მოთავსებული ტვირთის გაცხადებული ღირებულება, რომელიც დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

„ზედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორისათვის პასუხს ვაგებ „ტვირთგამგზავნი (ტვირთგამგზანის წარმომადგენელი) გარკვევით აწერს, რითაც ადასტურებს მის მიერ ზედნადებში აღნიშნული მონაცემების სისწორეს.

„გაგზავნის განსაკუთრებული განცხადებები და აღნიშვნები“ – ზედნადების უკანა მხარის მე-3 გრაფაში აღინიშნება კონტეინერში ჩადებული ფაქტურის ან სპეციფიკის ნომერი; საექსპორტო ტვირთის გაგზავნის შემთხვევაში- შეკვეთა-განწესის ან კონტრაქტის ნომერი, დასახელება, გადაზიდვის ნებართვის ნომერი ან აღნიშვნა მისი თანდართვის შესახებ, ხოლო ფიზიკურ პირთა პირადი (საყოფაცხოვრებო) საჭიროებებისათვის განკუთვნილი ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა ჩადებული ნუსხის შესახებ.

ასაწყობი კონტეინერის გაგზავნისას უკანა მხარის მე-3 გრაფაში აღინიშნება, რომ იგზავნება პირდაპირი ასაწყობი კონტეინერი, და რომ ზედნადებს დართული აქვს იმ ტვირთის ზედნადების მთელი კომლექტი (რიცხვი, სიტყვიერად), რომელიც მიღებულია მცირე გზავნილებით გასაგზავნად და ჩატვირთულია მოცემულ კონტეინერში. კეთდება აგრეთვე აღნიშვნა იმის შესახებ, რომ კონტეინერში დაწესებული ფორმის (სავაგონო ფურცლის ფორმის) მიხედვით არის ჩადებული მცირე გზავნილებათა ნუსხა.

3. ზედნადების შევსება გაგზავნის სადგურის მიერ

3.1. გაგზავნის სადგური ავსებს ზედნადების წინა და უკანა მხარის შემდეგ გრაფებს.

„განაცხადის მიხედვით“ – აღინიშნება რკინიგზის მიერ მიღებული განაცხადის ნომერი;

„ტვირთის შეტანა ნებადართულია ..... თვის ..... რიცხვისათვის“ – ივსება სადგურის საკონტეინერო მოედნებიდან დატვირთული კონტეინერების წარდგენით ყველა შემთხვევაში;

დატვირთვა დანიშნულია..... თვის.....რიცხვისათვის“ ივსება ყველა შემთხვევაში საერთო და არასაერთო სარგებლობის ადგილებში კონტეინერების დატვირთვის ნებართვისას. ზედნადებთა ვიზირების წესს განსაზღვრავს სადგურის უფროსი.

3.2. ზედნადების წინა მხარეს მარცხენა ზედა კუთხეში, გრაფაში: „განსაკუთრებული აღნიშვნებისა და შტამპელების ადგილი“- დაისმის აღნიშვნები: იმ ვაგონის დაცვა-დაფარვის წესის შესახებ, რომელზეც დაიტვირთება მოცემული კონტეინერი მატარებლის შემადგენლობაში, „ნუ დაშლით გორაკიდან“, გორაკიდან ფრთხილად დაშალეთ-შემთხვევებში, რომლებშიც გათვალისწინებულია რკინიგზაზე საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის წესები.

ზედნადების უკანა მხარეს 1-ელ გრაფაში: „კონტეინერი მოცემული ზედნადებით მიღებულია“- რკინიგზის მუშაკი გარკვევით წერს კონტეინერის მიღების თარიღს და თავის გვარს.

3.3. ზედნადების ყველა ფურცელზე გრაფაში „გაგზავნის სადგური და რკინიგზა“ შტემპელით აღინიშნება გაგზავნის სადგურისა და რკინიგზის ზუსტი დასახელება და ამ სადგურისათვის სატარიფო სახელმძღვანელოს თანახმად მიკუთვნებული კოდი.

პირგადასაღები ქაღალდით ივსება გადასაზიდი დოკუმენტების კომპლექტის შემდეგი გრაფები:

„კონტეინერის ვაგონზე დატვირთვა შესრულდა „ – აღინიშნება, ვინ მოახდინა კონტეინერის ვაგონში დატვირთვა-ტვირთგამგზავნმა თუ რკინიგზამ გაგზავნის სადგურში.

დანიშნულების სადგურისა და რკინიგზის დასახელების შემდეგ დაისმის კოდი, რომელიც სადგურს მიკუთვნებული აქვს სატარიფო სახელმძღვანელოს თანახმად.

თუ ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ფიზიკური პირნი არიან, გრაფები „გამგზავნი“ და „მიმღები“ შეივსება ციფრული კოდით –„1000“.

3.4. წინასწარი დანიხვრის განაცხადებიდან, რომლებიც ნიხრდადებულია საანგარიშსწორებო სატვირთო კონტეინერებში (სსკ), გადააქვთ სატარიფო აღნიშვნები (ჯგუფის, პოზიციის, გამონაკლისი ტარიფის სქემის ნომერი), გადაზიდვის მანძილი და გადაზიდვის გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხა, მათ შორის, გაცხადებული ღირებულებისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთგამგზავნი არ სარგებლობს სსკ მეშვეობით ცენტრალიზებული ანგარიშსწორების უფლებით, გაგზავნის სადგური ავსებს დანაყოფს „სატარიფო აღნიშვნები“, სატარიფო სახელმძღვანელოს შესაბამისად ამ შემთხვევაში გრაფაში „გადასახდელის გაანგარიშება ..... კმ-სათვის“- იწერება გადაზიდვის მანძილი. შესაბამის გრაფებში აღინიშნება გადაზიდვის საფასური და მოსაკრებლების თანხა. გრაფაში „გაგზავნის სახეობა“ – იწერება კონტეინერის გაგზავნის სახეობის კოდი „08“.

„გადასახდელები გადახდევინებულია გაგზავნის სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით ...“..... აღინიშნება სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრის ნომერი, რომლითაც არის გადახდევინებული საფასური არაცენტრალიზებული ანგარიშსწორების დროს. სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით საფასურის გადახდევინებას თავისი ხელმოწერით ადასტურებს საქონლის მოლარე.

3.5. გაგზავნის სადგურში თითოეულ მიღებულ საკონტეინერო გზავნილებს მიეკუთვნება ნომერი, რომელიც დაისმის სატვირთო გზავნილთა ნუმერაციის სპეციალური დავთრიდან აღებული (ფორმა გუ-35) საბუთების კომფლექტის ყველა ბლანკზე.

3.6. ზედნადებისა და საგზაო უწყისის უკანა მხარის შესაბამის გრაფაში, აგრეთვე ტვირთის მიღების ქვითრისა და საგზაო უწყისის ყუის წინა მხარეს დაისმის სადგურის კალენდარული შტემპელი კონტეინერში ტვირთის მიღების დროის გადასაზიდად მიღების დროის შესახებ.

4. გადაზიდვის საბუთების შევსება გზაში

გზაში სადგურების აღნიშვნებს აკეთებენ ზედნადების მეორე მხარეს მე-4 გრაფაში „რკინიგზის აღნიშვნები.“

იმ აქტების შედგენისას, რომლებიც მოცემულ გზავნილებს განეკუთვნება, მე-2 გრაფაში ზედნადების უკანა მხარეს აღინიშნება აქტის ნომერი, შედგენის თარიღი, და რის შესახებ არის შედგენილი აქტი (მაგალითად „ტვირთის გაფუჭების შესახებ“, „ადგილების დანაკლისის შესახებ“, მასის დანაკლისის შესახებ ..... და ასე შემდეგ)

ახალი საბუთების მიხედვით ტვირთის მისამართის შეცვლის გაფორმებისას აღრიცხვის სისწორისათვის სადგურებზე, რომლებისთვისაც შემოღებულია საგზაო უწყისის მონაცემების ინტეგრალური დამუშავება, საგზაო უწყისის ყუაში გაგზავნის სადგურის დასახელების წინ დაისმის მისამართის შეცვლის განმასხვავებელი ნიშნის კოდი, „I“.

საგზაო უწყისის უკანა მხარეს დაისმის ერთი გზიდან მეორეზე კონტეინერის გადასვლის პუნქტების კალენდარული შტემპელები.

5. გადაზიდვის საბუთების შევსება დანიშნულების სადგურში

5.1. ტვირთმიმღები ავსებს საგზაო უწყისის შემდეგ გრაფებს;

„გადამხდელი“ – აღინიშნება გადამხდელის სრული სახელწოდება და მისი კოდი;

„ტვირთი მივიღე..... რიცხვი.... თვე..... წელი.....“..... აღინიშნება მიღების თარიღი;

„მინდობილობით № _____ _____ წელი“ _____

აღინიშნება ტვირთის მიღების მინდობილობის ნომერი და მისი გაცემის თარიღი;

„პასპორტის სერია .....№ .....

ჩაწერილია ქ.....

.....ქუჩის .... სახლის

.....ბინაში“

აღინიშნება ტვირთმიმღების პასპორტის სერია, ნომერი და მისამართი, სადაც ის არის ჩაწერილი

საგზაო უწყისში შეტანილ მონაცემებს თავისი ხელმოწერით ადასტურებს ტვირთმიმღები.

საგზაო უწყისის უკანა მხარეს სადგური დასვამს სადგურის კალენდარულ შტემპელს კონტეინერით ტვირთის მოსვლის კონტეინერით ტვირთის მოსვლის შესახებ.

5.2. დანიშნულების სადგური ავსებს ზედნადების შემდეგ გრაფებს: აღნიშნავს დამატებითი მოსაკრებლების გამოსაანგარიშებლად საჭირო მონაცემებს (ტვირთის შენახვის დღეების რაოდენობა, ვისი საშუალებით წარმოებს გადმოტვირთვა);

იმ შემთხვევაში, თუ ტვირთმიმღები არ იყენებს ცენტრალიზებულ ანგარიშსწორებას სსკ-ების მეშვეობით (ფიზიკური პირნი), შესაბამისად სტრიქონებში „სატარიფო აღნიშვნები“ მიეთითება დამატებითი მოსაკრებელი, რომელიც გადახდევინებულ იქნა დანიშნულების სადგურში, გადაზიდვის გადასახდელებისა და მთელი დამატებითი მოსაკრებლების საერთო თანხა სტრიქონში მთლიანად გაცემისას“;

„გადასახადელი გადახდევინებულია სადგურში სხვადასხვა ქვითრით ....“ აღინიშნება არაცენტრალიზებული ანგარიშსწორების დროს სხვადასხვა გადახდევინებული მოსაკრებლების ქვითრის ნომერი, თანხის გადახდევინებას, სხვადასხვა მოსაკრებლის ქვითრის მიხედვით, თავისი ხელმოწერით ადასტურებს მოლარე, ხოლო ზედნადებისა და საგზაო უწყისის უკანა მხარეს დაისმის სადგურის კალენდარული შტემპელი ტვირთის გაცემის გაფორმების დროის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ტვირთმიმღები იყენებს ცენტრალიზებულ ანგარიშსწორებას საგზაო უწყისის გრაფაში „მთლიანად გაცემისას“ დაისმის შტემპელი ცენტრალიზებული ანგარიშსწორება“.

რკინიგზის მიერ ტვირთის გადმოტვირთვა ან გადმოსატვირთად ჩამოყენება მიმღების საშუალებით“ – ზედნადებისა და საგაზაო უწყისის უკანა მხარეს დაისმის დანიშნულების სადგურის კალენდარული შტე მპელის რკინიგზის საშუალებით ტვირთის გადმოტვირთვის ან ტვირთმიმღების საშუალებებით, გადმოსატვირთად ჩამოყენების დროის შესახებ:

აღნიშვნები ტვირთის გაცემის შესახებ“ – კეთდება აღნიშვნები ტვირთმიმღებზე ტვირთის გაცემის შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია სარკინიგზო ტრანსპორტზე ტვირთის გაცემის წესებით.

5.3. გადაზიდვის გადასახდელებისა და გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების მოსაკრებლების განსასაზღვრავად და გადვაზიდვის განსაკუთრებული პირობების შესასრულებლად საჭირო სხვა აღნიშვნების ზედნადებში და გზაში სატარიფო სახელმძღვანელოსა და შესაბამისი ტვირთის გადაზიდვის წესების თანახმად.

აღნიშვნისა და შტემპელებისათვის გუ – 29 კ

---------- რკ/გზა

ზედნადები 1

მიტანის ვადა იწურება ----- წ. უნივერსალური კონტეინერით გადაზიდვაზე

მფლობელი კოდი და კონტეინერის ნომერი		კონტეინერის მასა	გზავნილის ტიპი	№	
მონაცემები ვაგონზე	გვარეობა	ნომერი	ტვირთამწეობა	სიჩქარე	
				დიდი სატვირთო	
გაგზავნის სადგური და რკინიგზა				დანიშნულების სადგური და რკინიგზა	
გამგზავნი (სრული დასახელება)				მიმღები (სრული დასახელება)	
გამგზავნის საფოსტო მისამართი			მიმღების საფოსტო მისამართი		
გადამხდელი			გადამხდელი		

ადგილების რაოდენობა	შეფუთვა	ტვირთის დასახელება	ადგილების რაოდენობა შეფუთვასთან ერთად, რომელსაც განსაზღვრავს გამგზავნი კგ-ებით	ვაგონზე კონტეინერის დატვირთვა აწარმოვა (გამგზავნი რკინიგზა)		კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა	
				სატარიფო აღნიშვნები			
				ჯგუფი, პოზიცია სქემა ტვირთის კლასი განს. ტარიფი N გზავნ.სახე			
				გადასახ-დელის ანგარიში კმ-სთვის	ლარი	თეთრი	კოდი
		სულ		გაგზავნისას			
ადგილების რაოდენობა (სიტყვიე-რად)		ტვირთის მასა					
		ტარის მასა		გადაზიდვის საფასური			
ტვირთის მასა (სიტყვიე-რად)		კონტეინერის		რ/კ დაცვა			
		კონტ. მასა, ბრუტო ფაქტობრივი		მოსაკრებე-ლი ფასის გამოცხადე-ბისათვის			
გადასახადელები გადახდევინებულია გაგზავნის სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით N სასაქონლო მოლაპე (ხელმოწერა)							
გამოცხადებული ფასი ---------- ლარი (სიტყვიერად)				სულ გაგზავნისას			

მონაცემები სსმ-ებზე ---------- სსმ ტიპი და საკ/ნიშანი გაგზ.რ/გზა	გაცემისას			
გამოცხადებული ფასი ---------- ლარი (სიტყვიერად) ზედნადებში შეტანილი მონაცემების სისწორისათვის პასუხს ვაგებ ---------- (გამგზავნის თანამდებობა ხელმოწერა გარკვევით) გადასახდელები გადახდევინებულია დანიშნულების სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლის ქვითრით N სასაქონლო მოლარე ---------- ---------- (ხელმოწერა)	გადაზიდვის საფასური			
	რ/კ დაცვა			
	მოსაკრებელი ფასის გამოცხადებისა-თვის			
	სულ გაცემისას			

№ _____ განაცხადით ტვირთის შეტანა ნებადართულია ----- რიცხვი ------ თვე დატვირთვა დანიშნულია ---------- რიცხვი -------- თვე (სიტყვიერად) --------- ---------- წ. სადგურის უფროსი ----------	• საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის ასოითი კოდის ნაცვლად აღინიშნება კონტეინერის მესაკუთრე რკინიგზის ციფრული კოდი. საკუთარი საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის დაისმის ,,კ/ს“.

1. კონტეინერი წინამდებარე ზედნადებით მიღებულია --------- ----------წ. მიმღებ-ჩამბარებელი ---------- (ხელმოწერა (გარკვევით)			
1. აღნიშვნები აქტების შესახებ			
აქტის შედგენის სადგური	აქტის ნომერი	რის შესახებ	4. რკინიგზის აღნიშვნები
			5. აღნიშვნები ტვირთის გაცემის შესახებ
კალენდარული შტამპელების დროის შესახებ			
ტვირთის გადასაზიდად მიღება	რკინიგზის მიერ ტვირთების გადმოცლის ან მიწოდების დასაცლელად მიმღების საშუალებებით	ტვირთის გაცემის გაფორმება	

მაკეტის ნომერი		დასტის ნომერი		მიმოსვლის სახეობა		მოსვლის წიგნის №	

_____ რკ/გზა

საგზაო უწყისი 2

მიტანის ვადა იწურება ----- წ. უნივერსალური კონტეინერით გადაზიდვაზე

მფლობელი კოდის და კონტეინერის ნომერი		კონტეინერის მასა ბრუტო	გზავნი-ლის ტიპი	№	
მონაცემები ვაგონზე	გვარეობა	ნომერი	ტვირთ-ამწეობა	სიჩქარე	
				დიდი სატვირთო	
გაგზავნის სადგური და რკინიგზა				დანიშნულების სადგური და რკინიგზა	
გამგზავნი (სრული დასახელება)				მიმღები (სრული დასახელება)	
გამგზავნის საფოსტო მისამართი			მიმღების საფოსტო მისამართი		
გადამხდელი			გადამხდელი		

ადგილების რაოდენობა	შეფუ-თვა	ტვირთის დასახელება	ადგი-ლების რაოდენო-ბა შეფუთ-ვასთან ერთად, რომელ-საც განსაზღ-ვრავს გამგზავნი კგ-იბით	ვაგონზე კონტეინერის დატვირთვა აწარმოვა (გამგზავნი რკინიგზა)	კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა
				სატარიფო აღნიშვნები	
				ჯგუფი, პოზიცია სქემა ტვირთის კლასი განს. ტარიფი № გზავნ.სახე	
				გადასახდელის ანგარიში კმ-თვის	ლარი თეთრი კოდი
		სულ		გაგზავნისას	
ადგილების რაოდენობა (სიტყვიერად)		ტვირთის მასა			
		ტარის მასა		გადაზიდვის საფასური	
ტვირთის მასა (სიტყვიერად)		კონტეინერის		რ/კ დაცვა	
		კონტ. მასა, ბრუტო ფაქტობრივი		მოსაკრებელი ფასის გამოცხადები-სათვის	
გადასახადელები გადახდევინებულია გაგზავნის სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით № სასაქონლო მოლარე (ხელმოწერა)					
გამოცხადებული ფასეულობა---------- ლარი (სიტყვიერად)				სულ გაგზავნისას	

გაცემისას				
ბანკის ცნობა ცენტრალიზებული ანგარიშსწორების შესახებ №_____ მიმღების ანგარიში № _____ დაწესებულებაში ბანკი ქ. _____ ტვირთი მივიღე____ რიცხვი _____ თვე ___ წ. მინდობილობით № ____ _____ წ. პასპორტის სერია _____ ჩაწერილია ქ. _____ ქუჩა _____ სახლი № _____ ბინა № _____	გადაზიდვის საფასური			
	რ/კ დაცვა			
	მოსაკრებელი ფასის გამოცხადებისა-თვის			
	სულ გაცემისას			

მიმღების ხელწერილი გადასახდელები გადახდევინებულია დანიშნულების სადგურში სხვადასხვა მოსკრებლის №---------- ქვითრით სასაქონლო მოლარე ----------	• საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის ასოითი კოდის ნაცვლად აღინიშნება კონტეინერის მესაკუთრე რკინიგზის ციფრული კოდი. საკუთარი საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის დაისმის „კ/ს“.

კალენდარული შტე მპელი დროის შესახებ

ტვირთის გადასაზიდად მიღება	ტვირთის მოსვლა	რკინიგზის მიერ ტვირთების გადმოცლის ან მიწოდების დასაცლელად მიმღების საშუალებებით	ტვირთის გაცემის გაფორმება

(დაისმის მკაფიო ანაბეჭდი უჯრედის ნომრების მკაცრი რიგითობით)
გადასვლის პუნქტის კალენდარული შტამპელები

1	2	3
4	5	6
7	8	9
10	11	12

მაკეტის ნომერი		დასტის ნომერი		დატვირთ-ვის სახეობა		მიმოსვ-ლის სახეობა		დატვ. გაანმას-ხ.		დანიშ-ნულე-ბის ქვეყანა	

_____ რკ/გზა

საგზაო უწყისი ყუა 3

მიტანის ვადა იწურება ----- წ. უნივერსალური კონტეინერით გადაზიდვაზე

მფლობელის კოდის და კონტეინერის ნომერი		კონტეინერის მასა ბრუტო	გზავნილის ტიპი	№	
მონაცემები ვაგონზე	გვარეობა	ნომერი	ტვირთ-ამწეობა	სიჩქარე	
				დიდი სატვირთო	
გაგზავნის სადგური და რკინიგზა				დანიშნულების სადგური და რკინიგზა	
გამგზავნი (სრული დასახელება)				მიმღები (სრული დასახელება)	
გამგზავნის საფოსტო მისამართი			მიმღების საფოსტო მისამართი		
გადამხდელი			გადამხდელი		

ადგილების რაოდენობა	შეფუთვა	ტვირთის დასახელება	ადგილების რაოდენობა შეფუთვასთან ერთად, რომელ-საც განსაზღვრავს გამგზავნი კგ-ებით	ვაგონზე კონტეინერის დატვირთვა აწარმოვა (გამგზავნი რკინიგზა)	კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა
				სატარიფო აღნიშვნები	
				ჯგუფი, პოზიცია სქემა ტვირთის კლასი განს. ტარიფი № გზავნ.სახე	
				გადასახდელის ანგარიში კმ-თვის	ლარი / თეთრი / კოდი
		სულ		გაგზავნისას	
ადგილების რაოდენობა (სიტყვიერად)		ტვირთის მასა			
		ტარის მასა		გადაზიდვის საფასური	

ტვირთის მასა (სიტყვიერად)		კონტეინერის		რ/კ დაცვა			
		კონტ. მასა, ბრუტო ფაქტობრივი		მოსაკრებელი ფასის გამოცხადებისა-თვის			
გადასახდელები გადახდევინებულია გაგზავნის სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით N სასაქონლო მოლარე (ხელმოწერა)							
გამოცხადებული ფასი---------- ლარი (სიტყვიერად)				სულ გაგზავნისას			

ტვირთის მიღების ქვითარი
მივიღე ----------
(ტვირთგამგზავნის ხელმოწერა)

გამგზავნი
სადგურის
შტემპელი

ტვირთის გადასაზიდად
მიღების თარიღი

● საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის ასოითი კოდის ნაცვლად აღინიშნება კონტეინერის მესაკუთრე რკინიგზის ციფრული კოდი.

საკუთარი სმაშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის დაისმის „კ/ს“.

_____ რკ/გზა
ტვირთის მიღების ქვითარი 4
უნივერსალური კონტეინერით
გადაზიდვაზე

მიტანის ვადა იწურება ----- წ.

მფლობელის კოდის და კონტეინერის ნომერი		კონტეინერის მასა ბრუტო	გზავნილის ტიპი	№	
მონაცემები ვაგონზე	გვარეობა	ნომერი	ტვირთამ წეობა	სიჩქარე	
				დიდი სატვირთო	
გაგზავნის სადგური და რკინიგზა				დანიშნულების სადგური და რკინიგზა	
გამგზავნი (სრული დასახელება)				მიმღები (სრული დასახელება)	
გამგზავნის საფოსტო მისამართი			მიმღების საფოსტო მისამართი		
გადამხდელი			გადამხდელი		
ადგილების რაოდენობა	შეფუ-თვა	ტვირთის დასახელება	ადგილების რაოდენო-ბა შეფუთ-ვასთან ერთად,	ვაგონზე კონტეინერის დატვირთვა აწარმოვა (გამგზავნი რკინიგზა)	კონტეინერის დატვირთვის ტექნიკური ნორმა

			რომელსაც განსაზღ-ვრავს გამგზავნი კგ-იბით				
				სატარიფო აღნიშვნები			
				ჯგუფი, პოზიცია სქემა ტვირთის კლასი განს. ტარიფი № გზავნ.სახე			
				გადასახდელის ანგარიში კმ-თვის	ლარი	თეთრი	კოდი
		სულ		გაგზავნისას			
ადგილების რაოდენობა (სიტყვიერად)		ტვირთის მასა					
		ტარის მასა		გადაზიდვის საფასური			
ტვირთის მასა (სიტყვიერად)		კონტეინერის		რ/კ დაცვა			
		კონტ. მასა, ბრუტო ფაქტობრივი		მოსაკრებელი ფასის გამოცხადები-სათვის			
გადასახადელები გადახდევინებულია გაგზავნის სადგურში სხვადასხვა მოსაკრებლების ქვითრით № სასაქონლო მოლარე (ხელმოწერა)							
გამოცხადებული ფასი---------- ლარი (სიტყვიერად)				სულ გაგზავნისას			

ეძლევა ტვირთგამგზავნს

გაგზავნის
სადგურის
შტემპელი

ტვირთის გადასაზიდად
მიღების თარიღი

- საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის ასოითი კოდის ნაცვლად აღინიშნება კონტეინერის მესაკუთრე რკინიგზის ციფრული კოდი.

საკუთარი საშუალო ტონაჟის კონტეინერისათვის დაისმის „კ/ს“.

თავი 14-ის დანართი

მოწმობა
ტვირთის დაწყობისა და დამაგრების მოწყობაზე

კონტეინერი (სატრანსპორტო საშუალება) № ----------
დატვირთვის _____
თარიღი_____
ტვირთის დასახელება_____
ამით ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნულ კონვეინერში (სატრანსპორტო საშუალებაში) მოთავსებული ტვირთი საიმედოდ არის დადებული (დაწყობილი) და დამაგრებული ზღვით ტრანსპორტირებისათვის
შენიშვნა:----------

ტვირთის დაწყობისათვის პასუხისმგებელი პირის
ხელმოწერა----------
თანამდებობა----------
გვარი----------_____
ადგილი----------_____
თარიღი----------_____

თავი 14-ის დანართი

შპს „საქართველოს რკინიგზა“
სადგური----------

ფორმა კეუ-16
შედგენილია სამ ეგზემპლარად
კონტეინერის ტექნიკური მდგომარეობის
შესახებ შტამპის ადგილი

განწესი .....
სადგურიდან კონტეინერის გატანის და სადგურში დაბრუნებისა

20 ..... წ.“.....
„.....
დატვირთული
კონტეინერი ..... ბრუტო მასა. ტ
ცარიელი

ტვირთგამგზავნს 1
მიეცა ....

ტვირთმიმღების (სახელი, გვარი)
_____
(საწარმოს ან ორგანიზაციის დასახელება)

მინდობილობა _____ ან ხელშეკრულება _____
შოფერ-ექსპედიტორს _____ ავტომობილი _____
_____
(სახელი, გვარი)
კონტეინერი მიეცია ,,---------,, ----------სთ---------- წთ---------
მიმღებ-ჩამბარებელი ---------- კონტეინერის მიმღები პირი

(ხელმოწერა)
კონტეინერი დაბრუნებულია ,,------,, ---------- სთ წთ--------
მიმღებ-ჩამბარებელი ---------- კონტეინერის
(ხელმოწერა)
დამბრუნებელი პირი ----------
(ხელმოწერა)

კონტეინერის შემოტანაზე ან გატანაზე სატრასპორტო საექსპედიციო ორგანიზაციისათვის საბუთების გადაცემისას შეტყობინების გაგზავნის თარიღი ,,____,, ___ სთ. _____ წთ____ ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ან სატრანსპორტო საექსპედიციო ორგანიზაციების მიერ სატვირთო და კომერციული ოპერაციის შესასრულებლად კონტეინერებით სარგებლობის, საფასურის საათობრივი განაკვეთი კონტეინერების გატანის და დაბრუნებისათვის შეადგენს _____ ლარს

სადგურის სატვირთო კანტორის გამგე _____
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)
_____

1. ზედმეტი წაშალეთ.

2. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) ან სატრანსპორტო საექსპედიციო ორგანიზაცია კონტეინერს აბრუნებს ტექნიკურად უწესივრო მდგომარეობაში, დგება გუ-106 ფორმის აქტი კონტეინერის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ ვაგონის ოსტატი ან ვაგონის მსინჯველი და სადგურის მორიგე ან საკონტეინერო პუნქტის გამგე (ან მისი დავალებით უფროსის მიმღებ-ჩამბარებელი) .

თავი 15-ის დანართი

სპეციალიზებული კონტეინერების ნიშანსადები კოდის სტრუქტურა
დიდი ტონაჟის კონტეინერები
პირველი სტრიქონი: XXXX XXXXXX X (სულ 11 ნიშანი)

მფლობელის ასოითი კოდი
ლათინური ასო, როგორც
კონტეინერების კოდის ნიშანი
კონტეინერის სერიული
ნომერი საკონტროლო
რიცხვი იანგარიშება
დადგენილი წესის
მიხედვით
მეორე სტრიქონი XX XX XX (სულ 6 ნიშანი) ქვეყნის

კოდი კონტეინერის ზომის
კოდი კონტეინერის ტიპის კოდი
პირველი სტრიქონი X XXXXXX X (სულ 9 ნიშანი)

კონტეინერის ბრუტო
მასის კოდი კონტეინერის
სერიული ნომერი
საკონტროლო რიცხვი
მეორე სტრიქონი XXX XX (სულ 5 ნიშანი)

კონტეინერის კუთვნილების კოდი
კონტეინერის კონსტრუქციისა და
დანიშნულების კოდი

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

წელიწადის პერიოდების მიხედვით თევზისა და თევზპროდუქტების სარეფრიჟერატორო ვაგონებით გადაზიდვის ზღვრული ვადები (დღეობით)

ტვირთის დასახელება	გაცივებით		გაცივებით	გაუცივებლად
	ზაფხულის	გარდამ.	ზამთრის	
1. თევზი, ქაშაყი და თევზის ფილე გაყინული	30	30	30	15
2. თევზი გაცივებული	4	8	8	-
3. თევზი და ქაშაყი მარილიანი:				
ა) სუსტად დამარილებული (მარილი 6-დან 10%-მდე ჩათვლით)	30	30	30	30
ბ) საშუალოდ დამარილებული (10-ზე მეტი და 14%-მდე)	30	30	30	
გ) მაგრად დამარილებული (14%-ზე მეტი მარილი)	30	30	30	30
4. ცივად შებოლილი თევზი	12	12	12	10
5. ცივად შებოლილი ქაშაყი, ცივად შებოლილი და მზეზე გამოყვანილი ზურგეულის ნაწარმი	15	25	25	20
6. კიბორჩხალი და კრევეტი მოხარშულ-გაყინული	25	30	30	-
7. თევზი ცხლად შებოლილი გაყინული	10	10	10	-
ა) გამოშიგნული	8	8	8	-
ბ) გამოუშიგნავი	10	10	10	-
8. კიბორჩხალის ჩხირები გაყინული	25	30	30	20
9. თევზის მარინადი და დამარილებულ-სანელებლიანი თევზი კასრებში	12	15	15	-
10. სალამურა შემწვარი გაყინული	30	30	30	30
11. თევზისა და ზღვის ძუძუმწოვრების ქონი სამედიცინო	30	30	30	15
12. სხვადასხვა თევზის ხიზილალა:	30	30	30	15
ა) ზუთხისებრი თევზების მარცვლოვანი ქილებში				
ბ) ზუთხისებრი თევზების მარცვლოვანი პასტერიზებულ ქილებში, ზუთხისებრთა პაიუსის, ორაგულის მარცვლოვანი,	6	6	-	-

წმინდა ბადის თევზების ქვირითების აპკში დამარილებული ქვირითი				
13. მდინარის კიბო ცოცხალი				

შენიშვნები: 1. საშუალოდ დამარილებული თევზისა და ქაშაყის გადაზიდვა დაიშვება სარეფრიჟერატორო ვაგონით ტემპერატურული რეჟიმის დაუწესებლად წელიწადის გარდამავალ პერიოდში 15 დღემდე ვადით, მაგრად დამარილებულისა – ზაფხულის პერიოდში 20 დღის ვადით.

2. დახურული ვაგონებით გადაიზიდება:

ა) მზეზე გამოყვანილი თევზი მთელი წლის განმავლობაში 30 დღემდე ვადით;

ბ) საშუალოდ დამარილებული თევზი და ქაშაყი გარდამავალ პერიოდში 10 დღემდე ვადით, ხოლო ზამთრის პერიოდში 30 დღემდე;

გ) მაგრად დამარილებული თევზი და ქაშაყი ზაფხულის პერიოდში 10 დღემდე ვადით; გარდამავალ პერიოლში – 20 დღემდე და ზამთრის პერ იოდში 30 დღემდე ვადით.

3. ტემპერატურულ რეჟიმს ცოცხალი კიბოების გადაზიდვისას აწესებს ტვირთმიმღები.

თავი 18-ის დანართი

წელიწადის პერიოდების მიხედვით თევზისა და თევზპროდუქტების სარეფრიჟერატორო ვაგონებით გადაზიდვის ზღვრული ვადები (დღეობით)

ტვირთის დასახელება	გაცივებით		გაცივებით	გაუცივებლად
	ზაფხულის	გარდამ.	ზამთრის	
1. თევზი, ქაშაყი და თევზის ფილე გაყინული	30	30	30	15
2. თევზი გაცივებული	4	8	8	-
3. თევზი და ქაშაყი მარილიანი: ა) სუსტად დამარილებული (მარილი 6-დან 10%-მდე ჩათვლით) ბ) საშუალოდ დამარილებული (10-ზე მეტი და 14%-მდე) გ) მაგრად დამარილებული (14%-ზე მეტი მარილი)	 30 30 30	 30 30 30	 30 30 30	 30 30
4. ცივად შებოლილი თევზი	12	12	12	10
5. ცივად შებოლილი ქაშაყი, ცივად შებოლილი და მზეზე გამოყვანილი ზურგიელის ნაწარმი	15	25	25	20
6. კიბორჩხალი და კრევეტი მოხარშულ-გაყინული	25	30	30	-
7. თევზი ცხლად შებოლილი გაყინული ა) გამოშიგნული ბ) გამოუშიგნავი	10 8 10	10 8 10	10 8 10	- - -
8. კიბორჩხალის ჩხირები გაყინული	25	30	30	20
9. თევზის მარინადი და დამარილებულ-სანებლლიანი თევზი კასრებში	12	15	15	-
10. სალამურა შემწვარი გაყინული	30	30	30	30
11. თევზისა და ზღვის ძუძუმწოვრების ქონი სამედიცინო	30	30	30	15
12. სხვადასხვა თევზის ხიზილალა: ა) ზუთხისებრი თევზების მარცვლოვანი ქილებში ბ) ზუთხისებრი თევზები მარცვლოვანი პასტერიზებული ქილებში, ზუთხისებრთა პაიუსის, ორაგულის	30 6	30 6	30 -	15 -

მარცვლოვანი, წმინდა ბადის თევზების ქვირითების აპკში დამარილებული ქვირითი				
13. მდინარის კიბო ცოცხალი				

შენიშვნები: 1. საშუალოდ დამარილებული თევზისა და ქაშაყის გადაზიდვა დაიშვება სარეფრიჟერატორო ვაგონით ტემპერატურული რეჟიმის დაუწესებლად წელიწადის გარდამავალ პერიოდში 15 დღემდე ვადით, მაგრად დამარილებულისა – ზაფხულის პერიოდში 20 დღის ვადით.

2. დახურული ვაგონებით გადაიზიდება:

ა) მზეზე გამოყვანილი თევზი მთელი წლის განმავლობაში 30 დღემდე ვადით;

ბ) საშუალოდ დამარილებული თევზი და ქაშაყი გარდამავალ პერიოდში 10 დღემდე ვადით, ხოლო ზამთრის პერიოდში 30 დღემდე;

გ) მაგრად დამარილებული თევზი და ქაშაყი ზაფხულის პერიოდში 10 დღემდე ვადით; გარდამავალ პერიოდ ში – 20 დღემდე, და ზამთრის პერ იოდში 30 დღემდე ვადით.

3. ტემპერატურულ რეჟიმს ცოცხალი კიბოების გადაზიდვისას აწესებს ტვირთმიმღები.

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

სარკინიგზო ტრანსპორტზე მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის წესებისა ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვის ზღვრული ვადები (დღე)

ტვირთის დასახელება	მარტი-ივნისი		ივლისი-აგვისტო		სექტემბერი-ოქტომბერი		
	სარეფრიჟერატორო ვაგონებში გაცივებით	დახურულ ვაგონებში	სარეფრიჟერატორო ვაგონებში გაცივებით	დახურულ ვაგონებში	სარეფრი ჟერატორო ვაგონებში გაცივებით	დახურულ ვაგონებში	სა
1. მსხალი:							
საადრეო	12	3	12	5	-	-	-
საგვიანო	-	-	15	8	18	10	30
ზამთრის შენახვის შემდ.	10	-	-	-	-	-	-
2. კომში	-	-	-	-	30	20	30
3. ხურმა	-	-	-	-	30	10	30
4. ქლიავი, ალუჩა	12	-	15	-	16	5	-
5. ატამი, გარგარი	10	-	12	-	15	-	-
6. ბალი	8	-	10	-	-	-	-
7. ალუბალი, შავი, თეთრი და წითელი მოცხარი, ხურტკმელი	7	-	7	-	-	-	-

8. მსხვილი მარწყვი	3	-	3	-	-	-	-
9. სუფრის ყურძენი	10	-	18	-	20	-	15
10. შტოში	-	-	15	5	20	12	30
11. წითელი მოცვი	-	-	12	5	12	8	30
12. ბროწეული	-	-	-	-	30	10	30
13. თავთეთრი კომბოსტო ტარაში;							
საადრეო სიმწ.	14	-	15	-	-	-	-
საშ. სიმწ.	-	-	18	5	25	10	-
საშუალო საგვიანო და საგვივანო სიმწიფისა	10	-	-	-	30	20	30
საშუალო საგვიანო და საგვიანო სიმწიფის კომბოსტო დაყრით	-	-	-	-	-	8	-
14. ყვავილოვანი კომბოსტო	-	-	7	-	10	-	12
15. ქორფა ძირები და ძირხვენები	-	-	-	-	-	-	-
16. სუფრის სტაფილო	8	-	12	15	10	10	10
17.სუფრის ჭარხალი (უღეროფოჩო)							
პირშუშხა (ძირები) ტარაში	10	-	15	10	30	20	30
სუფრის ჭარხალი დაყრით	-	-	-	-	-	10	-
18. კიტრი: გრუნტისა სათბურისა	7 6	- -	9 6	- -	9 6	- -	- 6
19. გოგრა: ტარაში	10	-	20	15	30	25	30
20. საზამთრო: ტარაში	-	-	20	15	25	25	20
21. ნესვი: ტარაში	-	-	20	10	20	10	15

22. პამიდორი: ვარდისფერი	10	6	10	6	12	6	12
მორუხო	15	10	15	10	15	10	15
მწვანე	15	15	15	15	15	15	10
23. ბადრიჯანი, ტკბილი წიწაკა და ყაბაყი	12	3	12	5	12	6	12
24. მწვანილი (მწვანე ხახვი, სალათი, ისპანახი, ბოლოკი)	3	-	4	-	4	-	4
25. სიმინდის ტარო ჭყინტი							
და ბაზი							
გაცივებული	-	-	6	-	6	-	-
გაუცივებელი	-	-	4	-	4	-	-
26.მწვანე ბანანი	12	-	12	-	12	-	12
27. ნოირი	15	12	18	16	30	30	30
28. თავიანი ხახვი: ყუთებში	15	12	20	15	30	25	30
ტომრებში	10	80	15	10	20	15	20
29. ხილ-ბისტნეული გაყინული	30	-	30		30		30
30. რკოს სათესლე, ცოცხალი მცენარეები და სათესლე სარგავი მასალა							

გადაზიდვის ხერხსა და ვადებს აწესებს ტვირთგამგზავნი

თავი 18- ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

სარეფრიჟერატორო ვაგონებით რძის, ყველ-კარაქისა და ცხიმის მრეწველობის პროდუქციის, კვერცხის გადაზიდვის ზღვრული ვადები (დღე)

ტვირთის დასახელება	ზაფხულის პერიოდი	გარდამავალი პერიოდი	ზამთრის პერიოდი

	გაცივებით	გაუცივებლად	გაცი-ვებით	გაუცივებლად	გაცივებით ან გათბობით	გაუცივებლად ან გაუთბობლად
1. რძე: არსტერილიზებული სტერილიზებული	2 25	- 10	2 25	- 12	2 25	- 15
2. ნაღები: არსტერილიზებული სტერილიზებული	2 25	- 10	2 25	- 12	2 25	- 15
3. ხაჭო გაყინული	15	-	15	-	15	-
4. ხაჭო, ხაჭოს მასა და ხაჭოს ყველეული	2	-	2	-	2	-
5. არაჟანი მათარებით ჰერმეტ. შეფუთვით	3 5	- -	3 5	- -	3 5	- -
6. იოჰურტი	10	2	12	5	10	-
7. ნაყინი სამამულო	10	-	12	-	15	-
8. კარაქი: ნაღების 9. ერბო	30 30	- -	30 30	- 10	30 30	- 15
10. ყველი მაჭიკისა მაგარი	30	-	30	12	30	10
11. ყველი მდნარი, ბრინზა	30	-	30	12	30	10
12. ცხიმი საკონდიტრო, პურსაცხობი და კულინარიული გამყარებული	25	10	25	25	25	25
13. მარგარინი მყარი დაუფასოებელი დაფასოებული	25 12	- 8	25 15	15 10	25 15	20 10
14. მარგარინი რბილი დაფასოებული	12	- 8	25 15	15 10	25 15	20 10
15. მაიონეზი	15	-	20	10	15	-
16. კვერცხი ქათმისა სასურსათო გაცივებული გაუცივებელი	25 20	- 15	25 20	25 18	20 20	- -
17. კვერცხის პროდუქტები: გაყინული (გული, ცილა, მელანჟი) თუნუქის ტარაში კვერცხის ცილა ფხვნილი კვერცხის გული ფხვნილი	30 - 30	- 30 -	30 - 30	- 30 10	30 - -	- 30 30

შენიშვნა:

1. რძე, ნაღები არასტერილიზებული, ხაჭო გაცივებული, ხაჭოს ყველეული, ხაჭოს მასა, არაჟანი მათარებში და გაიზიდება სამგზავრო მატარებლებზე ჩაბმით.
2. ერბოს გადაზიდვა ზამთრის და გარდამავალ პერიოდებში, როდესაც გარე ჰაერის ტემპერატურა +50 –ზე ნაკლებია, დაიშვება დახურული ვაგონებით.
3. გაუცივებელი კვერცხი დახურული ვაგონებით ზაფხულის პერიოდში გადაიზიდება 15 დღემდე ვადით, ხოლო გარდამავად პერიოდში – 12 დღემდე.
4. კვერცხის ცილის ფხვნილი შეიძლება გადაიზიდოს დახურული ვაგონებით, ზაფხულის პერიოდში 8 დღემდე ვადით, ხოლო გარდამავალ პერიოდში – 20 დღემდე.

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

სხვა მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის ზღვრული ვადები

ტვირთის დასახელება	ზაფხულის პერიოდი			გარდამა-ვალი პერიოდი			
	სარეფრიჟერატორო ვაგონებით		დახურული ვაგონებით	სარეფრი-ჟერატორო ვაგონებით		დახურული ვაგონებით	
	გაცივებით	გაუცივებლად		გაცივებით	გაუცივებლად		გაცივ
1. ხორცმცენარეული კონსერვები თუნუქის და მინის ქილებით	30	30	30	30	30	30	30
2. ხორცის პასტერიზებული კონსერვები (ლორი, შაშხი ბეკონი)	30	20	-	30	20	-	30
3. თევზის და კიბორჩხალის კონსერვები, სხვადასხვა თევზის ჯიგრის და პრესერვების გარდა	30	30	15	30	30	10	30
4. თევზის ჯიგრის კონსერვი	30	30	15	30	30	10	30
5. ყოველგვარი პრესერვი, კასრში დამარილებული ქაშაყი	25	-	-	30	6	-	30
6. პამიდვრის პროდუქტები მინის და ლითონის ქილებში: პამიდვრის	30	30	20	30	30	25	30

საწებელი პასტერიზებული, პამიდვრის წვენი კონცენტრირებული, პასტერიზებული, სტერილიზებული ნატურალური მთელი და გაფცქვნილი პამიდვრები							
7. პამიდვრის პროდუქტები კონცენტრირებული პოლიმერულ ტარაში, მჟავე ბოსტნეული, კომბოსტოს მწნილი, მჟავე და ძმარმწნილი სოკო კასრებში, მჟავე საზამთრო და ნესვი	30	12	-	30	25	15	30
8. ბოსტნეულის კონსერვი და საწებლები, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა	30	25	10	30	30	20	30
9. ხილისა და კენკრის დაკონსერვებული პროდუქცია: პიურე, რბილობიანი წვენი ბავშვთა კვებისათვის, კომპოტი, ჯემი, მურაბა, კონფიტიური, ხილფაფა, შაქრიანი გახეხილი ხილი და კენკრა, პასტერიზებული ხილისა და კენკრის წვენი, ყურძნის და ციტრუსის წვენის გარდა, წვენი და ნექტარი შეფუთვაში	30	30	20	-	30	30	30
10. წყალში ნადები ხილი და კენკრა, ხილის მარინადი კასრებში, სულფატირებული პიურე და წვენი კასრებში	30	12	10	30	30	25	30
11. მანდარინისა და ფორთოხლის ნატურალური შაქრიანი წვენი: ხილისა და კენკრის	25	12	-	25	15	10	25

წვენი არაპასტერიზებული							
12. ლიმონის ნატურალური წვენი	20	5	-	20	8	-	20
13. ყურძნის ნატურალური წვენი	30	20	15	30	30	5	30
14. პურის საფუარი დაწნეხილი, რომელიც დამზადებულია: სპეციალიზებულ ქარხნებში სპირტის ქარხნებში	9 5	- -	- -	9 5	- -	- -	9 5
15. ბიოპრეპარატები	15	-	-	15	-	-	15

შენიშვნა

ხორცის კონსერვი თუნუქის და მინის ქილებში მთელი წლის მანძილზე შეიძლება გადაიზიდოს დახურული ვაგონებით.

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

წელიწადის პერიოდში და რკინიგზების ადგილმდებარეობის კლიმატური ზონები, რომელთა გათვალისწინებითაც განისაზღვრება მალფუჭებადი პროდუქტების გადაზიდვის ხერხი

რკინიგზები და რკინიგზის უბნები	წლის პერიოდები		
	ზაფხულის	გარდამავალი	ზამთრის
1. ჩრდილოეთ-კავკასიის (უბანი მაჰაჩკალა 1 მახარისხებელი – სამური)	15 მაისიდან 14 ნოემბრის ჩათვლით	15 ნოემბრიდან 15 მარტის ჩათვლით	არა
2. ჩრდილოეთ კავკასიის (მახაჩყალა – 1 მახარისხებელი სამურის უბნის გარდა)	აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით	დეკემბერი და მარტი	იანვარი და თებერვალი
3. ოქტიაბრსკის (სუოიარვის 1-სა და პეტროზავოდსკის ჩრდილოეთით მდებარე უბნები), გორკის, სევერნაია (ვოლოგდის ჩრდილოეთით მდებარე უბნები), სვერდლოვსკის (ჩრდილოეთის უბნების გარდა), სამხრეთით ურალის, დასავლეთ ციმბირის, კრასნოიარსკის, აღმოსავლეთით ციმბირის (აღმოსავლეთი ლენახანის უბნის გარდა), იმიერბაიკალის, წორეული აღმოსავლეთის (ხანი-დიპკუნის, ბამისნერიუნგრი სატვირთო უბნის გარდა)	მაისიდან სექტემბრის ჩათვლით	ოქტომბერი და აპრილი	ნოემბრიდან მარტის ჩათვლით
4. სვერდლოვსკის (ჩრდილოეთი უბნები : ნიჟნევარტოვსკუსტ-იაგუნ-	მაისიდან აგვისტოს ჩათვლით	სექტემბერი და აპრილი	ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით

ნოვიურენგოი, სეროვობისპირეთი ტავდაახას შესართავი)			
5. აღმოსავლეთ-ციმბირის (ლენა-აღმოსავლეთი-ხანის უბანი)	ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით	მაისი და სექტემბერი	ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით
6. შორეული აღმოსავლეთის (ხანი-დიპკუნის, ბამის-სატვირთო უბნები)	მაისიდან სექტემბრის ჩათვლით	აპრილი და ოქტომბერი	ნოემბრიდან მარტის ჩათვლით
7. დანარჩენი რკინიგზები და რკინიგზის უბნები, რომლებიც არ არის მითითებული ამ დანართის 1-6 პუნქტებში	მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით	ნოემბერი და აპრილი	დეკემბრიდან მარტის ჩათვლით

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

კართშორის სივრცეში განმბჯენების განლაგების სქემა



თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

მალფუჭებადი ტვირთის ტემპერატურული რეჟიმი და ვენტილირება სარეფრიჟერატორო ვაგონებით გადაზიდვისას

ტვირთის დასახელება	ტემპერატურული რეჟიმი 0 ჩ		ვენტილირების საჭიროება
	-დან	-მდე	
1. გაყინული, განაყინი ტვირთი, რომლის ტემპერატურა არა უმეტეს – 180 -მდე	-17	-20	არ ვენტილირდება
2. გაყინული, განაყინი ტვირთი, რომლის ტემპერატურა -15-დან -180 -მდე	-15	-18	არ ვენტილირდება
3. გაყინული, განაყინი ტვირთი, რომლის ტემპერატურა -10-დან -150 მდე	-10	-13	არ ვენტილირდება
4. გაყინული, განაყინი ტვირთი, რომლის ტემპერატურა -6-დან -100 -მდე	-6	-13	არ ვენტილირდება
5. ხორცი შეყინული, ხორცი გაცივებული, უმად შებოლილი შაშხეული ბეკონი, შპიკი (სუთი) ნახევრად შებოლილი,	0	-3	არ ვენტილირდება

მოხარშულ-შებოლილი ძეხვი, თევზი გაცივებული, სხვადასხვა თევზის ხიზილალა, ცივად შებოლილი ოკეანის თევზი (ივასი ქაშაყის გარდა), სანელებლიან-დამარილებული ქაშაყი და ქაშაყის მარინადი ჰერმეტულ შეფუთვაში და სხვა ტვირთი, რომლის ტემპერატურა 0-დან -60 -მდე			
6. პურსაცხობის საფუარი დაწნეხილი	-5	-3	არ ვენტილირდება
7. არასტერილიზებული რძე და რძის პროდუქტები, იოჰურტი, ტერმინირებული, ქათმის კვერცხი სასურსათო, აგრეთვე სხვა გაცივებული ტვირთი, რომლის ტემპერატურა 0-დან პლუს -60 -მდე	-5	-3	არ ვენტილირდება
8. შემოსული პამიდორი, მწიფე კიტრი, ბადრიჯანი, ტკბილი წიწაკა, ნესვი, ანანასი, ლიმონი	-9	-6	ვენტილირდება გათბობისას
9. ახალშემოსული პამიდორი	-9	-6	
10. banana	-14	-12	
11. მჟავე და დაწნილებული ბოსტნეული, მათ შორის კომბოსტოს მწნილი, წყალში დამბალი ხილი და კენკრა კასრებში,სოკოს მწნილი და მარინადი კასრებში	-5	-2	
12. ყველი და სხვა გაცივებული ტვირთი, რომლის ტეპერატურა პლუს 6-დან პლუს 90 -მდე ჩათვლით	-9	-6	არ ვენტილირდება
13. მარგარინი, ცხიმი საკონდიტრო, პურსაცხობი და კულინარიული, რძე სტერილიზებული, ბიოპრეპარატები და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ტვირთი, რომელთა ტემპერატურა პლუს 90 -ზე მეტია	-15	-9	არ ვენტილირდება
14. ენდოკრინული ნედლეული, რომლის ტემპერატურა არ აღემატება -200 -ს „არვ-ე“ სარეფრიჟერატორო ვაგონებით გადაზიდვისას	-20	-23	არ ვენტილირდება

თავი 18-ის დანართი

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2005 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/1107 – სსმ III, №132, 11.11.2005წ., მუხ.1463

ლ ი უკების სახურავთა დამაგრება დახურული ვაგონების უწყვეტი ვენტილირებისას

1.



თავი 21-ის დანართი

ფორმა გუ-112

აღწერილობა

ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვისა 1
სარკინიგზო ზედნადების ნომერი----------
გაგზავნის სადგური ----------
დანიშნულების სადგური ----------
ტვირთგამგზავნი ----------
ტვირთმიმღები ----------

შეფუთვის გვარეობა	თითოეული ადგილის განმასხვავე-ბელი ნიშნები	თითოეული ადგილის გამოცხადებული ფასის თანხა (ლარი)	თითოეულ ადგილში შეფუთული საგნების დასახელება	საგნების რაოდენობა	ცალკეული საგნების გამოცხადებუ-ლი ფასი
1	2	3	4	5	6

1- პირადი (ყოფითი) საჭიროებისათვის განკუთვნილი ტვირთის გადაზიდვისას ივსება ტვირთგამგზავნის შეხედულებებ ისამებრ

დანართის დასასრული

1	2	3	4	5	6

სულ ადგილები ---------- საერთო თანხით---------- ლარი------- თეთრი
ტვირთგამგზავნის ხელმოწერა ----------
აღწერილობა მიღებულია ----------
სადგურის მუშაკის თანამდებობა და გვარი

გამგზავნი სადგურის
კალენდარული შტემპელი

თავი 22-ის დანართი

იმ ტვირთის ნუსხა, რომლის კონტეინერებით, ცისტერნებით, დახურული და სპეციალიზებული ვაგონებით გადაზიდვა დაიშვება საკეტ-საპლომბი მოწყობილობის დაუყე ნებლად, მაგრამ ნაგრეხის სავალდებულო გამოყენებით

ალებასტრი (შეფუთული*)
ანთრაციტი (შეფუთული*)
აზბესტი (შეფუთული*)
ასბოზურტი (შეფუთული*)
იასპი ნაჭრებად (შეფუთული*)
ასფალტი (შეფუთული*)
ბაზალტი (შეფუთული*)
ავზები შავი ლითონებისა
ქილები (კოლოფები) თუნუქის კონსერვებისა (ნახმარი)
დოლები ხისა კაბელის და მავთულის
ბაგირების დასახვევად დაუშლელი და დაშლილი
ბეტონიტი (ბეტონიტის თიხა) (შეფუთული*)
არყის ქერქი (შეფუთული*)
ბიტუმი
ბიტუმენი (ბიტუმოვანი ქვა) (შეფუთული*)
ნალეწი თაბაშირის, თიხის, სამეთუნეო, გრაფიტის, აგურის, მინის, ფაიფურის, ქაშანურის, შამოტისა (შეფუთული*)
ბოქსიტები
ბრიკეტები გზის საფარისათვის, ქვანახშირის, მადნის, ტორფისა
ვაგონეტები დაშლილი და დაუშლელი
მურაცხი (მშრალი ხის ფისი) (შეფუთული*)
ჟენჟო სათრიმლავი (შეფუთული*)
გაჯი(თაბაშირის მერგელი) (შეფუთული*)
თიხა ყოველგვარი (შეფუთული*)

თიხამიწა გოგირდმჟავა ნაჭრებად (შეფუთული*)
გრაფირი ნაჭრებად (შეფუთული*)
ტალახი მინერალური სააბაზანო
გუდრონი
კოლოფის ბამბა
დიატომიტი (ინფოზურული მიწა) (შეფუთული*)
დოლომიტი გამომწვარი და ნედლი მეტალურგიული დოლაბები
მიწა, საღებრის გარდა (შეფუთული*)
ნაცარი ყოველგვარი (შეფუთული*)
კირი ყოველგვარი (შეფუთული*)
ნაწვი ყოველგვარი (შეფუთული*)
ნაწარმი აზბესტის, აზბესტ-ცემენტის, ასფალტის (ტოლის გარდა)
ბეტონის, ცემენტ-ბეტონის, რკინა-ბეტონის,
ბუნებრივი და ხელოვნური
ქვის, ცემენტისა
ქვა ყოველგვარი (შეფუთული*)
ლელქაში
კესონები ფოლადისა
აგური დანაყილი და დაფქული (შეფუთული*)
კლინკერი ცემენტისა (შეფუთული*)
ცეცხლრიკები
კონცენტრატები მადნისა (ვოლფრამის, კალის, იშვიათის ლითონების, ტყვიის,
თუთიის, შველიტის გარდა)
ქერქი ყოველგვარი (შეფუთული*)
კორუნდი ბუნებრივი ნაჭრებად
ძვალი უბრალო ნედლი გამოუყენებელი (შეფუთული*)
ლერწი, ძეწნის წნელები
ჩერჩო ყოველგვარი (შეფუთული*)
მაკულატურა (შეფუთული*)
ცარცი ყოველგვარი (შეფუთული*)
ნავთობბიტუმი
ჩამონაჭრები რეზინის, რქისა (შეფუთული*)
ნამწვი ხისა (შეფუთული*)
ნახერხი ხისა (შეფუთული*)
ნარჩენები აზბესტის, აზბესტ-შიფერის, შიფერის,ხე-ტყის და ქიმიური მრეწველობისა
პეგმატიტი
სქელფისი ყოველგვარი (შეფუთული*)
ფილები სხვადასხვა ზომის ასფალტისა
ფილები კამიშიტის,
თაბაშირის, წნეხილი მერქნის ნარჩენებისაგან, ტორფოსაიზოლოციო
ნახევარგუდრონი
ფხვნილი აზბესტშიფერის, ასფალტის, კირის შამოტისა (შეფუთული*)
ფხვნილი მაგნეზიტის მეტალურგიული (შეფუთული*)
ტარო სიმინდისა ნაქურჩალი (შეფუთული*)
მტვერი საკერძისა (მადნის) (შეფუთული*)
ნიჟარქვა, ნიჟარა ზღვის ან მდინარისა (სამშენებლო) (შეფუთული*)
რეზინი და რეზინის ნაკეთობანი
ძველი (უტილი)

მადნეული ყოველგვარი (დარიშხანოვანის გარდა)
მური თეთრი (ში 2)
ჭარხალი შაქრისა
ფქვილი ნაჭრებად
ფისი ხის, ქვანახშირის, ნავთობის,
ფიქლისა
ნამჯა-ჩალა
ქვამარილი, სუფრის, დაუფასოებელი (შეფუთული*)
ბურბუშელა ხისა (შეფუთული*)
ტორფი და ტორფის პროდუქცია (შეფუთული*)
ტიგელები გრაფიტისა ნალეწი
ლერწამი
ჩვარეული
ტიუბინგები
ნახშირი ქვის, ძვლის, ხისა (შეფუთული*)
სასუქი მინერალური (შეფუთული*)
უტილნედლეული, ტრიკოტაჟის ნარჩენების გარდა
ფლუსები
ცემენტი, რომელიც შეუფუთავად გადაიზიდება მინის წარმოების ნარჩენები
შლამი ყოველგვარი (შეფუთული*)
მასრები ქაღალდისა ძველი (შეფუთული*)
ღერღილი
ფარები ხისა (პურის და ბოსტნეულის ფარების და პირუტყვის გადასაზიდი
გისოსების გარდა), კამიშიტისა
ეტერენტი (სხვადასხვა ზომის აზბესტ-ცემენტის ფილები)
სხვა ტვირთი, რომლის გადაზიდვა დაიშვება ღია მოძრავი შემადგენლობით,
ხე-ტყის ტვირთისა და შეშის გარდა

შენიშვნა:
* - ეხება შეფუთული ტვირთის გადაზიდვას კონტეინერებითა და დახურული ვაგონებით

თავი 22-ის დანართი

ვაგონების, კონტეინერების სსმ „სპრუტ-უნივერსალით“ დაპლომბვის წესი

სსმ ¨სპრუტ-უნივერსალი¨ (ნახ. პ 2.1.) შედგება მოქნილი ღეროს (1), მომჭერებისაგან (2) მასში ჩამონტაჟებული საბლოკირებული მოწყობილობით და გარესახრახნისაგან (3). საკეტ-საპლომბი მოწყობილობის ღერო შედგება გვარლის (მოქნილი ნაწილი) და მის ერთ ბოლოში ხისტად დამაგრებული საკონტროლო საყელურისაგან, რომელზეც დაყენებულია საკონტროლო ნიშნები, ღეროს მოქნილი ნაწილის სიგრძეა 300 მმ და 450 მმ.

საკონტროლო საყელურსა და სსმ მომჭერზე დატანებულია იდენტური საკონტროლო ნიშნები. არ დაიშვება სხვადასხვა საკონტროლო ნიშნების მქონე სსმ მომჭერსა და საყელურის გამოყენება.

საკეტ-საპლომბი მოწყობილობის ღერო (საკონტროლო საყელურით) მკაცრი აღრიცხვის ელემენტია.

1. ვაგონებისა და კონტეინერების სსმ ¨სპრუტ-უნივერსალ-¨-ით დაპლომბვისას, რომლის მოქნილი ნაწილის სიგრძე 300 მმ-ია (ნახ. პ. 2.2, პ.2.4, პ.2.9, პ. 2.10, პ. 2.11) , მოქნილი ღეროს თავისუფალ გრძელ წვერს გაატარებენ გარესახრახნის ერთ-ერთ ნახვრეტში, მერე-ვაგონის ან კონტეინერის საკეტი მოწყობილობის ნახვრეტში, შემდეგ – გარესახრახნის მეორე ნახვრეტში. ღეროს ბოლოს საათის ისრის

მიმართულებით ტრიალით ვიწრო ბოლოთი ჩამოეცმევა მომჭერი და გადაადგილდება მოქნილ ღეროზე მინიმალური ზომის მარყუჟის მიღებამდე.

2. 300 მმ სიგრძის მოქნილი ნაწილის მქონე სსმ ¨სპრუტ-უნივერსალის¨ დაყენება ხდება ქანჩქურას ტიპის ჩასატვირთი ლი უკების სახურავიან ცისტერნებზე: სპეციალური ყუნწებით ან უშუალოდ ცისტერნის ლი უკის სახურავის სახელურთან მდებარე ერთი მოხსნილი ქაჩყურას ადგილზე, დაიშვება აგრეთვე 450 მმ სიგრძის მოქნილი ნაწილის მქონე სსმ-ს გამოყენება.

450 მმ სიგრძის მოქნილი ნაწილის მქონე სსმ ¨სპრუტ-უნივერსალის¨ დაყენებისას მოქნილ ღეროს გაატარებენ სსმ-ი ს გარესახრახნის ერთ-ერთ ნახვრეტში, მერე ლი უკის სახელურისა და ცისტერნის ყელის ყუნწებით შეთავსებულ ნახვრეტებში, შემდეგ კი – გარესახრახნის მეორე ნახვრეტში. ამის მერე მოქნილ ღეროზე ჩამოიცმევა მომჭერი და საათის ისრის მიმართულებით მბრუნავი მოძრაობით გადაადგილდება გვარლზე მინიმალური ზომის ყუნწის მისაღებად.

ქანჩყურას ტიპის ჩატვირთვ ის ლი უკები სახურავიან ცისტერნებზე სსმ ¨სპრუტ-უნივერსალის¨ დაყენება ერთი მოხსნილი ქანჩყურას ადგილას (ნახ.პ. 2.6.) წარმოებს შვიდი მოსაჭერი ჭანჭიკის მოჭერის შემდეგ, რისთვისაც სსმ გარესახრახნის ერთ-ერთი ნახვრეტში გაატარებენ მოქნილ ღეროს, შემდეგ სახსრის ყუნწის ნახვრეტში და კვლავ-ცისტერნის ლი უკის სახურავის კავში გაბურღულ ნახვრეტებში, მერე კი გარესახრახნის მეორე ნახვრეტში. ა მის შემდეგ მოქნილ ღეროზე ჩამოიცმევა მომჭერი და საათის ისრის მიმართულებით ბრუნვითი მოძრაობით გადაადგილდება გვარლზე მინიმალური დონის მარყუჟის მისაღებად.

